https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ღრუბელი

ნიკოლას სპარქსი

სასწაულები

ნეტა ვინა ვარ? ან ის მაინც ვიცოდე, ეს ამბავი როგორ დასრულდება... მზე უკვე ამოიწვერა, მე კი ჯერაც ვზივარ მინავლებული სიცოცხლის სუნთქვით დაორთქლილ ფანჯარასთან. ისე, ალბათ, კარგი სანახავი უნდა ვიყო ამ დილაუთენია – ერთიმეორეზე გადაცმული ორი პერანგით, დათბილული შარვლით და კისერზე ორგზის მოხვეული შარფით, რომლის ბოლოებიც სქელ, ოცდაათი წლის წინ ჩემი ქალიშვილის ხელით მოქსოვილ სვიტრში მაქვს ჩატანებული. თერმოსტატი ხომ ბოლო მაჩვენებელზე მაქვს დაყენებული, და პატარა გამათბობელი მაინც მიდგას ზურგს უკან – ხვნეშითა და ქშენით მაფრქვევს გავარვარებულ ჰაერს ჯადოსნური გველეშაპივით. მაინც ვკანკალებ; იმ სიცივით მამცივნებს, რომელიც ოთხმოცი წლის კაცს გაუჯდება ხოლმე ძვალ-რბილში და სიკვდილამდე მისი თანამდევი დარჩება. ოთხმოცი წელი! არა, ჩემს ასაკს როგორღაც შევეგუე, მაგრამ ზოგჯერ მაინც მაოგნებს ის ამბავი, რომ წამითაც აღარ გავმთბარვარ, რაც ჯორჯ ბუში პრეზიდენტად აირჩიეს. ნეტა ვიცოდე, ჩემი ხნის ხალხი ყველა ჩემსავით გათოშილი და დამზრალია, თუ როგორ არის იმათი საქმე?

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჩემი ცხოვრება? ჰოო, ეგ იოლი ასახსნელი არ იქნება. არა, ახლა მთლად ისეთი მჩქეფარეც არ ყოფილა, მე რომ ველოდი, მაგრამ ვერც იმას ვიტყვი, თაგვივით სოროში შემ-ძვრალმა გავატარე-მეთქი. ჩემი ცხოვრება ალბათ უფრო იმ მაღალი ხარისხის ნიშნით აღბეჭდილ ნაწარმს ჰგავდა, გამძლე და შედარებით სტაბილური რომ არის ხოლმე. გამარჯვება მარცხზე მეტი მხვდა წილად და საბოლოოდ, ტაატ-ტაატით, გარკვეულ სიმაღლესაც მივაღწიე. მოკლედ, კარგა სარფიანი და ხარისხიანი გარიგება გამოდგა და იმასაც ვაცნობიერებ, რომ იმავეთი ბევრი ვერ დაიკვეხნის. მაგრამ არ შეცდეთ და განსაკუთრებული ვინმე არ გეგონოთ. განსაკუთრებული და რჩეული ადამიანი რომ არა ვარ, ეგ მშვენივრად ვიცი. ერთი ჩვეულებრივი კაცი გახლავართ, ჩვეულებრივი აზრებით, და ჩვეულებრივადაც ვიცხოვრე. ჩემთვის ძეგლი არავის დაუდგამს და ჩემი სახელიც მალე დავიწყებას მიეცემა. მაგრამ სხვა ადამიანის სიყვარული შემეძლო; ის ადამიანი მთელი სულითა და გულით, მთელი ჩემი არსებით მიყვარდა ყოველთვის და ჩემთვის ეგეც კმარა.

რომანტიკოსები ჩემს ამბავს სასიყვარულო ისტორიად მონათლავენ, ციინიკოსები – ტრაგედიად. ჩემი აზრით კი, ორი-ვეს ნაზავია და საბოლოოდ, რა დასკვნამდეც უნდა მივიდეთ, იმ ფაქტს მაინც ვერ გავექცევით, რომ ეს ყველაფერი ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილი და ჩემ მიერ არჩეული გზა აღმოჩ-ნდება. არც ამ გზას ვუჩივი რამეს და არც იმ კუთხე-კუნ-ჭულებს, სადაც ამ გზამ მიმიმწყვდია (წვრილმანი საწუწუნო კი, იცოცხლე, იმდენი მაქვს, მოხეტიალე ცირკის ერთი დიდი კარავიც ვერ დაიტევდა, ალბათ). მაგრამ ჩემ მიერ არჩეული გზიდან არასოდეს გადამიხვევია, რადგანაც ყოველთვის სწორ გზად მიმაჩნდა და სხვას არც არასოდეს დავადგებოდი.

სამწუხაროდ, დრომ თავისი გაიტანა და ამ გზაზე უწინდელი შემართებით ველარ დავაბიჯებ. გზა ისევ ლარივითაა გაჭიმული,

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მაგრამ ჟამთა სიავემ ქვა-ღორღით ამოავსო. სამიოდე წლის წინ ამ ქვა-ღორღს არაფრად დაგიდევდით, მაგრამ ახლა – ნურას უკაცრავად. ავადმყოფობამ მაგრად დამრია ხელი – აღარც მუხლი მიჭრის და აღარც ჯანი მომდევს; დღეებიც დათვლილი მაქვს, ძველი წვეულებიდან შემორჩენილი მოჩვარული და დაჩუტული ბუშტებივით ნელ-ნელა რომ ჭკნებიან და ილევიან.

ვახველებ და მოჭუტული, ბეცი თვალებით საათს ვაკვირდები. ვხვდები, რომ ჩემი წასვლის დროა. სკამიდან ვდგები და საწერი მაგიდისკენ მივჩანჩალებ დღიურის ასაღებად, ათასჯერ მაინც რომ მაქვს გადაკითხული. ამჯერად აღარ ვათვალიერებ, პირდაპირ ილლიაში ვიჩრი და იქით მივეშურები, საითაც მიმეჩქარება.

თეთრი, რუხი წინწკლებით მოფენილი ფილებით მოპირკეთებულ იატაკს მივუყვები. იატაკის ფერი ჩემი და აქაურობის სხვა ბინადართა ჭაღარას შესანიშნავად ეხამება. თუმცა ამ დილაადრიან ჰოლში ჩემ გარდა არავინაა. ყველა საკუთარ ოთახშია შეყუჟული; მარტოდმარტო, ტელევიზორის ამარა. მაგრამ, ჩემი არ იყოს, ისინიც შეეჩვივნენ მარტოობას. ადამიანი ყველაფერს ეჩვევა, თუ, რა თქმა უნდა, ამის დრო და საშუალება მიეცემა. შორიდან მოგუდული ტირილის ხმა მესმის და მშვენივრად ვიცი, ვინც ტირის. მომვლელები მამჩნევენ და ერთმანეთს ღიმილით ვესალმებით. მომვლელებთან ვმეგობრობ და საათობით ვესაუბრები ხოლმე. თუმცა, ალბათ, ჩემი ძალიან უკვირთ და ვერ გაუგიათ, რატომ ვაკეთებ იმას, რასაც ჯიუტად, ყოველდღე ვაკეთებ. მესმის, როგორ ეჩურჩულებიან ერთმანეთს ჩემს დანახვაზე: – ნახე, ისევ მიდის ეს საწყალი... ნეტა მშვიდობიანად დამთავრდებოდეს ეს ყველაფერი, – მაგრამ პირში არაფერს მეუბნებიან. ალბათ ფიქრობენ, რომ ამ თემაზე საუბრით დილიდანვე მატკენენ გულს. ჩემი ამბავი რომ ვიცი ნამდვილად არ ცდებიან.

წამიც და მის ოთახთან აღმოვჩნდები. კარი, როგორ(

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ყოველთვის, ოდნავ უკვე შეუღიათ ჩემთვის. მის ოთახში კიდევ ორნი არიან და, შესვლისას, ისინიც მიღიმიან. ერთმანეთს ვესალმებით და ორიოდ წუთს ვუთმობ მათი ამბების გამოკითხვას; პატარებს მოვიკითხავ, სკოლასა და დამდეგ არდადეგებზე გავესაუბრები. ცოტა ხანს ასე ვსაუბრობთ მოგუდული ტირილის ფონზე. ეს ორნი ტირილის ხმას შეჩვეულები არიან და ყურადღებას აღარ აქცევენ. თუმცა, მგონი, მეც შევეჩვიე უკვე.

იმ სკამზე ვჯდები, რომელმაც, კარგა ხანია, ჩემი სხეულის ფორმა მიიღო. მომვლელები საცაა საქმეს მოამთავრებენ. ტანსაცმელი უკვე ჩაუცმევიათ მისთვის, მაგრამ მაინც ტირის. ვიცი, როცა ოთახიდან გავლენ, თანდათან დამშვიდდება. დილის ფაციფუცი ყოველთვის აფრთხობს და აფორიაქებს, ჰოდა დღესაც იგივე ხდება. ბოლოს და ბოლოს მომვლელები ფარდას გადაწევენ და ოთახიდან გადიან. გასვლისას ხელს მითათუნებენ და მიღიმიან. ნეტა ამით რის თქმა უნდათ?

ერთხანს ჩუმად ვზივარ და ვუყურებ, მაგრამ ის არ მიყურებს. მისი მესმის – მისთვის ხომ სრულიად უცხო კაცი ვარ. ვტრიალდები, თავს ვხრი და ჩუმად, გულში ვლოცულობ; მინდა, ის ძალა მომეცეს, რომელიც ძალიან მჭირდება ახლა. ყოველთვის მორწმუნე ვიყავი და ლოცვისა მწამდა. თუმცა, რაღა დაგიმალოთ და ის კითხვები მაინც ბლომად დამიგროვდა, რომლის პასუხებსაც, ალბათ, საიქიოს ვიპოვი.

უკვე მზადა ვარ. სათვალეს ვიკეთებ და ჯიბიდან გამადიდებელ მინას ვიღებ. მინას მაგიდაზე ვდებ და დღიურს ვშლი. დაკოჟრილ და დეფორმირებულ თითს ორჯერ ვილოკავ, დღიურის გაცვეთილი ყდის გადაშლა რომ მოვახერხო. მერე გამადიდებელსაც ვიმარჯვებ.

კითხვის დაწყებამდე ყოველთვის მიდგება წამი, როცა გონება მიფორიაქდება და ვფიქრობ, ნეტა სასწაული დღეს ხომ არ მოხდება-მეთქი. ეჰ, რა ვიცი რა ვიცი... წინასწარ არასოდეს არაფერი ვიცოდი. თუმცა გულის სიღრმეში მგონია, რომ ახლა

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ამას არსებითი მნიშვნელობა აღარცა აქვს. ახლა ალბათობა უფრო მასულდგმულებს, ვიდრე გარანტია; ეს ყველაფერი ჩემგან ჩამოსულ დიდ სანაძლეოს უფრო წააგავს. გინდ მეოცნებე მიწოდეთ, გინდ გამოტვინებული და გინდ სხვა რამ მაგდაგვარი, მაგრამ მაინც მჯერა, რომ ქვეყნად შეუძლებელი არაფერია.

ვხვდები, რომ არც ალბათობა და არც მეცნიერების მიღწევები ჩემს სასარგებლოდ არ მეტყველებს. მაგრამ მეცნიერებას ყველაფრის პასუხი არ გააჩნია; ამაში საკუთარმა გამოცდილებამ და ცხოვრებამ დამარწმუნა. ჰოდა მეც მწამს სასწაულების; მწამს, რომ, რაგინდ წარმოუდგენელი და აუხსნელიც უნდა იყოს, სასწაულები, ბუნების კანონების მიუხედავად, მაინც ხდება. ასე რომ, კიდევ ერთხელ, როგორც ყოველთვის, ისევ ხმამაღლა ვუკითხავ ამ დღიურს და იმედი მაქვს, რომ ერთხელაც ხმას აუცილებლად მივაწვდენ, რომ სასწაული, რომლის მოწმეც ხშირად ვყოფილვარ ცხოვრებაში, აუცილებლად განმეორდება.

ეჰ, ვინ იცის... ვნახოთ, ეგებ ამჯერადაც გამიმართლოს.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჩრდილები

1946 წლის ოქტომბრის დამდეგს ნოა კოლჰუნი საკუთარი, სამხრეთული სტილის სახლის ვერანდიდან გასცქეროდა ჩამავალ მზეს. საღამოობით ამ ვერანდაზე ჯდომა ძალიან უყვარდა; განსაკუთრებით მაშინ, როცა მთელ დღეს მძიმე ჯაფაში გაატარებდა. იჯდა ხოლმე თავისთვის და ათასგვარ უმიზნო ფიქრსა თუ ოცნებას ეძლეოდა. ეს მისთვის დასვენების ის შესანიშნავი საშუალება იყო, რომელიც მამამ აღმოაჩენინა.

განსაკუთრებით ხეებისა და მათი მდინარეში ჩაფენილი ანარეკლების ყურება უყვარდა. ჩრდილო კაროლინის ხეები გამაოგნებელი სილამაზით სწორედ შემოდგომაზე გამოირჩევიან – ერთმანეთში შეზავებული მწვანე, ყვითელი, წითელი და ნარინჯისფერი ტონებით. მათი გასაოცარი ფერები მზეზე კიდევ უფრო გასაოცარ ათინათებს აფრქვევენ ირგვლივ და ნოა კოლჰუნი, ალბათ უკვე მეასედ, ისევ ფიქრობდა, ნეტა ამ სახლის ადრინდელი მფლობელებიც იმავეს თუ გრძნობდნენ საღამოობითო.

სახლი 1772 წელს აეშენებინათ და ერთ-ერთ ყველაზე ძველ და ყველაზე დიდ ნაგებობას წარმოადგენდა მთელ ნიუ-ბერნში. თავდაპირველად ეს სახლი მოქმედი პლანტაციის მთავარი

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნაგებობა ყოფილა და ნოამ ის ომის დამთავრებისთანავე შეიძინა. მთელი თერთმეტი თვე და არსებული მცირედი დანაზოგი ამ სახლის შეკეთებას შეალია. სულ რამდენიმე კვირით ადრე, გაზეთ „რალის“ ჟურნალისტმა ვრცელი სტატია მიუძღვნა ამ ამბავს და აღნიშნა, რომ ამაზე უკეთესი რესტავრაცია ქვეყნად არსად ეგულებოდა. ასე იყო თუ ისე, შენობის ადრინდელი ნანგრევები, რომლებსაც, ბუნებრივია, საკუთარი ისტორია ჰქონდა, სახლს დაემსგავსა და ნოა მთელ დროს აქ ატარებდა.

სახლი თორმეტაკრიან ნაკვეთზე იდგა და ცალი ფერდით ბრაისის ტბას ემიჯნებოდა. ნაკვეთის დანარჩენი სამი მხარის გარშემო აღმართულ მესერში ნოას დამპალი ფიცრები და ტერმიტების დახრული საყრდენი ბოძები გამოეცვალა. მესერზე ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა მოუწევდა, განსაკუთრებით დასავლეთ ნაწილში. ჰოდა, სანამ იარაღებს ინახავდა, გაიფიქრა, დარეკვა და ხეტყის ახალი პარტიის დაკვეთა არ დამავიწყდესო. მერე შინ შევიდა, ტკბილი ჩაი დალია და შხაპი მიიღო. დღის ბოლოს აუცილებლად იღებდა ხოლმე შხაპს, ჭუჭყის და დაღლილობის ჩამოსაბანად.

სველი თმა უკან გადაივარცხნა, გაცრეცილი ჯინსი და ცისფერი პერანგი გადაიცვა, ერთი ჭიქა ტკბილი ჩაი ისევ დაისხა და იმ ვერანდაზე გავიდა, რომელზეც ახლა იჯდა, და რომელზეც, დღის ამ დროს, აუცილებლად მოიკალათებდა ხოლმე.

ხელები ჯერ მაღლა ასწია, მერე განზე გაჭიმა და ბოლოს დაბლა დაუშვა, კუნთების თამაშ-თამაშით. თავს კარგად გრძნობდა, სუფთა იყო და დასვენებული. კუნთები დაჭიმული ჰქონდა და იცოდა, რომ დილით მთლად დამტვრეული გაიღვიძებდა. მაგრამ მაინც კმაყოფილი იყო, რადგანაც დღის გეგმა ბოლომდე შეასრულა.

ნოა გიტარას დასწვდა და მაშინვე მამა მოაგონდა. მამა საშინლად ენატრებოდა და ძალიან აკლდა. სიმებს ჩამოჰკრა,

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მერე ორი აკორდი აიღო და ისევ ჩამოჰკრა. ამჯერად გიტარა აწყობილი ეჩვენა და დაკვრას შეუდგა. მშვიდ და ნაზ მელოდიას უკრავდა. ჯერ ძლივსგასაგონად ღიღინებდა, მერე კი, როცა ბინდი ჩამოწვა, ხმამაღლა ამღერდა. იჯდა და მღეროდა, ვიდრე მზე საბოლოოდ არ ჩაესვენა და გარშემო ბოლომდე არ ჩამოწვა ბინდი. დაახლოებით შვიდი საათი იქნებოდა, როცა დაკვრა შეწყვიტა. მერე სარწეველა სკამში გადაჯდა და რწევას მოჰყვა. როგორც ყოველთვის, ღამის ცას გახედა და ორიონის, დიდი დათვის თანავარსკვლავედის, ტყუპებისა და პოლარული ვარსკვლავის ძებნა დაიწყო შემოდგომის ჩაბნელებულ ცარგვალზე.

გონებაში ციფრები წამოუტივტივდა, მაგრამ ანგარიში მალევე შეწყვიტა. ისედაც იცოდა, რომ დანაზოგი თითქმის მთლიანად მოახმარა ამ სახლის აღდგენას და ახლა სამსახურის ძებნა მოუწევდა. უსიამოვნო ფიქრი უკუაგდო და გადაწყვიტა, რომ რაღაც ხანი ისევ რესტავრაციის პროცესით შეექცია თავი და ფულზე აღარ ეფიქრა. რამე აუცილებლად გამოჩნდებაო, ფიქრობდა. ყოველთვის ასე იყო. თანაც ფულზე ფიქრი ძალიან მალე ბეზრდებოდა ხოლმე. პატარ-პატარა სიხარულებით დაკმაყოფილება ადრევე ისწავლა. ეს ისეთი რამე იყო, რაც ფულით არ იყიდებოდა. ყოველთვის უჭირდა იმ ადამიანების ვნებათაღელვის გაგება, ვინც სხვაგვარად იყო განწყობილი. სხვათა შორის, ეს უნარიც მამამ განუვითარა.

კლემი, ნოას მწევარი, პატრონს მიუახლოვდა, ხელი აულოკა და ფეხებთან მიუწვა.

– ლამაზო გოგო, აბა მითხარი, დღეს როგორ ბრძანდები? – ძაღლის ალერსს გამოეხმაურა ნოა და თავზე სიყვარულით გადაუსვა ხელი.

კლემი სიამოვნებისაგან აწკმუტუნდა და სინაზით აღსავსე მრგვალი თვალები პატრონს მიაპყრო. ძაღლს მანქანა დასტაკებოდა და, საბრალოს, ერთი ფეხი დაეკარგა. მაგრამ მაინც

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ადვილად მოძრაობდა და ნოას მუდამ ერთგულ კომპანიონობას უწევდა ღამღამობით, ვერანდაზე მოსვენებისას.

ნოა უკვე ოცდათერთმეტი წლის იყო. ცხადია, ხანდაზმული ჯერ არ ეთქმოდა, მაგრამ მარტოობისათვის უკვე ბებრადაც კი ეჩვენებოდა თავი. რაც დაბრუნდა, ქალებს არ ხვდებოდა, რადგანაც მისი გული ვერავინ მოინადირა. იცოდა, რომ ამაში მხოლოდ თავად იყო დამნაშავე. მის გულში იყო რაღაც, რაც მასა და მასზე გულშევარდნილ ქალებს შორის მაშინვე ბარიერს აღმართავდა ხოლმე. ნოამ ისიც შესანიშნავად იცოდა, რომ ამ *რაღაცას,* გულითაც რომ მოეწადინებინა, მაინც ვერასოდეს დააღწევდა თავს. ზოგჯერ, ძილის წინ, იმასაც კი ფიქრობდა, ეტყობა ბედმა მარტოობა მარგუნაო.

თბილი და სასიამოვნო ღამე იდგა. ნოა იჯდა, ჭრიჭინების ჭრიჭინსა და ფოთლების შრიალს უსმენდა და ფიქრობდა, ბუნებრივი ხმები ბევრად რეალური და სულისშემძვრელია, ვიდრე ხელოვნური ხმაური, რომლებსაც მანქანები და თვითმფრინავები გამოსცემენო; ბუნებრივი ხმები გაცილებით მეტს სთავაზობენ ადამიანებს, ვიდრე მათგან ითხოვენ და მათ საკუთარი საწყისისაკენ აბრუნებენო. ომში ყოფნისას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ბრძოლები მთელი სიმძაფრით გაჩაღდა, ნოა ხშირად იხსენებდა ამ სადა და მარტივ ხმებს. – ეს ხმები გაგიჟებისაგან დაგიცავენ, – უთხრა მამამ, როდესაც ომში ისტუმრებდა, – იმიტომ რომ ეს ღვთითბოძებული მუსიკაა; ის ზეგარდმო ჰანგებია, რომლებიც შინ უვნებელს მოგაბრუნებენ.

ჩაის სმა დაასრულა, შინ შევიდა, წიგნი აიღო და, ვერანდაზე დაბრუნებულმა, შუქი აანთო. მერე ჩამოჯდა და წიგნს დააცქერდა. ძველი და გაცრეცილი წიგნი იყო – უოლტ უიტმენის *ბალახის ფოთლები.* წიგნს ყდა მოხეოდა და გვერდები ტალახისა და წყლის ლაქებით ჰქონდა მოფენილი. ეს წიგნი მთელი ომი უბით ატარა და ერთხელ თავისი წილი ტყვიაც კი მიაღებინა.

ყდას ხელი გადაუსვა და ზედ დადებული მტვერი ოდნავ

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მოაშორა. მერე, მექანიკურად, რომელიღაც გვერდზე გადაშალა და კითხვას შეუდგა.

მოსაღამოვდა, ჰოი სულო, შენი დროც დადგა –
ლაღად იფრინე, დამაშვრალო;
შორს წიგნებისგან, ხელოვნების მარწუხებისგან,
უსიტყვებაში ინავარდე.
დატკბი სიჩუმის სილამაზით და იოცნებე
იმ შენს სანუკვარ ვარსკვლავებზე...
იფიქრე ძილზე, ღამესა და საიქიოზე.

ჩაელიმა. უიტმენი რატომღაც ყოველთვის ახსენებდა ნიუ-ბერნს. უცებ ძალიან გაუხარდა, რომ აქ დაბრუნდა. თოთხმეტი წელი უცხო მხარეში კი გაატარა, მაგრამ აქაურობა მაინც ძალიან ემშობლიურებოდა. აქ ყველას იცნობდა, ყველა ბავშვობის მოგონება და მეგობარი აქ ეგულებოდა. ალბათ არც იყო გასაკვირი – სამხრეთის ყველა ქალაქის მცხოვრებლების მსგავსად, არც აქაურები იცვლებოდნენ; უბრალოდ ასაკი ემატებოდათ, ეგ იყო და ეგ.

ყველაზე მეტად ახლა გასთან მეგობრობდა, სამოცდაათი წლის ზანგთან, რომელიც იქვე, გზის ბოლოს ცხოვრობდა. გასი სახლის შეძენიდან ორი კვირის თავზე გაიცნო. მოხუცი სასმელითა და ბრუნსვიკის ჩაშუშულით ხელდამშვენებული ეწვია შინ და მთელი საღამო ჭამა-სმასა და მუსაიფში გაატარეს.

მას მერე გასი კვირაში ორჯერ მაინც შემოუვლიდა ხოლმე; ჩვეულებრივ, ასე საღამოს რვა საათისთვის. ოთხი შვილისა და თერთმეტი შვილიშვილის გარემოცვით დაღლილ მოხუცს, შინიდან თავის დაღწევა აუცილებლად სჭირდებოდა და ნოა მას არც ამტყუნებდა. გასს, როგორც წესი, ტუჩის გარმონი მოჰქონდა და საუბრით გულს რომ იჯერებდნენ, ცოტას ერთადაც დაუკრავდნენ ხოლმე. ზოგჯერ საათობითაც კი უკრავდნენ.

გასი, ასე ვთქვათ, ნოას ოჯახის წევრად იქცა. ნოას სხვა

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ახლობელი მართლაც აღარავინ ჰყავდა; ყოველ შემთხვევაში მას მერე, რაც ერთი წლის წინ მამა გარდაეცვალა. ოჯახში ერთადერთი შვილი იყო. დედა ორი წლისას მოკვდომოდა გრიპით, ცოლი კი არასოდეს შეურთავს, თუმცა ერთ დროს ნამდვილად უნდოდა.

ერთხელ რომ მართლაც იყო შეყვარებული, ამაში ეჭვი წამითაც არ ეპარებოდა. ერთხელ უყვარდა, მხოლოდ ერთადერთხელ, და თანაც დიდი ხნის წინ. მაგრამ ამ სიყვარულმა ძირფესვიანად და სამუდამოდ შეცვალა. ასეთი რამ მხოლოდ ჭეშმარიტ სიყვარულს შეუძლია, ჰოდა ნოას სწორედაც რომ ჭეშმარიტი სიყვარულით უყვარდა.

სანაპიროდან წამოსულმა ღრუბლებმა ნელ-ნელა მოიცვეს ცის მთელი ზოლი და მთვარის შუქზე ვერცხლისფრად აელვარდნენ. ღრუბლები რომ შეიყარნენ, ნოა გადაწვა და თავით სარწეველა სკამის ზურგს მიესვენა. ფეხებს ავტომატურად ამოძრავებდა და თანაბარ რიტმში ირწეოდა. მერე, ჩვეულებისამებრ, საღამოხნის ფიქრებმა თოთხმეტი წლის წინანდელ, ამგვარადვე თბილ საღამოში გადაისროლა.

1932 წლის სკოლის კურსდამთავრებულთა გამოსაშვები საღამო იყო, რომელიც *ნიუს-რივერის* ფესტივალის გახსნას დაემთხვა. მთელი ქალაქი კარში გამოფენილიყო, ბარბექიუთი და აზარტული თამაშებით იქცევდნენ თავს. საშინლად დახუთული საღამო იდგა. ეს დეტალი, რატომღაც, ძალიან კარგად ახსოვდა. ნოა მარტო იყო მოსული, ბრბოში დაბოდიალებდა და მეგობრებს დაეძებდა. ფინს და სარას მოჰკრა თვალი, იმ ორ ადამიანს, რომლებთანაც ბავშვობიდან იყო შეზრდილი. ვილაც გოგოს ელაპარაკებოდნენ, რომელიც აქამდე არასოდეს ენახა. მაშინვე გაიფიქრა, რა ლამაზი გოგოაო, და როცა მიუახლოვდა, იმ გოგომ მიბნედილი მზერა მიაპყრო და თვალები თანდათან აუციმციმდა. – გამარჯობა, – მიესალმა და ხელი გაუწოდა, – ფინლიმ თქვენზე ბევრი რამ მიამბო.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ძალიან ჩვეულებრივი გაცნობა იყო, ისეთი დასაწყისით, რომელიც ნოას მალევე დაავიწყდებოდა, იმ გოგოს ადგილას ნებისმიერი სხვა გოგო რომ ყოფილიყო. მაგრამ ხელის ჩამორთმევისას გამაოგნებელ ზურმუხტისფერ თვალებში რომ ჩახედა, ჰაერის მომდევნო ჩასუნთქვამდეც მიხვდა, რომ ეს სწორედ ის გოგო იყო, რომლის ბადალსაც, მთელი ცხოვრება რომ ეძებნა, მეორეს ვერ იპოვიდა. აი, სწორედ ასეთი მშვენიერი დაინახა, ასეთი სრულყოფილი ეჩვენა იმ ზაფხულის ხეებში მონავარდე თბილი სიოს ფონზე.

აქედან მოყოლებული, მის სულს ნამდვილი ტორნადო დაატყდა თავს. ფინმა უთხრა, მთელ ზაფხულს ნიუ-ბერნში გაატარებს ოჯახთან ერთად, რადგანაც მამამისი რ. ჯ. რეინოლდსის ფირმაში მუშაობსო. და თუმცა ნოამ პასუხად მხოლოდ თავი დაუქნია, გოგო ისე უყურებდა, რომ ნოას სიჩუმე უხმო თანხმობას დაემსგავსა. ფინს სიცილი წასკდა, იმიტომ, რომ მიხვდა, მეგობრის თავს რაც ხდებოდა; სარამ კი მაშინვე შესთავაზა, ალუბლის კოკა-კოლა ავიღოთო და ის ოთხნი ფესტივალზე იქამდე დარჩნენ, ვიდრე ხალხი ბოლომდე არ შეთხელდა და ყველა ჯიხური არ დაიკეტა.

მეორე დღესაც შეხვდნენ ერთმანეთს, და მესამე და მეოთხე დღესაც. მერე კი საერთოდაც განუყრელები გახდნენ. ყოველ დილას, კვირადღის გარდა, როცა ნოა ეკლესიაში დადიოდა, საქმეს ნაჩქარევად მოამთავრებდა ხოლმე და პირდაპირ ფორტ ტოტენ პარკისაკენ გარბოდა, სადაც ის უცდიდა. რადგან გოგო ახალი ჩამოსული იყო და პატარა ქალაქში ცხოვრებასაც არ იყო ნაჩვევი, მთელ დღეს ისეთი რამეების კეთებაში ატარებდნენ, რაც მისთვის უცხო და უჩვეულო იქნებოდა. მაგალითად, ნოა ასწავლიდა, როგორ წამოეცვა ანკესზე ჭიაყელა და მერე როგორ დაეჭირა მდინარის თავთხელში ქორჭილები; ანდა ქროატანის ტყის განაპირა ადგილებს ათვალიერებინებდა. მდინარეზე კანოეთი დასეირნობდნენ და ზაფხულის ჭექა-ქუხილით ტკბე-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ბოდნენ. ნოას ისეთი გრძნობა ჰქონდა, რომ ამ გოგოს მთელი ცხოვრება იცნობდა.

მაგრამ ნოაც ბევრ რამეს სწავლობდა მისგან. თამბაქოს ფარდულში ქალაქური ცეკვების საღამო რომ მოეწყო, გოგომ ვალსის და ჩარლსტონის ცეკვა ასწავლა. მართალია, თავიდან ნოას ფეხი ძალიან ერეოდა, მაგრამ გოგოს მოთმინება ეყო და თანდათან შესანიშნავად შეეწყვნენ ერთიმეორეს; სანამ მუსიკა არ დამთავრდა, მუხლჩაუხრელად იცეკვეს. საღამოს ბოლოს, როცა გოგო სახლამდე მიაცილა და ემშვიდობებოდა, სახლის პარმაღზე პირველად აკოცა და მაშინვე ის იფიქრა, ნეტა აქამდე სად ვიყავიო. ერთ მშვენიერ დღეს, ზაფხულის ბოლოს, ნოამ გოგო ამ ნაკვეთზეც მოიყვანა, ნასახლარი დაათვალიერებინა და უთხრა, ოდესმე ამ ნაკვეთს აუცილებლად ვიყიდი და სახლსაც აღვადგენო. საათობით ისხდნენ ერთად და თავიანთ ოცნებებზე ლაპარაკობდნენ. ნოას ქვეყნიერების ნახვა უნდოდა, გოგოს – მხატვრობა. მერე, აგვისტოს ერთ დახუთულ საღამოს, ორივემ დაკარგა უმანკოება. სამი კვირის თავზე, როცა გოგო ქალაქიდან გაემგზავრა, ნოას ნაწილი და დარჩენილი ზაფხულის მთელი ხალისი თან გაიყოლა. ნოა იდგა და უძინარი თვალებით უყურებდა, როგორ მიემგზავრებოდა სისხამ დილით, წვიმაში, მისი პირველი სიყვარული ქალაქიდან. მერე შინ წავიდა, ჩანთა ჩაალაგა და ერთი კვირა სრულ მარტოობაში გაატარა ჰარკერსაილენდზე.

ნოამ ხელი თმაზე გადაისვა და საათს დახედა. ცხრის თორმეტი წუთი იყო. ადგა, კარისაკენ გაემართა, კარი გამოაღო და გზას გახედა. გასი არსად ჩანდა და ნოამ გაიფიქრა, ეტყობა აღარ მოვაო. ვერანდაზე თავის სარწეველას დაუბრუნდა და ისევ შიგ ჩაესვენა.

ახსოვდა, გასთან პირველად როგორ ახსენა გოგოს ამბავი. გასმა თავი გადააქნია და გაიცინა.

– მაშ ეგ არის ის აჩრდილი, რომელსაც ასე უფრთხი?

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

როცა ნოამ ჰკითხა, აჩრდილში რას გულისხმობო, გასმა მიუგო:

– შენც მშვენივრად იცი, რასაც ვგულისხმობ – მოგონებებს. დღედაღამ შრომობ, წამითაც არ ისვენებ... ჰოდა როდის იქცევა კაცი ასე გიჟივით? როცა გიჟია, სულელია ან რაღაცის დავიწყებას ცდილობს. შენ რომ რაღაცის დავიწყებას ცდილობდი, მაგას კი ვხვდებოდი, მაგრამ ის არ ვიცოდი, ეგ რაღაც რა იყო.

ნოა გასის ნათქვამმა დააფიქრა. გასი მართალი იყო. ნიუ-ბერნში მოჩვენებას დაედო ბინა; მოჩვენებად ქცეულ მოგონებას. იმ მოჩვენებას ყველგან ხედავდა. ფორტ ტოტემ პარკში ხედავდა, მათი შეხვედრის ადგილას, ყოველ ჯერზე, როცა იქით ჩაივლიდა. ხან სკამზე იჯდა, მომღიმარი, ხანაც ჭიშკართან იდგა, მხრებზე ჩამოშლილი ოქროსფერი თმითა და ზურმუხტისფერი თვალებით. საღამოობით, ვერანდაზე, გიტარას რომ აიღებდა ხელში, მაშინაც ხედავდა – გვერდით მჯდომი ჩუმად უსმენდა, როგორ უკრავდა ნოა ბავშვობის დროინდელ მელოდიას.

გასტონის აფთიაქშიც იგივე გრძნობა ეუფლებოდა, თეატრ „მასონიკშიც“ და ქალაქის ცენტრში სეირნობისასაც. საითაც უნდა გაეხედა, იმას ხედავდა, ან იმ საგნებს ხედავდა, რომლებიც იმას აგონებდნენ.

უცნაური იყო. ნიუ-ბერნში გაიზარდა, პირველი ჩვიდმეტი წელი მის გარეშე იცხოვრა აქ, მაგრამ მშობლიური ქალაქის გახსენებაზე, უმალ ის ბოლო ზაფხული ახსენდებოდა, მასთან ერთად რომ გაატარა. დანარჩენი ამბები მხოლოდ ფრაგმენტულად ახსენებდა საკუთარი სიყრმის წლებს; ოღონდ ისე, ემოციების აღუძვრელად.

გასთან ეს ამბავი ერთხელ ახსენა და გასმა არა მხოლოდ გაუგო, არამედ აუხსნა კიდეც, რა ხდებოდა მის თავს; ძალიან მარტივად აუხსნა:

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ცხონებულმა მამაჩემმა ერთხელ მითხრა, პირველი სიყვარული ადამიანის ცხოვრებას ძირფესვიანად ცვლისო, და რამდენიც უნდა ეცადო, ამ გრძნობისაგან თავს ველარ დაიხსნიო. ეგ გოგო შენი პირველი სიყვარული ყოფილა და გულიდან ველარასოდეს ამოიგლეჯ, იცოდე.

ნოამ თავი გააქნია და, როცა გოგოს სახე თვალწინ საბოლოოდ აუორთქლდა, ისევ უიტმენს მიუბრუნდა. წიგნი ერთ საათს იკითხა; თან, დროდადრო, მდინარეს გახედავდა ხოლმე, იქ მოფუსფუსე ენოტებისა და ოპოსუმებისთვის რომ შეევლო თვალი. ათის ნახევარზე წიგნი დახურა, ზედა სართულზე ავიდა, საწოლ ოთახში შევიდა და დავთარში იმდღევანდელი განცდები და მუშაობის შედეგები ჩაწერა. დაახლოებით ორმოც წუთში უკვე ღრმა ძილით ეძინა. კლემი კიბეს ნელ-ნელა აუყვა, მძინარე პატრონი დაყნოსა, ცოტა იწრიალა, და ბოლოს მის საწოლთან მოიკალათა.

იმავ საღამოს, ცოტა უფრო ადრე, დაახლოებით ასი მილის მოშორებით, ქალიც იჯდა საკუთარი მშობლების სახლის პარმაღზე ჩამოკონწიალებულ საქანელაზე ცალფეხმორთხმული. საქანელა ჯერაც სველი იყო ნაწვიმარზე, მაგრამ ღრუბლები უკვე გადაყრილიყო და ქალი ღამის ცას მიშტერებოდა. ცას და ცაში მიმობნეულ ვარსკვლავებს გაჰყურებდა და ფიქრობდა, სწორი გადაწყვეტილება მივიღე თუ არაო. უკვე რამდენიმე დღე იყო, რაც საკუთარ თავს გაბმით ებრძოდა და დღევანდელი საღამოც ასეთ ბრძოლაში გაატარა. მაგრამ ბოლოს მაინც მიხვდა, რომ საკუთარ თავს ვერასოდეს აპატიებდა ასეთი შანსის ხელიდან გაშვებას.

ლონმა არ იცოდა მისი მეორე დილით გამგზავრების ჭეშმარიტი მიზეზი. ერთი კვირით ადრე გაკვრით უთხრა, სანაპიროზე ანტიკვარიატის მაღაზიები მინდა მოვიაროო. სულ ერთი-ორი დღე თუ დამჭირდება, მეტი არაო. თანაც

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დავიღალე სულ საქორწინო სამზადისზე ფიქრით და მინდა, ცოტა გონებაც დავასვენოო. თავს უხერხულად გრძნობდა, ლონს რომ ატყუებდა, მაგრამ სიმართლეს ვერაფრით ეტყოდა. მისი გამგზავრების მიზეზს ლონთან არაფერი ჰქონდა საერთო და არც ის იქნებოდა სწორი, ლონისთვის ეთხოვა, როგორმე გამიგეო.

რალიდან ნიუ-ბერნამდე მგზავრობა არ გასჭირვებია; მანქანით სულ რაღაც ორ საათს იარა და თერთმეტი არ იქ-ნებოდა შესრულებული, რომ უკვე ადგილზე იყო. ქალაქის ცენტრში, პატარა სასტუმროში დაბინავდა. ოთახში ასულმა ჩემოდანი მაშინვე ამოალაგა, კაბები კარადაში დაკიდა და საცვლები თუ სხვა პირადი ნივთები უჯრებში სათუთად ჩა-აწყო. მერე მსუბუქად ისაუზმა, ოფიციანტს ანტიკვარიატის მაღაზიების მისამართები გამოართვა, მაღაზიებს დაუარა, ერთი-ორი საათი ვაჭრობას გადააყოლა და, დაახლოებით ხუთის ნახევარზე, სასტუმროში დაბრუნდა.

საწოლის კიდეზე ჩამოჯდა, ყურმილი აიღო და ლონს და-ურეკა. დიდხანს არ უსაუბრიათ, ლონს სასამართლოში ეჩქა-რებოდა; მხოლოდ ტელეფონის ნომერი ჩააწერინა და დაჰპირდა, ხვალ შეგეხმიანებიო. ყურმილს რომ დებდა, კმაყოფილმა გა-იფიქრა, მშვენიერი, მოკლე და ჩვეულებრივი საუბარი გამოგ-ვივიდა, ეჭვს ნამდვილად ვერაფერზე აიღებსო.

ლონი ოთხი წლის წინ გაიცნო, 1942 წელს, როდესაც ამერიკა უკვე ერთი წლის ჩაბმული იყო მეორე მსოფლიო ომ-ში. ომიანობის დროს ყველა იმას ცდილობდა, როგორმე სა-კუთარი წვლილი შეეტანა საერთო საქმეში. ჰოდა ცდა არც მას დაუკლია – ქალაქის ცენტრში გახსნილ ჰოსპიტალში დაიწყო მუშაობა მოხალისე მოწყალების დად. იქ ყველას მოსწონდა და ყველას სჭირდებოდა, მაგრამ იქ მუშაობა ბევრად უფრო მძიმე აღმოჩნდა, ვიდრე წარმოედგინა. დაჭრილი ჯარისკაცების პირველმა პარტიამ ნელ-ნელა დაიწყო შემოსვლა. მთელ დღეს

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სულიერად გატეხილი ბიჭებისა და მათი დასახიჩრებული სხეულების ყურებაში ატარებდა. როდესაც ლონი მთელი თავისი მომხიბვლელობით წარდგა მის წინაშე საშობაო წვეულებაზე, მაშინვე ის დაინახა ამ ახალგაზრდა კაცში, რაც ასე ძალიან აკლდა – მომავლის რწმენა და გასაოცარი იუმორის გრძნობა, რომელთა წყალობითაც ყველა ეჭვი და შიში ერთბაშად გადაეყარა გულიდან.

ლონი ლამაზი, ჭკვიანი და ენერგიული ახალგაზრდა ადვოკატი იყო, მასზე რვა წლით უფროსი. აღებულ საქმეებს დიდი გულისყურით ეკიდებოდა. ამით მხოლოდ პროცესებს კი არ იგებდა, შესანიშნავი ადვოკატის რეპუტაციასაც იმკვიდრებდა. ქალს კარგად ესმოდა წარმატებისადმი მისი ასეთი სწრაფვა, რადგანაც მამამისიც და თითქმის ყველა ის მამაკაცი, რომელთა საზოგადოებაშიც ბავშვობიდან ტრიალებდა, სწორედ ასე იქცეოდნენ. ლონიც ამავე სულისკვეთებით იყო აღზრდილი. მყარი კასტური სისტემის მქონე სამხრეთში, სადაც მაღალი წრე და ოჯახური წარმომავლობა ზოგადად ძალიან მნიშვნელოვან სოციალურ ფაქტორებად მოიაზრებოდა, ოჯახის შექმნისას წამყვანი, ან ზოგჯერ სულაც ერთადერთი გადამწყვეტი ფაქტორი ხდებოდა ხოლმე.

მიუხედავად იმისა, რომ ქალი, გულის სიღრმეში, ამ თვალსაზრისს ბავშვობიდანვე ეურჩებოდა და მისი ადრინდელი თაყვანისმცემლების უმეტესობა ალბათ „ფეხებზემკიდიაობის“ ეპითეტით შემკობას უფრო იმსახურებდა, ლონის ამ სასიამოვნო და მდგრადმა მამაკაცურმა თვისებებმა მაინც მოხიბლა და ახალგაზრდა ადვოკატი თანდათან შეაყვარა კიდეც. ლონი მუშაობით კი იკლავდა თავს, მაგრამ ქალის მიმართ მაინც ახერხებდა სათანადო ყურადღების გამოჩენას. ძალიან თავაზიანი იყო და დახვეწილი მანერებით გამოირჩეოდა. ომის იმ საზარელ წლებში, როცა ქალი სულიერად გამოიფიტა, დაღლილობითა და სასოწარკვეთილებით ლამის წაქცევაზე იყო

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და გაბმით საიმედო საყრდენს ეძებდა, ლონი ერთხელაც არ გამოსცლია ხელიდან. მოკლედ, იცოდა, რომ ლონს ძალიან უყვარდა და ამიტომაც დაეთანხმა ცოლობაზე.

ახლა, ამ ქალაქში, ამ ყოველივეზე ფიქრი ძალიან მტკივნეული აღმოჩნდა მისთვის. ქალი გრძნობდა, რომ, სანამ ტვინი ბოლომდე აერეოდა, ყველაზე ჭკვიანური ბარგის უკანვე ჩალაგება და სასწრაფოდ შინ დაბრუნება იქნებოდა. ერთხელ ხომ უკვე მიატოვა აქაურობა?.. ისიც იცოდა, რომ ახლა თუ წავიდოდა, უკან დაბრუნების ძალა აღარასდროს ეყოფოდა. ბლოკნოტი დახურა, ცოტა ხანს კიდევ იორჭოფა, და მერე სულაც კარისკენ გაეშურა... მაგრამ ამჯერად ხომ იმ უცნაურმა ამბავმა მოაბრუნა ამ ქალაქში? ჰოდა ამის გაფიქრებამ შეაჩერა. ისევ დაფიქრდა... ახლა თუ შუაგზაზე შეჩერდებოდა, მთელი ცხოვრება იმაზე იფიქრებდა, რომ არ შევჩერებულიყავი, ვინ იცის, მაშინ რა მოხდებოდაო... წამსვე მიხვდა, რომ ასეთ პერსპექტივას ნამდვილად ვერ აიტანდა.

აბაზანაში შევიდა და წყლის დაგროვება დაიწყო. მერე წყლის ტემპერატურა ხელით შეამოწმა და ტუალეტის მაგიდას დაუბრუნდა. გზაში ოქროს საყურეები მოიხსნა, მაგიდის უჯრა გამოაღო, კოსმეტიკის ჩანთა მონახა, იქიდან საპონი და სამართებელი ამოიღო და პირდაპირ სარკესთან გაშიშვლდა.

ბავშვობიდან ლამაზ გოგოდ ითვლებოდა და როგორც კი ტანთ გაიხდიდა, მაშინვე სარკეში იხედებოდა ხოლმე. მკვრივი და პროპორციული სხეული ჰქონდა: მკერდი – ოდნავ მომრგვალებული, მუცელი – ბრტყელი, ფეხები – ჩამოქნილი. დედამისივით მაღალი ყვრიმალები და ქერა თმა ამშვენებდა. მაგრამ ის, რაც ყველაზე თვალშისაცემი იყო მის გარეგნობაში, მხოლოდ პირადად მისი და სრულიად განუმეორებელი გახლდათ – დიდი, როგორც ლონი იტყოდა, „ოკეანის ტალღისფერი“ თვალები.

საპონს და სამართებელს ხელი წამოავლო და აბაზანისაკენ

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გაეშურა. ონკანი დაკეტა, პირსახოცი ხელმისაწვდომ ადგილას დაკიდა და წყალში ფრთხილად ჩავიდა.

აბაზანა სასიამოვნოდ თენთავდა ხოლმე და ეს შეგრძნება ძალიან უყვარდა. წყალში შეძლებისდაგვარად ღრმად ჩაწვა. გრძელი დღე გამოუვიდა და ზურგი ძალიან ეწვოდა. მაგრამ მაინც კმაყოფილი იყო, რომ საყიდლები ბოლომდე მოითავა. რალიში აუცილებლად ხელდამშვენებული უნდა დაბრუნებულიყო. გონებაში იმ მაღაზიების ჩამოთვლა დაიწყო, რომლებიც ბიუფორტის მიდამოებში ეგულებოდა. მაგრამ მალევე მიხვდა, რომ ამაოდ იწუხებდა თავს; ლონი ის კაცი არ იყო, ასეთი დაკითხვა რომ მოეწყო მისთვის. საპონი აიღო, ფეხებზე აიქაფა და ფეხების პარსვას შეუდგა. ფეხებს იპარსავდა და თან მშობლებზე ფიქრობდა. იცოდა, რომ აქ წამოსვლას არ მოუწონებდნენ; განსაკუთრებით კი დედა შეშფოთდებოდა. დედა იმწლევანდელი ზაფხულის ამბავს კატეგორიულად ვერ ეგუებოდა და, რა მიზეზიც უნდა ეთქვა მისთვის, ვერც ახლა შეეგუებოდა საკუთარი ქალიშვილის ამ ქალაქში დაბრუნებას.

აბაზანაში ერთხანს კიდევ ინებივრა. მერე წყლიდან ამოვიდა და ტანი გულდაგულ გაიმშრალა. პირსახოცშემოხვეულმა კარადას მიაშურა და კაბების გადარჩევა დაიწყო. გრძელი, ყვითელი კაბა ჩამოხსნა, წინ ოდნავ ამოჭრილი გულისპირით – ზუსტად ისეთი, სამხრეთში რომ ძალიან მოსწონდათ. კაბა გადაიცვა და სარკის წინ ტრიალს მოჰყვა. ეს კაბა ძალიან უხდებოდა და ქალურ იერსაც მატებდა, მაგრამ რატომღაც დაიწუნა და ისევ კარადაში შეკიდა.

ამჯერად უფრო სადა, ნაკლებად თვალშისაცემ კაბას მიაგნო და ახლა ის გადაიცვა. ცისფერი კაბა იყო, მაქმანებით გაწყობილი, და წინ ღილებით იკვრებოდა. ეს კაბა ისეთი გადაპრანჭული არ ეჩვენა, როგორც პირველი და კმაყოფილი დარჩა.

მაკიაჟით დიდად არასოდეს ყოფილა გატაცებული; წამწამებს თუ გაიმუქებდა ხოლმე ოდნავ, თავისი მშვენიერი თვა-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ლების გამოსაკვეთად; სუნამოსაც ძალიან ცოტას იპკურებდა. ახლა პატარა, ნაზი საყურეები შეარჩია და ისინიც მოიხდინა. ბოლოს ის დაბალქუსლიანი სანდლებიც ამოიცვა, რომლებიც უხსოვარი დროიდან აღარ სცმია. ოქროსფერი თმა საგულდაგულოდ დაივარცხნა, აიწია და სამაგრით დაიმაგრა. ისევ სარკეს მიუბრუნდა. არა, ეს უკვე მეტისმეტია, გაიფიქრა და თმა ისევ ჩამოიშალა. ასე ჯობიაო, დაასკვნა ბოლოს და უკან დაიხია, რომ სარკეში თავი კიდევ ერთხელ შეეთვალიერებინა.

აშკარად კარგად გამოიყურებოდა: არც ზედმეტად გამოპრანჭული ეთქმოდა და არც ძალიან უბრალოდ ჩაცმული. არც ერთ მხარეს არ უნდოდა გადამლაშება. ბოლოს და ბოლოს, ისიც კი არ იცოდა დანამდვილებით, წინ რა ელოდა. ამდენი წელი იყო გასული, – პრაქტიკულად მთელი საუკუნე – რაც ის არ ენახა და უამრავი რამ შეიძლებოდა მომხდარიყო; რაღაც ისეთიც, რომლის წარმოდგენაც ახლა სულაც არ სიამოვნებდა.

თვალები დახარა და დაინახა, რომ ხელები უკანკალებდა. გაეღიმა, რადგანაც ეს ამბავი ძალიან ეუცნაურა; ჩვეულებრივ ხომ ნერვიული არსება ნამდვილად არ ეთქმოდა. ლონისა არ იყოს, თავადაც კარგა თავდაჯერებული ბრძანდებოდა; სხვათა შორის, ბავშვობიდან ასეთი იყო. უცებ გაახსენდა, რომ ეს თავდაჯერებულობა პრობლემებსაც კი უქმნიდა ხოლმე, განსაკუთრებით თანატოლ ბიჭებთან ურთიერთობისას, რომლებსაც ასეთი გოგოები ძალიან აშინებდნენ. ბლოკნოტი და მანქანის გასაღები აიღო, მერე ოთახის გასაღებს დასწვდა და ხელში რამდენჯერმე შეათამაშა. გასაღებს ათამაშებდა და ფიქრობდა, ნუთუ ამხელა გზაზე იმისთვის წამოვედი, რომ ახლა უკან დავიხიოო... არა, ამის გაკეთება ნამდვილი სიგიჟე იქნებოდა! ის იყო გასვლა დააპირა, რომ ისევ შეჩერდა, დაიხია და საწოლზე ჩამოჯდა. საათს დახედა. ექვსი სრულდებოდა. იცოდა, დროზე უნდა წასულიყო, დაბნელებამდე... მაგრამ ცოტა დაფიქრება მაინც სჭირდებოდა.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ღმერთო ჩემო, აქ რა ჯანდაბა მინდა?! – წაიჩურჩულა სასოწარკვეთილმა, – არ უნდა წამოვსულიყავი... აქ რამ ჩამომიყვანა?!

ამის თქმა იყო და იქვე მიხვდა, რამაც ჩამოიყვანა. აქ რაღაც მნიშვნელოვანი ეგულებოდა. სხვა თუ არაფერი, სწორ პასუხს ხომ მაინც იპოვიდა.

ბლოკნოტი აიღო და გადაფურცლა. გაზეთის დაკეცილ გვერდს ეძებდა. იპოვა და ფრთხილად გაშალა; ეშინოდა, არ გამეხესო. გაშალა და ფოტოს დააცქერდა.

– რამ ჩამომიყვანა და აი ამან, – აღმოხდა ბოლოს, – ამან ჩამომიყვანა!

ნოა დილის ხუთ საათზე ადგა და, ჩვეულებისამებრ, ერთი საათი ბრაისის კრიკზე ჯომარდობაში გაატარა. მერე სამუშაო ტანსაცმელში გამოეწყო, წუხანდლიდან მორჩენილი ორცხობილები შეათბო, ერთი-ორი ვაშლიც მიაყოლა და ეს სახელდახელო საუზმე ორი ჭიქა ყავით ჩაირეცხა.

ისევ მესერზე მუშაობდა, დაზიანებულ ბოძებს ცვლიდა. ზაფხულის ბოლო იდგა, სიცხე 35 გრადუსამდე აღწევდა. სამხრობის დრო რომ მოახლოვდა, ძალიან ჩამოცხა და ნოაც ისე დაიქანცა, რომ ერთი სული ჰქონდა, ცოტა დაესვენა. საჭმელად მდინარის პირას ჩამოჯდა. მდინარეში ორაგულები დასხმარტალებდნენ და ამის ყურება ძალიან უყვარდა. უყურებდა, როგორ შეხტებოდნენ ხოლმე ჰაერში სამჯერ-ოთხჯერ და როგორ ეშვებოდნენ ბზრიალ-ტრიალით მოშავო წყალში. არ იცოდა, რატომ, მაგრამ ძალიან მოსწონდა ის ამბავი, რომ ორაგულები ამ ინსტინქტს უკვე ასობით თუ ათასობით წელს ინარჩუნებდნენ. ზოგჯერ ფიქრობდა, ნეტა ადამიანმა თუ დაკარგა ყველა ინსტინქტი დროთა განმავლობაშიო, და ყოველ ჯერზე იმ დასკვნამდე მიდიოდა, რომ არც ადამიანს შეუცვლია ზნე. ყოველ შემთხვევაში, ყველაზე მნიშვნელოვან, მთავარ ინსტინქტებს ნამდვილად ინარჩუნებდა. მისი დაკვირვებით,

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კაცი მუდამ აგრესიული, სხვებზე გამარჯვებისა და გაბატონების მოყვარული და მთელი სამყაროს და ყველაფრის, რაც ამ სამყაროში ეგულებოდა, დამონების მუდმივი სურვილით იყო შეპყრობილი. ამის დასტურად ევროპელთა და იაპონელთა ბოლოდროინდელი საქციელიც კმაროდა.

მუშაობა სამზე შეწყვიტა და მდინარის პირას გამართული ფარდულისაკენ გაეშურა. ფარდულში შევიდა, სპინინგი აიღო, ერთი-ორი სატყუარა და ქილაში დამწყვდეული ცოცხალი ჭრიჭინები გამოაყოლა, მდინარესთან ჩავიდა, სპინინგი გამართა და წყალში გადააგდო.

თევზაობისას მუდამ საკუთარ ცხოვრებაზე ეფიქრებოდა. დედა რომ მოუკვდა, ხან ვის კარზე იზრდებოდა და ხან – ვის; ათასობით სახლი და ხელი გამოიცვალა. ამიტომ, თუ კიდევ რაღაც სხვა მიზეზით, ბავშვობაში ენა საშინლად ებმოდა და სულ დასცინოდნენ. თანდათან ლაპარაკს უკლო და ხუთი წლის ასაკში საერთოდაც ჩაიგდო ენა. სკოლაში რომ წავიდა, მასწავლებლებმა გონებრივად ჩამორჩენილ ბავშვად მიიჩნიეს და მისი სკოლიდან დათხოვნა მოითხოვეს.

მაგრამ მამამ არ ქნა. ბიჭი სკოლაში დატოვა და გაკვეთილების შემდეგ თავისთან, ხეტყის დამამზადებელ საამქროში აიძულებდა სიარულს. – რაც უფრო მეტ დროს გავატარებთ ერთად, მით უკეთესი იქნება შენთვის, შვილო, – ეუბნებოდა მამა, როცა გვერდით ამოიყენებდა და ცოტა ხელობასაც ასწავლიდა. – მე და მამაჩემიც ასე ვიყავით.

ერთად ყოფნისას მამა ათას რამეს უყვებოდა: ჩიტებისა და ცხოველების ცხოვრებაზე ელაპარაკებოდა, ანდა ჩრდილო კაროლინაში გავრცელებულ ლეგენდებსა და მითებს უამბობდა. სულ რამდენიმე თვეში ნოამ ენა ამოიდგა. მართალია, ლაპარაკი ცოტა უჭირდა, მაგრამ ალაპარაკდა. ჰოდა მამამ ახლა კითხვა დააწყებინა. საკითხავ მასალად პოეზიის წიგნებს იყენებდა. ეს ლექსები იკითხე ხმამაღლა და, რასაც გინდა, იმას იტყვიო, ასე

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ეტყოდა ხოლმე. მამა ამაშიც მართალი აღმოჩნდა, რადგანაც ერთი წლის თავზე ნოას ენა საერთოდ აღარ ებმოდა. მაგრამ საამქროში მაინც დადიოდა, რადგანაც იქ მამა ეგულებოდა. საღამოობითაც ისევ მამას მიუცუცქდებოდა ხოლმე და ხმამაღლა უკითხავდა უიტმენის და ტენისონის ლექსებს. პოეზიის კითხვა სწორედ მაშინ შეუყვარდა.

ცოტა რომ წამოიზარდა, შაბათ-კვირას და არდადეგებს მარტოობაში ატარებდა. ქროატანის ტყეს ლაშქრავდა, თავისი პირველი პატარა კანოეთი ოც მილს მაინც გაცურავდა ხოლმე ბრაისის კრიკში. მერე, ქანცგაწყვეტილი, უკან ფეხით ბრუნდებოდა. ასეთი ლაშქრობები და ახალ-ახალი ადგილების შესწავლა თანდათან ნამდვილ გატაცებად ექცა. საათობით იჯდა ტყეში, მოჭრილი მუხების მორებზე, უსტვენდა და გიტარაზე უკრავდა თახვების, გარეული ბატებისა და ცისფერი ყანჩების აუდიტორიით გარემოცული. პოეტები ამბობდნენ, ადამიანებისაგან და მათ მიერ ხელოვნურად დამზადებული საგნებისაგან შორს, ბუნებაში განმარტოება სულს ამდიდრებსო. ჰოდა ნოა ხომ ახლა ყოველივეს მათი თვალით უყურებდა.

ჩუმი და წყნარი ბიჭი კი იყო, მაგრამ ხეტყის საამქროში გატარებულმა წლებმა, იქაურ სიმძიმეებთან ფიზიკურმა ჭიდილმა, თავისი ქნა და ნოას შესანიშნავი ათლეტური უნარიც განუვითარდა. სიმძიმესაც ადვილად სწევდა და ბურთის თამაშშიც არ ჰყავდა ბადალი. მიუხედავად იმისა, რომ მისი თანაგუნდელები ვარჯიშისაგან თავისუფალ დროსაც ერთად ატარებდნენ, ნოა იშვიათად რჩებოდა მათთან. შემთხვევით ადამიანს ამის გამო ბიჭი ამპარტავან და გაფხორილ ვინმედ მოეჩვენებოდა, მაგრამ სინამდვილეში უბრალოდ თანატოლებზე ადრე დამწიფდა. სკოლაში სწავლისას რამდენიმე რომანიც კი გააბა, მაგრამ არც ერთ გოგოს არ მოუხდენია მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება ერთის გარდა, რომელიც სკოლის დამთავრების შემდეგ გაიცნო. ეს გოგო ელი იყო.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ელი. მისი ელი.

ახსოვდა, როგორ შეუჭამა ტვინი ფინს ელიზე ლაპარაკით, ფესტივალიდან რომ წამოვიდნენ. ფინი სიცილით კვდებოდა. მერე ორი ვარაუდი გამოთქვა: ჯერ ერთმანეთი შეგიყვარდებათ, მაგრამ მერე მაგ საქმიდან არაფერი გამოვაო, უმტკიცებდა.

ანკესს რაღაცა წამოედო. ნოამ იფიქრა, ნეტა ქორჭილა ხომ არ წამოეგოო, მაგრამ ძუა აღარ იძვროდა. ნოამ სპინინგი ამოახვია და ანკესს დახედა. სატყუარა ისევ ზედ ეკიდა. ჰოდა ანკესი ისევ გადააგდო წყალში.

ფინის ორივე ვარაუდი გამართლდა. ელი მთელი ზაფხული რაღაც ტყუილებს და სულელურ მიზეზებს იგონებდა, მშობლებს შინიდან რომ გამოეშვათ და ნოა ენახა. ნოა, თავისთავად, ელის მშობლებს კი ესიმპათიურებოდათ, მაგრამ სხვა კლასის წარმომადგენელი იყო, საკმაოდ ღარიბი ოჯახიდან, და ცხადია, მათი ქალიშვილის ნოასთან ურთიერთობას სერიოზულად არ აღიქვამდნენ. – არ მენაღვლება, ჩემი მშობლები შენზე რას ფიქრობენ. მიყვარხარ და მთელი ცხოვრება მეყვარები; მთავარი ესაა, – არწმუნებდა ელი. – რამეს აუცილებლად მოვიფიქრებთ და მაინც ერთად ვიქნებით.

მაგრამ ერთად არ იყვნენ. სექტემბრის ბოლოს, თამბაქოს მოსავალი რომ აიღეს, ელის სხვა გზა აღარ ჰქონდა, ოჯახთან ერთად უინსტონ-სეილემში უნდა დაბრუნებულიყო. – მხოლოდ ზაფხული დასრულდა, ელი, ჩვენი ამბავი კი არ დასრულებულა, – ასე ამშვიდებდა ნოა გოგოს მისი გამგზავრების დილას.

– ჩვენი ამბავი არც არასოდეს დასრულდება!

მაგრამ დასრულდა. ნოას წარმოდგენა არ ჰქონდა, რატომ მოხდა ასე. გაუთავებლად სწერდა ელის წერილებს, მაგრამ ეს წერილები უპასუხოდ რჩებოდა.

ბოლოს გადაწყვიტა, ნიუ-ბერნიდან ცოტა ხანს გავემგზავრები, ეგებ ელი თავიდან ამოვიგდოო. თანაც კრიზისის გამო ნიუ-ბერნში თავის გატანა პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა. ჯერ

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნორფოკში გადავიდა და ექვსი თვე გემთსაშენში იმუშავა, მერე ნიუ-ჯერსიში გაემგზავრა, რადგანაც ყურმოკვრით იცოდა, რომ იქ შედარებით ნორმალური ეკონომიკური მდგომარეობა იყო.

ნიუ-ჯერსიში ჯართის შეგროვებას მიჰყო ხელი. ჯართის შემგროვებელი პუნქტი ერთ ებრაელს ეკუთვნოდა, ვინმე მორის გოლდმანს. ებრაელი ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი ჯართი დაეგროვებინა, რადგანაც დარწმუნებული იყო, ევროპა ახალ ომს გააჩაღებს და ამერიკას ამ ომში ნამდვილად ჩაითრევენო. ნოას ებრაელის აზრი არ ადარდებდა; სამუშაო ჰქონდა და მთავარი სწორედ ეგ იყო.

ხის საამქროში მუშაობამ მძიმე საქმის კეთებას შეაჩვია, ჰოდა თავდაუზოგავად შრომობდა. მარტო იმიტომ კი არ შრომობდა ამდენს, რომ ელის ამბავი მოენელებინა, უბრალოდ ფიქრობდა, რომ ასე თავდაუზოგავად უნდა ეშრომა. მამა ეტყოდა ხოლმე, საქმეში თავი არ უნდა დაზოგო. იცოდე, თავდაუზოგავად თუ არ შრომობ, ამ შრომაში აღებული ფული მოპარული ფულიაო. ნოას საქმისადმი ამგვარი დამოკიდებულება მის უფროსს ძალიან ხიბლავდა. რა საწყენია, ებრაელი რომ არა ხარ, სხვა ნაკლი შენ ნამდვილად არ გაგაჩნიაო, ასე ეტყოდა ხოლმე. ეს გოლდმანის მხრიდან უდიდესი კომპლიმენტი გახლათ.

ელიზე მაინც ფიქრობდა, განსაკუთრებით ღამღამობით. თვეში ერთხელ ჯიუტად სწერდა წერილებს, მაგრამ პასუხი არც ერთხელ არ მიუღია. ბოლო წერილიც გაუგზავნა და გადაწყვიტა, ეტყობა, ამ გოგოსთან, იმ ერთი ზაფხულის გარდა, სხვა საერთო არასოდეს მექნებაო.

მაგრამ ელის ხატება მაინც არ შორდებოდა. ბოლო წერილის გაგზავნიდან სამი წელი იქნებოდა გასული, რომ უინსტონ-სეილემში ჩავიდა; ელის პოვნა უნდოდა. მის სახლს მიაგნო, გაიგო, რომ იქ აღარ ცხოვრობდა და, მეზობლებთან საუბრის შემდეგ, გადაწყვიტა რ. ჯ. რეინოლდსის ფირმაში დაერეკა. ტელეფონს ახალმა თანამშრომელმა უპასუხა და დასახელებული

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გვარი არ ეცნო. მაგრამ არ დაიზარა, პირად საქმეებს გადახედა და აღმოაჩინა, რომ ელის მამა კომპანიაში აღარ მუშაობდა. სამწუხაროდ, მისი ახალი მისამართი კომპანიაში არ იცოდნენ. ამის მეტად ელის საძებნელად აღარ წასულა.

მომდევნო რვა წელი გოლდმანთან იმუშავა. თავიდან თორმეტნი მუშაობდნენ, მაგრამ კომპანია თანდათან გაიზარდა და გოლდმანმა ნოა დააწინაურა. 1940 წლისათვის, ჯართის ბიზნესში იმდენად გაიწაფა, რომ მთელ საქმეს პრაქტიკულად თავად წარმართავდა – ხელშეკრულებებს დებდა და ოცდაათ მუშასაც ხელმძღვანელობდა. მალე გოლდმანის ჯართის შემგროვებელი პუნქტი ამ ბიზნესში ყველაზე დიდი და წარმატებული კომპანია აღმოჩნდა მთელ აღმოსავლეთ სანაპიროზე.

იმ წლებში რამდენიმე ქალსაც ხვდებოდა. ერთ-ერთთან – ადგილობრივი სასადილოს ოფიციანტთან, ცისფერი თვალები და შავი, აბრეშუმივით რბილი თმა რომ ჰქონდა – უფრო სერიოზული ურთიერთობაც კი გააბა. ერთმანეთს ორი წლის მანძილზე ხვდებოდნენ და ბევრი საერთოც გაუჩნდათ, მაგრამ რასაც ელის მიმართ გრძნობდა, ამ ქალის მიმართ მსგავსი არაფერი უგრძნია.

თუმცა ახლა ისიც კარგად ახსოვდა. ნოაზე რამდენიმე წლით უფროსი იყო და სწორედ მან ასწავლა, რა სიამოვნებდა ქალს – სად უნდა შეხებოდა, სად ეკოცნა, როდის შეყოვნებულიყო და რა უნდა ეთქვა მისთვის ჩურჩულით. ზოგჯერ მთელი დღე არ დგებოდნენ საწოლიდან და ისე ესიყვარულებოდნენ ერთმანეთს, რომ ორივე უზომო ნეტარებას განიცდიდა.

ქალმა იცოდა, რომ ბოლომდე ერთად არ დარჩებოდნენ. ერთხელ, როცა მათი ურთიერთობა უკვე დასასრულს უახლოვდებოდა, უთხრა:

– ნეტა იმის მოცემა შემეძლოს, რასაც დაეძებ. მაგრამ რომ არ ვიცი, რას ეძებ? შენი სულის ერთ ნაწილს ყველასგან მალავ, მათ შორის ჩემგანაც. ზოგჯერ ისეთი გრძნობა მაქვს,

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რომ ჩემთან არცა ხარ, სადღაც სხვაგან და სხვასთან გაგირბის გული და გონება.

ნოა შეეცადა, გაეტრიზავებინა მისი ნათქვამი, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

– ნუ გავიწყდება, რომ ქალი ვარ და ასეთ რამეებს კარგად ვხვდები. ზოგჯერ იმასაც ვგრძნობ, რომ მე მიყურებ, მაგრამ სხვას ხედავ. ისეთი გამოხედვა გაქვს ხოლმე, თითქოს ელოდები, როდის აღმოცენდება პირდაპირ ჰაერიდან ის სხვა და სამუდამოდ როდის წაგიყვანს ჩემგან.

ერთი თვის თავზე სამსახურში მიადგა და უთხრა, სხვა ადამიანი შემხვდა და ის შემიყვარდაო. ნოას გული არ სტკენია, ყველაფერი გაუგო და მეგობრებად დაშორდნენ. ერთი წლის მერე ქალმა ღია ბარათი გამოუგზავნა და შეატყობინა, გავთხოვდიო. ამის შემდეგ აღარ შეხმიანებია.

სანამ ნიუ-ჯერსიში იყო, მამასთან წელიწადში ერთხელ, საშობაოდ თუ ჩამოვიდოდა ხოლმე. თევზაობასა და საუბარში ატარებდნენ დროს. ხანდახან, ისიც იშვიათად, ერთად მიემგზავრებოდნენ სხვა სანაპიროების დასალაშქრად ოქრაქოუკის მიდამოებში.

1941 წლის დეკემბერში, როცა ნოა ოცდაექვსი წლისა შესრულდა, გოლდმანის წინასწარმეტყველება ახდა და ომი მართლაც დაიწყო. ომის დაწყებიდან ერთი თვე იყო გასული, რომ ნოამ მის ოფისში შეაბიჯა და ამცნო, ომში მივდივარო. მერე მამასთან გაემგზავრა დასამშვიდობებლად. ხუთი კვირის თავზე უკვე ქვეითთა საწვრთნელ ბანაკში გაგზავნეს. იქ ყოფნისას გოლდმანის წერილი მიიღო. ყოფილი უფროსი დიდ მადლობას უხდიდა გაწეული სამსახურისთვის და ატყობინებდა, ჯართის შემგროვებელი პუნქტის გაყიდვის შემთხვევაში, ამოგებული ფულის პატარა პროცენტი ანდერძით გადმოგილოცეო, და ამის დამადასტურებელ სერტიფიკატსაც უგზავნიდა. იმასაც სწერდა, შენ რომ არა, ბიზნესს ვერ ავაწყობდი, შენზე კარგი

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თანამშრომელი და უკეთესი პარტნიორი ძნელი წარმოსადგენია, მიუხედავად იმისა, რომ ებრაელი არა ხარო.

მომდევნო სამი წელი პატონის მესამე არმიაში იმსახურა და ფრონტის ხაზთან მდებარე ჩრდილო აფრიკის უდაბნოები თუ ევროპის ტყეები სულ ფეხით მოიარა თხუთმეტკილოგრამიანი ზურგჩანთით. ყოველდღე ხედავდა, როგორ ილუპებოდნენ მისი თანამებრძოლები და სამშობლოსაგან ათასობით მილის დაშორებით როგორ აბარებდნენ მათ სხეულებს მიწას. ერთხელ, მდინარე რაინის მახლობლად სახელდახელოდ გაწყობილ თავშესაფარში გატრუნულმა, ისიც კი წარმოიდგინა, როგორ უთვალთვალებდა მასაც და ამ ყოველივეს ელი.

გაიხსენა, როგორ დამთავრდა ომი ჯერ ევროპაში და რამდენიმე თვის მერე იაპონიაში. დემობილიზაციამდე ნიუ-ჯერსიდან მორის გოლდმანის პირადი ადვოკატის წერილი მიიღო. ადვოკატთან შეხვედრისას გაიგო, რომ მორის გოლდმანი გარდაცვლილიყო და მისი ბიზნესი გაეყიდათ. ადვოკატმა დაახლოებით სამოცდაათი ათასი დოლარის ჩეკი გადასცა ნოას, თუმცა, უნდა ითქვას, რომ რაღაც გაუგებარი მიზეზით, ნოა ამ ამბავმა მაინცა და მაინც დიდად არ აღაფრთოვანა.

მომდევნო კვირას ნიუ-ბერნში დაბრუნდა და ეს კარ-მიდამო იყიდა. მამა მაშინვე მოიყვანა, სახლ-კარი და ნაკვეთი დაათვალიერებინა და აუხსნა, რის გაკეთებასაც აპირებდა. მამა ძალიან სუსტად იყო, ძლივს მოძრაობდა და გაბმით ახველებდა. ნოა ამ ამბავმა ძალიან შეაშფოთა, მაგრამ მამამ დაარწმუნა, გრიპი მაქვსო.

ერთი თვეც არ იყო გასული, რომ მამა პნევმონიით გარდაეცვალა. დედის გვერდით, ადგილობრივ სასაფლაოზე დაკრძალა. ნოას რეგულარულად დაჰქონდა ყვავილები მშობლების საფლავზე. ზოგჯერ წერილსაც კი უტოვებდა მამას. საღამოობით ხომ აუცილებლად ფიქრობდა მასზე და ლოცულობდა – უფალს იმ კაცის სულს ავედრებდა, ყველაზე მთავარი რომ ასწავლა ცხოვრებაში.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სპინინგი ამოახვია, დაკეცა, ფარდულში შეინახა და სახლისკენ გაემართა. მეზობელი, მარტა შოუ, დახვდა კართან. მადლობის სათქმელად მოსულიყო და სამი შინ გამომცხვარი პური და ორცხობილები მოეტანა. მარტას ქმარი ომში დაკარგულიყო და ქალი სამი პატარა ბავშვითა და ერთი გაპარტახებული ქოხის ამარა დაეტოვებინა. ზამთრის პირი იდგა და ნოამ რამდენიმე დღე მისი ქოხის შეკეთებას მოანდომა: სახურავზე დამტვრეული კრამიტები გამოუცვალა, ფანჯრებში მინები ჩაუსვა და შეშის ღუმელიც გაუმართა. ამის წყალობით, ქვრივის ოჯახი ზამთარს როგორღაც გადაიტანდა.

მარტა რომ გაისტუმრა, თავის დანჯღრეულ, დოჯის ფირმის სატვირთოს მოაჯდა და გასის სანახავად წავიდა. მაღაზიაში წასვლისას, ყოველთვის შეუვლიდა ხოლმე გასის ოჯახს, რადგანაც მანქანა არ ჰყავდათ და პროდუქტების მოზიდვა უჭირდათ. გასის ერთ-ერთ ქალიშვილს დაიმგზავრებდა ხოლმე და ქეიფერის უნივერმაღში სავაჭროდ ერთად მიდიოდნენ. შინ მოსულმა ნავაჭრი არც კი ამოალაგა ჩანთებიდან; შევიდა თუ არა სახლში, პირდაპირ შხაპისაკენ გაემართა. წყალი გადაივლო, მერე ბუდვაიზერი და დილან ტომასის წიგნი დაითრია და ვერანდაზე გავიდა.

დასტურს თვალნათლივ კი ხედავდა საგაზეთო გვერდზე, მაგრამ საკუთარ თვალებს ბოლომდე მაინც ვერ უჯერებდა.

ეს გაზეთი სამი კვირის წინ ნახა მშობლების სახლში. ყავის მოსადუღებლად სამზარეულოში გავიდა და ოთახში შემობრუნებულს მამა გაზეთით ხელში დაუხვდა. მამამ გაუღიმა, გაზეთი გაუწოდა და უთხრა:

– ეს თუ გახსოვს?

ელიმ გაზეთი ჩამოართვა, დაბეჭდილ ფოტოს გულგრილი თვალი შეავლო, მაგრამ უცებ რაღაც ისეთი დაინახა, რამაც აიძულა, უფრო ყურადღებით შეეხედა ფოტოსთვის.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– შეუძლებელია! – ჩურჩულით აღმოხდა ელის და მამის გაკვირვებული მზერისათვის ყურადღება აღარ მიუქცევია, ისე დაჯდა და გაფაციცებით დაიწყო სტატიის კითხვა. დედა როგორ შემოვიდა ოთახში და როგორ მიუჯდა მაგიდას, ელის ეს უკვე ბუნდოვნად ახსოვდა. როცა კითხვა დაასრულა და თავი აიღო, მერეღა შენიშნა მის წინ მჯდომი და მამასავით გაკვირვებული.

– ხომ კარგად ხარ? – ჰკითხა დედამ. – ცოტა გაფითრებული მეჩვენები.

მაშინვე არ უპასუხა; ვერ უპასუხა და იმიტომ. და სწორედ მაშინ შენიშნა პირველად, რომ ხელები უკანკალებდა. ამის შემდეგ ეს ოხერი კანკალი ვერა და ვერ მოიშორა.

– მოკლედ, ერთხელ და სამუდამოდ, ამას ბოლო უნდა მოელოს; რაც იქნება იქნება! – წაიჩურჩულა ისევ ელიმ და გაზეთის გვერდი სათუთად დაკეცა. იმ დღეს, მოგვიანებით, მშობლების სახლიდან როცა წამოვიდა, გაზეთი შინ გამოიყოლა. შინ მისულმა სტატია ამოჭრა და ძილის წინ რამდენჯერმე გადაიკითხა, რომ მისი მართებულობა აეწონ-დაეწონა. დილით ისევ გადაიკითხა სტატია, თითქოს უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ ეს ყოველივე სიზმარი კი არა, ცხადი იყო. ჰოდა ახლა, სამკვირიანი მარტო ხეტიალისა და ფიქრის შემდეგ, სამკვირიანი ორჭოფობისა და ტანჯვის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტა, ჩამოსულიყო და ადგილზე გაერკვია ყველაფერი.

ახლობლები რომ ეკითხებოდნენ, ასე რამ აგაფორიაქა და რამ დაგაბნიაო, პასუხობდა, სტრესის გამო ვარ ასეთ დღეშიო. მშვენიერი პასუხი იყო, რადგანაც საქორწინო სამზადისი რომ დიდი სტრესი იყო ქალისთვის, ყველამ იცოდა, ლონის ჩათვლით, ამიტომაც არ გაუწევია ელისთვის წინააღმდეგობა, როცა ამ უკანასკნელმა რამდენიმე დღით ქალაქიდან გამგზავრება გადაწყვიტა. ქორწილში ხუთასი კაცი ჰყავდათ დაპატიჟებული, მათ შორის გუბერნატორი, შტატის სენატორი და აშშ-ს ელჩი პერუში. ელი ფიქრობდა, ეს მეტისმეტიაო, მაგრამ

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მათი ქორწინება ნამდვილ სოციალურ მოვლენად იქცა და გაზეთები ერთთავად ამაზე წერდნენ მას შემდეგ, რაც ექვსი თვის წინ სამომავლო გეგმა გაამჟღავნეს. ზოგჯერ იმასაც ნატრობდა, ეგებ მე და ლონი გავიქცეთ ქალაქიდან და მშვიდად დავქორწინდეთო. მაგრამ იცოდა, რომ ლონს ამაზე ვერ დაითანხმებდა; ლონს, როგორც პოლიტიკური ამბიციების მქონე ადამიანს, ბუნებრივია, უყვარდა ყურადღების ცენტრში ყოფნა.

ელიმ ღრმად ამოისუნთქა და ფეხზე წამოდგა. – ან ახლა, ან არასდროს! – ისევ წაიჩურჩულა, საჭირო ნივთები აკრიფა და კარისკენ გაემართა. მხოლოდ წამით შეჩერდა, ვიდრე კარს გამოაღებდა, მაგრამ ბოლოს მაინც გამოაღო და კიბეზე დაეშვა. ფოიეში ჩამოსულ ქალს სასტუმროს მენეჯერმა გაუღიმა და მზერით მანქანამდე მიაცილა. ელი საჭეს მიუჯდა, ერთხელაც ჩაიხედა სარკეში, მანქანა დაქოქა და მარჯვნივ, პირდაპირ ფრონტ სტრიტისაკენ გაუხვია.

ქალაქის ქუჩები კარგად რომ ახსოვდა, არ გაჰკვირვებია. მართალია, აქ დიდი ხნის წინ იყო, მაგრამ პატარა ქალაქში ორიენტირება არ უჭირდა. ტრენტ რივერი ძველებური სამანქანე ბორნით გადაკვეთა, გაღმა მხარეს მოკირწყლულ ქუჩას დაადგა და მალე გზის ბოლო მონაკვეთსაც შეუდგა.

აქაურობა, როგორც ყოველთვის, ძალიან ლამაზი ეჩვენა. პიდმონტის მთიანი მხარისაგან განსხვავებით, სადაც მთელი ბავშვობა გაატარა, აქ სულ ვაკე ადგილები იყო, მაგრამ ნიადაგი აქაც ნოყიერი და ნაყოფიერი ჩანდა, იდეალური თამბაქოს და ბამბის პლანტაციებისათვის. შტატის ეს ნაწილი სწორედ ამ ორი პროდუქტითა და ხეტყის გადამუშავებით ირჩენდა თავს. ქალაქის საზღვრებს რომ გასცდა, ის გამაოგნებელი სილამაზე დაინახა, რამაც თავის დროზე ამდენი ხალხი მოიზიდა ამ მხარეში.

ეს მხარეც ისევ ისეთი მოეჩვენა. მზის სხივები ლამაზად ტყდებოდა მუხისა და სამ-ნახევარი მეტრი სიმაღლის ჰიკორის

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ხეებში, და უშურველად აფრქვევდა ირგვლივ შემოდგომის ფერებს. მარცხნივ რკინისფერი მდინარე გზისკენ უხვევდა და მერე, ერთი მილის მანძილზე გაჭიმულ სხვა, უფრო დიდ მდინარეს სწირავდა საკუთარ თავს მსხვერპლად. თავად მოკირწყლული გზა სამოქალაქო ომის დროინდელი ტიპის ფერმებთან უხვევდა და ელიმ იცოდა, რომ ამ ფერმების ცხოვრება, აგერ უკვე მეოთხე თუ მეხუთე თაობისათვის, სრულიად უცვლელი იყო. აქაურობის ასეთმა მდგრადობამ და ურყეობამ გრძნობები აუშალა და ქალმა იგრძნო, როგორ ეჭიმებოდა მთელი სხეული იმ ნაცნობი ადგილების დანახვაზე, რომლებიც თითქმის მიევიწყებინა.

მზე მის მარცხნივ, ხეების კენწეროებზე ეკიდა. ელი მოსახვევს გასცდა და იმ ძველ ეკლესიას ჩაუარა, რომელიც კარგა ხანი იყო, მიეტოვებინათ, მაგრამ მაინც ჯიუტად იდგა. იმ ზაფხულს ამ ეკლესიაში ხშირად დადიოდა, სამოქალაქო ომის დროინდელ სუვენირებს ეძებდა. ახლა, ამ ეკლესიას რომ ჩაუარა, ისევ ათასი გრძნობა და ფიქრი აეშალა. ისე ცხადლივ გაახსენდა, თითქოს გუშინ მომხდარიყოს ყველაფერი.

მალე მდინარის პირას ფესვგადგმული ჯადოსნური მუხაც გამოჩნდა და მოგონებები კიდევ უფრო გაუმძაფრდა. მუხაც ისევ ისეთი იყო – ჰორიზონტალურად გაშლილი დაბალი და სქელი ტოტებით, კიდეებზე სუდარასავით გადმოფენილი სქელი ხავსით. გაახსენდა, როგორ იჯდა ხოლმე ივლისის ცხელ დღეებში ამ მუხის ძირას იმ ბიჭთან ერთად, ვინც გასაოცარი სიყვარულითა და მონატრული თვალებით შეჰყურებდა. ეს მზერა ქვეყნად ყველაფერს ავიწყებდა. სწორედ ამ მუხის ძირას იგრძნო პირველად, რომ თავადაც უყვარდა.

ნოა ელიზე ორი წლით უფროსი იყო და ახლა, როცა ელი „მეხსიერების ლაბირინთში“ იკვლევდა გზას, ნოას სახე თანდათან ცხადლივ წარმოუდგა თვალწინ. გაახსენდა, როგორ ფიქრობდა, რომ ბიჭი საკუთარ ასაკზე უფროსად გამოიყურებოდა. სახე

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დაღლილ, მინდვრიდან ახალდაბრუნებულ, მთელი დღის ნაჯაფარ ფერმერს მიუგავდა. ოდნავ გაუხეშებული ხელები და ძალიან ფართო მხრები ჰქონდა; ზუსტად ისეთი, მძიმე ჯაფას რომ მოაქვს ხოლმე. თვალების გარშემოც უკვე გასჩენოდა ერთი-ორი წვრილი ღარი; იმ თვალების გარშემო, რომლებიც წამისუმალ კითხულობდნენ ელის ყველა აზრს.

მაღალი და ღონიერი ბიჭი იყო, ბაცი წაბლისფერი თმითა და თავისებურად ლამაზი სახის ნაკვთებით. მაგრამ ყველაზე უკეთ მისი ხმა ახსოვდა. მუხის ძირას, ბალახზე იყვნენ გაგორებულები და ბიჭი ლექსებს უკითხავდა. მისი ხმის ტემბრი, სირბილე და თავისებური კილო, სრულიად ძალდაუტანებელი და მუსიკასავით მელოდიური იყო. ასეთი შესანიშნავი ხმა მხოლოდ რადიოში გამომსვლელ დეკლამატორებს ჰქონდათ. ეს ხმა თითქოს ზემოთ მიიწევდა, ჰაერში ეკიდებოდა და სადღაც მაღლიდან აღწევდა ელის ყურამდე. გოგო თვალებს ხუჭავდა და ცდილობდა, ყოველ გაგონილ სიტყვას ჩასწვდომოდა და გულთან ახლოს მიეტანა:

ორთქლად ქცეული, გარდაქმნილი საღამურ ბინდად,
წავალ იმქვეყნად ჰაერივით; თეთრი თმის ჭავლებს
გაპარულ მნათობს ავადევნებ...

ბიჭი დაფურცლულ და გვერდებჩაკეცილ წიგნებს თითით ფურცლავდა; იმ წიგნებს, ასჯერ მაინც რომ ჰქონდა თვითონ წაკითხული. ცოტა ხანს კიდევ უკითხა, მერე კითხვა შეწყვიტა და საუბარზე გადავიდნენ. გოგო უყვებოდა, რას ნატრობდა, სამომავლოდ რის გაკეთებას გეგმავდა. ის კი უსმენდა, სულგანაბული, და პირდებოდა, ყველა შენი სურვილის და ოცნების ასრულებაში დაგეხმარებიო. ისეთი სიტყვებით პირდებოდა, რომ გოგოს ეჭვი აღარაფერში ეპარებოდა; ხვდებოდა, რამდენს ნიშნავდა ამ ბიჭის სიტყვა მისთვის. დროდადრო, გოგო თუ ჩაციცვდებოდა, ბიჭი თავის გეგმებსაც გაანდობდა,

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ანდა უხსნიდა, ესა თუ ის ლექსი რატომ შეარჩია, მისი არსის წვდომაში ეხმარებოდა. მერე ჩუმად ისხდნენ და გოგოს დიდ-ხანს აკვირდებოდა იმ თავისი გასაოცარი, გულში ჩამწვდომი მზერით.

ერთად უყურეს ჩამავალ მზეს და ერთად ივახშმეს ვარ-სკვლავების შუქზე. უკვე გვიანი იყო და გოგომ იცოდა, შინ მისულს მშობლები აუცილებლად გაუწყრებოდნენ. ის რომ სცოდნოდათ, სად და ვისთან ერთად იყო, მაშინ მთლად გა-დაირეოდნენ. მაგრამ იმწამს ეს ყველაფერი არ ენაღვლებოდა. ერთადერთი იმაზე შეეძლო ფიქრი, რა დიდებული დღე გაატარეს ერთად, და რამდენს ნიშნავდა ეს ბიჭი მისთვის. მე-რე, ელის სახლისაკენ რომ წავიდნენ, ნოამ ხელზე ხელი დაადო და გოგოს მისი ხელის სითბო და სიმხურვალე მთელ სხეულში ჩაეღვარა.

ბოლო შესახვევშიც შეუხვია და სახლს შორიდანვე მოჰკრა თვალი. სახლი სულ სხვანაირი ახსოვდა და სულ სხვანაირი დაუხვდა. რომ უახლოვდებოდა, სიჩქარეს უკლო და ხეივანს გაუყვა. აი, ბოლოს და ბოლოს მივაღწიე იმ შუქურას, რომლის ნათებამაც რალიდან აქეთ წამომიყვანაო, ფიქრობდა.

მანქანა ძალიან ნელა მიჰყავდა და თან სახლს მისჩერებო-და. მერე იმასაც მოჰკრა თვალი ვერანდაზე და სუნთქვა შეეკრა. ნოა ვერანდაზე იდგა და მოახლოებულ მანქანას გაჰყურებდა. უბრალოდ ეცვა და ქალს შორიდან სულ არ მოეჩვენა შეც-ვლილი. ერთი წამით, თავს წამომდგარი მზის ფონზე, ნოა თითქოს აორთქლდა და გაქრა კიდეც ელის თვალწინ დახატუ-ლი პეიზაჟიდან.

მანქანა ნელა განაგრძობდა სვლას. ბოლოს იმ მუხის ხეს-თან შეჩერდა, რომელიც სახლს ჩრდილს აფენდა. ქალმა მანქ-ანის გასაღები ისე გადაატრიალა, კაცისთვის თვალი წამითაც არ მოუშორებია. მანქანა გაჩერდა.

კაცი კიბეზე ჩამოვიდა და მანქანისაკენ მსუბუქი ნაბიჯით

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გამოემართა. მერე, როცა მანქანიდან გადმოსული ქალი დაინახა, ადგილზე გახევდა. კარგა ხანს ასე გაშეშებულები უყურებდნენ ერთმანეთს და ხმას ვერც ერთი ვერ იღებდა.

აი ასე იდგნენ, ერთმანეთის პირისპირ, ელისონ ნელსონი – ოცდაცხრა წლის, გასათხოვრად დანიშნული საზოგადოების თვალი, იმ პასუხების მძებნელი, რომლებიც აუცილებლად უნდა ეპოვა – და ნოა კოლჰუნი – ოცდათერთმეტი წლის მეოცნებე, რომელსაც კიდევ ერთხელ, უკვე ცხადში ეწვია ის აჩრდილი, რომელიც სიყმაწვილის წლებიდან თან დასდევდა და მთელ მის არსებასა და ცხოვრებაზე იყო გაბატონებული.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ისევ ერთად

ერთმანეთის პირისპირ იდგნენ და არც ერთი არ იძვროდა ადგილიდან.

ნოა არაფერს ამბობდა, კუნთები მთლად გახევებოდა, და ერთი წამით ელიმ ისიც კი იფიქრა, ალბათ ვერ მცნობსო. უცებ თავი დამნაშავედ იგრძნო, ასე მოულოდნელად და გაუფრთხილებლად რომ დაატყდა თავს. ამან აშკარად დაამძიმა სიტუაცია. ეგონა, მათი შეხვედრა უფრო ადვილი იქნებოდა, ნოას დანახვისას, წამსვე მიხვდებოდა, რა უნდა ეთქვა მისთვის. მაგრამ ახლა ვერ ხვდებოდა. ნებისმიერი სიტყვა, რომელიც კი თავში მოსდიოდა, შეუსაბამო და არაფრისმთქმელი ეჩვენებოდა.

ისევ ის ზაფხული მოაგონდა, ერთად რომ გაატარეს და გაშტერებული უყურებდა ნოას. თითქოს საერთოდ არ იყო შეცვლილი. რა მშვენივრად გამოიყურებაო, ფიქრობდა. გაცრეცილ ჯინსებსა და გადმოშვებულ ცისფერ პერანგში გამოწყობილს, კარგად ემჩნეოდა ის ფართო მხრები, მაღალი, ვიწრო თეძოები და მკვრივი მუცელი, რომლებიც ელის კარგად ახსოვდა. გვარიანად გარუჯული იყო; ეტყობოდა, რომ მთელი ზაფხული თაკარა მზეზე ემუშავა. თმა ოდნავ შესთხელებოდა და გახუნებოდა, მაგრამ მთლიანობაში ისევ იმ ბიჭს ხედავდა, ერთ დროს ძალიან კარგად რომ იცნობდა.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

როცა ბოლომდე მოიკრიბა ძალა და ჩათვალა, რომ უკვე მზად იყო, ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა და ნოას გაუღიმა.

– გამარჯობა, ნოა. შენი ნახვა ძალიან მიხარია.

მისმა სიტყვებმა ნოა თითქოს გამოაფხიზლეს. გაოგნებული თვალებით შეხედა ქალს, თავი ოდნავ გადააქნია აზრის მოსაკრებად და ძლივსგასაგონად წაილულლურა:

– მეც... მიხარია.

მერე ხელი ნიკაპზე წაივლო და ქალმა შენიშნა, რომ გაუპარსავი იყო.

– მართლაც შენა ხარ, ელი? თვალებს ვერ ვუჯერებ...

ელიმ მის ხმაში ძლიერი ელდა იგრძნო. მერე, თავისდა გასაოცრად, თავადაც ერთბაშად მოეძალა ყველა ემოცია – ის, რომ.აქ იყო, მას რომ ხედავდა... იგრძნო, როგორ შეერხა გულ-მუცელში რაღაც, ძველი და მივიწყებული; რაღაც, რამაც წამით საშინლად დაახვია თავბრუ.

მიხვდა, რომ საკუთარ თავს ძალიან ებრძოდა; ცდილობდა, წყობიდან არ გამოსულიყო და თავი არ დაეკარგა. არ ეგონა, ასეთი რამ თუ დაემართებოდა; არ უნდოდა, ეს რომ დამართნოდა. სხვა კაცს მიჰყვებოდა ცოლად და ასეთი რამ არ უნდა დამართნოდა! აქ იმისათვის არ ჩამოსულა, რომ...

მაგრამ...

მაგრამ მოზღვავებულ ემოციას აშკარად ვერ ერეოდა და წამით თხუთმეტი წლისაც კი ეგონა თავი. ასეთი რამ ადრე არასოდეს მოსვლია... უცებ ეგონა, რომ ყველა მის ბავშვურ ოცნებას ასრულების პერსპექტივა გამოუჩნდა.

ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს დიდი ხნის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, შინ დაბრუნდა.

არც ერთს აღარაფერი უთქვამს, ისე მიუახლოვდნენ ერთმანეთს; ის გააკეთეს, რაც ყველაზე ბუნებრივი იყო მათთვის – ერთმანეთს მიუახლოვდნენ და ნოამ გულში ჩაიკრა. ერთმანეთს ეკვროდნენ და არსებულ რეალობას სიხარულით

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ეძლეოდნენ. მათი განშორების თოთხმეტი წელი თითქოს უ-
ვალოდ დაინთქა მოახლოებული საღამოს ბინდში.

კარგა ხანს იდგნენ ასე, ვიდრე ელიმ ძალით არ გასწ-
ნოა, რომ კარგად შეეხედა მისთვის. ახლოდან რომ უყურებდ-
უკვე კარგად ამჩნევდა იმ ცვლილებებს, რომლებიც შორიდან
ვერ შენიშნა. მის წინ მოწიფული მამაკაცი იდგა, რომლ-
სახის ნაკვთებსაც ყმაწვილკაცური სილბო უკვე დაეკარგ-
თვალების გარშემო ღარები გაღრმავებოდა და ნიკაპზე რაღაც
ნაიარევიც გასჩენოდა. მოკლედ, ცხოვრების ახალ ეტაპზე გა-
დასვლა ყველაფერში ეტყობოდა. უფრო გამოცდილი და უფრო
თავშეკავებული ჩანდა. მაგრამ, როგორც კი გულში ჩაიკრა,
ელიმ მაშინვე იგრძნო, როგორ ენატრებოდა და აკლდა მისი
ალერსი მთელი ეს წლები.

ბოლოს, როცა ერთმანეთს ხელი გაუშვეს, ელის თვალები
ცრემლებით ჰქონდა სავსე და ნერვული სიცილიც კი აუვარდა,
როცა ცრემლებს იწმენდდა.

– ხომ კარგად ხარ? – ჰკითხა ნოამ, რომელსაც სახეზე
ათასი სხვა კითხვა ეწერა.

– მაპატიე, ტირილს ნამდვილად არ ვაპირებდი.

– ეგ არაფერი, – გაუღიმა ნოამ. – ჯერაც მიჭირს იმის
დაჯერება, რომ გხედავ. როგორ მომაგენი?

ელიმ უკან დაიხია და, ბოლო ცრემლის მოწმენდისას
სცადა, თავი როგორმე ხელში აეყვანა.

– გაზეთში სტატია წავიკითხე რამდენიმე კვირის წინ და
გადავწყვიტე, რომ აუცილებლად უნდა მენახე.

– ჰოდა ძალიანაც კარგი, – გაუღიმა ნოამ. მერე უკან გა-
დადგა ნაბიჯი და ქალი შეაფასა: – ღმერთო, რა მშვენივრად
გამოიყურები! კიდევ უფრო გალამაზებულხარ.

ელიმ იგრძნო, როგორ გაწითლდა თხუთმეტი წლის გო-
გოსავით.

– დიდი მადლობა, შენც მშვენივრად გამოიყურები.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მართლაც მშვენივრად გამოიყურებოდა, წლებს ძალიან დაენდოთ.

– აბა მომიყევი, რას აპირებ, აქ რა ქარმა გადმოგაგდო?

დასმულმა კითხვამ ელი რეალობაში დააბრუნა და გააზრებინა, რა შეიძლებოდა მომხდარიყო, თუ ფხიზლად არ იქნებოდა. ახლა უნდა გავმაგრდე, უფრო შორს აღარ უნდა შევტოპო... რაც უფრო შორს შევტოპავ, მით უფრო გამიჭირდება უკან გამოსვლაო, ფიქრობდა.

მაგრამ, ღმერთო, ეს თვალები! ეს ნაზი, ღრმა და მუქი თვალები!

ნოასკენ ზურგით შებრუნდა და ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა; ფიქრობდა, როგორ ეთქვა და რა ეთქვა მისთვის. ბოლოს, როცა ხმა ამოიღო, მშვიდად და აუღელვებლად ლაპარაკობდა.

– ნოა, ვიდრე არასწორი წარმოდგენა შეგექმნებოდეს ჩემი აქ ჩამოსვლის მიზეზზე – რომ აქ შენს სანახავად დავბრუნდი, თუმცა არც უმაგისობაა – გეტყვი, რომ კიდევ სხვა მიზეზითაც გესტუმრე.

წამით შეისვენა და განაგრძო:

– რაღაც მნიშვნელოვანი უნდა შეგატყობინო.

– მაინც, რა უნდა შემატყობინო?

ელიმ გვერდით გაიხედა, უცებ ვერ გასცა პასუხი; მიხვდა, რომ ნოასთვის ჯერ კიდევ ეძნელებოდა ამის თქმა და გაუკვირდა. ნოას რაღაც ჩასწყდა, გულმა ცუდი უგრძნო; იცოდა, რომ ის, რაც ელის უნდა ეთქვა, აუცილებლად ცუდი მოსასმენი იქნებოდა მისთვის.

– არ ვიცი, როგორ გითხრა... მეგონა, ვიცოდი, მაგრამ თურმე არ მცოდნია.

სიჩუმე უცებ სკუნსის შემზარავმა კივილმა გააპო და პარმაღის ქვეშ შემძვრალი კლემი ყეფა-ყეფით გარეთ გამოიყვანა. ამ ყეფამ მათი ყურადღება მიიქცია და ქალი ასეთმა ხელსაყრელმა ბუნებრივმა პაუზამ აშკარად გაახარა.

– შენი ძაღლია?

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნოამ თავი დაუქნია; გული დამძიმებული ჰქონდა.

– ისე, რომ იცოდე, ძუკნაა. კლემენტინა ჰქვია. მოკლედ, ჰო, ჩემია.

ორივემ ძაღლს გახედა. კლემმა ბეწვი დაიბერტყა და გაიზმორა. მერე ნელ-ნელა იქით დაიძრა, საიდანაც სკუნსის ხმა შემოესმა. ელის თვალები გაუფართოვდა, როცა დაინახა, რომ ძაღლი კოჭლობდა.

– რა დაემართა ამ საცოდავს?

– რამდენიმე თვის წინ მანქანა დაეჯახა და ძველმა პატრონმა გამოაგდო. ექიმმა ჰარისონმა, ჩვენმა ვეტერინარმა, დამიძახა და მკითხა, შენ ხომ არ წაიყვანო. მოკლედ, მოსაკლავად შემეცოდა და წამოვიყვანე.

– ყოველთვის კეთილი ბიჭი იყავი, – უთხრა ელიმ და შეეცადა, დაძაბულობა ოდნავ განემუხტა. ნოას მოშორდა და სახლს აუარ-ჩაუარა.

– შესანიშნავად აღგიდგენია. ზუსტად ისე, ადრე რომ გეგმავდი.

ნოამ იქით გაიხედა, საითაც ელი იხედებოდა და თან ფიქრობდა, ნეტა რა უნდა მითხრასო.

– დიდი მადლობა. მაშინ ბევრ რამეზე ადვილად ვოცნებობდი. ახლა არ ვიცი, ბოლომდე მივიყვან საქმეს თუ არა.

– რა თქმა უნდა, მიიყვან! – უპასუხა ელიმ, რომელმაც მშვენივრად იცოდა ნოას დამოკიდებულება ამ სახლის მიმართ. მაშინ ელიმ ყველაფერი იცოდა ნოასი, ახლა კი...

უცებ გაიაზრა, რამდენი რამ შეცვლილიყო ამ წლების განმავლობაში. ახლა ერთმანეთისათვის უცხოები იყვნენ. ამას უკვე აშკარად ხედავდა; ხედავდა, რომ თოთხმეტი წელი ძალიან დიდი დრო იყო, უსასრულოდ დიდი.

– აბა, რისი თქმა გინდოდა, ელი? – ჰკითხა ნოამ იმ იმედით, რომ თავისკენ მოახედებდა, მაგრამ ელი კვლავ სახლს მისჩერებოდა.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ძალიან სულელი ვარ, არა? – თქვა უცებ ელიმ და შეეცადა გაეღიმა.

– რას გულისხმობ?

– იმას, რომ უცებ დაგადექი თავზე, გაუფრთხილებლად... და თანაც არ ვიცი, რისი თქმა მინდა. ალბათ ფიქრობ, რომ გიჟი ვარ.

– გიჟი ნამდვილად არა ხარ, – უთხრა ნოამ და ხელი დაუჭირა. ქალს წინააღმდეგობა არ გაუწევია. – არ ვიცი, რა უნდა მითხრა, მაგრამ ვხვდები, რომ გიჭირს. ჰოდა ეგებ ჯობია, ცოტა გავისეირნოთ?

– როგორც ადრე?

– ჰო, რატომაც არა?

ელი ყოყმანობდა.

– ვინმეს უნდა დაუბარო, თუ...

– არავისაც არ უნდა დავუბარო, იმიტომ რომ ჩემ გარდა არავინაა. აქ მხოლოდ მე და კლემი ვცხოვრობთ.

მიუხედავად იმისა, რომ იკითხა, ელი თითქმის დარწმუნებული იყო, რომ უარყოფით პასუხს მიიღებდა. მაგრამ არ იცოდა, უნდა გახარებოდა თუ სწყენოდა ეს ამბავი, იმიტომ რომ ეს სათქმელს ძალიან ურთულებდა. ვინმე რომ ყოფილიყო, გაცილებით ადვილი იქნებოდა ყველაფერი.

მდინარესთან ჩავიდნენ და პატარა ბილიკს დაადგნენ. ელიმ ნოას ხელი გააშვებინა, რითაც ცოტა გააოცა, და საკმაო მანძილითაც გაუსწრო, რომ შემთხვევით ისევ არ შეხებოდა ხელზე.

ნოამ ელის გახედა. ისევ ძალიან ლამაზი იყო, და ისე გრაციოზულად მოძრაობდა, გეგონებოდა, კი არ დადის, დაცურავსო. ლამაზი ქალი უამრავი ენახა; ისეთებიც, თვალი რომ მოუტაციათ მისთვის. მაგრამ ყველას აკლდა ის თვისებები, რომლებიც ქალს ყველაზე მეტად მიმზიდველს ხდიდა ნოას თვალში – ჭკუა, თავდაჯერებულობა, სულიერი სიძლიერე,

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვნება – მოკლედ, ყველაფერი, რაც სხვა მამაკაცებს დიადი საქმეებისაკენ უბიძგებდა, ნოას კი იმ სრულყოფილებამდე, რომლის მიღწევასაც ლამობდა.

ელი ყველა ამ თვისებით უხვად იყო დაჯილდოებული, ნოამ ეს ყოველთვის იცოდა. ახლაც, როცა გვერდიგვერდ მისეირნობდნენ, ამ თვისებებს კვლავ თვალნათლივ ხედავდა. „ცოცხალი, მოსიარულე პოეზიაა“, ასე აღწერდა ხოლმე ელის სხვებთან.

– როდის დაბრუნდი? – ჰკითხა ქალმა, როდესაც პატარა გორაკს აუყვნენ.

– შარშან, დეკემბერში. ცოტა ხანს ჩრდილოეთში ვიმუშავე. ბოლო სამი წელი ევროპაში გავატარე.

ელიმ შეკითხვით აღსავსე თვალებით გახედა.

– ომში?

ნოამ თავი დაუქნია და ელიმ განაგრძო:

– ეგრეც ვიცოდი. კარგია, რომ უვნებელი დაბრუნდი.

– ჰო, ეგ მეც მიხარია.

– აქ რომ დაბრუნდი, ეგეც გახარებს?

– ჰო. ჩემი ფესვები აქაა და აქ უნდა ვიყო.

ნოა გაჩუმდა. მერე უცებ ჰკითხა:

– რის თქმას აპირებდი ჩემთვის?

ელიმ მაშინვე არ უპასუხა, მაგრამ ბოლოს მაინც უთხრა:

– ვთხოვდები.

ნოამ თვალები დახარა და უცებ უცნაური სისუსტე იგრძნო ფეხებში. აი, თურმე რა უნდა ეთქვაო, გაიფიქრა.

– მომილოცავს, – უთხრა მან ბოლოს და თან შეეცადა დამაჯერებელი ტონი ჰქონოდა. – როდის არის ეგ ღირსშესანიშნავი დღე?

– დაახლოებით სამ კვირაში. ლონს უნდა, ქორწილი ნოემბერში გვქონდეს.

– ლონს?

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ჰო, ლონ ჰამონდ უმცროსს, ჩემს საქმროს.

ნოამ თავი დაუქნია. არ გაკვირვებია. ჰამონდების ოჯახი ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი და გავლენიანი ოჯახი იყო მთელ შტატში. ბამბის ბიზნესი ჰქონდათ. საცოდავი მამა-მისისაგან განსხვავებით, ლონის მამის გარდაცვალების ამბავს გაზეთის მთელი გვერდი დაუთმეს.

– ჰამონდების ოჯახზე ბევრი რამ მსმენია. უფროსმა ჰა-მონდმა დიდი კაპიტალი დააგროვა. მის ბიზნესს ახლა ვაჟი უძღვება?

– არა, ლონი ადვოკატია. საკუთარი კანტორა აქვს ქალაქის ცენტრში.

– მაგ გვარის კაცს ბევრი კლიენტი ეყოლება.

– ჰო, ეგრეა. დღე და ღამე მუშაობს.

ნოას მოეჩვენა, რომ ელის ხმაში ოდნავი უკმაყოფილება იგრძნობოდა.

– კარგად გექცევა?

ელიმ მაშინვე არ უპასუხა, თითქოს სწორ პასუხს ეძებდა. ბოლოს უთხრა:

– კი, ძალიან კარგი ადამიანია. შენ აუცილებლად მოგე-წონებოდა.

ეს რომ თქვა, ძალიან განყენებული ხმა ჰქონდა; ყოველ შემთხვევაში, ნოამ ასე იგრძნო. მერე იფიქრა, მგონი საკუთარი გონება ოინებს მიწყობს და რაღაცეები მეჩვენებაო.

– მამაშენი როგორაა? – ჰკითხა ქალმა.

– რამდენიმე თვის წინ გარდაიცვალა. ახალი ჩამოსული ვიყავი.

– ძალიან ვწუხვარ, – სინაზითა და თანაგრძნობით უთხრა ელიმ, რომელმაც შესანიშნავად იცოდა, როგორ ეძვირფასებოდა ნოას მამა.

ნოამ თავი დაუქნია და ცოტა ხანს ჩუმად მიდიოდნენ. გორაკს თავზე რომ მოექცნენ, გაჩერდნენ. იქიდან მუხა

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მოჩანდა, მისი ტოტების მიღმა აელვარებული ნარინჯისფერი მზის ფონზე. ელი მუხას გასცქეროდა და თან ნოას მზერას გრძნობდა.

– იმ მუხასთან ბევრი მოგონება გვაკავშირებს, არა ელი?

ელის გაეღიმა. – ჰო, უკვე ვნახე, აქეთ რომ მოვდიოდი. ის დღე გახსოვს, დილიდან საღამომდე მაგ მუხის ძირას რომ ვისხედით?

– მახსოვს, – უპასუხა ნოამ და თემის გავრცობის ინიციატივა აღარ გამოუჩენია.

– მაგაზე ოდესმე ფიქრობ ხოლმე?

– კი, ზოგჯერ, როცა აქეთა მხარეს მიწევს მუშაობა. ეგ მუხაც ხომ ჩემს მამულშია ახლა.

– ეგეც იყიდე?

– ჰო. ეგ ხე სამზარეულოს კარადებად რომ დაეხერხათ, ვერ ავიტანდი.

ელის გაეცინა და გულში ძალიან ესიამოვნა ნოას პასუხი. – ლექსებს ისევ კითხულობ?

– ჰო. ლექსების კითხვა არასოდეს შემიწყვეტია. უკვე სისხლში მაქვს გამჯდარი.

– იცი, შენ ერთადერთი პოეტი ხარ, რომელსაც ვიცნობ.

– პოეტი არა ვარ. პოეზიას ვკითხულობ, მაგრამ ლექსების წერა არ მეხერხება. მოვსინჯე და არ გამომივიდა.

– მაინც პოეტი ხარ, ნოა ტეილორ კოლჰუნ, – ალერსიანი ხმით უთხრა ქალმა. – იცი, მე ხშირად ვფიქრობ ამაზე. შენ პირველი იყავი, ვინც ლექსები წამიკითხა. საერთოდაც, მგონი, ერთადერთი ხარ, ვისაც კი ოდესმე ჩემთვის ლექსები წაუკითხავს.

ელის ნათქვამმა ორივე წარსულში დააბრუნა, როცა ახალ ბილიკს ისევ სახლისაკენ მოუყვებოდნენ. მზე კიდევ უფრო ჩასულიყო და ცას ნარინჯისფრად ღებავდა.

– აქ რამდენ ხანს აპირებ დარჩენას? – იკითხა ბოლოს ნოამ.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ზუსტად არ ვიცი, ალბათ ხვალამდე ან ზეგამდე.

– შენი საქმროც აქ არის? რამე საქმეზე ჩამოვიდა?

ელიმ უარის ნიშნად თავი გააქნია.

– არა, რალიში დარჩა. მარტო ჩამოვედი.

ნოამ წარბები ასწია. – იცის, აქ რომ ხარ?

ელიმ ისევ გააქნია თავი და, მცირედი პაუზის შემდეგ, დასძინა:

– არა. ვუთხარი, ანტიკვარიატის საყიდლად მივდივარ-მეთქი. ვიცოდი, რომ მაინც ვერ გამიგებდა.

ნოა ქალის პასუხმა ცოტა დააბნია. კარგი, ვთქვათ, მისი აქ ჩამოსვლა და ნოას სანახავად შემოვლა რაღაცნაირად გასაგები იყო მისთვის, მაგრამ საქმროსთვის სიმართლის დამალვა...

– ჩემთვის შენი ამბის სათქმელად აქ ჩამოსვლა რა საჭირო იყო? შეგეძლო, უბრალოდ მოგეწერა, ან დაგერეკა.

– ვიცი. მაგრამ მინდოდა, პირისპირ მენახე და ისე მეთქვა.

– რატომ?

ელი დაიბნა.

– არ ვიცი, – უპასუხა ცოტა ხნის შემდეგ და წინ გაუსწრო. ისე უპასუხა, რომ ნოა მიხვდა, სიმართლეს ეუბნებოდა. უხმოდ განაგრძეს გზა. მხოლოდ ბილიკზე დაყრილი, მათ ფეხქვეშ მოყოლილი კენჭების ხრაშუნი არღვევდა სიჩუმეს. მერე ნოამ ისევ ჰკითხა:

– მითხარი, გიყვარს?

– კი, მიყვარს, – ავტომატურად უპასუხა ქალმა.

პასუხმა ნოას გული ატკინა, მაგრამ მაინც ისეთი გრძნობა დაეუფლა, რომ ელის ხმაში რაღაც უცნაური იგრძნო – თითქოს ამ პასუხით ის საკუთარი თავის დარწმუნებას ცდილობდა. ნოა შეჩერდა, ნაზად მოჰკიდა ქალს მხრებზე ხელები, თავისკენ მოაბრუნა და თვალებში ჩახედა. მისკენ მობრუნებულ ელის ჩამავალი მზის ბოლო სხივები აუკიაფდა უძირო თვალებში.

– ელი, თუ მართლაც ბედნიერი ხარ და მართლაც გიყვარს

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ის კაცი, მაშინ არ შეგაჩერებ... მაგრამ თუ ოდნავ მაინც გეპარება ამაში ეჭვი, მაგას ნუ იზამ. ქორწინება ისეთი რამეა, სანახევრო არაფერი არ უხდება.

ელიმ ამჯერად სხარტად უპასუხა:

– სწორი გადაწყვეტილება მივიღე, ნოა.

ნოა თვალებზე დააკვირდა. უნდოდა მიმხვდარიყო, სიმართლეს ეუბნებოდა, თუ არა. ბოლოს თავი დაუქნია და გზა განაგრძეს. ცოტა ხანში ისევ უთხრა:

– სათქმელი ვერ გაგიადვილე, არა?

ელიმ გაუღიმა.

– არა, რას ამბობ. ჩემი ბრალია ეს ყველაფერი, შენ რა შუაში ხარ...

– მაინც გიხდი ბოდიშს.

– ნუ მებოდიშები. ბოდიშს შენ კი არა, მე უნდა გიხდიდე. ალბათ ჯობდა, წერილში მომეწერა ეს ყველაფერი.

ნოამ თავი გააქნია.

– რომ იცოდე, მაინც ძალიან მიხარია შენი ნახვა.

– დიდი მადლობა.

– როგორ ფიქრობ, ეგებ თავიდან დავიწყოთ ყველაფერი?

ელიმ გაკვირვებით გამოხედა.

– შენზე ახლო მეგობარი არასოდეს მყოლია, ჰოდა სიამოვნებით ვიმეგობრებდი ისევ შენთან; თუნდაც მაშინ, როცა სხვაზე ხარ დანიშნული და თუნდაც ერთი-ორი დღით. მოდი, ეგებ ვცადოთ და ერთმანეთი ხელახლა გავიცნოთ?

ელი ჩაფიქრდა. ვერ გადაეწყვიტა, დარჩენილიყო თუ წასულიყო. ბოლოს იფიქრა, რადგან უკვე იცის, რომ ვთხოვდები, ყველაფერი რიგზე იქნებაო. ნოას ოდნავ გაუღიმა და თავი დაუქნია.

– კარგი, ვსინჯოთ.

– მაშინ, სადილად დაგპატიჟებ. ერთი ადგილი ვიცი, სადაც მთელ ქალაქში ყველაზე უკეთ ამზადებენ კიბორჩხალებს.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– მშვენიერია! აბა სად არის ეგ ადგილი?

– ჩემთან, სახლში. მთელი კვირა მქონდა ბადეები ჩაყრილი და ახლახანს თვალიც შევავლე. ერთი-ორი მშვენიერი კიბორჩხალა უნდა იყოს გაბმული. წინააღმდეგი ხომ არა ხარ?

– არა, რას ამბობ!

ნოამ გაულიმა და თითი ნავსაყუდელისაკენ გაიშვირა:

– აი, იქ არიან, ნაპირთან. სულ ორი წუთი დამჭირდება.

ელი მიმავალ ნოას უყურებდა და გრძნობდა, რომ ის დაძაბულობა, რომელიც მისი ქორწინების ამბის თქმას მოჰყვა, უკვე შენელებულიყო. თვალები დახუჭა და თმა ხელით გაისწორა. მერე გახურებული ლოყები საღამოს სიოს მიუშვირა. ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა და სუნთქვა ცოტა ხნით შეიკავა. მერე, როცა ამოისუნთქა, იგრძნო, რომ კისრის კუნთებიც მოუდუნდა. ბოლოს თვალები გაახილა და თვალწინ გადაშლილ საოცარ სილამაზეს დააკვირდა.

ასეთი საღამოები ყოველთვის უყვარდა; საღამოები, როცა შემოდგომის ფოთლების სუსტი არომატი აქეთ-იქით დაქროდა სამხრეთის ქარზე ამხედრებული. ამ ხეებზეც გიჟდებოდა და მათ მიერ გამოცემულ შრიალზეც. მათი შრიალის ხმა ამშვიდებდა და ირინდებოდა ხოლმე. ცოტა ხნის მერე ნოასკენ გაიხედა და უცხო თვალით დაუწყო შეფასება.

ღმერთო! მთელი ამ წლების შემდეგ, მართლაც შესანიშნავად გამოიყურებოდა.

ელი უყურებდა, როგორ ექაჩებოდა ნოა წყალში ჩაკიდულ ბაწარს. გვიანი საღამოს მიუხედავად, მშვენივრად ხედავდა, როგორ ეჭიმებოდა კუნთები ბადის წყლიდან ამოზიდვისას. ბადე ცოტა ხანს მდინარის თავზე გააჩერა, წყლის ბოლომდე დასაწრეტად. მერე ნაპირზე დააგდო და კიბორჩხალების ამოყვანა დაიწყო. სათითაოდ იღებდა ბადიდან და ვედროში ყრიდა.

ელი ნოასკენ გაემართა და თან ჭრიჭინების ჭრიჭინს

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

უსმენდა. ერთი ბავშვობის დროინდელი თქმულება გაახსენდა: ჰაერის ტემპერატურის გამოსაანგარიშებლად, ჭრიჭინების დაჭრიჭინება უნდა დათვალო და ოცდაცხრა მიუმატოო. ოცდაცამეტი გრადუსი გამოუვიდა. გაელიმა. არ იცოდა, რამდენად ზუსტად გამოთვალა, მაგრამ სიმართლესთან აშკარად ახლოს იყო.

მიდიოდა და გარემოს ათვალიერებდა. ახლაღა მიხვდა, რომ აღარ ახსოვდა, აქაურობა ასეთი ლამაზი თუ იყო. შორს სახლიც მოჩანდა. ნოას რამდენიმე ნათურა უკვე აენთო და ისეთი გრძნობა რჩებოდა, თითქოს ეს ერთადერთი სახლი იყო მთელ იმ არემარეში. ყოველ შემთხვევაში, ერთადერთი იყო, რომელსაც ელექტროგაყვანილობა ჰქონდა. აქ, ქალაქის საზღვრებს მიღმა, ამის გარანტია არავის ჰქონდა; სახლების უმეტესობა საერთოდ არ იყო ელექტრიფიცირებული.

ნავსაყუდელის ფიცარნაგზე შედგა ფეხი და ფეხქვეშ ფიცრები აუჭრიალდა. ფიცრები ისეთ ხმას გამოსცემდნენ, დაჟანგებული საწნახელი რომ გამოსცემს ხოლმე. ნოამ ამოხედა და თვალი ჩაუკრა. მერე ისევ კიბორჩხალებს მიუბრუნდა და საუკეთესოების გადარჩევა დაიწყო. ელი ფიცარნაგზე მდგომ სარწეველა სკამს მიუახლოვდა და საზურგეს ხელით შეეხო. მერე წარმოიდგინა, როგორ იჯდა ხოლმე ნოა ამ სარწეველაში და როგორ თევზაობდა, ფიქრობდა ან კითხულობდა. ძველი სკამი იყო, დრო-ჟამისაგან შელახული. ნეტა რამდენ ხანს ზის ხოლმე ამ სარწეველაში და რაზე ფიქრობსო, დაინტერესდა.

– ეგ მამაჩემის სკამი იყო, – თქვა ნოამ ისე, რომ ელისკენ არც აუხედავს. ელიმ თავი დაუქნია. ცაში ღამურები დაწრიალებდნენ და ჭრიჭინების ჭრიჭინს ახლა უკვე ბაყაყების ყიყინიც ერწყმოდა.

ელიმ ფიცარნაგის მეორე მხარეს გადაინაცვლა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, რომ ღრმა ჭრილობა მოუშუშდა. აქ ჩამოსვლა საშინელმა დაძაბულობამ აიძულა. ბოლო სამი კვირის

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მანძილზე ახლა პირველად გრძნობდა შვებას. ეტყობა, ძალიან სჭირდებოდა, რომ მისი ამბავი ნოას სცოდნოდა, რომ ნოასგან დასტური მიეღო; ამაში უკვე ეჭვი აღარ ეპარებოდა. ამაზე რომ ფიქრობდა, რაღაც გაახსენდა – ის, რამაც იმ ზაფხულს ისინი ერთმანეთის თანაზიარები გახადა. თავი დახარა და ნელ-ნელა გაიარ-გამოიარა ფიცარნაგზე, იმ რაღაცას დაუწყო ძებნა. ბოლოს იპოვა – ერთ-ერთ ფიცარზე ამოკვეთილი გული და შიგნით გაკეთებული წარწერა „ნოა + ელი". ეს წარწერა მისი აქედან გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე ამოკვეთა ნოამ.

მონაბერმა სიომ სიჩუმე დაარღვია და ქალს გვერდით ჩაუქროლა. შეციებულმა ხელები მკერდზე გადაიჯვარედინა. იდგა ასე გულზე დაკრეფილი ხელებით და ხან წარწერას უყურებდა, ხანაც მდინარეს, ვიდრე ნოა არ მიუახლოვდა. ახლა მის სიახლოვეს, მის სითბოს გრძნობდა და ენაც ამოიდგა:

– რა სიმშვიდეა, არა? – თქვა მან მეოცნებე ხმით.

– ჰო. აქ ხშირად ჩამოვდივარ ხოლმე. წყალთან ახლოს ყოფნა ყოველთვის მამშვიდებს.

– შენს ადგილას, ალბათ მეც ასე ვიზამდი. მაგრამ კოღოები ძალიან გაავდნენ და თანაც შიმშილით ვკვდები.

უცებ ცაზე ღრუბლები შეიყარა და ნოა და ელი სახლისკენ გაემართნენ. ელის ფიქრები აეშალა და ბილიკს ცოტა გონებადაფანტული მიუყვებოდა. აინტერესებდა, ნეტა ნოა რას ფიქრობს ჩემს ჩამოსვლაზეო, მაგრამ პასუხს ვერ პოულობდა. სახლს რომ მიაღწიეს, რამდენიმე წუთში კლემიც გამოეგებათ და სველი დრუნჩი ელისკენ გაიშვირა. პატრონმა ძაღლი სასწრაფოდ დატუქსა და ის საწყალი კუდამოძუებული გაბრუნდა უკან.

ნოამ ელის მანქანაზე მიუთითა და ჰკითხა:

– იქ რამე ისეთი ხომ არა გაქვს, რაც შეიძლება მალე დაგჭირდეს?

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– არა, ჩამოსვლისას ამოვალაგე ყველაფერი, – უპასუხა ელიმ. საკუთარი ხმა ეუცნაურა; თითქოს წლები არც გასულიყო.

– ძალიან კარგი, – მიუგო ნოამ და კიბეს აუყვა. ვედრო კართან დადგა, სახლში შევიდა და სამზარეულოს მიაკითხა. სამზარეულო იქვე აღმოჩნდა, მარჯვენა მხარეს. ვრცელი სათავსო იყო და შიგნით ახალდამუშავებული ხის სუნი ტრიალებდა. კარადები და იატაკი მუხისა ჰქონდა, უზარმაზარი ფანჯრები აღმოსავლეთით გადიოდა და დილის მზეს, უთუოდ, უხვად უშვებდა შიგნით. სახლი დიდი გემოვნებით იყო რესტავრირებული; სხვა რესტავრირებული სახლებისაგან განსხვავებით, არავითარი ზედმეტი დეტალი არ ჰქონდა დამატებული.

– შეიძლება, დავათვალიერო?

– რა თქმა უნდა. მე კი ჩანთებს ამოვალაგებ. შენს მოსვლამდე მაღაზიაში ვიყავი და პროდუქტები ჯერაც არ ამომილაგებია.

მათი თვალები წამით ერთმანეთს შეხვდა, და როცა ელი სამზარეულოდან გავიდა, იცოდა, რომ ნოა ჯერ კიდევ დაჟინებით უყურებდა. ღრმად, გულთან, ისევ შეერხა რაღაც.

რამდენიმე წუთი სახლს უვლიდა გარშემო; ოთახიდან ოთახში გადიოდა და ამჩნევდა, რა დიდებულად იყო ყველაფერი გაკეთებული. თვალიერება რომ დაასრულა, მიხვდა, რომ აღარც კი ახსოვდა, რა სავალალო მდგომარეობაში იყო ეს შენობა, როცა პირველად ნახა. ქვედა სართულზე ჩამოვიდა და სამზარეულოსაკენ გაიხედა. ნოას პროფილს მოჰკრა თვალი. წამით ეგონა, ისევ ის ჩვიდმეტი წლის ბიჭიაო, და შემცბარი შედგა.

– ჯანდაბა! – გაიფიქრა ელიმ. – გონს მოდი! ნუ გავიწყდება, რომ სხვაზე ხარ დანიშნული.

ნოა კარადასთან იდგა; რამდენიმე კარადის კარი ღია დაეტოვებინა, ცარიელი ჩანთები ძირს დაეყარა და რაღაცას უსტვენდა. ელის გამოხედა და გაუღიმა. მერე დარჩენილი

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კონსერვის ქილები კარადაში შედგა. ელი სამზარეულოს გამ-ყოფ ტიხარს მიუახლოვდა, იდაყვებით დაეყრდნო და ფეხები გადააჯვარედინა. მერე თავი გაოცებით გადააქნია, ეს რამდენი რამ გაუკეთებიაო.

– პირდაპირ დაუჯერებელია. რამდენი დრო დაგჭირდა ამ ყველაფრის რესტავრაციაზე?

ნოამ ბოლო ჩანთაც დაცალა და მიუგო:

– ერთი წელი.

– თვითონ აკეთებდი თუ ვინმე გეხმარებოდა?

– ბავშვობაში მეგონა, რომ მარტოც მოვახერხებდი, – გაიცინა ნოამ. – ჰოდა დავიწყე კიდეც მარტომ. მაგრამ დროზე მივხვდი, რომ მარტო მთელ ცხოვრებას მოვანდომებდი და ამიტომ მუშები ავიყვანე... კარგა ბევრი მუშა დამჭირდა. მაგრამ მიუხედავად ამდენი დამხმარისა, მაინც ძალიან ბევრი საქმე იყო; შუაღამემდე შეუსვენებლად ვმუშაობდი ხოლმე.

– მერე? ასე რატომ იკლავდი თავს?

„მოჩვენებებისაგან თავდასახსნელადო“, უნდოდა ეპასუხა ნოას, მაგრამ თავი შეიკავა.

– რა ვიცი, აბა. ეტყობა მინდოდა, რომ მალე დამესრულებინა. რამეს ხომ არ დალევ, სანამ სადილს მოვამზადებ?

– რა გაქვს?

– ბევრი არაფერი – ლუდი, ჩაი და ყავა.

– ჩაი იყოს.

ნოამ ცარიელი ჩანთები აკრიფა და კარადაში შეინახა. მერე სამზარეულოს მიმდებარე პატარა ოთახში გავიდა და ჩაის კოლოფით ხელში დაბრუნდა. კოლოფიდან ერთჯერადი ჩაის რამდენიმე ტომსიკა ამოიღო, ღუმელთან დააწყო და ჩაიდანი აავსო. ჩაიდანი ღუმელზე შემოდგა და ასანთს გაჰკრა. ელიმ მაშინვე გაიგონა ალის აგიზგიზების ხმა.

– წუთში ადუღდება, – თქვა ნოამ. – ეს ღუმელი სწრაფად ადუღებს.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ძალიან კარგი.

ჩაიდანმა სტვენა რომ ამოუშვა, ნოამ წყალი ორ ფინჯანში ჩამოასხა, შიგ ჩაის ტომსიკები ჩააწყო და ერთი ფინჯანი ელის გაუწოდა.

ელიმ გაულიმა და ჩაი მოსვა. მერე ფანჯრისკენ გაემართა.

– სანაძლეოს ჩამოვდივარ, ეს სამზარეულო დილის მზეზე კიდევ უფრო ლამაზი იქნება.

ნოამ თავი დაუქნია.

– მართალი ხარ. ამიტომაც ჩავსვი აქეთა მხარეს უფრო დიდი ფანჯრები. ზემოთაც ასეა, საძინებლებში.

– ალბათ შენს სტუმრებსაც ძალიან მოსწონთ. თუ, რა თქმა უნდა, გვიანობამდე ძილი არ უყვართ.

– მართალი გითხრა, სტუმრები ჯერ არ მყოლია. რაც მამა აღარაა, არც კი ვიცი, ღამით დარჩენა ვის შევთავაზო.

ელი ნოას ტონით მიხვდა, რომ ეს ორაზროვანი ნათქვამი არ ყოფილა, უბრალოდ დასმულ კითხვაზე გაცემული პასუხი იყო. მაგრამ ელიმ რატომღაც უცებ საშინელი მარტოობა იგრძნო... ნოა მაშინვე მიუხვდა, რასაც გრძნობდა და, ვიდრე ელი ამ გრძნობას ჩაულრმავდებოდა, საუბრის თემა შეცვალა.

– ახლა კიბორჩხალებს მოვიტან და სანამ ორთქლში მოვხარშავდე, ცოტა მარილწყალსა და ძმარში დავალბობ, – თქვა მან და ფინჯანი ტიხარზე შემოდგა. მერე კარადიდან უზარმაზარი, თავსახურიანი ქვაბი და შესაორთქლი ბადე გამოიღო. ქვაბი წყლით აავსო და ქურაზე შემოდგა.

– რამეში ხომ არ დაგეხმარო?

– კი ბატონო, – მხარგაღმა გამოსძახა ნოამ. – მოდი, ბოსტნეული დაჭერი; მაცივარშია. ჯამიც მანდვეა, დაინახავ.

ნოამ სამზარეულოს ნიჟარასთან გადაინაცვლა, ელიმ კი ერთი ყლუპი ჩაი კიდევ მოსვა, მერე ფინჯანი ტიხარზე შემოდგა და ჯამი აიღო. მაცივარს მიადგა და წიწაკა ბამი, ყაბაყი, ხახვი და სტაფილო გამოიღო ქვედა თაროდან. ნოა გამოღებულ

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კართან შეეჩეხა და ელი გაიწია, მისთვის გზა რომ დაეთმო. ახლოს მოსული ნოას სუნი ეცა, სისუფთავის ნაცნობი და სრულიად გამორჩეული სუნი. მერე მისი მკლავის გახახუნებაც იგრძნო სხეულზე, როცა ნოა დაიხარა და ხელი მაცივარში შეყო. მაცივრიდან ლუდი და ცხარე საწებელა გამოიღო და ისევ ღუმელისაკენ გაემართა.

ნოამ ლუდის ბოთლს თავსახური მოხსნა და ლუდი ქვაბში ჩაცალა. მერე ცოტა საწებელა და რაღაც სუნელები დაუმატა. ქვაბის შიგთავსს კარგად მოურია, და როცა დარწმუნდა, რომ ინგრედიენტები შეაზავა, უკანა კარისაკენ გაემართა კიბორ-ჩხალების მოსატანად.

უკან რომ შემოდიოდა, ცოტა ხანს კართან შეყოვნდა და ბოსტნეულის ჭრაში გართულ ელის მიაჩერდა. ვერაფრით გა-ეგო, რისთვის ჩამოვიდა მასთან ახლა, როცა უკვე სხვა კაცზე იყო დანიშნული. მაგრამ ეს ხომ ელი იყო, მუდამ საოცარი და სიურპრიზებით აღსავსე.

ნოას ჩაეღიმა და ძველი ელი გაახსენდა – მგზნებარე, სპონტანური, ვნებიანი – ზუსტად ისეთი, როგორც ყველა მხატვარი. ელი ნამდვილი მხატვარი იყო, ჭეშმარიტი ნიჭით და-ჯილდოვებული. გაახსენდა, ნიუ-იორკის მუზეუმში ფერწერულ ტილოებს რომ ათვალიერებდა და ფიქრობდა, ელის ნახატები ამათ ბევრად სჯობიაო.

იმ ზაფხულს, გამგზავრებამდე, ელიმ თავისი ნახატი აჩუ-ქა. სასტუმრო ოთახში დაკიდა, ბუხართან. ელი ამბობდა, ამ ტილოზე ჩემი ოცნებები დავხატეო. ნოასთვის ეს სურათი ძა-ლიან ემოციური იყო. როცა კი სურათს შეხედავდა (და სურათს საკმაოდ ხშირად უყურებდა, განსაკუთრებით საღამოობით), ყოველ ხაზსა თუ ფერში ელის სურვილებს ხედავდა. და როცა ძალიან ყურადღებით აკვირდებოდა, იმის წარმოდგენაც კი შეეძლო, თითოეულ დეტალში რა ოცნება და სურვილი იყო ჩაქსოვილი.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნოამ შორიდან ძაღლის ყეფა გაიგონა და უცებ გაიაზრა, რომ საკმაოდ დიდხანს შეყოვნდა ღია კარში. კარი სასწრაფოდ დახურა და სამზარეულოში შევიდა. თან ფიქრობდა, ნეტა ელიმ თუ შენიშნა, დიდხანს რომ შევყოვნდიო.

– აბა, როგორ მიდის ჩვენი საქმე? – ჰკითხა ნოამ, როცა დაინახა, რომ ელი საქმის ბოლოში იყო გასული.

– კარგად. საცაა მოვრჩები. კიდევ რა უნდა ვჭამოთ?

– რა ვიცი, კიდევ შინგამომცხვარი პური მაქვს და ვფიქრობდი, ისიც ვჭამოთ-მეთქი.

– შინგამომცხვარი?

– ჰო. მეზობელმა გამომიცხო, – მიუგო ნოამ და კიბორჩხალებიანი ვედრო ნიჟარაში ჩადგა. ონკანი მოუშვა და კიბორჩხალები გამდინარე წყალს შეუშვირა. სათითაოდ ავლებდა წყალში. კიბორჩხალები ნიჟარაში დაბობღავდნენ, ვიდრე ნოა მათი თანამოძმეების გავლებით იყო დაკავებული. ელიმ თავის ფინჯანს წამოავლო ხელი და ნოას თავზე წამოადგა.

– არ გეშინია, მარწუხები რომ ჩაგჭიდონ?

– არა. თუ ასე ჩაავლებ ხელს, ვერაფერს გიზამენ.

ელის გაეცინა.

– სულ დამავიწყდა, ბავშვობიდან ამას რომ აკეთებ.

– ჰო. ნიუ-ბერნი პატარაა, მაგრამ აქ თუ ცხოვრობ, ყველაფერს დაამუღამებ.

ელი ტიხარს მიეყრდნო და ჩაის სმა განაგრძო. როცა კიბორჩხალები გულდაგულ გაასუფთავა, ქვაბში ჩაყარა და ქვაბი ცეცხლზე შემოდგა, ნოამ ხელები დაიბანა და ელის მოუბრუნდა.

– ეგებ ვერანდაზე გავსულიყავით? ამათ დალბობას ნახევარი საათი მაინც უნდა.

– გავიდეთ.

ნოამ ხელები გაიმშრალა და ელის ვერანდაზე გაუძღვა. ვერანდაზე შუქი აანთო, ქალი ახალ სარწეველაში ჩასვა და

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თვითონ ძველში ჩაესვენა. მერე დაინახა, ელის ფინჯანი რომ გამოეცალა და სამზარეულოში შებრუნდა. მალე ახალი ფინჯანი ჩაით და ლუდის ბოთლით დაბრუნდა. ელის ფინჯანი გაუწოდა და იმანაც ერთი ყლუპი სასწრაფოდ მოსვა, ვიდრე ფინჯანს იქვე მაგიდაზე დადგამდა.

– ამ ვერანდაზე არ იჯექი, როცა ჩამოვედი?

ნოა სკამში გასწორდა და მიუგო:

– ჰო. ყოველ საღამოს ასე ვზივარ ხოლმე. უკვე ჩვევად მექცა.

– არც არის გასაკვირი, – უპასუხა ელიმ და გარემოს კიდევ ერთხელ შეავლო აღფრთოვანებული თვალი. – მითხარი, საერთოდ რას აკეთებ?

– სხვას არაფერს, მხოლოდ ამ სახლს ვაშენებ. სახლის შენება "შემოქმედებით ვნებებს" სავსებით მიკმაყოფილებს.

– და როგორ ახერხებ... ანუ...

– მორის გოლდმანის წყალობით.

– ვისი?

ნოას გაელიმა. ჩემი უფროსი იყო, ჩრდილოეთში. საკუთარ ბიზნესში წილი მომცა, როცა ომში წავედი. იქიდან დაბრუნებულს უკვე გარდაცვლილი დამხვდა. შტატებში რომ ჩამოვედი, მისმა ადვოკატმა კარგა მოზრდილი თანხის ჩეკი გადმომცა. ჰოდა ეს კარმიდამოც ვიყიდე და აღდგენით სამუშაოებზეც მეყო.

ელიმ ჩაიცინა.

– ყოველთვის მეუბნებოდი, რამენაირად მოვახერხებ ამ სახლის ყიდვასო.

სიჩუმე ჩამოვარდა. ორივე მოგონებებში ჩაიძირა. ელიმ ჩაი ისევ მოსვა და თქვა:

– გახსოვს, იმ ღამეს პირველად რომ შემოვიპარეთ აქ და რომ მითხარი, ეს სახლი უნდა დავითრიოო?

ნოამ თავი დაუქნია და ელიმ განაგრძო:

– ძალიან გვიან დავბრუნდი შინ და ჩემი მშობლები გაგიჟებულები დამხვდნენ. ახლაც თვალწინ მიდგას მამაჩემი

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სიგარით ხელში ბოლთას რომ სცემდა სასტუმრო ოთახში, დედაჩემი კი გაქვავებული სახით იჯდა ტახტზე. ისეთი სიტუაცია იყო, გეგონებოდა, ოჯახის რომელიმე წევრი გარდაეცვალათო. მაშინ პირველად მიხვდნენ, რომ ჩვენ შორის რაღაც სერიოზული ხდებოდა და დედა დილამდე ჭკუას მარიგებდა. მეუბნებოდა, ნუ გგონია, რომ ვერ ვხვდები, რასაც გრძნობო. მაგრამ ჩვენი ბედი იმით განისაზღვრება, თუ რანი ვართ, და არა იმით, თუ რა გვინდაო. მახსოვს, მისმა ნათქვამმა ძალიან მატკინა გული.

– ჰო, მეორე დღესვე მომიყევი ეგ ამბავი და ჩემზეც ძალიან იმოქმედა. შენი მშობლები ძალიან მომწონდა და წარმოდგენა არა მქონდა, რომ იმათ არ მოვწონდი.

– არა, როგორ არ მოსწონდი. უბრალოდ თვლიდნენ, რომ ჩემი ღირსი არ იყავი.

– ეგ იგივეა, დიდ სხვაობას ვერ ვხედავ.

ელიმ ნოას ხმაში სევდა და წყენა იგრძნო და მიხვდა, რომ ეს მართლაც მტკივნეული იყო მისთვის. სახეზე ჩამოყრილი თმა გაისწორა და ვარსკვლავებს ახედა.

– მართალი ხარ. არც მაშინ მესმოდა დედაჩემის და არც ახლა. დღემდე არ გამომდის მასთან გულწრფელი საუბარი.

– ახლა რას ფიქრობ ამ საკითხზე?

– აზრი არ შემიცვლია. ეს ყველაფერი საშინელი უსამართლობაა... და საერთოდ, საზიზღრობაა, როდესაც ახალგაზრდა გოგოს ასწავლი, რომ სოციალური სტატუსი უფრო მნიშვნელოვანია ცხოვრებაში, ვიდრე გრძნობა.

ნოას მის პასუხზე სევდიანად გაეღიმა, მაგრამ კომენტარისაგან თავი შეიკავა.

– იმ ზაფხულიდან მოყოლებული, სულ შენზე ვფიქრობდი, – უთხრა ქალმა.

– მართლა?

– ჰო. რატომ გიკვირს? – გაოცებით იკითხა ელიმ.

– არც ერთ წერილზე არ მიპასუხე და იმიტომ.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– წერილებს მწერდი?

– ათასობით წერილი მოგწერე. ორი წელი გაბმით გწერდი, მიუხედავად იმისა, რომ ერთი პასუხიც არ მიმიღია.

ელიმ თავი გადააქნია და თვალები დახარა.

– წარმოდგენა არ მქონდა, ნამდვილად არ ვიცოდი... – ძალიან ჩუმად თქვა მან და ნოა მიხვდა, რომ ელის კორესპოდენციას დედამისი ქექავდა და ნოას წერილებს არ აჩვენებდა. სხვათა შორის, ნოა ამას მაშინაც ეჭვობდა. ახლა იმაშიც დარწმუნდა, რომ ელისთვისაც ნათელი გახდა ყველაფერი.

– დედაჩემს ეს არაფრით არ უნდა ექნა, ნოა... ძალიან ვწუხვარ, ასე რომ მოხდა. მაგრამ უნდა რამენაირად გაუგო. აქედან რომ წავედით, ეტყობა იფიქრა, რომ ჩემთვის აჯობებდა, თუ ყველაფერს დავივიწყებდი. დედაჩემი ვერ ხვდებოდა, შენ ჩემთვის რა იყავი. ისიც კი არ ვიცი, მამაჩემი ოდესმე ისე თუ ჰყვარებია, როგორც მე მიყვარდი. თავისი ჭკუით, ჩემი დაცვა უნდოდა და ეგონა, რომ წერილების დამალვა ამის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება იყო.

– ჰო, მაგრამ ეს მისი საქმე არ იყო; ეს შენ თვითონ უნდა გადაგეწყვიტა.

– ვიცი.

– შენ რომ ჩემი წერილები მიგელო, რამე შეიცვლებოდა?

– რა თქმა უნდა. სულ იმას ვდარდობდი, რა მოხდა-მეთქი.

– მაგას არ ვგულისხმობ. ჩვენს შორის ახლა სხვაგვარად იქნებოდა საქმე?

ელიმ მაშინვე ვერ გასცა პასუხი. ცოტა დაფიქრდა და მერელა უთხრა:

– არ ვიცი. მართლა არ ვიცი, ნოა. ჩვენ ორივე შევიცვალეთ, სხვა ადამიანები გავხდით. გავიზარდეთ.

ნოამ ამაზე არაფერი უპასუხა. ელიმ მდინარეს გახედა და თვალი გაუშტერდა. ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ, მოულოდნელად დასძინა:

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– იცი, ალბათ ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა. ყოველ შემთხვევაში, მინდა ვიფიქრო, რომ აუცილებლად სხვაგვარად იქნებოდა.

ნოამ თავი დაუქნია. მერე თვალები დახარა და გვერდით გაიხედა.

– მითხარი, ლონი როგორია?

ელი ამ კითხვას აშკარად არ ელოდა და ცოტა დაიბნა. ლონის ხსენებამ დანაშაულის გრძნობა განუახლა და აღარ იცოდა, ნოასთვის რა ეთქვა. მერე ფინჯანს წამოავლო ხელი, ჩაი მოსვა და შორს, ტყეში, კოდალას ხეზე გაცხარებულ კაკუნს მიუგდო ყური. ბოლოს, როგორც იქნა, ხმა ამოიღო.

მშვიდად და აუღელვებლად ლაპარაკობდა:

– ლონი ძალიან ლამაზია, მომხიბლავი და წარმატებულია. ყველა ჩემს მეგობარს შურს ჩემი. მიაჩნიათ, რომ აბსოლუტურად სრულყოფილია. სხვათა შორის, ალბათ ასეც არის. ძალიან კეთილი ადამიანია, ბევრს მაცინებს, და ისიც ვიცი, რომ თავისებურად ვუყვარვარ კიდეც.

წამით გაჩუმდა, აზრების მოკრებას ცდილობდა. – მაგრამ ჩვენს ურთიერთობაში ყოველთვის იქნება რაღაც უკმარობა.

საკუთარმა ნათქვამმა, ცოტა არ იყოს, გააოცა კიდეც, მაგრამ იგრძნო, რომ სიმართლე თქვა. ნოას რომ გახედა, იმასაც მიხვდა, რომ ის სწორედ ასეთ პასუხს ელოდა მისგან.

– რატომ?

ელიმ ოდნავ გაუღიმა და მხრები აიჩეჩა. მერე თითქმის ჩურჩულით დააყოლა:

– ალბათ იმიტომ, რომ მე ისევ ისეთ გრძნობას ვეძებ, ჩვენ შორის რომ იყო იმ ზაფხულს.

ნოა ამ პასუხმა კარგა ხნით ჩააფიქრა. იმ ურთიერთობებზე ფიქრობდა, რომლებიც თავად ჰქონია სხვა ქალებთან ელის მერე.

– შენზე რას მეტყვი? შენ გიფიქრია ჩვენზე?

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– სულ ვფიქრობდი და ახლაც ვფიქრობ.

– ვინმეს ხვდები?

– არა, – უპასუხა ნოამ და თავი გააქნია.

ორივეს ეტყობოდა, რომ ისევ ამ თემაზე ფიქრობდნენ. ცდილობდნენ, არ ეფიქრათ, მაგრამ არაფერი გამოსდიოდათ. ნოამ ლუდის ბოთლს დახედა და გაუკვირდა, ასე სწრაფად როგორ გამოვცალეო.

– წავალ, კიბორჩხალებს მივხედავ. ხომ არაფერი წამოგიღო?

ელიმ უარის ნიშნად თავი გააქნია. ნოა სამზარეულოში შევიდა, კიბორჩხალები ბადეზე დააწყო, ბადე წყლიან ქვაბში ჩაკიდა და პური გასაცხელებლად ღუმელში შეაგდო. მერე ბოსტნეული პურის ფქვილსა და სიმინდის საფანელში ამოავლო და ცხიმიან ტაფაზე დაყარა. ღუმელი ჩართო, საჭირო ტემ-პერატურასა და დროზე დააყენა და მაცივრიდან ლუდი გა-მოიღო. სანამ ასე საქმიანობდა, ელიზე და იმ სიყვარულზე ფიქრობდა, რომელიც ორივეს ასე ძალიან აკლდა ცხოვრებაში.

ელიც ფიქრობდა. ფიქრობდა ნოაზე, საკუთარ თავსა და ათას სხვა რამეზე. ერთი წამით ისიც კი მოუნდა, ნეტა და-ნიშნული არ ვიყოო, მაგრამ იქვე გაკიცხა საკუთარი თავი ამ გიჟური სურვილისათვის. იცოდა, რომ ნოა კი არ უყვარდა, ის გრძნობა უყვარდა, ერთ დროს რომ განიცდიდა მის მიმართ. თანაც ნოა მისთვის პირველი სიყვარული და პირველი მამაკაცი იყო და რა გასაკვირი იყო, თუ ვერ ივიწყებდა?

მაგრამ ნოას ყოველ მოახლოებაზე ცუდად რომ ხდებოდა და მთელი სხეული ეჭიმებოდა, ეგ რაღა იყო? განა უცნაური არ იყო, რომ ნოას ისეთ რამეებს ეუბნებოდა, რასაც სხვას არასოდეს ეტყოდა? ანდა თუნდაც ის ფაქტი როგორ უნდა აეხსნა, რომ ქორწილამდე სამი კვირით ადრე მასთან ჩამოენთო?

– ნამდვილად უცნაურია, – დაიჩურჩულა თავისთვის და საღამოს ცას გახედა. – ეს ყველაფერი ძალიან უცნაურია.

ამ დროს ნოაც დაბრუნდა ვერანდაზე და ელიმ გაუღიმა.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გაუღიმა, რადგანაც მისი დაბრუნება, რაც მასზე ფიქრის შეწყვეტას ნიშნავდა, ძალიან გაუხარდა.

– სულ რამდენიმე წუთიც და მზად იქნება, – აღნიშნა ნოამ და დაჯდა.

– ნუ ღელავ, მართლა ეგეთი მშიერი კი არა ვარ.

ნოამ გამოხედა და ელიმ მის თვალებში უზომო სინაზე დაინახა.

– ძალიან მიხარია, რომ ჩამოხვედი, ელი, – უთხრა მან.

– მეც. მაგრამ ერთი პირობა კინაღამ გადავიფიქრე.

– მაინც, რატომ ჩამოხვედი, ელი?

„დავიტანჯე და იმიტომ“, უნდოდა ეპასუხა ელის, მაგრამ თავი შეიკავა.

– შენს სანახავად. მაინტერესებდა, როგორ იყავი და რას აპირებდი.

ნოა ფიქრობდა, მარტო ეგ არ იქნებოდაო, მაგრამ აღარაფერი უკითხავს. უბრალოდ თემა შეცვალა.

– შენ ეს მითხარი, კიდევ ხატავ?

ელიმ უარის ნიშნად თავი გააქნია. – არა, აღარ ვხატავ.

ნოა გაოგნდა.

– რატომ მერე? შენ ხომ ძალიან ნიჭიერი ხარ!

– რა ვიცი, აბა...

– როგორ არ იცი. რამე მიზეზით შეწყვიტე?

– გრძელი ამბავია.

– მთელი ღამე მცალია და სიამოვნებით მოგისმენ.

– მართლა გგონია, რომ ნიჭიერი ვარ?

– კარგი რა, – უპასუხა ნოამ და ხელი დაუჭირა. – წამოდი, რაღაც მინდა გაჩვენო.

ელი წამოდგა და ნოას სასტუმრო ოთახში გაჰყვა. ნოა ბუხართან შეჩერდა და იმ სურათზე მიუთითა, ბუხრის თავზე რომ ეკიდა. ელის გაკვირვების შეძახილი აღმოხდა, რადგანაც ახლაღა შენიშნა ის, რაც ოთახების დათვალიერებისას ყურად-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ღებიდან გამორჩენოდა. მაგრამ იმან უფრო გააოცა, ეს სურათი აქ რომ დახვდა.

– ნუთუ შეინახე?

– აბა რას ვიზამდი? ვგიჟდები ამ სურათზე. ბრწყინვალე ნამუშევარია!

ელიმ სკეპტიკურად გახედა და ნოამ თავის მართლება დაიწყო:

– ამ სურათს რომ ვუყურებ, ვგრძნობ, რომ ცოცხალი ვარ. ზოგჯერ ვუახლოვდები და ხელითაც კი ვეხები. ნახე, როგორი ცოცხალი და ნამდვილია – ეს ფორმები, ეს ფერები, ეს ჩრდილები... ხანდახან ეს სურათი მესიზმრება კიდეც. გასაოცარია, ელი, არა? იცი, საათობით შემიძლია ამ სურათის ყურება.

– სერიოზულად ამბობ? – იკითხა განცვიფრებულმა ქალმა.

– სრულიად სერიოზულად!

ელიმ ამაზე აღარაფერი უპასუხა.

– ახლა არ მითხრა, რომ მე შენი ნიჭის ერთადერთი დამფასებელი ვარ. ნუთუ ჩემ გარდა შენთვის არავის არაფერი უთქვამს?

– კი, ჩემმა პროფესორმა მითხრა, – ამოღერღა ელიმ. – მაგრამ, ეტყობა, არ დავუჯერე.

ნოა მიხვდა, რომ საქმე ასე მარტივად არ იქნებოდა. ელიმ გვერდით გაიხედა და დასძინა:

– ბავშვობიდან ვხატავდი. როცა წამოვიზარდე, იმასაც კი ვფიქრობდი, რომ ხატვა აშკარად მეხერხება-მეთქი. ხატვა ყოველთვის ძალიან მიყვარდა. მახსოვს, იმ ზაფხულს, ამ ტილოს ხატვა რომ დავიწყე, ვერა და ვერ დავასრულე; ყოველდღე რაღაც ახალს ვუმატებდი იმისდა მიხედვით, ახალი რა ხდებოდა ჩვენს ურთიერთობაში. ისიც კი არ ვიცი, რით დავიწყე და რის დახატვას ვაპირებდი თავიდან, მაგრამ ამით კი დასრულდა. მერე, აქედან რომ წავედი, ხატვა არ შემიწყვეტია;

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ხატვა მჭირდებოდა, რადგანაც ეს ტკივილის ჩახშობის ერთადერთი საშუალება იყო. მოკლედ, კოლეჯში ჩავაბარე და ძირითად საგნად ფერწერა ავირჩიე. მახსოვს, საათობით ვიჯექი სტუდიაში მარტო და ვხატავდი. ხატვა საოცარ სიამოვნებას მანიჭებდა, სრულ თავისუფლებას ვგრძნობდი. მინდოდა, რამე მშვენიერი შემექმნა. ბოლოს, როცა კოლეჯს ვამთავრებდი, ჩემი პედაგოგი ჩემი სადიპლომო ნაშრომის რეცენზენტიც აღმოჩნდა. იმან მითხრა, პროფესიონალურ მხატვრობაში უნდა მოსინჯო ბედი, ძალიან ნიჭიერი ხარო, მაგრამ ყური არ დავუგდე მის რჩევას.

ცოტა ხანს გაჩუმდა, რაღაცას იხსენებდა და აზრებს იკრებდა.

– ჩემმა მშობლებმა გადაწყვიტეს, რომ ჩემი სტატუსის ქალს პროფესიონალ მხატვრად ჩამოყალიბება არ შეეფერებოდა. ჰოდა მეც შევწყვიტე ამაზე ფიქრი. უკვე მრავალი წელია, ფუნჯი აღარ ამიღია ხელში.

ისევ ნახატს მიაჩერდა.

– როგორ გგონია, ოდესმე ისევ დაიწყებ ხატვას?

– არა მგონია. ალბათ ვეღარ შევძლებ. იმდენი წელი გავიდა, რომ...

– მაგას რა მნიშვნელობა აქვს? დარწმუნებული ვარ, მშვენივრადაც შეძლებ. შენი ნიჭი შენი სულის თვისებაა, ხელის გავარჯიშების შედეგი კი არ არის. ასეთი ნიჭი არ იკარგება ხოლმე. ასეთ ნიჭზე სხვა ადამიანები ოცნებობენ. შენ ნამდვილი მხატვარი ხარ, ელი!

ნოა ისე გულწრფელად ამბობდა ამას, რომ ელი მიხვდა, ეს უბრალოდ მის საამებლად ნათქვამი ქათინაური არ იქნებოდა. ნოას გულწრფელად სჯეროდა მისი ნიჭისა და, რატომღაც, ამას ელისათვის უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე ოდესმე წარმოიდგენდა. მაგრამ ამით კიდევ რაღაც მოხდა; რაღაც უფრო მნიშვნელოვანი...

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ელიმ დანამდვილებით არ იცოდა, რა მოხდა და რატომ მოხდა, მაგრამ ერთი კია, რომ რაღაც მოხდა. იმ უფსკრულმა, რომელიც მან საკუთარ ცხოვრებაში ტკივილსა და სიამოვნებას შორის გათხარა, უცებ პირი შეიკრა. იქვე იგრძნო, რომ ახლა რაღაც ძალიან მნიშვნელოვანზე ხუჭავდა თვალს.

ნოას რომ მიუბრუნდა, ჯერ კიდევ არ ჰქონდა ყველაფერი გააზრებული. მიუბრუნდა და ხელი მოჰკიდა, გაუბედავად, ნაზად, გაოცებულმა, რომ ამდენი წლის მერე, ნოა ისევ საოცარი სიზუსტით ხვდებოდა, რის მოსმენა სჭირდებოდა ელის. მერე, როცა თვალებში ჩახედა, კიდევ ერთხელ იგრძნო, როგორ ეძვირფასებოდა ეს ადამიანი.

და უცებ, სულ ერთი წამით... არა, წამის მეასედით - ზუსტად იმდენი ხნით, პატარა ფარვანები რომ დაეკიდებიან ხოლმე ზაფხულის ცაზე – გაიფიქრა, ნეტა ისევ ხომ არ მიყვარსო.

სამზარეულოში ტაიმერმა დაიწკაპუნა. ნოა იძულებული გახდა ამდგარიყო და გაეწყვიტა ის მშვენიერი წამი, რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი რომ ხდებოდა. ელის თვალები ჩურჩულით ეუბნებოდნენ იმას, რის გაგონებაც ასე ძალიან ენატრებოდა. მაგრამ მისივე ხმა, მისი სიტყვები, რომ სხვა კაცი უყვარდა, კვლავაც ზარივით ჩაესმოდა ყურში და მოსვენებას არ აძლევდა. ტაიმერს გულში შეუკურთხა, სამზარეულოში შევიდა, ქურა გამორთო და პური ღუმელიდან გამოიღო. გონებაარეულმა თითები საშინლად დაიწვა და პური დახლზე დაუვარდა. სიმწრით რაღაც წაიბურტყუნა, ბოსტნეულის ტაფას ცხიმი დაუმატა, მაცივრიდან კარაქი გამოიღო, ცოტა პურს გადაუსვა და ცოტაც – კიბორჩხალებისათვის დაადნო.

ელი სამზარეულოში შევიდა, ჩაახველა, ყელი ჩაიწმინდა და ჰკითხა:

– სუფრა ხომ არ გავშალო?

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– კი, კარგი იქნება, – უპასუხა ნოამ და პურის საჭრელი დანით, ხელში რომ ეჭირა, კარადებისაკენ მიუთითა:

– თეფშები, აი, იქ არის, ხელსახოცები კი – იქით. კიბორჩხალების ამბავი ხომ იცი, ხელსახოცი ბევრი დაგვჭირდება.

ელის ელაპარაკებოდა, მაგრამ მისკენ ვერ იხედებოდა. ეშინოდა, ვაითუ მოვტყუვდი იმაში, რაც ახლახან ვიგრძენიო. ძალიან არ უნდოდა, რომ მოტყუებულიყო.

ელიც იმ წამსა და იმ თბილ გრძნობაზე ფიქრობდა, რომელიც ეწვია. ნოას ნათქვამ სიტყვებს გონებაში გაუთავებლად ატრიალებდა და თან სუფრას შლიდა – ხელსახოცებს, ქვაბისა და ტაფის სადგარებს, თეფშებს, დანა-ჩანგალს, მარილსა და პილპილს აწყობდა მაგიდაზე. ნოამ პური გადმოაწოდა და თითებით ოდნავ შეეხნენ ერთმანეთს. მერე ყურადღება ტაფაზე გადაიტანა და ბოსტნეულს ამოურია. ქვაბს თავსახური მოხადა და კიბორჩხალებს ჩახედა. ცოტა კიდევ აკლდა და თავსახური უკანვე დაახურა. ამასობაში თავიც აიყვანა ხელში და ლაპარაკი განაგრძო.

– კიბორჩხალები ადრეც ხომ გიჭამია?

– კი, რამდენჯერმე, ოღონდ მხოლოდ სალათებში.

ნოას გაეცინა. – მაშინ ჩავთვალოთ, რომ მაგარ ავანტიურაში ხარ გახვეული. ერთი წუთით მაცალე.

ზედა სართულზე ავიდა და მუქი ლურჯი პერანგი ჩამოიტანა. პერანგს ღილები შეხსნა და ელის გაუწოდა.

– აი ეს გამომართვი და მოიცვი. არ მინდა, ეგ ლამაზი კაბა დაილაქაო.

ელიმ მორჩილად მოიცვა პერანგი და ნოას სუნი შეისუნთქა; მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, ბუნებრივი სისუფთავის განუმეორებელი სურნელი.

– ნუ ღელავ, სუფთაა, – აღნიშნა ნოამ, რომელმაც ქალის დაძაბული გამომეტყველება შენიშნა.

ელის გაეცინა. – ვიცი. უბრალოდ ჩვენი პირველი პაემანი გამახსენდა. მაშინ შენი ქურთუკი მომახურე, გახსოვს?

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნოამ თავი დაუქნია. – მახსოვს. ფინთან და სარასთან ერთად ვიყავით. შენ რომ გაცილებდით, ფინი მთელი გზა მუჯლუგუნებს მკრავდა; უნდოდა, ხელი მომეკიდა შენთვის.

– მაგრამ არ მომკიდე.

– არა, – უპასუხა ნოამ და თავი გააქნია.

– რატომ არ მომკიდე?

– რა ვიცი. ალბათ მრცხვენოდა, ან მეშინოდა. მოკლედ, ვფიქრობდი, რომ ამის გაკეთება მაშინ სწორი არ იქნებოდა.

– სიტყვამ მოიტანა და, ძალიან მორცხვი ბიჭი კი იყავი.

– უფრო სწორად, მშვიდი და გაწონასწორებული, – ღიმილით უპასუხა ნოამ და თვალი ჩაუკრა.

ამასობაში მათი სადილიც გამზადდა და ნოამ ქვაბი და ტაფა სუფრაზე გადმოდგა. – ფრთხილად, ძალიან ცხელია, იცოდე! – გააფრთხილა ელი და ორივენი სუფრას მიუსხდნენ, ერთმანეთის პირისპირ. ელის გაახსენდა, რომ ჩაი ტიხარზე დარჩა შემოდგმული, ჰოდა ადგა და ფინჯანი მოიტანა. ნოამ ელის პური და ბოსტნეული გადმოულო თეფშზე და ერთი კიბორჩხალაც გვერდით მიუდო. წუთით ელი დაბნეული დაჰყურებდა საკუთარ თეფშს.

– რაღაც, ხოჭოს ჰგავს.

– მაგრამ კარგი და ძალიან გემრიელი ხოჭოა. აი, ასე უნდა ჭამო, – უპასუხა ნოამ და მეთოდის დემონსტრირება დაიწყო. სწრაფად და მარჯვედ ხმარობდა ხელებს, ხორცს უდანაკარგოდ იღებდა ფეხებიდან და ელის თეფშზე უწყობდა. ელის ოსტატობა აკლდა. ფეხები უშნოდ ემტვრეოდა და იძულებული ხდებოდა, ხორცი თითებით გამოეფხიკა. ძალიან მოუხერხებლად ირჯებოდა და, ყოველი მორიგი შეცდომის დაშვებისას, ნოასი ძალიან რცხვენოდა. მაგრამ მერე მიხვდა, რომ ტყუილად განიცდიდა; ნოა მის ასეთ შეცდომებს არასოდეს აქცევდა ყურადღებას; არც ადრე და არც ახლა.

– ერთი მითხარი, ფინი რას შვრება, როგორ არის?

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ომში დაიღუპა. მისი გამანადგურებელი ორმოცდასამში ჩამოაგდეს.

– ღმერთო ჩემო, ძალიან ვწუხვარ! ვიცი, შენი ახლო მეგობარი იყო.

ნოას ხმა ოდნავ გაებზარა.

– ჰო. ფინზე ბევრს ვფიქრობ. განსაკუთრებით ჩვენი ბოლო შეხვედრა მახსენდება. ომში წასვლამდე შინ დავბრუნდი, მამასთან დასამშვიდობებლად, და სწორედ მაშინ ვნახე ბოლოს. ადგილობრივ ბანკში მუშაობდა, მამამისივით. მთელი კვირა ერთად ვიყავით. ზოგჯერ მგონია, რომ ჩემი ბრალია, ომში წასვლაზე მე შევაგულიანე. მე რომ არ წავსულიყავი, არც ის წავიდოდა.

– ეგრე ნუ ფიქრობ, შენი რა ბრალია, – მიუგო ელიმ. აშკარად წუხდა, რომ ფინის თემა წამოჭრა.

– ალბათ მართალი ხარ. უბრალოდ ძალიან მენატრება და...

– ფინი ძალიან მომწონდა, სულ მაცინებდა ხოლმე.

– ჰოოო, ეგ ნამდვილად ეხერხებოდა.

– იცოდი, რომ უშნოდ მეტორღიალებოდა? – ეშმაკური ღიმილით ჰკითხა ელიმ.

– კი. თვითონ მითხრა.

– მართლა? რაო, რა გითხრა?

ნოამ მხრები აიჩეჩა. – რასაც ჩვეულებრივ ამბობდა ხოლმე: ელი ისე მიტევს, ლამის ჯოხით მოვიგერიოო; მოსვენებას არ მაძლევს, სულ კუდში დამდევსო და რაღაც ეგეთები.

ელის გაეცინა. – მერე დაუჯერე?

– აბა რა, რატომ არ უნდა დამეჯერებინა?

– რა აუტანლები ხართ ეს კაცები! – შესძახა ელიმ და მკლავზე დასწია. – აბა, ახლა შენი ამბები მომიყევი. იმ დღიდან მოყოლებული მომიყევი, რაც აქედან წავედი.

ძალიან ბევრი ისაუბრეს, თითქოს დაკარგული წლების ანაზღაურებას ცდილობდნენ. ნოა უყვებოდა, როგორ გაემ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გზავრა ნიუ-ბერნიდან, როგორ მუშაობდა გემთსაშენსა და ჯართის შემგროვებელ პუნქტში. სიყვარულით იხსენებდა მორის გოლდმანს და ცოტა ომის ამბებსაც შეეხო, თუმცა დეტალებს მაინც ერიდებოდა. მერე მამაზეც მოუყვა; გამოუტყდა, ძალიან მენატრებაო. ელი კოლეჯის ამბებს უყვებოდა, ჰოსპიტალში მოხალისედ მუშაობის წლებზე უამბობდა. ოჯახზე და მეგობრებზე ესაუბრებოდა და ყველა იმ საქველმოქმედო აქციაზე, რომელშიც კი ოდესმე მონაწილეობა მიუღია. საკუთარი სასიყვარულო თავგადასავლები არც ერთს არ უხსენებია. თვით ლონზეც კი არაფერი თქმულა და, თუმცა ეს დეტალი ორივემ შენიშნა, ამ თემაზე კითხვები არც ერთს არ დაუსვამს.

მოგვიანებით ელი ცდილობდა გაეხსენებინა, მას და ლონს თუ უსაუბრიათ ოდესმე ასე გულითადად. მიუხედავად იმისა, რომ ლონმა კარგი მოსმენა იცოდა და თითქმის არასდროს ეკამათებოდა, იმ ტიპის კაცი მაინც არ იყო, ასეთ საკითხებზე დიდხანს რომ ალაპარაკებდი. ელის მამისა არ იყოს, არც მას უყვარდა საკუთარი აზრებისა თუ გრძნობების სხვებისათვის გამჟღავნება. ელი მუდმივად ცდილობდა, როგორმე აეხსნა მისთვის, რომ უფრო ახლოს უნდა ყოფილიყვნენ ერთმანეთთან, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა.

ახლა, აქ რომ იჯდა და საუბრობდნენ, კარგად ხვდებოდა, რაც აკლდა მთელი ეს ხანი.

სავსებით ჩამობნელდა და მთვარე უკვე კარგა მაღლიდან დასცქეროდათ თავზე. არც ერთს არ გაუცნობიერებია, მაგრამ მათი სიახლოვე თანდათან ბოლომდე აღდგა; ისევ ისეთი ახლობლები გახდნენ, როგორც ოდესღაც, დიდი ხნის წინ.

***

სადილი მოამთავრეს და ორივე გვარიანად დანაყრდა. ახლა უკვე ბევრს აღარ საუბრობდნენ. ნოამ საათს დახედა და მიხვდა, რომ უკვე გვიანი იყო. ცა ვარსკვლავებით მოჭედილიყო და

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჭრიჭინებიც შედარებით მიყუჩებულიყვნენ. ძალიან კმაყოფილი იყო ელისთან საუბრით, თუმცა შიშობდა, ძალიან ბევრი ხომ არ ვიქაქანეო; თანაც ძალიან აინტერესებდა, ელის რა შთაბეჭდილება დარჩა მის ცხოვრებაზე და როგორ იმოქმედა მისმა მონათხრობმა – დადებითად თუ უარყოფითად.

ნოა წამოდგა და ჩაიდანი კვლავ ქურაზე შემოდგა. თეფშები და სხვა ჭურჭელი ერთად ჩაალაგეს ჭურჭლის სარეცხ ნიჟარაში და მაგიდაც ერთად აალაგეს. მერე ნოამ ორივესთვის დაასხა თითო ჭიქა ჩაი და ფინჯნები მაგიდაზე დააწყო.

– ეგებ ვერანდაზე გავსულიყავით? – ჰკითხა ელის და ფინჯანი მიაწოდა. ელი დაეთანხმა და თავად გაუძღვა ნოას ვერანდისაკენ. ნოამ პლედს წამოავლო ხელი, ელის არ შესცივდესო, და მალე ისევ თავთავიანთ სარწეველებში ირწეოდნენ. ნოამ ელის მუხლებზე პლედი გადააფარა და თან თვალი მისკენ გააპარა. ღმერთო, რა ლამაზიაო, ფიქრობდა და გულში საშინელ ტკივილს გრძნობდა, რადგანაც სადილობისას კიდევ რაღაც მოხდა; რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი.

ნოას ელი ხელახლა შეუყვარდა. მის გვერდით იჯდა და ამაში ეჭვი საერთოდ აღარ ეპარებოდა. ახლა უკვე ახალი ელი უყვარდა, და არა მისი ხსოვნა.

თუმცა ელი ყოველთვის და ყველანაირი უყვარდა. ერთი წამითაც არ გაციებულა მის მიმართ, ესეც მშვენივრად იცოდა. ისიც იცოდა, რომ ეს ქალი მისი ბედისწერა იყო.

– მშვენიერი საღამო გამოვიდა, – თქვა მან სინაზით აღსავსე ხმით.

– ჰო, – დაეთანხმა ქალი, – შესანიშნავი.

ნოამ ცაზე მოციმციმე ვარსკვლავებს გახედა და გაახსენდა, რომ ელი მალე წავიდოდა. საშინელი სიცარიელე იგრძნო. ეს ის ღამე იყო, რომლის გათენებაც არაფრით არ უნდოდა. რა უნდა ეთქვა ელისათვის? როგორ უნდა ეიძულებინა დარჩენა?

არ იცოდა. არ იცოდა და ამიტომაც გადაწყვიტა, საერთოდ

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

არაფერი ეთქვა. თუმცა გრძნობდა, რომ ეს აშკარა მარცხი იქნებოდა.

სარწეველები მშვიდ და თანაბარ რიტმში ირწეოდნენ. გზისპირა მდინარეს ღამურები დასტრიალებდნენ და პარმაღის ნათურას ფარვანები ეტმასნებოდნენ. ნოამ იცოდა, რომ სადღაც, უთუოდ, ბედნიერი წყვილებიც ესიყვარულებოდნენ ერთმანეთს.

– რამე მითხარი, – უთხრა ელიმ გრძნობამორეული ხმით, თუ, რა თქმა უნდა, ნოას საკუთარი ყური და ინტუიცია არ ატყუებდა.

– რა გითხრა?

– უბრალოდ მელაპარაკე, როგორც მაშინ მელაპარაკებოდი ხოლმე, მუხის ძირას.

და ნოამ ლექსების კითხვა დაიწყო. იმ ლექსებს უკითხავდა, ღამეს რომ ასხამდნენ ხოტბას. უიტმენსა და ტომასს უკითხავდა, იმიტომ რომ მათი ხატოვანება უყვარდა; ტენისონსა და ბრაუნინგსაც უკითხავდა, რადგანაც მათი პოეტური თემები მის სულისთქმას ეხმიანებოდა.

ელიმ თავი სარწეველას ზურგს მიეყრდნო, თვალები დახუჭა და, როცა ნოამ ლექსების თქმა დაასრულა, თავს თბილად და უაღრესად კომფორტულად გრძნობდა. ლექსების გამო იყო ასე, თუ ნოას ხავერდოვანი ხმის გამო, არ იცოდა; ალბათ უფრო ორივემ ერთად იმოქმედა მასზე, ანდა ყველაფერმა ერთად. ეს „ყველაფერი" უფრო ტევადი ცნება აღმოჩნდა, ვიდრე მარტივად შესაკრებთა ჯამი. ამ „ყველაფრის" დაყოფა და დაწვრილმანება არც უნდოდა, იმიტომ რომ ასეთ მოსმენას აზრი აღარ ექნებოდა. ლექსები, – ფიქრობდა ელი, – იმისთვის ხომ არ იწერება, რომ მათი ზემოქმედება ანალიზს დაუქვემდებაროო; პოეზია იმისთვის იქმნება, რომ ადამიანების სულს შეეხოს, ყოველგვარი გაცნობიერებული მიზეზის გარეშე.

ნოას გამო ელი ინგლისური ენისა და ლიტერატურის დეპარტამენტის მიერ მოწყობილ პოეზიის საღამოებსაც კი ესწრებოდა კოლეჯში. იჯდა ხოლმე და უსმენდა, როგორ კი-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თხულობდნენ ადამიანები უამრავი სხვადასხვა პოეტის ლექსებს. მაგრამ მალევე შეწყვიტა ეს წამოწყება, რომელიც მასზე ვერანაირ ემოციურ ზეგავლენას ვერ ახდენდა. გამომსვლელთაგან არავინ იყო პოეზიით ისეთი შთაგონებული, როგორიც პოეზიის ჭეშმარიტი მცოდნე და დამფასებელი უნდა ყოფილიყო.

ნოა და ელი მშვიდად ირწეოდნენ თავ-თავიანთ სარწეველებში და ჩაის წრუპავდნენ. ის ნერვული დაძაბულობა, რომელმაც ელი აქ ჩამოიყვანა, სადღაც გამქრალიყო და ელის ეს ამბავი ძალიან ახარებდა. მაგრამ ის გრძნობა, რომელმაც ეს დაძაბულობა ჩაანაცვლა, ძალიან აღელვებდა. ახალი გრძნობა თანდათან იდგამდა ფესვს მთელ მის არსებაში. თავიდან ქალი ცდილობდა, ყურადღება არ გაემახვილებინა ამ გრძნობაზე, სადმე გაჰქცეოდა და დამალვოდა მას. მაგრამ ახლა იმასაც გრძნობდა, რომ ამ გრძნობის შელევა აღარ უნდოდა. მრავალი წელი იყო, რაც ასეთი რამ აღარ განეცადა.

ლონი ასეთ გრძნობას ვერასოდეს აღძრავდა მასში. არც აქამდე აღუძრავს და ვერც ვერასოდეს მოახერხებდა. ეგებ ამიტომაც არ დაწოლილა მასთან აქამდე. ლონი, ცხადია, ცდილობდა, ძალიან ცდილობდა; ხან ყვავილებით ცდილობდა მოეხიბლა და ხანაც სხვა საჩუქრებით, მაგრამ ელი ყოველთვის პოულობდა რაიმე მიზეზს. თანაც უმტკიცებდა, ქორწინებამდე ამის ჩადენა არასგზით არ მინდაო. ლონი ამის გამო არ უბრაზდებოდა, თითქოს ესმოდა კიდეც მისი. ჰოდა ელი ხშირად ფიქრობდა, ნოას ამბავი რომ იცოდეს, ალბათ როგორ ეტკინებოდა გულიო.

მაგრამ ლონთან ინტიმური ურთიერთობისაგან თავის შეკავებას სხვა მიზეზიც ჰქონდა – თავად ლონის ელისადმი დამოკიდებულება. ლონი საკუთარ საქმეში იყო ჩაფლული და საქმე ხშირად ყველაზე მნიშვნელოვანი და მთავარი იყო მისთვის. აბა სად ეცალა ლექსების კითხვისთვის, ანდა სარწეველაში ჯდომასა და უმიზნო საუბარში საღამოს ფუჭად ფლანგვისთვის? ელიმ იცოდა, რომ ლონის წარმატების მთავარი

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

საწინდარი სწორედ საქმისადმი ეს უზომო ერთგულება იყო და მისი სულის ერთი ნაწილი ამის გამო დიდ პატივს სცემდა ამ კაცს. მაგრამ ელიმ ისიც იცოდა, რომ ასეთი ურთიერთობა არ აკმაყოფილებდა. მას სხვა რამ უნდოდა, რაღაც განსხვავებული, რაღაც უფრო დიდი. ამას, ალბათ, ვნება და რომანტიკა ერქვა; ანდა თუნდაც მშვიდი საუბარი სანთლის შუქზე; ან კიდევ უფრო მარტივი რამ – პირველობა.

ნოაც ცდილობდა საკუთარ გრძნობებში გარკვევას. ეს საღამო, უთუოდ, ცხოვრებაში გატარებულ საუკეთესო საღამოდ დაამახსოვრდებოდა. ირწეოდა და ყველა იმდღევანდელ დეტალს იხსენებდა, მერე ისევ თავიდან იწყებდა. ყველაფერი, რასაც ელი აკეთებდა, ენერგიას მატებდა ნოას; თითქოს იქაურობასაც უნათებდა, თავადაც მუხტავდა და, დროდადრო, დენსაც კი ურტყამდა.

ელის პირისპირ იჯდა და ფიქრობდა, ნეტა ესეც იმავეზე თუ ოცნებობდა, რაზეც მე ვოცნებობდი მთელი ეს წლებიო. ნეტა თუ ოცნებობდა იმაზე, რომ მოვხვეოდი და მთვარის შუქზე გვეკოცნა ერთმანეთისთვისო. ან ეგებ უფრო შორსაც მიდიოდა და ოცნებობდა იმ ერთხორცად ქცეულ შიშველ სხეულებზე, რომლებიც წლებმა ერთმანეთს ასე დაუნდობლად დააშორაო...

ვარსკვლავებს გახედა და გაახსენდა ის უამრავი ცარიელი ღამე, ელის გარეშე რომ გაატარა. მასთან შეხვედრამ ახლა ყველა ძველი შეგრძნება განუახლა, ზედაპირზე ამოატივტივა და ნოა ხვდებოდა, რომ მათი ჩაძირვა და ჩახშობა ახლა უკვე შეუძლებელი იქნებოდა. ცხადლივ იცოდა, რომ ელის მოფერება და სიყვარული უნდოდა, და მისი საპასუხო ალერსიც ქვეყნად ყველაფერზე მეტად ენატრებოდა.

მაგრამ იმასაც ხვდებოდა, რომ ეს უკვე შეუძლებელი იყო, რადგანაც ელი სხვა კაცს მიჰყვებოდა ცოლად.

ელი გრძნობდა, რომ გარინდებული ნოა მასზე ფიქრობდა და ეს ამბავი გულზე მალამოდ ედებოდა. ცხადია, ნოას ფიქრების

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ზუსტ შინაარსს ვერ ხვდებოდა, მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ მასზე ფიქრობდა და ეს სავსებით საკმარისი იყო მისთვის.

მათ საუბარზე და ნოას მარტოობაზე ფიქრობდა. რატომღაც ვერ წარმოედგინა, რომ ნოა მის გარდა სხვასაც უკითხავდა ლექსებს, ანდა საკუთარ ოცნებებს სხვა ქალებსაც უმხელდა. ასეთ კაცს ნამდვილად არა ჰგავდა. ყოველ შემთხვევევაში, ელის ასე სწამდა.

ფინჯანი დადგა, ხელი თმაზე გადაისვა და თვალები დახუჭა.

– დაიღალე? – ჰკითხა ბოლოს ფიქრებიდან გამორკვეულმა ნოამ.

– ჰო, ცოტა. ალბათ ერთ-ორ წუთში უკვე უნდა წავიდე.

– გასაგებია, – უთხრა ნოამ ნეიტრალური ტონით და თავი დაუქნია.

ელი მაშინვე არ ამდგარა. უბრალოდ ფინჯანი აიღო, ჩაის ბოლო ყლუპიც მოსვა და იგრძნო, როგორ გაუთბა ყელი. უკვე გვიან რომ იყო, კარგად გრძნობდა – მთვარე თავზე დანათოდა, ქარი ხეებს აშრიალებდა და ტემპერატურაც დაცემულიყო.

ნოას გახედა. ნიკაპზე ნაიარევი მკვეთრად მოუჩანდა. ნეტა ომში ხომ არ დაიშავა ნიკაპიო, ფიქრობდა. მერე იმანაც დააინ-ტერესა, ომში ნეტა საერთოდ თუ დაჭრილაო. დაჭრაზე ნოას არაფერი უთქვამს და არც ელის უკითხავს რამე; ეტყობა, არ უნდოდა იმის გაგონება, რომ ნოას რამე სერიოზულად დაუშავდა.

– უნდა წავიდე, – თქვა მან ბოლოს და პლედი ნოას მიაწოდა.

ნოამ თავი დაუქნია და წამოდგა. თქმით, არაფერი უთქვამს. ელის პლედი ჩამოართვა და მანქანისაკენ გაემართნენ. ჩუმად მიდიოდნენ, მხოლოდ გამხმარი ფოთლების ხრაშუნი ისმოდა მათ ფეხქვეშ. ელიმ მანქანის კარი გამოაღო და ნოას პერანგის გახდა დაიწყო. ნოამ შეაჩერა.

– დაიტოვე. მინდა, ეგ პერანგი შენთან დარჩეს.

ელის არ უკითხავს რატომო, იმიტომ რომ თავადაც უნდო-და პერანგის დატოვება. პერანგი ისევ მოიცვა და გასათბობად

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ხელები გულზე დაიკრიფა. უცებ, რატომღაც, გაახსენდა, საკუთარი სახლის პარმაღზე როგორ იდგა გამოსაშვები საღამოს მერე და როგორ ელოდა კოცნას.

– დღევანდელი დღით ძალიან ვისიამოვნე, – უთხრა ნოამ.

– მეც, – მიუგო ელიმ.

ნოამ გამბედაობა მოიკრიბა და ჰკითხა:

– ხვალ ისევ გნახავ?

კითხვა მარტივი იყო და მარტივ პასუხსაც მოითხოვდა: „არა მგონია, ალბათ არ ღირს“, და ყველაფერი იქვე დამთავრდებოდა. მაგრამ ელიმ პასუხი დააყოვნა.

თითქოს ეშმაკი შეუჩნდა, არჩევანის წინაშე დააყენა და უჩიჩხინებდა, ასე რატომ უნდა უპასუხოო. მოკლედ, დაიბნა. მაგრამ ნოას თვალებში რომ ჩახედა საჭირო პასუხის საპოვნელად, ის კაცი დაინახა, რომელიც ოდესღაც შეუყვარდა და გონება მაშინვე გაუნათდა.

– კარგი იქნება.

ნოა გაოცდა. არაფრით არ ეგონა, ასეთ პასუხს თუ მიიღებდა. უცებ საშინლად მოუნდა, ელი ხელში აეყვანა და გულში ჩაეკრა, მაგრამ თავი შეიკავა.

– შეგიძლია, შუადღისთვის რომ ჩამოხვიდე?

– კი. და რა ჩაიფიქრე?

– ნახავ. ერთი ადგილი ვიცი და იქ უნდა წაგიყვანო.

– შენ თვითონ ნამყოფი ხარ?

– არა, მაგრამ ვიცი, რომ არაჩვეულებრივი ადგილია.

– სად არის?

– ოოო, ეგ სიურპრიზია.

– მომეწონება?

– გაგიჟდები.

ვიდრე ნოა მის საკოცნელად გაიწევდა, ელი შეტრიალდა. დანამდვილებით არ იცოდა, ნოა მის კოცნას აპირებდა თუ არა, მაგრამ ის კი იცოდა, რომ, თუ აკოცებდა, ელის მისი შეჩერების

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი აღარ ექნებოდა. ჰო, ნამდვილად არ ექნებოდა ყოველივე იმის შემდეგ, რაც თავს დაატყდა. სასწრაფოდ მიუჯდა საჭეს და შვებით ამოისუნთქა. ნოამ კარი მიუხურა და ელიმ მანქანა დაქოქა. მერე ფანჯარა ოდნავ დაუშვა.

– აბა, ხვალამდე, – თქვა ელიმ და თვალებში მთვარის ათინათი აუკიაფდა.

უკანა სვლით რომ გადიოდა ეზოდან, ნოამ ხელი დაუქნია. ელიმ მანქანა მოატრიალა, ქუჩას აუყვა და ქალაქისაკენ აიღო გეზი. ნოა მანქანას იქამდე გასცქეროდა, ვიდრე მისი შუქი და ძრავას ხმა ხეებს მიღმა არ ჩაიკარგა. კლემი პატრონს მიუახლოვდა. ნოა დაიხარა და თავზე მიუფერა – ის ადგილი მოფხანა კისერზე, რომელსაც ის საცოდავი თვითონ უკვე ვეღარასოდეს მისწვდებოდა. მერე ერთხელაც გახედა გზას და ორივენი ვერანდაზე დაბრუნდნენ.

ნოამ კვლავ სარწეველას მიაშურა. თავიდან დაატრიალა გონებაში იმდღევანდელი საღამო, კარგად რომ შეეფასებინა ყველა დეტალი. გიტარის დაკვრის გუნებაზე არ იყო, არც კითხვა უნდოდა. საერთოდ აღარ იცოდა, რა უნდოდა.

– თხოვდება, – დაიჩურჩულა ბოლოს და რამდენიმე საათი ჩუმად იჯდა. მხოლოდ სარწეველას ჭრაჭუნი არღვევდა სიჩუმეს. ღამე ძალიან მშვიდი იყო, გარშემო არაფერი არ ხდებოდა. კლემი თუ მოაკითხავდა ხოლმე დროდადრო, დასუნავდა და თითქოს ეკითხებოდა, ხომ არაფერი გიჭირსო.

მერე, შუაღამეს კარგა გადაცილებულზე, ოქტომბრის ამ მშვიდ საღამოს, ნოას ერთბაშად შემოაწვა საშინელი სევდა და მონატრება. ვინმეს თვალი რომ მოეკრა მისთვის, იტყოდა, ასი წლის ბებერია, მთელი დარჩენილი წუთისოფელი ორ საათში მოილიაო. ის ბებერი ახლა თავჩაქინდრული იჯდა, სახე ხელებში ჩაერგო და საცოდავად ტიროდა.

ტიროდა და აღარ იცოდა, როგორ გაეჩერებინა მდუღარე ცრემლების ეს ულევი ნიაღვარი.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სატელეფონო ზარები

ლონმა ყურმილი დადო.

ჯერ შვიდზე დაურეკა, მერე ცხრის ნახევარზე. ახლაც საათს დახედა და უკვე ათს თხუთმეტი უკლდა.

სად არის?

იცოდა, რომ ნამდვილად იმ სასტუმროში გაჩერდა, რომელიც დაუსახელა, რადგანაც სასტუმროს მენეჯერს უკვე ელაპარაკა. დიახ, ნამდვილად იმ სასტუმროში აიღო ნომერი და მენეჯერმა ბოლოს ექვს საათზე ნახა. მგონი, სადილად მიდიოდაო სადღაც. არა, მას მერე აღარ გამოჩენილა თურმე.

ლონმა თავი გადააქნია და სკამზე გადაწვა. როგორც ყოველთვის, ოფისში მის გარდა აღარავინ იყო დარჩენილი და გარშემო სრული სიჩუმე სუფევდა. ამაში უჩვეულო არც არაფერი იყო – სასამართლო პროცესების მიმდინარეობისას ყოველთვის ასე ხდებოდა; მაშინაც კი, როცა პროცესი ყოველგვარი გართულების გარეშე მიდიოდა. იურისპრუდენცია მისი ჭეშმარიტი მოწოდება იყო და გვიანობამდე ოფისში მარტო ჯდომა, როცა ხელს აღარავინ უშლიდა, საშუალებას აძლევდა, თავ-ფეხიანად გადაშვებულიყო საყვარელ საქმიანობაში.

ყოველთვის დარწმუნებული იყო, რომ პროცესს მოიგებდა,

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იმიტომ რომ კანონები ზეპირად იცოდა და ნაფიც მსაჯულთა მოხიბლვაც ეხერხებოდა. ჰოდა, ძალიან იშვიათი გამონაკლისების გარდა, ყოველთვის იგებდა კიდეც. მისი ასეთი წარმატება იმითაც იყო განპირობებული, რომ, როგორც წესი, უკვე მოგებული საქმეების მსგავს საქმეებს ჰკიდებდა ხელს და ძველ გამოცდილებას მარჯვედ იყენებდა. ასეთმა გულმოდგინებამ ლონი ქალაქის იმ ერთეულ ადამიანთა წრეში გარია, რომლებიც უნაკლო რეპუტაციითა და ძალიან მაღალი ჰონორარებით სარგებლობდნენ.

მაგრამ მისი წარმატების მთავარი მიზეზი მაინც თავდაუზოგავი შრომა იყო. საქმის დეტალებს უდიდეს ყურადღებას აქცევდა, განსაკუთრებით კარიერის დასაწყისში. უმცირესი წვრილმანიც კი არ გამორჩებოდა ხოლმე. წვრილმანებზე დაკვირვება უკვე ჩვევადაც კი ექცა. საქმეს იმთავითვე იმდენად დეტალურად სწავლობდა და მერე ისეთი გულისყურით წარმოაჩენდა, რომ რამდენიმე სრულიად უიმედო საქმეც კი მოიგო.

ახლაც ერთი პატარა დეტალი უღრნიდა გულს.

არა, საქმესთან დაკავშირებით, არა. საქმე სწორად მიჰყავდა. ახლა სულ სხვა რამ აშფოთებდა.

ელისთან დაკავშირებით აეჭვებდა რაღაც.

მაგრამ ზუსტად მაინც ვერ იხსენებდა, ეს ოხერი, რომელმა დეტალმა აღუძრა ეჭვი. დილით რომ გაემგზავრა, ყველაფერი რიგზე იყო. ყოველ შემთხვევაში, მაშინ არაფერი შეუნიშნავს. მაგრამ როცა დაურეკა, მისი ზარიდან რამდენიმე საათში, ან შესაძლოა სულაც ერთ საათში, უსიამოვნო განცდა დაეუფლა. რაღაც დეტალის გამო.

რაღაც საეჭვო დეტალის გამო...

მაინც რა იყო? უმნიშვნელო დეტალი, თუ პირიქით, საკმაოდ მნიშვნელოვანი?

იფიქრე!... გაიხსენე!... ჯანდაბა, მაინც რა უნდა ყოფილიყო?

რაღაც... რაღაც... რაღაც, რაც ელიმ *უთხრა?*

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რამე ისეთი *უთხრა*? ჰო, რაღაც *ნათქვამმა* დააეჭვა. მაგრამ რა ითქვა? ტელეფონით უთხრა? კი კი, საუბრის დასაწყისშივე უთხრა... ჰოდა ლონმა დეტალურად დაიწყო მთელი საუბრის გახსენება. არა, თითქოს უჩვეულო არაფერი თქმულა.

მაგრამ მაინც რა იყო? ეჭვი არ ეპარებოდა, რომ რაღაც იყო.

მოიცა, რა უთხრა? ჰო, კარგად ვიმგზავრეო, სასტუმროში დავბინავდიო, საყიდლებზე ვიყავიო... მერე ტელეფონის ნომერი ჩააწერინა, სულ ეს იყო.

ელიზე დაიწყო ფიქრი. ელი უყვარდა, ამაში დარწმუნებული იყო. ელი მხოლოდ ლამაზი და მომხიბლავი კი არ იყო, მისი სტაბილურობის გარანტიად და მის საუკეთესო მეგობრადაც იქცა. მძიმე სამუშაო დღის მერე ელი მუდამ პირველი იყო, ვისაც ურეკავდა ხოლმე. ელი მოუსმენდა, საჭირო ადგილას გაიცინებდა და მეექვსე გრძნობის საშუალებით, ზედმიწევნით ზუსტად ხვდებოდა, რის გაგონება სჭირდებოდა ლონს.

უფრო მეტიც, ლონი აღფრთოვანებული იყო ელის უნარით, საკუთარი მოსაზრება მწყობრად გამოეთქვა. გაახსენდა თავიდან, რამოდენიმე შეხვედრის შემდეგ, როგორ უთხრა ის, რასაც ყველა ქალს ეუბნებოდა ხოლმე – სერიოზული ურთიერთობისათვის ჯერ მზად არა ვარო. სხვებისაგან განსხვავებით, ელიმ თავი დაუქნია და კარგიო, უპასუხა. მაგრამ, როცა გადიოდა, კარში მოუბრუნდა და დასძინა: – მაგრამ იცოდე, სინამდვილეში შენი პრობლემა მე, ან შენი სამსახური, ან შენი თავისუფლება, ან კიდევ სხვა რაღაც კი არ არის, რაც ახლა პრობლემად გეჩვენება, შენი პრობლემა საშინელი სიმარტოვეაო. მამაშენმა ჰამონდების ოჯახს სახელი მოუხვეჭა და შენ, ალბათ, მთელი ცხოვრება მამას გადარებდნენ. შენი საკუთარი ცხოვრებით არასოდეს გიცხოვრია. ასეთი ყოფა ადამიანს ძალიან ფიტავს, შინაგანად აცარიელებს. ჰოდა

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ახლა ისეთ ჯადოქარს ეძებ, რომელიც ხელის ერთი დაკვრით ამოგივსებს მაგ სიცარიელეს. მაგრამ იცოდე, ამას ვერავინ მოახერხებს, შენ თვითონ თუ არ მოუხერხე საკუთარ თავს რამე.

მერე მთელი ღამე ამაზე ფიქრობდა, და ელის სიტყვები დილითაც ჩაესმოდა ყურში. დილით ელის დაურეკა, პატიება სთხოვა და ევედრა, ერთი შანსი კიდევ მომეციო. ბოლოს, ლონის ხანგრძლივი და დაჟინებული თხოვნის შედეგად, ელი, როგორც იქნა, არცთუ დიდი ენთუზიაზმით, მაგრამ მაინც დათანხმდა.

ერთად ყოფნის ოთხი წლის განმავლობაში, ელი მისთვის ყველაფერი გახდა და ყველაფერი ის მისცა, რაც ასე ძალიან სჭირდებოდა. ისიც იცოდა, რომ მასთან მეტი დრო უნდა გაეტარებინა, მაგრამ საკუთარი საქმიანობა ამის საშუალებას არ აძლევდა. ელის მისი ესმოდა, მაგრამ ლონი მაინც გაბმით იდანაშაულებდა თავს ამ დაუდევრობის გამო. მერე თავს პირობა მისცა, როცა დავქორწინდებით, საქმეს ნაკლებ დროს დავუთმობო; მდივანს დავავალებ, თვალყური ადევნოს ჩემს განრიგს, დღის განმავლობაში გასაკეთებელი საქმეები აღნუსხოს, დროზე რომ გავჩერდე და სამუშაოს ზედმეტი დრო ისევ რომ არ გადავაყოლოო...

გაჩერება?..

მისი გონება კვლავ გამალებით ამუშავდა.

გაჩერება... გაჩერება... გაჩერება...

ჭერს ახედა. გაჩერება?

დიახ, რა თქმა უნდა, გაჩერება! თვალები დახუჭა და წამით დაფიქრდა. არა, ისევ არაფერი მოსდიოდა თავში...

კარგი რა, ახლა არ ჩაიჭრა და არ დანებდე! იფიქრე, ეს ოხერი, იფიქრე!

ნიუ-ბერნი.

ეს აზრი უცებ დაებადა. დიახ, ნიუ-ბერნი... სწორედაც

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რომ ნიუ-ბერნი იყო ის პატარა დეტალი. ელი ხომ ნიუ-ბერნის ერთ-ერთ სასტუმროში გაჩერდა. კარგი, და მერე?

ნიუ-ბერნი – ეს სახელწოდება ეცნო. ქალაქსაც იცნობდა, რომელიღაც ადრეული საქმიდან. თავადაც გაჩერებულა ამ ქალაქში რამდენჯერმე, როცა სანაპიროსკენ მიემგზავრებოდა. დიდი არაფერი ქალაქი იყო. ის და ელი იქ ერთად არასოდეს ყოფილან.

მაგრამ ელი ამ ქალაქში ადრეც იყო ნამყოფი...

ამას კიდევ რაღაც დეტალი ერთვოდა. ახლა ის დეტალიც თუ გაახსენდებოდა, კვანძი ნელ-ნელა შეიკვრებოდა.

რა იყო? ღმერთო, რა იყო?

ელი, ნიუ-ბერნი ... და... და... კიდევ რაღაც... წვეულებაზე?.. ჰო, ერთ-ერთ წვეულებაზე რაღაც კომენტარი ითქვა, რომელსაც მაშინ ყურადღება არ მიაქცია. ელის დედის კომენტარი იყო... მაგრამ რა თქვა?

და უცებ ლონი გაფითრდა. გაფითრდა, რადგანაც გაახსენდა, რა თქვა წვეულებაზე ელის დედამ.

ელი ადრე ერთ ნიუ-ბერნელ ყმაწვილზე იყო შეყვარებულიო. დიდი ამბავი, ალბათ ბავშვურ გატაცებაზეა ლაპარაკიო, იფიქრა ლონმა, ელის გახედა და გაუღიმა.

მაგრამ ელი არ იღიმებოდა. ელი ძალიან გაბრაზდა. მაშინ ლონი მიხვდა, რომ საქმე უფრო სერიოზულად იყო, ვიდრე დედას ეგონა; და ეგებ უფრო სერიოზულადაც, ვიდრე თავად ელის ეგონა.

ჰოდა სწორედ იქ გაემგზავრა ახლა ელი. ჰოოო... ეს უკვე საინტერესო იყო.

ლონმა ხელისგულები შეაერთა და ტუჩებთან მიიტანა, თითქოს ლოცულობსო. დამთხვევაა? შეიძლება. შეიძლება მხოლოდ ის არის, რაც ელიმ უთხრა – სტრესის მოხსნა და ანტიკვარიატის მაღაზიები. შეიძლება, რატომაც არა?... უფრო სწორად, ალბათ ეგრე იქნება.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და მაინც, ღმერთმა უწყის...

ლონმა მეორე ვარიანტზეც დაიწყო ფიქრი და მთელი ამ წლების განმავლობაში პირველად შეშინდა.

ვაითუ... ვაითუ *იმასთან* ერთადაა?

გულში ბოლო სასამართლო პროცესს შეუკურთხა, ნეტა დროზე დასრულებულიყო, მაშინ ხომ ელის მეც წავყვებოდიო. ვინ იცის, სიმართლე მითხრა და ტყუილად ვღელავო... არა, არაფრით არ მომატყუებდაო.

უცებ გადაწყვიტა, რომ ელი არაფრით არ უნდა დაეკარგა. ყველაფერი უნდა ელონა, ოღონდ კი ელი შეენარჩუნებინა. ელი ის იყო, ვინც ყოველთვის სჭირდებოდა, და ასეთ ქალს მეორეს სად იპოვიდა?

აკანკალებული ხელით, იმ საღამოს უკვე მეოთხედ, ისევ აკრიფა ელის ტელეფონის ნომერი.

ელიმ არც ამჯერად უპასუხა.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კაიაკები და მიეიწყებული ოცნებები

ელი შოშიების დაუსრულებელმა ჟღურტულმა დილაუთენია გააღვიძა. თვალები მოისრისა. სხეულში საშინელ სიმძიმეს გრძნობდა. ღამით მოუსვენრად ეძინა. ყოველი სიზმრის მერე ეღვიძებოდა. საათს გახედავდა ხოლმე. ისრები ოდნავ სხვადასხვა პოზიციაში უხვდებოდა; ახსენებდა, თუ როგორ მდორედ გადიოდა ღამე.

ნოას მოცემულ რბილ პერანგში ეძინა. საწოლში იწვა, ნოასთან გატარებულ საღამოზე ფიქრობდა და ნოას სურნელს ისუნთქავდა; მსუბუქი საუბარი და ლაღი სიცილი აგონდებოდა. განსაკუთრებით კი ის ახსოვდა, ნოამ რაც უთხრა ბუხართან დაკიდებულ ტილოსთან დაკავშირებით. ღმერთო, რა მოულოდნელი იყო! მაგრამ – როგორი მშვენიერი და გამამხნევებელი. ახლა, ნოას სიტყვებს რომ იხსენებდა, მიხვდა, რა საშინელება იქნებოდა, აქ რომ არ ჩამოსულიყო და ნოა არ ენახა.

ფანჯარაში გაიხედა და დილის საუზმის მოპოვების ფაციფუცში გართულ ჩიტებს დაუწყო თვალთვალი. ნოა აუცილებლად ფეხზე იქნებოდა უკვე. ალბათ რიჟრაჟს თავისებურად, კაიაკით ან კანოეთი ეგებებოდა. მერე ის დილა გაახსენდა, ერთხელ ერთად რომ გაატარეს. კანოეში ისხდნენ და დიდხანს

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

უყურებდნენ ამომავალ მზეს. ფანჯრიდან გადაიპარა და ნოას ისე შეხვდა, თორემ, მშობლები არაფრით არ გაუშვებდნენ. მაშინ მშობლებმა ვერ ჩაავლეს და მათ რისხვას გადაურჩა. ახსოვდა, როგორ შემოაჭდო ნოამ ხელები წელზე და როგორ უყურებ-დნენ მზის ამოსვლას. – შეხედე, რა ლამაზია, – ეუბნებოდა ყურში და ასე, ნოას მხარზე თავმიდებული, შეხვდა თავის პირველ გარიჟრაჟს. მაშინ ეგონა, რომ ამაზე მშვენიერი ქვეყ-ნად არაფერი არ შეიძლებოდა ყოფილიყო.

საწოლიდან ადგა, სააბაზანოსკენ გაეშურა და ფეხქვეშ ცივი მეტლახი იგრძნო. გაიფიქრა, ნეტა დღესაც თუ შეხვდა ნოა მზის ამოსვლას წყლის პირასო, და იქვე თითქმის დარწმუნდა, რომ ასეც იქნებოდა.

არც შემცდარა.

ნოა უთენია ადგა საწოლიდან და სწრაფად ჩაიცვა – იმავე ჯინსში, ფლანელის სუფთა პერანგში, ცისფერ ქურთუკსა და თბილ ფეხსაცმელებში გამოეწყო. სანამ ქვედა სართულზე ჩავიდოდა, ხელ-პირი დაიბანა და კბილები გაიხეხა. ქვემოთ ერთი ჭიქა რძე გადაჰკრა, ორი ორცხობილა აიღო და გარეთ გავიდა. კარში გასულს კლემი შეეგება და ორჯერ ალოკა. ნოა მდინარისაკენ დაეშვა და ნავსაყუდელთან თავის კაიაკს მიაკითხა. უყვარდა, როცა მდინარეს დანებდებოდა ხოლმე და ისიც ჩვეულ ჯადოქრობას წარმოაჩენდა – კუნთებს უშლიდა, სხეულს უთბობდა და გონებას უხსნიდა.

ძველი, მაგრამ კარგად შენახული კაიაკი ფიცარნაგზე მიმაგრებულ ორ დაჟანგებულ კაუჭზე ეკიდა ზედ ნაპირთან, წყლის თავზე, ხავსი რომ არ მოსდებოდა. ნოამ ნავი კაუჭიდან ადვილად ჩამოხსნა და იქვე, ფიცარნაგზე დადო. მერე გულ-დაგულ დაათვალიერა და ნაპირზე ჩაიტანა. ერთი-ორი მო-ხერხებული მოძრაობით წყალში შეაცურა, შიგნით ჩახტა და დინებას მიჰყვა.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სახეზე ცივი, ლამის სუსხიანი ჰაერი ელამუნებოდა; ცა კი ათასფრად იყო აჭრელებული. ზედ მის თავზე მთის მწვერვალივით ჩაშავებულიყო, ამ სიშავეს გარშემო სხვადასხვა ტონალობის ლურჯი წასეოდა, რომელიც ჰორიზონტისკენ მკრთალ ცისფერში გადადიოდა და, ბოლოს, მტრედისფერი ხდებოდა. ნოამ ფიჭვის სურნელით გაჟღენთილი ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა და ფიქრს მიეცა. ეს ერთ-ერთი ის მომენტი იყო, რაც ასე ძალიან აკლდა ჩრდილოეთში მუშაობისას. ხანგრძლივი სამუშაო დღის ფონზე, წყალთან ურთიერთობის დრო პრაქტიკულად არ რჩებოდა. საყვარელი საქმიანობებიდან – ლაშქრობაზე წასვლა, კარვის გაშლა, მდინარეზე სეირნობა, პაემნებზე სიარული – რომელიმეს უნდა შელეოდა. როგორც კი დროს მოიხელთებდა, ნიუ-ჯერსის განაპირა ადგილების დასალაშქრად მიდიოდა ფეხით. მაგრამ კანოეთი და კაიაკით, თოთხმეტი წლის განმავლობაში, ერთხელაც არ გასულა მდინარეზე. ამიტომ, შინ რომ დაბრუნდა, პირველ ყოვლისა ჯომარდობას მიჰყო ხელი.

წყლისპირას რიჟრაჟის შეხვედრაში რაღაც განსაკუთრებული, უფრო სწორად, მისტიკური მომენტი იყო ნოასთვის. ჰოდა, ამის გაკეთებას ახლა ყოველდღე ცდილობდა. ციოდა, ცხელოდა, ბურუსი იდგა თუ ნისლი, აუცილებლად ჩავიდოდა ხოლმე მდინარეზე და მიცურავდა ამ რკინისფერ სივრცეში. ახლაც, როგორც ყოველთვის, ნიჩბებს იმ მუსიკის რიტმს აყოლებდა, თავში რომ ჰქონდა. მალე წყალში ნახევრად ჩაძირულ კუნძზე შემომსხდარი კუების მთელი ოჯახი დაინახა, მერე პატარა ყანჩის ყურებით დატკბა, ფრთების წყალში გამალებული დგაფუნით აფრენას რომ ცდილობდა. მისი სილუეტი მალე გაქრა ვერცხლისფერ სხივებში, მზის ამოსვლას რომ უსწრებს ხოლმე წინ.

მდინარის შუაწელამდე მივიდა, სადაც წყალს უკვე ნარინჯისფერი სხივი კვეთდა. ნიჩბების ძლიერად მოსმას თავი

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ანება; მხოლოდ ოდნავ უსვამდა, ერთ ადგილზე გაჩერება რომ მოეხერხებინა. იჯდა და მისჩერებოდა, როგორ იჭრებოდა თანდათან სინათლის სხივი ხეების ფოთლებში. ყოველთვის მოსწონდა დღესა და ღამეს შორის არსებული ეს პატარა პაუზა, ის წამი, რომლის მნახველიც იფიქრებდა, სამყაროს ხელახალი შობის მოწმე გავხდიო. ამის მერე, ისევ მაგრად მოუსვამდა ხოლმე ნიჩბებს და ახალი დღის დასაწყებად ემზადებოდა.

ახლაც უსვამდა ნიჩბებს და თავში ათასი პატარა ფიქრი ისე დაურბოდა, როგორც გახურებულ ტაფაზე წყლის წვეთები. ლონზე ფიქრობდა, უნდოდა წარმოედგინა, როგორი კაცი იყო; მისი და ელის ურთიერთობის წარმოდგენაც უნდოდა. მაგრამ ფიქრების ძირითადი საგანი ისევ ელი იყო – აინტერესებდა, მაინც რამ ჩამოიყვანა ჩემთანო.

შინ რომ დაბრუნდა, უკვე ბოლომდე იყო გამოცოცხლებული. საათს დახედა. ძალიან გაოცდა, როცა მიხვდა, რომ უკვე ორი საათი გასულიყო. თუმცა, წყალზე გასულს დროის შეგრძნება ხშირად ეკარგებოდა და ამ საკითხზე ფიქრით უკვე კარგახანია აღარ იწუხებდა თავს.

კაიაკი გასაშრობად ჩამოკიდა. ერთი-ორი წუთით თავადაც გაიშოტა ფიცარნაგზე და სული მოითქვა. მერე ფარდულისაკენ გაემართა, სადაც კანოე ეგულებოდა. კანოე წყლის პირას ჩამოათრია და წყლისაგან ოდნავ მოშორებით, ნაპირზე დატოვა. როცა შინ წასასვლელად გაემზადა, იგრძნო, რომ ფეხის კუნთები დასჭიმვოდა და სახსრებიც სტკიოდა.

დილის ნისლი ჯერ კიდევ არ იყო ბოლომდე გადაყრილი და, სახსრების ტკივილიდან გამომდინარე, იმასაც მიხვდა, რომ აუცილებლად იწვიმებდა. დასავლეთისაკენ გაიხედა და ცაზე ავდრის ღრუბლები შენიშნა. ღრუბლები კარგა შორს, მაგრამ მაინც იყო. ქარი ძლიერად არ უბერავდა, მაგრამ ღრუბლებს მაინც აქეთ ერეკებოდა. იმ ღრუბლებს რომ უყურებდა, მაშინვე გაიფიქრა, აქ რომ მოაღწევენ, ჯობია, გარეთ არ იყოს

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ადამიანიო. რა უბედურებაა? ნეტა, დრო რამდენი მაქვსო, იფიქრა. ალბათ სულ რამდენიმე საათი. ყოველ შემთხვევაში, ბევრი არა.

შხაპი მიიღო და ახალი ჯინსი, წითელი პერანგი და შავი ჩექმები ჩაიცვა. მერე თმა გადაივარცხნა და სამზარეულოში ჩავიდა. წუხანდელი ჭურჭელი დარეცხა, ცოტა სახლსაც წაჰკრა ხელი, მერე ყავა დაისხა და ვერანდაზე გავიდა. ცა მოღუშულიყო და ბარომეტრს დახედა. ბარომეტრი საზარელს არაფერს უქადდა, მაგრამ ცხადი იყო, რომ მალე გაწვიმდებოდა. ყოველ შემთხვევაში, დასავლეთის ცა სწორედ ამაზე მეტყველებდა.

დიდი ხნის წინ მიხვდა, რომ ამინდთან ხუმრობა არ შეიძლებოდა. ნეტა სიგიჟე ხომ არ არის დღეს სასეირნოდ წასვლაო, ფიქრობდა. წვიმა ჯანდაბას, წვიმას გაუძლებდა კაცი, მაგრამ, აი, ჭექა-ქუხილი და ელვა სულ სხვა საქმე იყო. კანოეთი წყალზე ყოფნა, როცა ნოტიო ჰაერში ელექტრომუხტი ტრიალებს, მთლად უსაფრთხო ვერ იქნებოდა.

ყავის სმა დაასრულა და გადაწყვიტა, ამაზე მერე ვიფიქრებო. იარაღების ფარდულში წავიდა და ნაჯახი იპოვა. ნაჯახს პირი თითით მოუსინჯა. დაბლაგვებული ეჩვენა და სალესი ქვით კარგად გალესა. მამამისის ნათქვამი ახსოვდა, ბლაგვი ნაჯახის უნდა გეშინოდეს, ალესილის კი არაო.

მომდევნო ოცი წუთი კუნძების დაპობასა და შეშის ჩეხვაში გაატარა. ძალიან ადვილად გამოსდიოდა, არც კი გაოფლიანებულა. დაჩეხილი შეშა სასტუმრო ოთახში შეიტანა და ბუხართან დააწყო.

ბუხრის თავზე ელის ნახატს შეხედა, მერე ხელითაც შეეხო და ისევ გაოგნდა – ვერ იჯერებდა, ამდენი ხნის მერე ელი ისევ რომ ნახა. ღმერთო, რა იყო ამ ქალში ისეთი, რაც ასე აფორიაქებდა? ამდენი წლის მერე ისევ ასეთი ზემოქმედება რომ ჰქონდა ნოაზე? ასეთი რა გრძნების პატრონი იყო? თავი

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გადააქნია და ვერანდაზე გავიდა. ბარომეტრს დახედა, ისევ იმავეს უჩვენებდა. მერე საათს დახედა.

ელი საცაა უნდა მოსულიყო.

ელიმ აბაზანა მოითავა და უკვე ჩაეცვა კიდეც. ცოტა ხნით ადრე ფანჯარა გამოაღო და ჰაერის ტემპერატურა შეამოწმა. ძალიან არ ციოდა და გადაწყვიტა, კრემისფერი კაბა ჩაეცვა, გრძელი სახელოებითა და მაღალი საყელოთი. კაბა რბილი და ძალიან სასიამოვნო იყო ტანზე, ალბათ ოდნავ მოტკეცილიც, მაგრამ ძალიან უხდებოდა; ჰოდა თეთრი ფეხსაცმელიც შეურჩია.

მთელი დილა ქალაქის ცენტრში დადიოდა. ქალაქს დიდი კრიზისის კვალი ჯერაც ეტყობოდა, თუმცა აქა-იქ უკვე ფუფუნების ელემენტებიც გაჩენილიყო. კინოთეატრი მასონიქსი ცოტა შელახული ეჩვენა, მაგრამ აემოქმედებინათ და უკვე რამდენიმე ფილმსაც უჩვენებდნენ. ფორტ ტოტენ პარკი ზუსტად ისეთივე დახვდა, როგორც თოთხმეტი წლის წინ; საქანელებზე შემომსხდარი ბავშვებიც კი ისევ ისე გამოიყურებოდნენ. საკუთარ მოგონებებს გაუღიმა, ის დრო გაახსენდა, როცა ყველაფერი უფრო მარტივი იყო; ყოველ შემთხვევაში, მას მარტივი ეჩვენებოდა.

ახლა კი ყველაფერი გართულდა. ყველაფერი ნელ-ნელა თავის ძველ ადგილას ბრუნდებოდა და ელი ფიქრობდა, ის სტატია რომ არ წამეკითხა გაზეთში, რა უნდა მექნაო. ამის წარმოდგენა ძნელი არ იყო, რადგანაც მისი ყოველდღიური ცხოვრება სტაბილურად ერთნაირად და მდორედ მიმდინარეობდა. დღეს, ანუ ოთხშაბათს, უთუოდ ბრიჯს ითამაშებდა კლუბში, მერე ქალთა ახალგაზრდულ ლიგაში წავიდოდა, სადაც დაგეგმავდნენ, ახალი კერძო სკოლისთვის ან საავადმყოფოსთვის ფული როგორ შეეგროვებინათ. მერე დედას შეუვლიდა, ბოლოს კი შინ წავიდოდა და შვიდი საათისათვის, როცა ლონი მოიცლიდა

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

და ოფისიდან წამოვიდოდა, მასთან ერთად სადილობისათვის გაემზადებოდა. კვირის ამ ერთადერთ დღეს აუცილებლად ერთად სადილობდნენ ხოლმე.

ამ გარემოებით გამოწვეულ უსიამოვნო განცდას მუდმივად იხშობდა და იმედი ჰქონდა, ერთ დღესაც ყველაფერი შეიცვლებაო. ლონიც გაბმით ამას ჰპირდებოდა და მერე რამდენიმე კვირა ცდილობდა, უფრო ხშირად ენახა ელი. მაგრამ რამდენიმე კვირის თავზე იგივე იწყებოდა და ყველაფერი ძველი განრიგით მიმდინარეობდა: – ამ საღამოს ვერაფრით ვერ მოვახერხებ შენს ნახვას, საყვარელო, – ასე მოუბოდიშებდა ხოლმე. – უამრავი საქმე დამიგროვდა. ეგებ სხვა დროისთვის გადაგვედო?

ლონთან ამ საკითხზე დავა არ უყვარდა, ძირითადად იმიტომ, რომ ხვდებოდა, ლონი არ ტყუოდა. სასამართლო პროცესებში მონაწილეობა დიდ დროს მოითხოვდა, პროცესის დაწყებამდეც და მერეც. და მაინც, ზოგჯერ ვერ გაეგო, ამდენ ხანს რატომ ცდილობდა ლონი მასთან რომანის გაბმას, თუკი მერე ასე იშვიათად შეხვდებოდა ხოლმე.

სამხატვრო გალერეას ჩაუარა; ფიქრებში გართულმა ლამის ვერც კი შენიშნა. მაგრამ დროზე გაჩერდა, უკან დაბრუნდა და გალერეაში შევიდა. კარებში შეჩერდა და გაიფიქრა, ღმერთო, რამდენი ხანია, გალერეაში აღარ ვყოფილვარო. ალბათ, სამი წელი იქნებოდა, ან შესაძლოა მეტიც. ნეტა რატომ არიდებდა თავს გალერეებში სიარულს?

დარბაზში შევიდა. გალერეის საგამოფენო დარბაზი, ფრონტ სტრიტის სხვა მაღაზიებივით, დილიდანვე იღებოდა. დარბაზში გაიარ-გამოიარა. ძირითადად ადგილობრივი მხატვრების ნამუშევრები იყო გამოფენილი, ოკეანისა და სანაპირო ზოლის თემაზე შექმნილი – ოკეანის უზარმაზარი ტალღებით, ქვიშის პლაჟებით, პელიკანებით, ძველი იალქნიანი ხომალდებით, ნავებით, პირსებით და თოლიებით. ყველაზე თვალში საცემი მაინც ტალღები იყო; ყველა ფორმის, ზომისა და ფერის

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ტალღები, რომლებიც, ცოტა ხანში, ერთმანეთის მსგავსიც კი მოეჩვენა. ეტყობა, მხატვრებს შთაგონება და ფანტაზია აკლდათ, ან უბრალოდ, ზარმაცობდნენო, იფიქრა.

თუმცა, ერთ-ერთ კედელზე გამოფენილმა ტილოებმა ასე თუ ისე უპასუხეს ელის გემოვნებას. ტილოები ვინმე ელეინის ფუნჯს ეკუთვნოდა. ეს სახელი უწინ არასოდეს სმენოდა. ამ ფერმწერის ძირითადი შთაგონების წყარო ბერძნული კუნძულების არქიტექტურა ყოფილიყო. იმ ტილოზე, რომელიც ყველაზე მეტად მოეწონა, მხატვარი ეფექტს რეალურზე პატარა ფიგურებით, მკვეთრი ხაზებით და ფუნჯის უხეში მონასმებით აღწევდა. საბოლოო ჯამში, სურათი დაუსრულებლობის შეგრძნებას ტოვებდა. მაგრამ მკვეთრი ფერები და ხაზები ისე ენაცვლებოდნენ ერთმანეთს, რომ მნახველის თვალს მართავდნენ და მთავარი სათქმელისაკენ მიჰყავდათ. სურათი მეტად დინამიკური და დრამატული ეჩვენა. რაც უფრო მეტს უყურებდა, მით უფრო მოსწონდა, და ვიდრე გაიაზრებდა, რომ ეს სურათი საკუთარ ნამუშევრებს აგონებდა და იმიტომაც მოსწონდა, მისი ყიდვა გადაწყვიტა. სურათს ახლოდან რომ დააკვირდა, იფიქრა, ალბათ ნოა სწორი იყო, ეგებ ფერწერას ისევ უნდა მივყო ხელიო.

ათის ნახევარზე ელი გალერეიდან გამოვიდა და ქალაქის ცენტრალური უნივერმაღის, ჰოფმან-ლეინისაკენ გაემართა. სულ რამდენიმე წუთში მიაგნო იმას, რასაც ეძებდა – სახატავ ქაღალდს, ფერად ფანქრებს და პასტელებს. ეს ყველაფერი სასკოლო ინვენტარის განყოფილებაში იყიდებოდა და მაინცდამაინც მაღალი ხარისხით არ გამოირჩეოდა, მაგრამ ელი მაინც კმაყოფილი დარჩა. ნომერში რომ დაბრუნდა, ძალიან აფორიაქებული იყო; შეძენილი ტილოს გამო კი არა, იმის გამო, რომ ხატვას ისევ იწყებდა. მაშინვე მაგიდას მიუჯდა და ხატვას შეუდგა. განსაკუთრებულს არაფერს არ ხატავდა, უბრალოდ სიყრმის დროინდელი შთაბეჭდილებებით

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნაკარნახევი ფორმები და ფერები გადაჰქონდა ქაღალდზე. ხელის ამ აბსტრაქციონისტული გავარჯიშების შემდეგ, ოთახის ფანჯრიდან დანახული ქუჩის ჩანახატი გააკეთა და გაოცდა, რა თავისუფლად ვხატავო. გეგონება წუთითაც არ მიეტოვებინა ეს საქმიანობა.

მუშაობა დაასრულა და ნახატს ყურადღებით შეხედა. კმაყოფილი დარჩა. მერე იფიქრა, კიდევ რა დავხატოო და უცებ მიხვდა, რაც უნდა დაეხატა. მოდელის გარეშე ხატვა ადვილი არ იყო, მაგრამ მოდელს გონების თვალით ნათლად ხედავდა და ნახატმა თანდათან გარკვეული ფორმაც მიიღო.

დრო სწრაფად გადიოდა, მაგრამ ელი დროდადრო საათს დაჰყურებდა, ნოასთან არ დამაგვიანდესო. შუადღე ლამის მოწეული იყო, ხატვა რომ დაასრულა და შედეგმა გააოცა – სურათის შემხედვარე კაცი იფიქრებდა, დიდხანს და დიდი ყურადღებით ხატავდაო. ქაღალდი დაახვია, ჩანთაში ჩადო და სხვა საჭირო ნივთებიც აკრიფა. ოთახიდან რომ გამოდიოდა, სარკეში ჩაიხედა და იგრძნო, რომ უცნაურად ლაღად გამოიყურებოდა; თუმცა, ის კი არ იცოდა, რა იყო ამის მიზეზი.

კიბეზე ჩაირბინა და გასასვლელისაკენ გაემართა.

უცებ ზურგში მიაძახეს:

– მის!

ელი მობრუნდა. მიხვდა, რომ მას მიმართავდნენ. მენეჯერი იყო, ისევ ის კაცი, რომელიც გუშინ შეეგება, ცნობისმოყვარე გამომეტყველებით სახეზე.

– დიახ?

– წუხელ რამდენჯერმე დაგირეკეს.

ელის ელდა ეცა. – მართლა?

– დიახ. ოთხივე ჯერზე მისტერ ჰამონდი ბრძანდებოდა.

ღმერთო, დიდებულო!

– ლონი მირეკავდა?

– დიახ, მის, ოთხჯერ დარეკა. მეორედ რომ დარეკა, მა-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შინ გავესაუბრე. ძალიან წუხდა თქვენზე. ასე ბრძანა, ჩემი საცოლეაო.

ელიმ ოდნავ გაიღიმა, ცდილობდა არ დასტყობოდა, რას ფიქრობდა. ოთხჯერ დარეკა? ოთხჯერ?! რას უნდა ნიშნავდეს? ვაითუ, რაღაც უბედურება დატრიალდა!

– რამე ხომ არ დაგიბარათ? რამე სასწრაფო ხომ არ იყო?

მენეჯერმა თავი გააქნია. – არა მის, ეგ არ უთქვამს. ჩემი აზრით, უბრალოდ თქვენზე წუხდა.

მადლობა ღმერთსო, გაიფიქრა ელიმ, კიდევ კარგი, სულ ეგ იყო. მერე უცებ გულმა რეჩხი უყო. კი მაგრამ, ასე რამ გადარია? ოთხჯერ რამ დაარეკინა? ეს ლონს არ ჰგავდა. ნეტა რამე ხომ არ დამცდა ისეთი, რამაც ააფორიაქაო, შეწუხდა.

ნუთუ რამე გაიგო? გამორიცხულია, როგორ უნდა გაეგო?.. არა, არა, შეუძლებელია... ნეტა ვინმემ ხომ არ დაინახა გუშინ ელი და ლონს ხომ არ დაურეკა? მაგრამ რატომ უნდა დაერეკათ? მაშინ ნოას სახლამდე ფეხდაფეხ უნდა მიჰყოლოდნენ. ასეთი რამ ნამდვილად არ მომხდარა.

მოკლედ, ლონთან სასწრაფოდ უნდა დაერეკა. მაგრამ აშკარად არ უნდოდა. ეს ელის პირადი დრო იყო და ის უნდა ეკეთებინა, რის გაკეთებაც უნდოდა. ლონთან ლაპარაკი მოგვიანებით ჰქონდა დაგეგმილი. ამას გარდა, იმასაც ფიქრობდა, ლონთან საუბარი მთელ დღეს გამიფუჭებსო. თანაც, რა უნდა ეთქვა? როგორ უნდა აეხსნა, ასე გვიან რომ დაბრუნდა სასტუმროში? გვიანი სადილი და შემდეგ სეირნობა? შეიძლებოდა. ან ეგებ კინო? ან...

– მის!

უკვე პრაქტიკულად შუადღეაო, გაიფიქრა ელიმ. ამ დროს სად შეიძლება იყოს? ალბათ, ოფისში... არა, სასამართლოში, დაასკვნა ბოლოს და უცებ მძიმე ლოდი გულიდან გადავარდა – კიდეც რომ ნდომოდა, ახლა ლონს ვერაფრით ვერ დაელაპარაკებოდა. საკუთარმა შეგრძნებებმა გააოცა, ასეთი

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გრძნობა რომ არ უნდა გასჩენოდა, ეს იცოდა. მაგრამ გაუჩნდა და მიზეზს დიდად აღარ ჩაუკვირდა. საათს დახედა და მიხვდა, რომ მოქმედების დრო იყო.

– ნუთუ მართლა თორმეტი სრულდება უკვე?

მენეჯერმა საათს დახედა და თავი დაუქნია. – დიახ, თხუთმეტი უკლია.

– სამწუხაროდ, – დასძინა ელიმ, – ლონი ახლა სასამართლოშია და ვერ შევეხმიანები. ისევ თუ დარეკა, ხომ ვერ გადასცემთ, რომ საყიდლებზე მივდივარ და მოგვიანებით შევეხმიანები?

– კი ბატონო, – უპასუხა მენეჯერმა, რომელსაც სახეზე აშკარად ეწერა შეკითხვა: „კი მაგრამ, გუშინ სად ბრძანდებოდით?“ ელი დარწმუნებული იყო, რომ მენეჯერმა იცოდა, ელი როდის დაბრუნდა – მეტისმეტად გვიან ამ ქალაქში მარტო ჩამოსული ქალისთვის.

– გმადლობთ, – ღიმილით უთხრა ელიმ. – დიდად დამავალებთ.

ორი წუთიც და უკვე მანქანაში იჯდა და ნოასთან მიდიოდა. მიდიოდა და გულისფანცქალით ელოდა მასთან შეხვედრას. სატელეფონო ზარები ახლა ნაკლებად აწუხებდა. გუშინ ალბათ შეაწუხებდა, მაგრამ ახლა არ აწუხებდა და უკვირდა, ნეტა რა ჯანდაბა დამემართაო.

ელის სასტუმროდან გავიდა თუ არა, ალბათ დაახლოებით ოთხ წუთში, ლონმა ისევ დარეკა; ამჯერად პირდაპირ სასამართლოდან.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იდუმალი წყალი

ნოა თავის სარწეველაში იჯდა, ტკბილ ჩაის სვამდა და ელის მანქანას ელოდებოდა. ბოლოს ძრავას ხმა გაიგონა, წამოდგა და გზას გახედა. ელი ეზოს მოუახლოვდა და მანქანა გუშინდელივით ისევ იმ მუხის ქვეშ დააყენა. კლემი მანქანას ყეფითა და კუდის ქიცინით მიეგება. ელიმ მანქანიდანვე დაუქნია ნოას ხელი.

ქალი მანქანიდან გადმოვიდა და კლემს თავზე მოეფერა. მერე მისკენ მიმავალი ნოასკენ მიტრიალდა და გაუღიმა. გუშინდელზე ბევრად მშვიდი, დასვენებული და თამამი ჩანდა და ნოა მის დანახვაზე ისევ აღელდა. თუმცა, ეს უკვე გუშინდელისაგან განსხვავებული ღელვა იყო – ახალი გრძნობით და არა მოგონებით გამოწვეული ღელვა. ამ ერთ ღამეში ელი კიდევ უფრო სასურველი გამხდარიყო მისთვის და ეს ძლიერი, ახალი ვნება, ცოტა არ იყოს, ანერვიულებდა ნოას. პატარა ჩანთით მომავალ ელის შუა გზაზე მიეგება და გაოცდა, როცა ქალმა სრულიად დაუძაბავად აკოცა ლოყაზე და თავისუფალი ხელი წელზე შემოხვია.

– გამარჯობა, – უთხრა ელიმ გაცისკროვნებული სახით. – აბა, სად არის შენი სიურპრიზი?

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნოა, ღვთის მადლით, ოდნავ მოდუნდა.

– ესე იგი, არც „როგორა ხარ?“ ანდა „როგორ გეძინა?“ და პირდაპირ საქმეზე გადავედით?

ელის გაეღიმა. სულსწრაფობა მისი ხასიათის ერთ-ერთი გამოკვეთილი თვისება იყო.

– ჰო, კარგი კარგი. მითხარი, როგორა ხარ? როგორ გეძინა? და სიურპრიზი სადაა?

ნოამ ჩაიცინა. – ელი, ერთი ცუდი ამბავი უნდა გითხრა.

– რა მოხდა?

– ერთ ადგილას მინდოდა წამეყვანე, მაგრამ, ამ საავდრო ღრუბლების შემხედვარე, ვფიქრობ, რომ არ ღირს.

– რატომ?

– თავსხმა იქნება და გავილუმპებით. თანაც, ჭექა-ქუხილიც თუ დაერთო...

– ჯერ ხომ არ წვიმს? ძალიან შორსაა?

– მდინარეს ზემოთ უნდა ავუყვეთ, დაახლოებით ერთი მილი უნდა გავიაროთ.

– მერე ეგ რა ისეთი მანძილია? ადრეც ხომ გაგვიცურავს ნავით?

– ასეთ ამინდში, არა.

ელი წამით დაფიქრდა და მერე მტკიცე ხმით უთხრა:

– ჰოდა ახლა გავცუროთ. წვიმა ფეხებზე მკიდია.

– დარწმუნებული ხარ?

– ჰო.

ნოამ ისევ ცას გახედა და შენიშნა, რომ ღრუბლები უფრო ახლოს მოსულიყვნენ.

– მაშინ, ახლავე უნდა დავიძრათ. გინდა, ეგ ჩანთა სახლში შევიტანო?

ელიმ თავი დაუქნია. ნოა ძუნძულით გავარდა, ჩანთა სასტუმრო ოთახში დადო, მერე სამზარეულოში შევარდა, პურს ხელი დაავლო, ჩანთაში ჩაიგდო და უკან გამოიქცა.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ელიმ და ნოამ კანოესაკენ გასწიეს. გვერდიგვერდ მიაბიჯებდნენ, ამჯერად ერთმანეთთან უფრო ახლოს, ვიდრე გუშინ.

– მაინც, სად მივდივართ?

– მივალთ და ნახავ.

– დაახლოებითაც არ მეტყვი?

– გახსოვს, ერთხელ კანოეთი რომ გავცურეთ მზის ამოსვლის საყურებლად?

– სწორედ დღეს დილით ვიხსენებდი. მაშინ ვიტირე კიდეც.

– დღეს რასაც გიჩვენებ, მაშინდელ შთაბეჭდილებას საერთოდ გაახუნებს.

– ეტყობა, განსაკუთრებული პატივის ღირსი უნდა გამხადო.

ნოამ რამდენიმე ნაბიჯით გაუსწრო, ვიდრე უპასუხებდა.

– შენ ისედაც განსაკუთრებული ხარ ჩემთვის, – უპასუხა და ელის ისეთი გრძნობა დარჩა, თითქოს კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ არ თქვა. ელიმ ჩაიღიმა და თავი დახარა. თავი დახარა და იგრძნო, როგორ წამოუბერა სახეზე ქარმა. ქარი დილიდანვე უბერავდა, დროდადრო, და თანდათან ძალას იკრებდა.

მალე ნავსაყუდელს მიადგნენ. ნოამ ჩანთა კანოეში ჩააგდო, კანოე ერთხელაც შეამოწმა და წყალზე დაუშვა.

– მე რამე ხომ არ გავაკეთო? – იკითხა ელიმ.

– არა, უბრალოდ ჩაჯექი.

ელი კანოეში ჩაჯდა და ნოამ ნავი უფრო ღრმად შეაცურა წყალში. მერე თვითონაც მარჯვედ ისკუპა და კანოეში ისე ჩახტა, რომ არ აეყირავებინა. ელი აღფრთოვანებული მისჩერებოდა. ხვდებოდა, რომ ის, რაც ნოამ ასე ადვილად და მარჯვედ მოიმოქმედა, სულაც არ იყო ასე ადვილი.

ელი კანოეს თავში გადაჯდა, წყლის ნაკადისკენ ზურგით. ნოამ ნიჩბები მოუსვა და რაღაც მიაძახა, ხედის დაკარგვის თაობაზე, მაგრამ ელიმ თავი გააქნია, ასე მირჩევნიაო.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მართლაც ასე ერჩივნა.

რამის დანახვა თუ მოუნდებოდა, ბოლოს და ბოლოს თავს მიაბრუნებდა და სხვა არაფერი. ასე კი ნოას ხედავდა. აქ ხომ ნოას სანახავად იყო მოსული და არა მდინარის. ნოას პერანგზე ზედა ღილები შეეხსნა და, ნიჩბის ყოველ მოსმაზე, ელი ხედავდა, როგორ ეჭიმებოდა გულ-მკერდის კუნთები. სახელოები აკაპიწებული ჰქონდა, და მკლავის დაბერილი კუნთებიც კარგად მოუჩანდა. ყოველდღიური ნიჩბოსნობის წყალობით, კუნთები ძალიან კარგად ჰქონდა განვითარებული.

ნამდვილი ხელოვნებაა, ფიქრობდა ელი; ნოას ნაოსნობა მართლაც ხელოვნების დონეზე ჰქონდა აყვანილი. თანაც ამას საოცრად ბუნებრივად აკეთებდა, თითქოს მასა და წყალს შორის რაღაც ბუნებრივი, მემკვიდრეობით გადმოცემული კავშირი არსებობდა. უყურებდა და ფიქრობდა, ალბათ ამ მიწის ალმომჩენნი და პირველმოსახლენი სწორედ ასეთები იქნებოდნენო.

ამქვეყნად სხვა არავინ ეგულებოდა ისეთი, ვინც ნოას ოდნავ მაინც წააგავდა. ნოა საკმაოდ რთული პიროვნება იყო, ზოგჯერ წინააღმდეგობრივიც; გარეგნულად სადა, ამავ-დროულად საოცარი ეროტიკულობით გამოირჩეოდა. ერთი შეხედვით, ომიდან შინ დაბრუნებული სოფლელი ბიჭი იყო, და ალბათ თავადაც ასე აღიქვამდა საკუთარ თავს. მაგრამ, ამავე დროს, საოცრად მდიდარი შინაგანი ბუნება ჰქონდა. ალბათ პოეზიამ გახადა ასეთი გამორჩეული, ან ეგებ იმ ფასეულობებმა, რომლებიც მამამ შთაუნერგა. ასე იყო თუ ისე, აშკარად სხვებზე მეტად შეეძლო ცხოვრებით ტკბობა, და სწორედ ამან მოხიბლა ელი იმთავითვე.

– რაზე ფიქრობ?

ელი ნოას ხმამ ფიქრებიდან გამოიყვანა და ოდნავ შეაკრთო კიდეც. უცებ მიხვდა, რომ რაც წყალში შემოვიდნენ, თითქმის არაფერი უთქვამს, და აშკარად აფასებდა იმასაც, რომ ნოამ

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

აქამდე არ დაარღვევინა ეს მშვენიერი სიჩუმე. ნოა ხომ ყოველთვის გრძნობდა, რა სჭირდებოდა ელის.

– კარგ რამეებზე, – მშვიდად მიუგო ელიმ და ნოას თვალებმა უთხრეს, მშვენივრადაც ვხვდებით, ვისზეც ფიქრობდი მთელი ეს დროო. ელის ესიამოვნა, ნოა რომ მიუხვდა და თავადაც ჰქონდა იმედი, ალბათ ნოაც ჩემზე ფიქრობსო.

უცებ მიხვდა, რომ რაღაც ემართებოდა, რაღაც დიდი და მნიშვნელოვანი იდგამდა ფესვს მთელ მის არსში; ზუსტად ისე, როგორც მრავალი წლის წინ. ნოას რომ უყურებდა, მისი კუნთების მოძრაობას რომ ხედავდა, თანდათან მთელი მისი სხეულის შეგრძნებაც დაიწყო და კისერზე, მკერდსა და ლოყებზე ალმური მოედო. სასწრაფოდ მიიბრუნა თავი; არ უნდოდა, ნოას მისი აღელვება რომ შეენიშნა.

– კიდევ ბევრი დარჩა? – იკითხა მშვიდად.

– დაახლოებით ნახევარი მილი, მეტი არ იქნება.

კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა. მერე ელიმ აღნიშნა:

– რა ლამაზია აქაურობა, რა სუფთა, რა მშვიდი. ასე მგონია, პრეისტორიულ ხანაში მოვხვდით.

– ნაწილობრივ ასეც არის. ეს მდინარე ტყეში იღებს სათავეს. მდინარის სათავიდან აქამდე მოყოლებული, ერთი ფერმაც კი არ არის არსად. ამიტომაცაა წყალი ასეთი ანკარა. ალბათ ისეთივე ანკარა და შეურყვნელია, როგორც თავიდან იყო.

ელი ნოასკენ გადაიხარა.

– მითხარი, იმ ჩვენი ერთად გატარებული ზაფხულიდან ყველაზე მეტად რა დაგამახსოვრდა?

– ყველაფერი.

– და განსაკუთრებით?

– არაფერი.

– სულ არაფერი?

ნოამ პასუხი დაახანა. მერე მშვიდად უპასუხა:

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– არა, ვერ გამიგე. როგორ არ დამამახსოვრდა; უბრალოდ წელან რომ გითხარი, ყველაფერი-მეთქი, არ გეხუმრებოდი. ყოველი წუთი მახსოვს, იმიტომ, რომ ყველა განსაკუთრებული იყო. ერთ რომელიმე წუთს ვერ გამოვარჩევ და ვერ გეტყვი, ის წუთი სულ სხვა იყო-მეთქი. მთელი ის ზაფხული მშვენიერი იყო. ღმერთმა ასეთი მშვენიერება ყველას გამოაცდევინოს ცხოვრებაში. ჰოდა, აბა ერთი რომელიმე ეპიზოდი როგორ გამოვარჩიო? პოეტები სიყვარულს რომ აღწერენ, ამბობენ, ეს ის მდგომარეობაა, როცა ემოციებს ვეღარ აკონტროლებ; როცა ემოცია ლოგიკას და ჭკუას არ ექვემდებარებაო. ჰოდა სწორედ ასეთი იყო ის ზაფხული ჩემთვის. ერთმანეთის შეყვარება არც ერთს არ დაგვიგეგმავს წინასწარ. მაგრამ შევხვდით თუ არა, მაშინვე ცხადი გახდა, რომ ორივემ კონტროლი დავკარგეთ იმაზე, რაც ჩვენს თავს ხდებოდა. ჩვენ შორის დიდი სხვაობის მიუხედავად, ერთმანეთი შეგვიყვარდა, ჰოდა რომ შეგვიყვარდა, რაღაც მშვენიერი იშვა. მე მსგავსი სიყვარული აღარასოდეს განმიცდია. ამიტომაც მახსოვს შენთან გატარებული ყოველი წუთი და წამი. და ვიცი, არც არასოდეს დამავიწყდება.

ელი გაოგნებული მიჩერებოდა ნოას. არავის და არასდროს არ უთქვამს მისთვის მსგავსი რამ. ენა ჩაუვარდა, არ იცოდა, რა ეპასუხა, და ამიტომ ჩუმად იჯდა და სახეზე ალმური ასდიოდა.

– ძალიან ვწუხვარ, თუ უხერხულ მდგომარეობაში ჩაგაგდე, – განაგრძო ნოამ. – ეგ ნამდვილად არ მინდოდა. მაგრამ იმ ზაფხულს ვერ ვივიწყებ, და ვერც ვერასოდეს დავივიწყებ, ალბათ. ვიცი, რომ ეს ყველაფერი დამთავრდა, მაგრამ რაც იყო, იმას მაინც ვერ შევცვლი და ვერაფერს მოვუხერხებ.

ელის გული სითბოთი აევსო და ძალიან მშვიდად მიუგო:

– სულაც არ ჩავვარდნილვარ უხერხულ მდგომარეობაში, უბრალოდ ასეთი სიტყვები არასოდეს არავისგან არ მომისმენია.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შენ რაც მითხარი, მართლაც მშვენიერი იყო. ალბათ პოეტი უნდა იყო, ასე ლაპარაკი რომ შეგეძლოს. და ჩემს ნაცნობებში შენ ერთადერთი პოეტი ხარ-მეთქი, ადრეც ხომ მითქვამს.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა, ძალიან მშვიდი სიჩუმე. სადღაც შორს რომელიღაც ფრინველმა შემოსძახა და იქვე ნაპირთან კალმახიც გასხმარტალდა. ნოა ნიჩაბს რიტმულად უსვამდა და ნავი ნაზად ირწეოდა წყალზე. ქარი აღარ უბერავდა, მაგრამ ცა მთლად მოქუფრულიყო და რაც უფრო წინ მიიწევდნენ, მით უფრო იფარებოდა საავდრო შავი ღრუბლებით.

ელი ყველაფერს გრძნობდა, ყველაფერს ხედავდა და ყოველი პატარა ხმაური ესმოდა, რადგან შეგრძნებები უკიდურესად გამძაფრებოდა. იმასაც გრძნობდა, რომ ფიქრით ახლა ბოლო რამდენიმე კვირას უბრუნდებოდა. ის ფორიაქი გაახსენდა, რომელმაც აქეთ წამოიყვანა. ის ელდა გაახსენდა, საგაზეთო სტატიამ რომ მოჰგვარა. უძილო ღამეები გაახსენდა, დაძაბულობით და გაღიზიანებით აღსავსე დღეები. გუშინაც კი შიში ბოჭავდა და ერთი პირობა ლამის გაიქცა კიდეც. ახლა ამ დაძაბულობამ გაიარა, უკვალოდ გაქრა ყველაფერი. მაგრამ რაღაცით ჩანაცვლდა. და ახლა სწორედ ეს ცვლილება უვსებდა გულს სიხარულით, როდესაც მშვიდად მიცურავდა ამ ძველი მოწითალო კანოეთი.

საოცრად კმაყოფილი იყო, რომ ჩამოვიდა. უხაროდა, რომ ნოასგან სწორედ ისეთი კაცი დადგა, როგორსაც ელოდა; და რომ ამაში თავად დარწმუნდა. ბოლო წლებში ომითა თუ დროით, ანდა თუნდაც უფულობით გატეხილი ბევრი კაცი ნახა. დიდი სულიერი ძალა და ნებისყოფა იყო საჭირო, მხნეობა რომ შეენარჩუნებინა ადამიანს. ჰოდა ნოა სწორედ ასეთი ძლიერი და მხნე ადამიანი იყო.

ნოას გარემო, რომელშიც ის ტრიალებდა, მშრომელი ადამიანების მიწიერი გარემო იყო, და არა პოეტების სულიერად ამაღლებული სამყარო. და ამიტომ გარშემო მყოფ ადამიანებს

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გაუჭირდებოდათ მისი გაგება. გაზეთები წერდნენ, რომ ამერიკა უკვე ძალას იკრებდა, ხალხი პროგრესისკენ ისწრაფოდა და ცდილობდა, დაევიწყებინა ომის საშინელებები. ელის მათი ესმოდა. მაგრამ ისინი ლონივით წინ მიისწრაფოდნენ; ცდილობდნენ, მოგება ენახათ და მუშაობით იკლავდნენ თავს. მაგრამ ამქვეყნიური მშვენიერებით ტკბობისათვის დრო აღარავის რჩებოდა.

ისეთს ვის იცნობდა რალიში, თავისი ხელით სახლის აღდგენაზე რომ დაეკარგა დრო? ანდა უიტმენი და ელიოტი ეკითხა და მათ ხატოვანებაზე ეფიქრა? ანდა კანოეთი ესეირნა დილაობით? ეს ისეთი რამეები არ იყო, რაც საზოგადოებას წინსვლისთვის მისცემდა ბიძგს, მაგრამ ელი გრძნობდა, რომ ეს ყველაფერი არამც და არამც არ უნდა ყოფილიყო ხელწამოსაკრავი, რადგანაც სწორედ ასეთი რამეების გამო ღირდა ცხოვრება.

ელისთვის ფერწერაც ამ კატეგორიაში გადიოდა, მაგრამ ეს მხოლოდ აქ ჩამოსვლის შემდეგ გაიაზრა; უფრო სწორად, გაიხსენა. დიდი ხნის წინ იცოდა, და ახლა კიდევ ერთხელ გაბრაზდა საკუთარ თავზე, რომ დაავიწყდა ეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რამ ცხოვრებაში – შემოქმედება, მშვენიერების შექმნა. სწორედ ფერწერა იყო მისი მოწოდება, მისი პირადი საქმე და დანიშნულება. ამაში ახლა ეჭვი საერთოდ აღარ ეპარებოდა. დილანდელმა გრძნობამ ამაში ბოლომდე დაარწმუნა. ჰოდა იცოდა, რაც უნდა მომხდარიყო, ამ საქმეს თავს აღარ დაანებებდა, მიზანს აუცილებლად მიაღწევდა, და არ ენაღვლებოდა, ამაზე სხვები რას იტყოდნენ.

ნეტა ლონი თუ შეაგულიანებდა, ხატეო? ელის გაახსენდა, როგორ აჩვენა ლონს თავისი ერთი ნამუშევარი მასთან დაახლოების რამდენიმე თვის თავზე. აბსტრაქტული ნახატი იყო, გონება ფიქრისკენ უნდა განეწყო. თითქოს იმ ტილოსაც ჰგავდა, ნოას ბუხრის თავზე რომ ეკიდა და ნოას ძალიან

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კარგად რომ ესმოდა. თუმცა, ეს მეორე სურათი ნაკლები ვნებით იყო დახატული. ლონმა სურათს დიდხანს უყურა, ლამის დეტალურადაც კი შეისწავლა და მერე ჰკითხა, მაინც რა ასახე ამ ტილოზეო. ელის პასუხის გაცემაც კი აღარ მოუნდა.

ელიმ თავი გადააქნია; იგრძნო, რომ ლონის მიმართ მთლად სამართლიანი არ იყო ახლა. ლონი უყვარდა, სხვა თვისებების გამო უყვარდა. ლონი ნოა არ იყო, მაგრამ მაინც კარგი კაცი იყო. და ელიმ იმთავითვე იცოდა, რომ ოდესმე სწორედ ასეთ კაცს გაჰყვებოდა ცოლად. ლონთან ცხოვრება სიურპრიზებს არ მოუწყობდა, მომავალი ყოველთვის ნათელი და გარანტირებული იქნებოდა მისთვის. ლონი, წესით, კარგი ქმარი უნდა ყოფილიყო და ელიც კარგ ცოლობას გაუწევდა. თავისიანებისა და მეგობრების სახლების ახლოს იცხოვრებდა და მაღალ საზოგადოებაში იტრიალებდა. ეს ის ცხოვრება იყო, რომლისთვისაც ელი დაიბადა, და რომლითაც ყოველთვის უნდოდა ცხოვრება. და თუმცა მისი და ლონის ურთიერთობა ყოვლისმომცველ ვნებაზე არ იყო დაფუძნებული, ელიმ დიდი ხნის წინ დაირწმუნა თავი, რომ ეს სულაც არ იყო კარგი ურთიერთობის აუცილებელი ატრიბუტი. ვნება დროთა განმავლობაში დაცხრებოდა და მის ადგილს მეგობრობა და ურთიერთგაგება დაიჭერდა. მას და ლონს ერთმანეთის ესმოდათ და ნამდვილი მეგობრებიც იყვნენ უკვე. ჰოდა ელიმ გადაწყვიტა, რომ მეტი არც არაფერი იყო საჭირო.

მაგრამ ახლა, როცა ხედავდა როგორ უსვამდა ნოა ნიჩბებს, საკუთარ მოსაზრებაში ეჭვი შეეპარა. ნოას ყოველი მოძრაობა, ყველაფერი, რასაც აკეთებდა, ისევე როგორც თავად ნოა, საოცრად მამაკაცური და ვნებისაღმძვრელი იყო. და ელიმ საკუთარი თავი იმაშიც კი გამოიჭირა, რომ ისეთი აზრიც კი გაივლო გულში, სხვა კაცის საცოლეს რომ არ უნდა გაევლო. წამდაუწუმ არიდებდა თვალს ნოას, გვერდით იხედებოდა. მაგრამ მისი მარჯვე და ლამაზი მოძრაობებისა და

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მისი ძლიერი და მოქნილი სხეულისათვის თვალის მოწყვეტა ადვილი საქმე სულაც არ იყო.

– აი, მოვედით, – თქვა ნოამ და კანოე ნაპირთან ახლოს ამოსული ხეებისაკენ მიმართა.

ელიმ მიმოიხედა და ვერაფერი დაინახა.

– აბა?

– აი, იქით, – უპასუხა ნოამ და წყალზე გადებული იმ მორისაკენ მიუთითა, მთელ ხედს რომ ფარავდა. მერე კანოე მორისაკენ მიმართა, მორს შემოუარა და ორივეს თავის დახრა მოუწია, ხის ტოტებს რომ არ დასჯახებოდნენ.

– თვალები დახუჭე, – ჩურჩულით უთხრა ნოამ და ელიმ თვალებზე ხელები აიფარა. ნიჩბების მოსმის ხმა ესმოდა და გრძნობდა, რომ კანოე სვლას განაგრძობდა.

– კარგი. ახლა შეგიძლია გაახილო, – უთხრა ნოამ და კანოე გააჩერა.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გედები და თაესხმები

ბრაისის კრიკის წყლებით ნასაზრდოები ტბის შუაგულში იდგნენ. ტბა დიდი არ იყო, სულ რაღაც ასი კვადრატული იარდი იქნებოდა, მაგრამ ელის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, რამდენიმე წუთის წინ ასეთი უხილავი რომ იყო ეს ადგილი.

თვალწინ საოცარი სანახაობა გადაეშალა. ათასობით ტუნდრის გედი და კანადური ბატი შემოხვეოდა კანოეს. ფრინველები ისეთ მჭიდრო გუნდებად დაცურავდნენ, რომ ალაგ-ალაგ წყალი საერთოდ არ ჩანდა. გედების გუნდები პატარა აისბერგებს ჩამოჰგავდნენ შორიდან.

– ღმერთო ჩემო, ნოა! – ძლივს გასაგონად აღმოხდა ელის, – ნამდვილი საოცრებაა!

კარგა ხანს ისხდნენ ჩუმად და ფრინველებს უთვალთვალებდნენ. ნოამ ელის პატარა, ახალგამოჩეკილი ბატის ჭუკები დაანახვა. ჭუკები ნაპირთან ახლოს, დედა ბატების გუნდს მწკრივად მისდევდნენ და გულმოდგინედ ცდილობდნენ, მწყობრიდან არ ამოვარდნილიყვნენ.

ნოამ კანოე დაძრა და წამით ფრინველებმა იქაურობა ყიყინით აიკლეს. მაგრამ, ძირითადად, ყურადღებას არ აქცევდნენ მათ სამყაროში შემოჭრილებს; მხოლოდ მაშინ ამჩნევ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დნენ, როცა იძულებული იყვნენ, მოახლოებული კანოესათვის გზა დაეთმოთ. ელიმ ხელი გაიშვირა და იქვე მოცურავე გედს მოეფერა, ბუმბული აუშალა თითებით ზურგზე.

ნოამ ჩანთიდან პური ამოიღო და ელის მიაწოდა. ელიმ პური დაფშვნა და ნამცეცები ტბაში ჩაყარა. უფრო დიდი ულუფები პატარებს არგუნა. ხან ელიმებოდა და ხანაც ხმამაღლა კისკისებდა, საკვების მოპოვებაში ჭუკები წრეებს რომ უვლიდნენ კანოეს.

ტბაზე იქამდე დარჩნენ, ვიდრე მეხი არ გავარდა. შორს დაიჭექა, მაგრამ ძლიერად, და ორივე მიხვდა, რომ უკან დაბრუნების დრო მოსულიყო.

ნოამ კანოე მდინარეში შეაბრუნა და ნაკადის მიმართულებით მოუსვა ნიჩბები. უფრო სწრაფად და მძლავრად უსვამდა, ვიდრე ადრე. ელი ჯერ კიდევ შთაბეჭდილების ქვეშ იყო და გაოგნებული იჯდა.

– მითხარი, აქ საიდან გაჩნდნენ?

– წარმოდგენა არა მაქვს. ვიცი, რომ ჩრდილოეთის გედები ტბა მატამუსკიტზე მიფრინავენ ხოლმე გამოსაზამთრებლად, მაგრამ ამ ზამთარს, ეტყობა, აქეთ გადაწყვიტეს წამოსვლა. არ ვიცი, რამ აიძულათ. ალბათ ნაადრევმა ქარიშხლებმა აურიეს ტვინი. ან ეგებ გზა აებნათ. თუ ასეა, ბოლოს მაინც გაფრინდებიან.

– ესე იგი, აქ არ დარჩებიან?

– არა მგონია. ფრინველები ხომ ინსტინქტურად მოქმედებენ და ეს მათი ადგილი არ არის. შეიძლება, ბატები დარჩნენ, მაგრამ გედები აუცილებლად გაფრინდებიან.

ნოა ძალიან სწრაფად უსვამდა ნიჩბებს, შავი ღრუბელი უკვე თავზე წამოსდგომოდათ. მალე გაწვიმდა კიდეც. თავიდან ჟინჟლავდა, მაგრამ თანდათან უმატა და ბოლოს მაგრადაც დასცხო. ცაზე ელვა გაკრთა... და მცირედი პაუზის შემდეგ... საშინლად დაიქუხა. ასე გამეორდა რამდენჯერმე. რაც უფრო

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ძლიერად წვიმდა, მით უფრო სწრაფად უსვამდა ნოა ნიჩბებს; კუნთები დახეთქვაზე ჰქონდა.

მსხვილ-მსხვილი წვეთები...

ცვიოდა ციდან...

და ქარს კიდევ უფრო მსხვილი... წვეთები... მოჰყვებოდა... ნოა კანოეს ერეკებოდა... უნდოდა, წვიმისათვის გაესწრო... მაგრამ ამაოდ... მაინც სველდებოდნენ... გულში თავბედს იწყევლიდა... როგორ მოტყუვდა... როგორ აჯობა ბუნებამ ჭკუაში...

საშინელი თავსხმა ატყდა. ელი შეჰყურებდა ციდან დიაგონალურად წამოსული წვიმის სვეტებს, დასავლეთის ქარს აყოლილები, გრავიტაციის კანონს რომ ეურჩებოდნენ. ცა კიდევ უფრო ჩამუქდა, წვეთები გამსხვილდა და ცხადი გახდა, რომ სასტიკი ქარიშხალიც მალე ამოვარდებოდა.

ელის წვიმა ძალიან ახალისებდა. თავი უკან გადაეგდო და სახე წვიმისთვის შეეშვირა. იცოდა, რომ კაბის გულისპირი მალე ბოლომდე დაუსველდებოდა, მაგრამ არ ენაღვლებოდა. აინტერესებდა, ნოა თუ ამჩნევს, კაბა რომ დამისველდა და ტანზე მეკრობაო. მერე იფიქრა, ალბათ ამჩნევს, აბა რა იქნებაო.

ხელები თავზე გადაიტარა, წყალი ოდნავ ჩამოიწურა თმიდან. თმა რბილი და მშვენიერი ეჩვენა. თვითონაც მშვენივრად გრძნობდა თავს და, საერთოდ – ირგვლივ ყველაფერი მშვენიერი იყო. წვიმის ხმაურის მიუხედავად, მშვენივრად ესმოდა ნოას აჩქარებული სუნთქვა და მისი სუნთქვის ხმამ საოცრად აღაგზნო. ასეთი განცდა, დიდი ხანია, არ დაუფლებოდა.

უცებ მათ თავს წამომდგარი ღრუბელი თითქოს ერთბაშად გასკდა და რაც კი რამ წყალი ჰქონდა დაგროვილი, ერთბაშად გადმოღვარა დედამიწაზე. ასეთი თავსხმა ელის თავის დღეში არ ენახა. ელიმ ცაში აიხედა და სიცილი აუვარდა. თავის შეფარებას აზრი აღარ ჰქონდა. ჰოდა ნოასაც გულს მოეშვა.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

აღარ ღელავდა, ელი რომ დაუსველდა. მიუხედავად იმისა, რომ ელიმ თავად დაიჩემა წავიდეთო, ნოა მაინც შფოთავდა – არ იცოდა, წვიმაში მოყოლაზე ელის რა რეაქცია ექნებოდა.

ცოტაც და ნავსაყუდელს მიაღწიეს. ნოამ კანოე ნაპირთან ახლოს მიაყენა, ელის გადმოსვლა რომ არ გასჭირვებოდა. მერე ელის გადმოსვლაში დაეხმარა, თვითონაც გადმოვიდა და კანოე ნაპირზე ამოათრია. წყლიდან კარგა მოშორებით დადო, მოდიდებულ წყალს რომ არ წაელო. მერე, ყოველი შემთხვევისათვის, ფიცარნაგსაც კარგად მიაბა.

კანოეს რომ აბამდა, ელის ახედა და წამით სუნთქვა შეეკრა. საოცრად ლამაზი იყო, მთლად გალუმპული და კმაყოფილი რომ დასცქეროდა ნოას. წვიმას არ გაურბოდა, თავის შეფარებას არ ცდილობდა, და ნოა მისი მკერდის სიმრგვალეს ცხადლივ ხედავდა სველი და კანზე მიკრული ნაჭრის მიღმა. ცივი წვიმა არ იყო, მაგრამ ძუძუს კერტები გამაგრებოდა და ორი პატარა კენჭივით მკვეთრად მოუჩანდა სველ კაბაზე. ნოამ იგრძნო, როგორ დაეძაგრა მთელი სხეული და სასწრაფოდ გვერდით გაიხედა. მერე დარცხვენილმა რაღაც წაიბუტბუტა; გაუხარდა, წვიმის ხმა მის ბუტბუტს რომ ახშობდა. კანოეს დაბმა რომ დაასრულა, წამოდგა და, მისდა გასაოცრად, ელიმ უცებ ხელი მოჰკიდა. თავსხმის მიუხედავად, არც ერთი არ ჩქარობდა, და ნოამ წამით წარმოიდგინა, როგორი ღამე შეიძლებოდა გაეტარებინა ელისთან.

ელიც ფიქრობდა. ნოას ხელებში სითბო იგრძნო და წარმოიდგინა, როგორ ეფერებოდნენ ეს ხელები მთელ მის სხეულს, როგორ ეხებოდნენ ნაზად კანზე, სხეულის თითოეულ ნაკვთზე. წარმოიდგინა და ძუძუს კერტები კიდევ უფრო გაუმაგრდა, ამოიკვნესა და საოცარი, უჩვეულო სითბო იგრძნო ფეხებს შუა.

მაშინვე გააცნობიერა, რომ, რაც აქ ჩამოვიდა, რაღაც შეიცვალა. და თუმცა ზუსტად არ იცოდა, გუშინ, ნასადილევს მოხდა ეს ცვლილება, დღეს ნაშუადღევს, კანოეში, როცა გე-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დებს უყურებდნენ, თუ ამწამს, როცა ხელიხელჩაკიდებულები მიდიოდნენ, მაგრამ ის კი იცოდა, რაც შეიცვალა – გრძნობდა, რომ ისევ შეუყვარდა ნოა ტეილორ კოლჰუნი, რომელიც მიმართაც, შესაძლოა, არც არასოდეს გამხდარა გულგრილი.

სახლში რომ შევიდნენ, ჰოლში რომ იდგნენ და ტანსაცმლიდან წურწურით რომ ჩამოსდიოდათ წყალი, უკვე არავითარი უცხოობა, მორცხვობა თუ დაძაბულობა აღარ არსებობდა მათ შორის.

– შემთხვევით გამოსაცვლელი ხომ არ წამოგიღია? – ჰკითხა ნოამ.

ელიმ უარის ნიშნად თავი გააქნია. ჯერ კიდევ საკუთარი გრძნობის ტყვეობაში იმყოფებოდა და აინტერესებდა, ნეტა სახეზე თუ მეტყობა ეს ყველაფერიო.

– მაშინ რაღაცას მოგიხერხებ. რამეს მოგიძებნი. ალბათ მთლად შენი ზომა არ იქნება, მაგრამ სველებს გაიხდი და გათბები მაინც. კარგი?

– რაც გაგეხარდება, ის მომეცი, ყველაფერზე თანახმა ვარ, – უპასუხა ელიმ.

– ერთი წუთით დამიცადე, – თქვა ნოამ, ჩექმები გაიძრო, კიბეზე აირბინა და წამში უკანვე ჩამობრუნდა. ცალ იღლიაში ბამბის შარვალი და გრძელსახელოებიანი პერანგი ამოედო, მეორეში – ჯინსი და ცისფერი პერანგი.

– გამომართვი, – უთხრა ელის და ბამბის შარვალი და გრძელსახელოებიანი პერანგი გაუწოდა. – შეგიძლია მეორე სართულზე, საძინებელში გამოიცვალო. სააბაზანო და პირსახოციც იქვეა, წყლის გადავლება თუ მოგინდება.

ელიმ გაუღიმა, მადლობა გადაუხადა და ზედა სართულისაკენ გაემართა. მიმავალი, ნოას მწველ თვალებს გრძნობდა. ელი საძინებელში შევიდა და კარი ჩაკეტა. მერე ნოას შარვალი და პერანგი საწოლზე გადაფინა და გაშიშვლდა. შიშველი ნოას

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კარადას მიადგა, თავისუფალი საკიდი ჩამოხსნა, ზედ კაბა და საცვლები ჩამოკიდა და გასაშრობად სააბაზანოში გაიტანა, ოთახში იატაკი რომ არ დაესველებინა. მერე იგრძნო, რომ ნოას ოთახში ასე შიშველი რომ დაიარებოდა, ეს ფაქტი სასიამოვნო ჟრუანტელს ჰგვრიდა.

წვიმის წყალში განბანილს შხაპის მიღება სულაც არ უნდოდა. კანი დარბილებული ჰქონდა და ფიქრობდა, ხალხი ალბათ სწორედ ასე ბანაობდა დიდი ხნის წინათო – ასე ვთქვათ ბუნებრივად, ნოასავით. ნოას ტანსაცმელი ისე გადაიცვა, სარკეში არ ჩაუხედავს. შარვალი დიდი ჰქონდა, მაგრამ პერანგი რომ ჩაიტანა, აღარ სძვრებოდა, ჰოდა მერე ტოტებიც აიკეცა, ძირს რომ არ მოსთრეოდა. პერანგს საყელო მოხეოდა და ცალ მხარზე გადმოფენოდა, მაგრამ ელის ასეც მოსწონდა. სახელოები იდაყვებამდე აიკაპიწა, მერე კომოდის უჯრა გამოაღო, ერთი წყვილი წინდა ამოიღო და ისინიც ამოიცვა. ამის შემდეგ სააბაზანოში შევიდა და სავარცხელს დაუწყო ძებნა. თმა ოდნავ გადაივარცხნა, აბურდული ადგილების გასასწორებლად, და სველი თმა მხრებზე ჩამოიშალა. სარკეში რომ ჩაიხედა, იფიქრა, ნეტა ერთი-ორი თმის სარჭი ან სამაგრი მაინც მქონოდაო.

და წამწამების ტუშიც აშკარად არ აწყენდა. ახლა ამას აღარაფერი ეშველებოდა. თვალებზე ცოტა ტუში ჯერ კიდევ შერჩენოდა, უბრალოდ გათხიპნილი ადგილები გაიწმინდა სველი პირსახოცით და ოდნავ რაღაცას დაამსგავსა.

როცა ბოლომდე მოწესრიგდა, სარკეში ჩაიხედა და მიხვდა, რომ მიუხედავად ყველაფრისა, მაინც კარგად გამოიყურებოდა და ქვედა სართულზე დაეშვა.

ნოა სასტუმრო ოთახში ბუხრის წინ ჩაცუცქულიყო და ცეცხლის გაჩაღებას ცდილობდა. ელის ვერ ხედავდა და ელიც გარინდებული მიაჩერდა. ტანსაცმელი გამოეცვალა და მშვენივრად გამოიყურებოდა ფართო მხრებზე დაფენილ სველ თმასა და მოტკეცილ ჯინსში.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მუგუზლებს აქეთ-იქით ანაწილებდა და ფიჩხს უმატებდა. ელი კარს მიეყუდა, ფეხები გადააჯვარედინა და გაფაციცებული დააკვირდა ნოას მოძრაობებს. რამდენიმე წუთიც და ბუხარი აგიზგიზდა. ნოა დარჩენილი შეშის ადგილზე დასადებად ოდნავ მობრუნდა და ელის მოჰკრა თვალი. მაშინვე მისკენ შეტრიალდა.

კაცის ტანსაცმელში გამოწყობილიც კი მზეთუნახავი ეჩვენებოდა. მერე უცებ დაიმორცხვა და ისევ საქმეს მიუბრუნდა.

– ვერ გავიგონე, რომ ჩამოხვედი, – თქვა მან და შეეცადა, აღელვება არ დასტყობოდა.

– მივხვდი. ძალიან საქმიანი იყავი.

ელიმ იგრძნო, ნოამ მის დანახვაზე რაც გაიფიქრა და გულში გაეცინა, როგორი ბავშვივით სუფთა დარჩაო.

– დიდი ხანია, ჩამოხვედი?

– არა, ორი-სამი წუთი იქნება.

ნოამ ხელები შარვალზე შეიწმინდა და ელის სამზარეულოსაკენ მიუთითა. – ჩაი ხომ არ დაგისხა? სანამ შენ ზემოთ იყავი, ჩაიდანი დავდგი.

ცდილობდა, ჩვეულებრივად ელაპარაკა, მაგრამ... ჯანდაბა! ელი ისეთი ლამაზი იყო, რომ...

ელი დაფიქრდა, დაინახა, როგორი თვალებით უყურებდა ნოა, ძველმა ინსტინქტმა გაუხსენა და საღერღელი აეშალა.

– უფრო მაგარი არაფერი გაქვს? თუ დალევისათვის ჯერ ძალიან ადრეა?

ნოას გაეღიმა.

– ცოტა ბურბონი უნდა მქონდეს საკუჭნაოში. გინდა?

– კი.

ნოა სამზარეულოში გავიდა. ელი უყურებდა, იქით მიმავალმა როგორ გადაისვა სველ თმაზე ხელი.

ქუხილი გაძლიერდა და წვიმამ ისევ დასცხო. ელი უსმენდა, წვიმა ხმაურით რომ ეცემოდა სახურავზე, შეშას ტკაცატკუცი

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

რომ გაუდიოდა ბუხარში და აკვირდებოდა, როგორ ანათებდა ცეცხლის ალი ოთახს. მერე ფანჯარასაც გახედა და დაინახა, როგორ გაანათა წამით ელვამ ჩაბნელებული ცა. ერთი წამის შემდეგ ისევ გაისმა ჭექა-ქუხილი, ამჯერად უფრო ახლოს.

ელიმ ტახტიდან პლედი აიღო და ბუხრის წინ დაფენილ ხალიჩაზე დაჯდა. ფეხი მოირთხა, პლედი მოირგო და მოგიზგიზე ცეცხლის ალებს მიაჩერდა. ნოა ოთახში შემობრუნდა, ბუხართან მიმჯდარი ელი დაინახა და გვერდით მიუჯდა. იატაკზე ორი ჭიქა დადგა და ორივე ბურბონით შეავსო. გარეთ ცა კიდევ უფრო ჩაშავებულიყო.

ისევ დაიქუხა, საზარლად. თავსხმამ იმატა. ამოვარდნილი ქარი წვიმის წვეთებს ჰაერში აბზრიალებდა.

– მგონი შტორმი დაიწყო, – აღნიშნა ნოამ და ფანჯრის მინებზე ვერტიკალურად ჩამომდინარე წვიმის ნაკადულებს გახედა. ის და ელი ახლა ძალიან ახლო ისხდნენ, მაგრამ ერთმანეთს არ ეხებოდნენ. ნოა უყურებდა, როგორ აუდ-ჩაუდიოდა სუნთქვისას მკერდი ელის და მისი სხეულის შეგ-რძნება, წლებით მივიწყებული და გულში ჩაკლული, თანდათან უბრუნდებოდა. ჰოდა რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ცდილობდა, ეს შეგრძნება და მისი თანამდევი ფიქრი როგორმე ჩაეხშო.

– მშვენიერია, მომწონს! – თქვა ელიმ და ბურბონი მოწ-რუპა. – ჭექა-ქუხილი ყოველთვის მიყვარდა; ბავშვობაშიც.

– რატომ? – ჰკითხა ნოამ და თან შეეცადა, თავი არ და-ეკარგა.

– არ ვიცი. ეტყობა რომანტიკულ გუნებაზე მაყენებს.

ცოტა ხანს ხმა აღარ ამოუღია და ნოა ხარბად უყურებდა, როგორ ირეკლებოდა ცეცხლის ალი მის ზურმუხტისფერ თვა-ლებში. მერე ელიმ უთხრა:

– გახსოვს, ჩემს გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე რომ ვისხედით და ვუყურებდით, როგორ წვიმდა?

– მახსოვს.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– როცა წავედი, სულ ამაზე ვფიქრობდი. ყოველ ღამე მახსენდებოდა შენი სახე. იცი, ზუსტად ისეთი დაგიმახსოვრე, როგორიც იმ დღეს იყავი.

– ძალიან შევიცვალე?

ელიმ ბურბონი მოსვა და სასმელით მოგვრილი სითბო იგრძნო. მერე ხელი დაადო და უპასუხა:

– სულაც არა. ყოველ შემთხვევაში, ის არ შეცვლილა, რაც მე შენში მომწონდა. ასაკი კი მოგემატა, და ალბათ გამოცდილებაც, მაგრამ თვალებში იგივე სხივი გიელავს, პოეზიასაც ისევ ისე კითხულობ და ნიჩბოსნობაც ისევ ძველებურად გიყვარს. უწინდელი სინაზე და სირბილეც შემოგრჩა, ომის და უბედურების მიუხედავად.

ნოა ელის ნათქვამზე ფიქრობდა და თანაც გრძნობდა, როგორ ეხებოდა ელი ხელით და როგორ ეფერებოდა ცერით მკლავზე.

– ადრე მკითხე, იმ ზაფხულიდან ყველაზე მეტად რა დაგამახსოვრდაო. და შენ თვითონ რა დაგამახსოვრდა?

ელიმ მაშინვე არ გასცა პასუხი. მერე თითქოს ოდნავ შეცვლილი ხმით უპასუხა:

– რა და, ერთად რომ ვიწექით. ეგ დამამახსოვრდა ყველაზე მეტად. შენ ჩემი პირველი მამაკაცი იყავი და ეგ ყველაფერი ბევრად უფრო სასიამოვნო აღმოჩნდა, ვიდრე მანამდე წარმომედგინა.

ნოამ სასმელი მოსვა. ძველი გრძნობები აეშალა. მერე უცებ თავი გადააქნია. უკვე ძალიან უჭირდა თავის ხელში აყვანა. ელიმ განაგრძო:

– მახსოვს, სანამ დავწვებოდით, ძალიან მეშინოდა, სულ ვკანკალებდი, მაგრამ თან ძალიან აგზნებული ვიყავი. მიხარია, რომ ჩემი პირველი მამაკაცი სწორედ შენ იყავი, და რომ ის ზღაპრული გრძნობა პირველად შენთან განვიცადე.

– მეც მიხარია.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– შენც გეშინოდა?

ნოამ ხმა არ ამოიღო, მაგრამ თავი დაუქნია და ელის გაელიმა მის გულწრფელობაზე.

– ეგრეც ვიცოდი. შენ ხომ ყოველთვის მორცხვი იყავი. განსაკუთრებით თავიდან. მახსოვს, მკითხე, ვინმეს თუ ხვდებიო, და როცა გითხარი კი-მეთქი, თითქმის აღარ მელაპარაკებოდი.

– თქვენ ორს შორის ჩადგომა არ მინდოდა.

– მაგრამ ბოლოს, შენი პატიოსნების მიუხედავად, მაინც ჩადექი, – უთხრა ელიმ ღიმილით. – და ძალიანაც კარგი ქენი.

– იმ საწყალს ჩვენი ამბავი როდის უთხარი?

– როგორც კი დავბრუნდი.

– გაგიჭირდა?

– არა, იმიტომ რომ შენ მიყვარდი და ის აღარ მენაღვლებოდა.

ელიმ ხელზე ხელი მოუჭირა, მერე გაუშვა, მერე ახლოს მიუჩოჩდა, მკლავი მკლავში გაუყარა და თავი მხარზე დაადო. ნოამ ელის სუნი იგრძნო, წვიმისაგან დასველებული ელის ნაზი და თბილი სურნელი. ელიმ მშვიდად განაგრძო საუბარი:

– გახსოვს, ფესტივალიდან შინ რომ წამოვედით? მაშინ გკითხე, კიდევ თუ გინდა-მეთქი ჩემი ნახვა. თავი დამიქნიე და არაფერი მითხარი. მთლად დამაჯერებლად არ გამოგივიდა.

– შენისთანა გოგო მანამადე არ მენახა, გაშტერებული ვიყავი, ვერ ვაზროვნებდი და არ ვიცოდი, რა უნდა მეთქვა.

– ვიცი ვიცი, შენ ხომ არაფრის დამალვა არ შეგიძლია. თვალები გაგცემენ ხოლმე. შენზე მშვენიერი თვალები არასოდეს მინახავს.

ელი გაჩუმდა, ნოას მხრიდან თავი აიღო და პირდაპირ თვალებში ჩახედა. მერე, თითქმის ჩურჩულით, ისევ უთხრა: – იცი რას ვფიქრობ? იმ ზაფხულს რომ მიყვარდი, ეგრე არავინ არ მყვარებია. არასდროს.

ელვამ ისევ გადასერა ცა და ვიდრე დაჭექავდა, მათი თვალები ერთმანეთს შეხვდა; იმ თოთხმეტი წლის წაშლის

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მონატრული თვალები, რომლებიც სულ ახლახან, გუშინს აქეთ მომხდარ ცვლილებას გრძნობდნენ. ბოლოს, როცა დაიჭექა, ნოამ ამოიოხრა და თავი ფანჯრისკენ მიიბრუნა.

– როგორ მინდა, ის წერილები გქონდეს წაკითხული, მე რომ გწერდი.

ელიმ კარგა ხნით გაკმინდა ხმა.

– საქმე მარტო ეგ არ არის, ნოა. შენთვის არ მითქვამს, მაგრამ შინ რომ დავბრუნდი, მეც უამრავ წერილს გწერდი, ოღონდ არ გიგზავნიდი.

– რატომ? – გაიკვირვა ნოამ.

– ეტყობა, მეშინოდა.

– რისა გეშინოდა?

– იმის, რომ შეიძლებოდა ისე არ ყოფილიყო საქმე, როგორც მე მეგონა; რომ შეიძლებოდა დაგვიწყებოდი და...

– როგორ დამავიწყდებოდი? ეგ აზრი თავშიც არ გამივლია.

– ახლა ვიცი. გიყურებ და ვხედავ. მაგრამ მაშინ არ ვიცოდი. მაშინ ბევრი რამ არ მესმოდა; ისეთი რაღაცეები არ მესმოდა, რის გაგებაც პატარა გოგოს გონებას უჭირს.

– რას გულისხმობ?

ელი გაჩუმდა; ცდილობდა, აზრებისათვის კარგად მოეყარა თავი.

– შენი წერილები რომ არ მომდიოდა, აღარ ვიცოდი, რა მეფიქრა. მახსოვს, ჩემს ახლო მეგობარს მოვუყევი, რაც მოხდა იმ ზაფხულს და მითხრა, იმ ბიჭმა ის მიიღო შენგან, რის მიღებაც უნდოდაო და სულაც არ მიკვირს, რომ აღარ გეხმიანებაო. მე არ მჯეროდა, რომ დამივიწყე, მაგრამ მეგობრის სიტყვებს რომ ჩავუკვირდი და ყველა იმ განსხვავებას, რომელიც ჩვენს შორის არსებობდა, ვიფიქრე, ეტყობა, ის ზაფხული ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ნოასთვის-მეთქი... და მერე, როცა ტვინი ასეთი აზრებით მქონდა არეული, სარამ მომწერა, ნოა ნიუ-ბერნიდან წავიდაო.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ფინმა და სარამ ყოველთვის იცოდნენ, სადაც ვიყავი...

ელიმ ხელი ასწია და ნოა გააჩერა: – ვიცი, მაგრამ მათთვის არასოდეს მიკითხავს. ვიფიქრე, ნიუ-ბერნიდან ახალი ცხოვრების დასაწყებად წავიდა-მეთქი, უჩემო ცხოვრების დასაწყებად. იმიტომ, რომ არც მწერდი, არც მირეკავდი და არც ჩემს სანახავად ჩამოდიოდი.

ნოამ თავი ისე მიიბრუნა, პასუხიც კი არ გაუცია ელისთვის. ელიმ კი განაგრძო:

– მოკლედ, არ ვიცოდი, რა ხდებოდა. ჰოდა დროთა განმავლობაში ყველაფერი გახუნდა და, ჯობდა, ბოლომდე დამევიწყებინა. მეგონა კიდეც, რომ დავივიწყე. მაგრამ ყველა იმ ბიჭში, რომელიც კი მომდევნო წლებში გავიცანი, შენ გეძებდი. და როდესაც მონატრების გრძნობა მახრჩობდა, წერილს გწერდი. მაგრამ არ ვგზავნიდი იმის შიშით, რომ პასუხად რამე ცუდი არ გამეგო. დრო მიდიოდა და შენ შენი ცხოვრებით ცხოვრობდი, ჰოდა მეშინოდა არ გამეგო, რომ სხვა შეგიყვარდა. მინდოდა, ჩემს მეხსიერებაში ისეთები დავრჩენილიყავით, როგორებიც იმ ზაფხულს ვიყავით. იმ შეგრძნების დაკარგვა არ მინდოდა.

ეს ყველაფერი ისე უშუალოდ და გულწრფელად თქვა, რომ, როცა დაასრულა, ნოას მისი კოცნა მოუნდა. მაგრამ არ უკოცნია. ამის ნაცვლად ცდილობდა, კოცნის სურვილი ჩაეკლა, როგორმე თავი შეეკავებინა, რადგანაც ელისათვის ასე აჯობებდა. მაგრამ ელის სიახლოვის შეგრძნება და ის, რომ ნოას ეხებოდა, თავბრუს ახვევდა, მაინც არაჩვეულებრივი იყო ეს ყველაფერი...

ბოლო წერილი ერთი-ორი წლის წინ დავწერე. წერილი მამაშენს მივწერე, როცა ლონი გავიცანი; მინდოდა გამეგო, სად იყავი. მაგრამ უკვე იმდენი წელი იყო გასული, რაც აქედან წავედი, ისიც კი არ ვიცოდი, მამაშენი ისევ აქ ცხოვრობდა, თუ სადმე სხვაგან გადავიდა. თანაც ეს ომი...

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ელი ნოას მოშორდა და ცოტა ხანს ჩუმად ისხდნენ; ორივე მოგონებებში ჩაიძირა. ელვამ ცა კიდევ ერთხელ გაანათა და ნოამ ენა ამოიდგა:

– ნეტა მაინც გამოგეგზავნა ის წერილები.

– რატომ?

– უბრალოდ რომ შემხმიანებოდი; რომ გამეგო, როგორ იყავი და შენს თავს რა ხდებოდა.

– ალბათ იმედი გაგიცრუვდებოდა. ჩემი ცხოვრება დიდად საინტერესო არ ყოფილა... და აღარც ისეთი ვიყავი, შენ რომ გახსოვდა.

– იმაზე უკეთესი ხარ, ვიდრე მახსოვდა, ელი.

– რა კეთილი ხარ, ჩემო კარგო.

ნოამ იფიქრა, ხმა უნდა ჩავიკმინდოო; ფიქრობდა, ენა თუ ამოვიდგი, თავის გაკონტროლებას ველარ შევძლებ და რაც ამ თოთხმეტი წლის განმავლობაში ვიკავე თავი, სულ წყალში ჩაიყრებაო. მაგრამ თავი მაინც ვერ შეიკავა. თანაც გულში გაჰკრა, რასაც ახლა ვიტყვი, ეგებ იმ თოთხმეტი წლის წინ დაგვაბრუნოსო.

– კითილი რომ ვარ, იმიტომ არ გეუბნები ამას. იმიტომ გეუბნები, რომ ისევ მიყვარხარ! ყოველთვის მიყვარდი! წარ-მოდგენაც არა გაქვს, როგორ მიყვარდი!

ბუხარში ჩამწვარმა შეშამ დაიტკაცუნა, ბოლო კვამლი ამოუშვა ბოლო ამოსუნთქვასავით, და ცეცხლი თითქმის ჩაქრა. ბუხარს შეშის დამატება სჭირდებოდა, მაგრამ არც ერთი არ იძვროდა ადგილიდან.

ელიმ ბურბონი ისევ მოწრუპა და სასმელის ეფექტმაც არ დაახანა. მაგრამ მთლად ალკოჰოლის ბრალი არ იყო, ნოას კიდევ უფრო ახლოს რომ მიეკრა მისი სხეულის სითბოს ბოლომდე შესაგრძნობად. მერე ფანჯარას გახედა და დაინახა, რომ შავ ღრუბელს მთელი ცა მოეცვა უკვე.

– ცეცხლი ჩაქრა, თავიდან უნდა გავაჩაღო, – უთხრა

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნოამ, რომელსაც ცოტა გონზე მოსვლა სჭირდებოდა. ელიმ ხელი გაუშვა. ნოა ბუხარს მიუახლოვდა, ეკრანი გადასწია და ერთი-ორი მოზრდილი შეშის ნაჭერი შეუკეთა მინავლებულ მუგუზლებს. მერე მაშა აიღო და ახალ შეშის ნაჭრებს მუგუ-ზლები ზემოდან დააყარა.

ბუხარი კვლავ აგიზგიზდა და ნოა ელის ისევ გვერდით მიუჯდა. ელი ისევ მიეყრდნო, თავი მხარზე მიადო და ხელით მკერდზე მოეფერა. ნოა დაიხარა და ქალს ყურში უჩურჩულა:

– ახლა, იცი, რა გამახსენდა? ადრე რომ ვისხედით ხოლმე ასე, ახალგაზრდობაში.

ელის გაეღიმა, რადგანაც თვითონაც ამაზე ფიქრობდა. ისხდნენ ასე ჩახუტებულები და ბუხარში მოგიზგიზე ცეცხლს უყურებდნენ.

– ნოა, მართალია, არ გიკითხავს, მაგრამ მაინც მინდა, რაღაც გითხრა.

– აბა, რა უნდა მითხრა?

– შენ მხოლოდ ჩემი პირველი მამაკაცი კი არა ხარ, ჩემი ერთადერთი მამაკაცი ხარ; შენ გარდა, არავისთან ვყოფილვარ. შენგან იგივეს მოსმენას სულაც არ ვითხოვ, უბრალოდ მომინდა, რომ ეს გცოდნოდა.

ნოას ხმა არ ამოუღია, უბრალოდ თავი მიაბრუნა. ელი თავს საოცრად თბილად და კომფორტულად გრძნობდა ბუხრის პირას. ხელი პერანგში შეუცურა ნოას და დაკუნთულ მკერდზე მიუალერსა.

მშვენივრად ახსოვდა, როგორ ისხდნენ ასე მისი გამგზავ-რების წინა დღეს ნიუს რივერის ჯებირს ზურგით მიყუდე-ბულები. ელი ტიროდა, რადგან ეშინოდა, ვაითუ ველარ ვნახოთ ერთმანეთიო და ფიქრობდა, ასე თუ მოხდა, ბედნიერი აღა-რასოდეს ვიქნებიო. ნოას მაშინ არაფერი უთქვამს მისთვის; უბრალოდ, გამგზავრებისას წერილი მიაჩეჩა, რომელსაც ელი მთელი გზა კითხულობდა. ის წერილი ახლაც შენახული ჰქონდა.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დროდადრო გადაიკითხავდა ხოლმე, მთლიანად ან ალაგ-ალაგ. განსაკუთრებით ერთი ადგილი ჰქონდა გადაკითხული ასჯერ, და ახლა სწორედ ის ადგილი გაახსენდა:

იცი, რატომ არის ჩვენი განშორება ასეთი მტკივნეული? იმიტომ, რომ ჩვენი სულები განუყრელია. ალბათ ადრეც ასე იყო და ყოველთვისაც ასე იქნება. ვინ იცის, შეიძლება უკვე ათასი ცხოვრება გამოვიარეთ და ყოველ ცხოვრებაში ვპოულობდით ერთმანეთს. შეიძლება იმ ათასივე ცხოვრებაში რაღაც გარემოებამ დაგვაშორა ათასჯერ. ჰოდა იცოდე, რომ ჩვენს ახლანდელ განშორებას ორმაგი დატვირთვა აქვს – ერთი ის, რომ ახლა ერთმანეთს უნდა დავემშვიდობოთ, მეორე კი ის, რომ ეს განშორება ახალი შეხვედრის საწინდარია.

როცა გიყურებ, ვხედავ, როგორი ლამაზი და მშვენიერი ხარ, და ისიც ვიცი, რომ ეგ სილამაზე და მშვენიერება ყოველ ახალ ცხოვრებაში სულ უფრო და უფრო მოგემატება. ისიც ვიცი, რომ აქამდე გამოვლილ ყოველ ცხოვრებაში მხოლოდ შენ გეძებდი; ვინმე შენნაირს კი არა, სწორედ შენ, რადგანაც ჩვენი სულები განუყრელია და ყოველთვის ერთად ყოფნა უწერიათ. თუმცა ყოველ ჯერზე, რაღაც მიზეზით, რომელიც ორივესთვის გაუგებარია, დაშორება უწევთ ხოლმე.

მინდა ისიც გითხრა, რომ ღმერთი ჩვენკენაა, და გპირდები, რომ მეც ყოველ ღონეს ვიხმარ, იმედი რომ არ გავუცრუო. მაგრამ, თუ ისე მოხდა, რომ ამ ცხოვრებაში ერთმანეთის ნახვა აღარ გვიწერია და ჩვენი დღევანდელი განშორება მხოლოდ განშორებაა და სხვა არაფერი, გპირდები, რომ მომავალ ცხოვრებაში აუცილებლად შევხვდებით. ისევ ვიპოვით ერთმანეთს. ეგებ ვარსკვლავებმაც სხვა ბედი დაგვიდგინონ და იმ მომავალ შეხვედრაზე არა მხოლოდ

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავიდან შევიყვაროთ ერთმანეთი, არამედ მთელი იმ წლების სიყვარულიც შეგვემატოს, რომლითაც მანამდე გვყვარებია და გაათასმაგებული ძალით გვიყვარდეს ერთმანეთი.

– ნუთუ ეს შესაძლებელია? – ფიქრობდა ელი. – ნუთუ ნოა არ ცდებოდა?

გულის სიღრმეში ელის ყოველთვის უნდოდა, რომ ნოას მაშინდელი წინასწარმეტყველება და დაპირება გამართლებულიყო. ამგვარი პერსპექტივა ძალიან შველოდა ხოლმე გასაჭირის დროს. მაგრამ ახლა, ამავე ცხოვრებაში ხელახლა შეხვედრისას, შეძლებდნენ კი ერთად დარჩენას? ნოას თეორიის მიხედვით, ისევ უნდა დაშორებულიყვნენ. მაგრამ ეგებ ვარსკვლავების მდებარეობა უკვე შეიცვალა ცაზე და მათი განწყობაც უფრო სასიკეთო იყო ელისა და ნოასთვის?

ეგებ, მაგრამ ელის ცისკენ გახედვისა ეშინოდა. ამის ნაცვლად, კიდევ უფრო მაგრად მიეკრო ნოას და თითქოს საკუთარი გულისცემა მისას შეუერთა. ნოას სხეულს გრძნობდა, მის მკლავებსაც გრძნობდა, მაგრად რომ შემოჭდობოდნენ წელზე, და მთელი ტანით ისე თრთოდა, როგორც მაშინ, პირველად რომ იყვნენ ერთად.

ახლა საოცრად სწორი ეჩვენა, აქ რომ ჩამოვიდა, ისევ ნოასთან ერთად რომ აღმოჩნდა; ყველაფერი მართებული და რეალური იყო – ბუხარში მოგიზგიზე ცეცხლი, ეს სასმელი, ქარიშხალი და თავსხმა; ამაზე მართებული და ბუნებრივი ალბათ ქვეყნად არაფერი ეგულებოდა. რაღაც გრძნეულებით, მათი განშორების წლები სადღაც გაქრა და უფრო მეტიც – ეს განშორება საერთოდ გაუგებარი და აბსურდული ეჩვენა.

ელვამ ცა ორად გააპო. ბუხარში ცეცხლი მხიარულად გიზგიზებდა და სითბოს აფრქვევდა ირგვლივ. ოქტომბრის თავსხმა ფარდად ჩამოეფარა ფანჯრებს და მისმა ხმაურმა ყველა სხვა ხმა დათრგუნა.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჰოდა, იმ წუთიდან მოყოლებული, ორივე უყოყმანოდ ჩაბარდა ტყვედ იმ გრძნობას, რომელსაც ასე თავგამოდებით გაურბოდნენ თოთხმეტ წელს. ელიმ ნოას მხრიდან აიღო თავი, მიბნედილი თვალებით ჩახედა თვალებში და ნოამაც აღარ დაახანა – ნაზად აკოცა ტუჩებში. ელიმ ორივე ხელით დაუჭირა სახე და წვერსა და ლოყებზე მიუალერსა. ნოა ოდნავ დაიხარა და კიდევ ერთხელ დაეწაფა ელის ტუჩებს. ამჯერად ელიმაც უპასუხა და მოძალებულმა ვნებამ მათი გაყრის წლები ერთბაშად შთანთქა.

ელიმ თვალები მილულა და პირი ოდნავ გააღო. ნოა მკლავებზე ეფერებოდა; ნელა, ნაზად. ყელში კოცნიდა, ლოყებზე კოცნიდა, თვალებს უკოცნიდა. ელი მისი ტუჩების დატოვებულ სველ კვალს გრძნობდა და ეს შეგრძნება უზომოდ აღაგზნებდა. მერე ნოას ხელი აიღო და მკერდზე მიიდო. როგორც კი ბამბის ნაჭრიდან ნოას შეხება იგრძნო, მაშინვე კვნესა აღმოხდა.

მერე ყველაფერი მშვენიერ სიზმარს დაემსგავსა. ელი წამოიწია და ისედაც გაცისკროვნებული სახე ცეცხლის ალმა მთლად გაუცისკროვნა. ხმა არ ამოუღია, ისე შეუდგა ღილების შეხსნას ნოას პერანგზე. ნოა ელის უყურებდა და მის ოდნავ აჩქარებულ სუნთქვას უსმენდა სულგანაბული. ყოველი ღილის შეხსნაზე ელის თითების შეხებას გრძნობდა და საოცარ ნეტარებას განიცდიდა. ღილების შეხსნა რომ მოამთავრა, ელიმ ნოას შეხედა და გაუღიმა. მერე ხელები შეუცურა გახსნილ პერანგში და ძალიან ნაზად გადაუტარა მკერდზე; თითქოს უნდოდა, თითებით შეესწავლა და შეეგრძნო მისი სხეული. ნოას მთელი სხეული საშინლად უხურდა და ელი მის დანამულ მკერდს ეალერსებოდა. მერე დაიხარა, ყელში აკოცა, პერანგი მხრებიდან გადააძრო და ხელები ზურგს უკან გაუკავა. ბოლოს ყელი ლამაზად მოიღერა, ოდნავ წამოიწია და ნოას საშუალება მისცა პერანგის სახელოებით შებოჭილი ხელები გაეთავისუფლებინა და ტუჩებით კისერზე დაკვდომოდა.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნოამ ქალს პერანგში შეუყო ხელი და მუცელზე მოეფერა – რამდენჯერმე გადაატარა ხელი კისრიდან ჭიპამდე და უკან. მერე ხელები ზევით ააწევინა და პერანგი მარჯვედ გადააძრო. ელის სუნთქვა შეეკრა, როცა ნოა კვლავ დაიხარა, მკერდი დაუკოცნა და მერე კისრისაკენ აუყვა ენისა და ტუჩების ნაზი მოძრაობით. ხელებით ზურგზე, მკლავებსა და მხრებზე ეალერსებოდა, ბოლოს კი მთელი ტანით დააწვა ქალს გახურებულ სხეულზე. ნოა ახლა კისერს უკოცნიდა და ოდნავ კბენდა, ჰოდა ელიმ თეძოები წამოსწია და საშუალება მისცა, შარვალი გაეძრო მისთვის. მერე თვითონ შეუხსნა შარვალი ნოას და ხარბად უყურებდა, როგორ გაშიშვლდა კაცი მის თვალწინ. ბოლოს ნელა, ძალიან ნელა შეეხნენ ერთმანეთს შიშველი, თავდავიწყების მოლოდინში აცახცახებული სხეულებით.

ნოა არ ჩქარობდა, ყელზე ენით ეფერებოდა, ხელებს მკერდსა და მუცელზე უსვამდა და ქალის ენით უთქმელი სილამაზით ტკბებოდა. ელის თმა მთლად ოქროსფრად ელვარებდა მოგიზგიზე ცეცხლის ფონზე. კანიც საოცრად უბზინავდა, გასაგიჟებლად ნაზი და გლუვი კანი. ნოამ ელის ხელები იგრძნო ზურგზე; ისიც იგრძნო, ეს ხელები, თავისკენ გამწარებით რომ ეწეოდნენ.

ახლა ცეცხლთან სულ ახლოს იწვნენ. სიცხითა და ვნებით გაჯერებული ჰაერი თითქოს გასქელდა და ირგვლივ სიმხურვალეს უშურველად აფენდა. ნოა ელის ზემოდან მოექცა და ქალის თეძოები მუხლებში მოიქცია. ელიმ თავი წამოსწია, ყელი და ნიკაპი დაუკოცნა ნოას. მერე, სუნთქვაშეკრულმა, მხრები აულოკა, თითქოს მისი სხეულიდან გამოჟონილი სიყვარულის ოფლის გემოს გასინჯვა უნდოდა. მერე ხელები თმასა და მკლავების დაჭიმულ კუნთებზე გადაუტარა. ბოლოს ისევ შეეცადა, თავისკენ მიეზიდა, მაგრამ ნოა გაუძალიანდა. ამის ნაცვლად, ქალისკენ დაიხარა და მკერდით მკერდზე გაეხახუნა. ელი მოლოდინისაგან მთლად ცახცახებდა, მაგრამ ნოა მაინც

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

არ ჩქარობდა. სხეულით სხეულზე ეხახუნებოდა აცახცახებულს, ყოველ ნაკვთს უკოცნიდა და მისი ჩუმი კვნესის ხმას უსმენდა.

ასე იქამდე ეალერსა, ვიდრე ელი უკიდურეს აღგზნებამდე არ მიიყვანა, და როცა მათი სხეულები საბოლოოდ შეერთდნენ, ელის ხმამაღალი ყვირილი აღმოხდა და თითებით ძლიერად ჩააფრინდა კაცს ზურგზე. მერე თავი კისერში ჩაურგო და შეეცადა, ბოლომდე შეეგრძნო მისი ძლიერი და ამავდროულად ნაზი სიყვარული, მისი მამაკაცური საწყისი და სხეული და ამ სხეულში გამომწყვდეული ნატიფი სული. ელი რიტმულად მოძრაობდა და საშუალებას აძლევდა ნოას, იქით წაეყვანა, საითაც განგებამ დაუდგინა, და სადაც განგებით ყოფნა და დარჩენა ეკუთვნოდა.

ელიმ თვალები გაახილა და ცეცხლის შუქით განათებულ ნოას დაუწყო ხარბად ყურება. აღფრთოვანებული შესცქეროდა მის სხეულზე ზემოდან მოქცეული, ლამაზად მოძრავი კაცის ვაჟკაცურ სილამაზეს: მის აელვარებულ, დანამულ მკერდს, რომლის ნაჟურითაც ახლა თავადაც ინამებოდა. სიყვარულისა და ვნების ოფლის ყოველი წვეთის დაცემაზე, ნოას სხეულის ყოველ მოძრაობაზე, ელის მთელი ცხოვრებისეული პასუხისმგებლობა თუ სინდისის ქენჯნა ნელ-ნელა სადღაც ქრებოდა და დავიწყებას ეძლეოდა.

მათი სხეულები ყველაფერს გასცემდნენ და ყველაფერს შთანთქავდნენ, რისი გაცემა და შთანთქმაც კი შეიძლებოდა, და ელიმ ბოლოს ისეთი ნეტარება განიცადა, რომლის არსებობა ვერც კი წარმოედგინა. ამ ნეტარებამ მთელ სხეულში დაუარა და სუნთქვა შეუკრა. მერე, ცოტა ხნით, მწვავე შეტევასავით გადაუარა. მაგრამ შეტევა მალევე განუახლდა, და ეს შეტევებისა და მოკლევადიანი რემისიების წრე უსასრულოდ, უსასრულოდ დიდი და ხანგრძლივი აღმოჩნდა. იმ დროისათვის, როცა წვიმამ გადაიღო და მზეც ჩაესვენა, ქალის სხეული მთლად გამოფიტულიყო, მაგრამ განცდილი ნეტარებისა და ალერსის შეწყვეტაზე მაინც არ იყო ყაბულს.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მთელი დღე ერთმანეთის ალერსში გაატარეს. ხან ცეცხლის პირას ესიყვარულებოდნენ ერთმანეთს და ხან ჩახუტებულები ისხდნენ, სულს ითქვამდნენ და მოგიზგიზე ცეცხლის ალების ყურებით ტკბებოდნენ. დროდადრო ნოა საყვარელ ლექსებსაც უკითხავდა იქვე მწოლიარე ელის, რომელიც თვალებს მილულავდა ხოლმე და ცდილობდა, თითოეული სიტყვა მარტო კი არ მოესმინა, არამედ შეეგრძნო კიდეც. მერე, როცა ჟინი ისევ წამოუვლიდათ, ერთმანეთს გიჟურად ესიყვარულებოდნენ და ნოა, კოცნასა და კოცნას შუა, საალერსო სიტყვებს ეჩურჩულებოდა.

საღამოსაც იგივე გაგრძელდა; თითქოს უნდოდათ, იმ წლების დანაკლისიც აენაზღაურებინათ, რომლებიც უერთმანეთოდ გაატარეს. ღამით კი ერთმანეთის მკლავებში ეძინათ. ნოა დროდადრო იღვიძებდა, მძინარე ელის დასცქეროდა და გრძნობდა, რომ ქვეყანა უკუღმა აღარ ტრიალებდა მისთვის.

ერთხელაც, როცა გარიჟრაჟზე ისევ შეეხეროდა მძინარე ელის, ელიმ თვალები გაახილა, გაუღიმა და ხელი ასწია, რომ სახეზე მოფერებოდა. ნოამ თითი ტუჩებზე დაადო, არაფერი მითხრაო, და ასე ჩუმად, კარგა ხანს შეჰყურებდნენ ერთმანეთს.

როდესაც ყელში მობჯენილი გრძნობა ჩაიცხრო და ხმის ამოღება მოახერხა, ნოამ უთხრა:

– შენ ყველა ჩემი მხურვალე ლოცვის პასუხი ხარ, ელი; საგალობელი ხარ, ახდენილი ოცნება და სიზმარი ხარ, ჩემი სულის ჩურჩული და ამოძახილი! წარმოდგენა არა მაქვს, რამ გამაძლებინა უშენოდ ამდენი წელი. მიყვარხარ, ელი. იმაზე მეტად მიყვარხარ, ვიდრე ამის წარმოდგენა შეგიძლია. ყოველთვის მიყვარდი და ყოველთვის მეყვარები!

– ნოა, ჩემო საყვარელო, – ამოიკვნესა ელიმ და კაცი თავისკენ მიიზიდა. ახლა ნოა ისე უნდოდა, ისე სჭირდებოდა და ისე ენატრებოდა, როგორც არასდროს, და როგორც ამქვეყნად არაფერი და არავინ ალბათ.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

სასამართლოში

იმავე დილას, ცოტა მოგვიანებით, სამი კაცი – ორი ადვოკატი და მოსამართლე – სასამართლო დარბაზში შეყრილიყო და ლონის განცხადებას იხილავდა. მოსამართლეს ლონის თხოვნაზე მაშინვე არ გაუცია პასუხი.

– ღმერთმანი, ძალიან უცნაური თხოვნაა, – თქვა მან ბოლოს და სიტუაცია აწონ-დაწონა. – პირადად მე მეჩვენება, რომ პროცესი, წესით, დღესვე უნდა დასრულდეს. ნუთუ ეგ თქვენი გადაუდებელი საქმე საღამომდე ან ხვალამდე ვერ მოითმენს?

– ვერა, თქვენო ღირსებავ, ვერაფრით ვერ მოითმენს, – ლამის სიტყვა გააწყვეტინა ლონმა. თანაც საკუთარ თავს შეუძახა, რა გჭირს, ჰაერი ღრმად ჩაისუნთქე და ცოტა მოდუნდიო.

– და თქვენ ბრძანებთ, რომ იმ თქვენს საქმეს პროცესთან საერთო არაფერი აქვს?

– არა, თქვენო ღირსებავ, პირადი ხასიათის საქმე გახლავთ. ვიცი, ცოტა გეუცნაურებათ ეს ამბავი, მაგრამ გარწმუნებთ, სხვა გზა არა მაქვს, აუცილებლად დღესვე უნდა მოვაგვარო ყველაფერი, – თქვა ლონმა და იფიქრა, ამჯერად უფრო მშვიდად და დამაჯერებლად გამომივიდაო.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მოსამართლე სკამზე გადაწვა და ლონი ყურადღებით შეათვალიერა. მერე მეორე ადვოკატს მიუბრუნდა:

– ბატონო ბეიტს, თქვენ რა აზრის ბრძანდებით ამ ამბავზე?

ბეიტსმა ყელი ჩაიწმინდა და თქვა: – ბატონმა ჰამონდმა დილით ადრე დამირეკა და უკვე მოვასწარი ჩემს კლიენტებთან გასაუბრება. ასე მითხრეს, კარგი იქნება, თუ სასამართლო ორშაბათამდე გადაიდებაო.

– გასაგებია, – თქვა მოსამართლემ. – ესე იგი, იმის თქმა გნებავთ, რომ თქვენს კლიენტებს ხელს აძლევთ კიდევაც სასამართლოს გადადება, ხომ ასეა?

– დიახ, თქვენო ღირსებავ. მით უფრო, რომ ბატონი ჰამონდი დათანხმდა, საქმეს ახალი დეტალები დავუმატოთ, რომლებიც აქამდე არ განგვიხილავს.

მოსამართლემ წარბი შეიკრა და პირქუში გამომეტყველებით გახედა ორივე ადვოკატს.

– ძალიან არ მომწონს ეს ამბავი, – თქვა მან ბოლოს. – მაგრამ ბატონ ჰამონდს მსგავსი არაფერი არასოდეს უთხოვია და, ამიტომ ალბათ მართლაც არა აქვს სხვა გამოსავალი.

მოსამართლე გაჩუმდა, უნდოდა, მის ნათქვამს სწორი ეფექტი მოეხდინა. მერე მაგიდაზე დადებულ საქაღალდეს ჩახედა. – რა გაეწყობა, თანახმა ვარ პროცესი ორშაბათს განვაახლოთ. ზუსტად ცხრა საათზე დავიწყოთ.

– დიდ მადლობას მოგახსენებთ, თქვენო ღირსებავ, – უთხრა ლონმა.

დაახლოებით ორი წუთის შემდეგ, ლონი სასამართლოს შენობიდან გამოვიდა, ქუჩა გადაჭრა, საკუთარ მანქანასთან მივიდა, ჩაჯდა, აკანკალებული ხელით დაქოქა და ნიუ-ბერნისაკენ გაემგზავრა.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დაუპატიჟებელი სტუმარი

სანამ ელის სასტუმრო ოთახში ჯერ კიდევ მშვიდად ეძინა, ნოა ადგა და საუზმე გაუმზადა. განსაკუთრებული არაფერი მოუმზადებია – ბეკონით, ორცხობილებითა და ყავით შემოიფარგლა. საუზმის ლანგარი საწოლში მიართვა და როგორც კი საუზმე მოითავეს, კიდევ ერთხელ ისიყვარულეს. გიჟურად ისიყვარულეს, რაც წინა დღის ვნების კიდევ ერთი ლოგიკური გაგრძელება და დასტური იყო. კულმინაციის მომენტში ელი ლამის საწოლში წამოჯდა და საშინელი ხმით კიოდა. მერე კი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გულში ჩაიკრა ნოა და ასე მოითქვეს სული ქანცგაწყვეტილებმა.

აბაზანაში ერთად შევიდნენ და ერთად მიიღეს შხაპი. მერე ელიმ საკუთარი ტანსაცმელი გადაიცვა, რომელიც ღამით კარგად გამშრალიყო. მთელი დილა ნოასთან გაატარა. კლემი ერთად დააპურეს და სახლში ყველა კარ-ფანჯარა შეამოწმეს, შტორმის დროს ხომ არაფერი დაზიანდაო. მხოლოდ რამდენიმე ყავარი დაცურებულიყო სახურავზე და ერთი-ორი ფიჭვის ხეც წაქცეულიყო; სხვაფრივ, ყველაფერი წესრიგში დახვდათ.

მთელი დილა ხელიხელჩაკიდებულები დადიოდნენ და თავისუფლად საუბრობდნენ. თუმცა, დროდადრო, ნოა ხმას

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გაიკმენდდა ხოლმე და გიჟივით მისჩერებოდა ელის. ასეთ დროს ელი გრძნობდა, რომ რამე უნდა ეთქვა მისთვის, მაგრამ, რა ეთქვა, არ იცოდა და ამიტომ არაფერს ეუბნებოდა, უბრალოდ კოცნიდა ხოლმე.

შუადღემ რომ მოაწია, შინ შებრუნდნენ სამხრის მოსამზადებლად. ორივეს საშინლად შიოდა, რადგანაც წინა დღეს, თითქმის არაფერი უჭამიათ. შინ რაც ეგულებოდათ, იმაზე უნდა გადაევლოთ. ამიტომ ქათამი შეწვეს და პური გახუხეს. მერე სამხარი ვერანდაზე გაიტანეს და მადიანად შეექცნენ კაჭკაჭის სერენადების ფონზე.

ბოლოს, როცა სამზარეულოში თეფშებს რეცხავდნენ, კარზე ვიღაცამ დააკაკუნა. ნოამ ელი სამზარეულოში დატოვა და კარის გასაღებად გაემართა.

– მოვდივარ! – დაიყვირა კარისკენ მიმავალმა.

კაკუნი გაძლიერდა და ლამის ბრახუნში გადავიდა.

ნოამ ფეხს აუჩქარა. კაკუნი არ წყდებოდა.

– ახლავე! – ისევ დაიყვირა ნოამ და კარი გააღო.

ღმერთო, დიდებულო!

კარში ორმოცდაათამდე წლის ის ლამაზი ქალი იდგა, რომელსაც ნოა ათას ქალში გამოარჩევდა და იცნობდა.

ენა ჩაუვარდა.

– გამარჯობა, ნოა, – თქვა ბოლოს ქალმა.

ნოამ ამჯერადაც ვერაფერი უპასუხა.

– შეიძლება შემოვიდე? – იკითხა ქალმა მშვიდი ხმით.

ნოამ პასუხად რაღაც წაილულლულა, როცა ქალმა გვერდი აუქცია, ოთახში შევიდა და კიბესთან გაჩერდა.

– ვინ მოვიდა? – სამზარეულოდან გამოსძახა ნოას ელიმ. ქალი მისი ხმის გაგონებაზე მოტრიალდა.

– დედაშენი, – უპასუხა ნოამ და მაშინვე გაიგონა ხელიდან გავარდნილი თეფშის მსხვრევის ხმა.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ვიცოდი, რომ აქ იქნებოდი, – უთხრა ენ ნელსონმა თავის ქალიშვილს, როცა სამივენი მაგიდას შემოუსხდნენ სასტუმრო ოთახში.

– მაინც, საიდან იცოდი?

– მე ხომ დედაშენი ვარ. ერთ დღეს, როცა შენი საკუთარი შვილები გეყოლება, მაშინ მიხვდები, რასაც ვგულისხმობ, – ღიმილით უთხრა დედამ, მაგრამ სახე მაინც დაძაბული ჰქონდა და ნოამ ადვილად წარმოიდგინა, როგორ უმძიმდა მას თავის შეკავება. – ის სტატია მეც წავიკითხე და შენი რეაქციაც ვნახე. თანაც ვხედავდი, რა დღეში იყავი ის ბოლო ორი კვირა. მერე, როცა თქვი, რომ სანაპირო ზოლზე საყიდლებზე მინდა წასვლაო, მაშინვე მივხვდი, რასაც გულისხმობდი.

– მამაც მიხვდა?

ენ ნელსონმა თავი გააქნია. – არა. და არც მე მითქვამს არაფერი; არც მისთვის და არც არავისთვის. დღესაც არ მითქვამს, საით გამოვემგზავრე.

სამივე ჩუმად იჯდა და ყველა ელოდა, ახლა რა მოხდებაო. მაგრამ ენ ნელსონი აღარაფერს ამბობდა.

– რატომ ჩამოხვედი? – ჰკითხა ბოლოს ელიმ.

დედამ წარბი ასწია. – მეგონა, მე უნდა დამესვა ეგ კითხვა შენთვის.

ელი გაფითრდა.

– იმიტომ ჩამოვედი, რომ ჩემი ვალი იყო, – განაგრძო დედამ. – და ასე მგონია, რომ შენც მოვალეობამ ჩამოგიყვანა აქ, მართალი ვარ?

ელიმ თავი დაუქნია.

ენი ნოას მიუბრუნდა. – ბოლო დღეებში უამრავი სიურპრიზი დაგატყდა თავს, არა?

– დიახ, – გულწრფელად უპასუხა ნოამ და ენმა გაუღიმა.

– ვიცი, არ დამიჯერებ, მაგრამ ყოველთვის ძალიან მომ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

წონდი, ნოა; უბრალოდ ვფიქრობდი, რომ შენ და ელი ერთმანეთს არ შეეფერებოდით, ხომ გესმის ჩემი?

ნოამ უარის ნიშნად თავი გააქნია. – არა, არ მესმის. ეგ უსამართლო პოზიციაა ელის და ჩემ მიმართ. ეგ რომ მართალი იყოს, ელი აქ არ იქნებოდა ახლა.

ენი ყურადღებით შეჰყურებდა ნოას, მაგრამ პასუხი არ გაუცია. ელიმ იგრძნო, რომ სიტუაცია იძაბებოდა და სასწრაფოდ ჩაერია.

– რა იგულისხმე, როცა მითხარი აქ ჩამოსვლა ჩემი ვალი იყოო? რა, არ მენდობი?

ენი ქალიშვილს მიუბრუნდა. – ნდობა რა შუაშია? აქ ლონზეა ლაპარაკი. გუშინ გამომიარა და ნოაზე მეკითხებოდა რაღაცეებს. ჰოდა ახლა აქეთ მოემგზავრება. ძალიან აფორიაქებულია. ვიფიქრე, რომ უნდა გამეფრთხილებინე.

ელიმ ამოიხრა. – აქეთ მოემგზავრება?

– ჰო. მითხრა, სასამართლო იქით კვირამდე გადავდეო. თუ უკვე არ ჩამოსულა, საცაა ჩამოვა.

– შენ რა უთხარი?

– ბევრი არაფერი, მაგრამ რაღაც-რაღაცეები ისედაც იცოდა, უფრო სწორად, გამოითვალა. ერთხელ ნოა მიხსენებია მასთან და ის გაახსენდა.

ელიმ ნერწყვი ძლივს გადაყლაპა. – უთხარი, აქ რომ ვარ?

– არა. და არც ვაპირებ. ეგ თქვენ ორს შორის უნდა გაირკვეს. მაგრამ ლონის ამბავი რომ ვიცი, აქ თუ დარჩები, აუცილებლად მოგაგნებს. მაგის გარკვევას არაფერი უნდა, ერთ-ორ ადამიანთან დარეკავ და ეგ არის. მე ხომ გიპოვე?

მიუხედავად იმისა, რომ ელი საშინელ დღეში იყო, დედას მაინც გაულიმა. – დიდი მადლობა, – თქვა მან და დედამ ხელზე ხელი დაადო.

– ვიცი, შვილო, რაღაცეებში რომ ვერ ვთანხმდებით მე და

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შენ, და რაღაცეებს განსხვავებული თვალით რომ ვუყურებთ. მე შეიძლება იდეალური დედა არ ვიყო, მაგრამ ყოველთვის ვცდილობდი, კარგად აღმეზარდე და შენთვის მზრუნველობა არ მომეკლო. ბოლოს და ბოლოს, დედა ვარ შენი და ყოველთვის დედაშენი ვიქნები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყოველთვის მეყვარები, ელი.

ელი წამით ჩუმად იჯდა. მერე უცებ იკითხა: – ახლა როგორ უნდა მოვიქცე?

– არ ვიცი, ეგ შენი გადასაწყვეტია. მაგრამ შენს ადგილას კარგად დავფიქრდებოდი; გავიაზრებდი, ბოლოს და ბოლოს, რა მინდა.

ელიმ თავი ჩაღუნა, თვალები გაუწითლდა, მერე ცრემლებიც ჩამოუგორდა.

– მე თვითონაც არ ვიცი...– ამოიოხრა ელიმ და თავი მიიბრუნა. დედამ ისევ მოუჭირა ხელი.

ენმა ნოას გახედა. ნოა აქამდე თავჩაქინდრული უსმენდა მათ საუბარს, მაგრამ ახლა თითქოს რაღაც იგრძნოო – თავი აიღო, ენს შეხედა, თავი დაუქნია და ოთახიდან გავიდა.

ნოა რომ გავიდა, დედამ ჩურჩულით ჰკითხა ელის:

– გიყვარს?

– ჰო, ძალიან მიყვარს, დედა, – უპასუხა ელიმ სინაზით აღსავსე ხმით.

– ლონი? ლონი არ გიყვარს?

– როგორ არა, ლონიც ძალიან მიყვარს, ოღონდ სხვაგვარად. ნოა სულ სხვაა.

– და ყოველთვის სხვა იქნება, – უთხრა ენმა და ხელი გაუშვა. – შენ მაგივრად ვერავინ მიიღებს გადაწყვეტილებას, ელი; ეს შენ თვითონ უნდა გადაწყვიტო. მე ერთადერთი ის შემიძლია გითხრა, რომ ძალიან მიყვარხარ და ყოველთვის მეყვარები. ვიცი, ახლა ეს შენთვის ვერაფერი ნუგეშია, მაგრამ მეტი ვერაფრით დაგეხმარები.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მერე ჯიბეში ჩაიყო ხელი და იქიდან ზონარით შეკრული წერილების მთელი დასტა ამოიღო. კონვერტები აშკარად ძველი იყო და ოდნავ გახუნებულიც.

– ეს ის წერილებია, რომლებსაც ნოა გწერდა. არც გადამიყრია და არც წამიკითხავს. ვიცი, არ უნდა დამემალა შენთვის და ძალიან ვნანობ, ასე რომ მოვიქეცი. მაგრამ შენს დაცვას ვცდილობდი, არაფრით არ მეგონა, რომ...

ელიმ წერილები ჩამოართვა და სრულიად გაოგნებულმა ხელი გადაუსვა დასტას.

– ახლა უნდა წავიდე, ელი. შენ საფიქრალი ბევრი გაქვს, დრო კი – ცოტა. გინდა, ჯერჯერობით ქალაქში რომ დავრჩე?

– არა, დედა. შენ რას მიშველი.

ენმა თავი დაუქნია და რაღაც ხანი ჩუმად, დიდი ინტერესით შეჰყურებდა ქალიშვილს. მერე წამოდგა, მაგიდას შემოუარა, დაიხარა და ლოყაზე აკოცა. როცა ელი წამოდგა და დედას მოეხვია, თვალებში დიდი კითხვის ნიშანი ეწერა.

– მითხარი, რას აპირებ? – იკითხა ენმა და ოდნავ გაიწია, რომ ელი კარგად დაენახა. შეკითხვას ხანგრძლივი დუმილი მოჰყვა.

– არ ვიცი, – თქვა ელიმ ბოლოს. მერე ცოტა ხანს ჩუმად იდგნენ და ერთმანეთს გულში იკრავდნენ.

– შენი მადლობელი ვარ, დედა, რომ ჩამოხვედი, და ძალიან მიყვარხარ.

– მეც მიყვარხარ, შვილო.

ენი რომ გადიოდა, ელის მოეჩვენა, თითქოს წაიჩურჩულა, საკუთარ გულისთქმას უნდა აჰყევიო, მაგრამ მთლად დარწმუნებული არ იყო ამაში.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

გზაგასაყარი

ნოამ ენ ნელსონი კართან მიაცილა და კარი გამოუღო.

– კარგად იყავი, ნოა, – უთხრა მან მშვიდად. ნოას არაფერი უთქვამს, უბრალოდ თავი დაუკრა. სათქმელი აღარაფერი იყო და ეს ორივემ მშვენივრად იცოდა. ენი შეტრიალდა და მანქანისაკენ გაემართა. ნოა თვალით აცილებდა მიმავალ ქალს, რომელიც მანქანაში ჩაჯდა და ისე წავიდა, უკან აღარ გამოუხედავს. როგორი ძლიერი ქალიაო, ფიქრობდა ნოა; ალბათ ელი სწორედ დედას ჰგავს ამაშიო.

ნოა სასტუმრო ოთახში შევიდა და მაგიდაზე დამხობილი ელი რომ დაინახა, ვერანდაზე გავიდა; იგრძნო, რომ ელის ახლა საკუთარ თავთან მარტო დარჩენა სჭირდებოდა. გარეთ თავის სარწეველას მიაშურა. იჯდა, მშვიდად ირწეოდა და მდინარეს გაჰყურებდა.

ნოას მოეჩვენა, რომ საუკუნე გავიდა, ვიდრე კარის ჭრიალს გაიგონებდა. ელისკენ, რაღაც გაუგებარი მიზეზით, არც კი გაუხედავს; უბრალოდ მიხვდა, რომ ისიც სარწეველაში დაჯდა.

– ძალიან ვწუხვარ, ნოა, – უთხრა ელიმ. – ასეთ რამეს ვერ წარმოვიდგენდი.

– საბოდიშო არაფერია. ორივემ ვიცოდით, რომ ეს წამი, ამა თუ იმ ფორმით, მაინც დადგებოდა.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– და მაინც საშინელებაა.

– ვიცი, – უთხრა ნოამ და ელის ხელი მოჰკიდა. – რამით ხომ არ შემიძლია, ეგ ტვირთი ოდნავ მაინც რომ შეგიმსუბუქო?

– არა, აბა შენ რა შეგიძლია. ეს მარტომ უნდა გადავიტანო. თანაც, ჯერ არ ვიცი, რა უნდა ვუთხრა.

ელიმ თვალები დახარა. ხმა ისევ სინაზით აღსავსე ჰქონდა, მაგრამ ოდნავ უფრო შორეული; თითქოს ნოას კი არა, საკუთარ თავს ელაპარაკებოდა. – ალბათ, ეს იმაზე იქ-ნება დამოკიდებული, უკვე რა იცის. დედამ თუ სიმართლე მითხრა, ჯერჯერობით ეჭვი აქვს მხოლოდ, მაგრამ ბოლომდე არაფერი იცის.

ნოამ იგრძნო, რომ დაიძაბა და რაღაც ჩასწყდა. ბოლოს, ხმა რომ ამოიღო, მშვიდად ლაპარაკობდა, მაგრამ ელიმ მის ხმაში ტკივილი იგრძნო.

– ესე იგი, ჩვენ შესახებ არაფერს ეტყვი, არა?

– არ ვიცი, მართლა არ ვიცი, გესმის? სანამ სასტუმრო ოთახში ვისხედით, სულ ვეკითხებოდი საკუთარ თავს, მაინც რა ჯანდაბა მინდა-მეთქი ცხოვრებაში, – თქვა ელიმ და ნოას ხელი მოუჭირა. – და იცი, რა პასუხი მივიღე? რომ ორი რამ მინდა. პირველი ის არის, რომ შენ მინდიხარ. მინდა რომ ერთად ვიყოთ, იმიტომ, რომ შენ მიყვარხარ და ყოველთვის შენ მეყვარები.

სანამ განაგრძობდა, ღრმად ამოიოხრა.

– მაგრამ ისიც მინდა, რომ ბოლო კეთილი იყოს. არ მინდა, ვინმეს გული ვატკინო. ჰოდა ვიცი, აქ რომ დავრჩე, ბევრს ვატკენ გულს, პირველ რიგში ლონს. ტყუილს კი არ ვამბობდი, როცა გითხარი, ლონი მიყვარს-მეთქი. ცხადია, ეს იგივე გრძნობა არ არის, რომელიც შენ მიმართ მაქვს, მაგრამ ლონი ნამდვილად არ მკიდია ფეხებზე. ჩემი აქ დარჩენა მის მიმართ დიდი უსამართლობა იქნება. ამას გარდა, შენთან თუ დავრჩი, ჩემს ოჯახს და მეგობრებსაც დავწყვეტ გულს; ყველას ვუღალატებ... ამიტომ არ ვიცი, შემიძლია თუ არა ამის ჩადენა...

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– სხვა ადამიანების ხათრით და მათ გემოზე გინდა საკუთარი ცხოვრების აწყობა? შენ ის უნდა გააკეთო, რაც შენ გინდა და რაც შენთვის იქნება სწორი, თუნდაც ამით სხვებს, შენთვის საყვარელ ადამიანებს დასწყვიტო გული.

– მართალი ხარ, ვიცი! – უპასუხა ელიმ. – მაგრამ რა გზაც არ უნდა ავირჩიო, მთელი ცხოვრება დარდი შემჭამს და ამ დარდით მომიწევს ცხოვრება. თანაც როგორმე წინ უნდა გავიხედო; წარსულზე აღარ უნდა ვიდარდო. გესმის, რას გეუბნები?

– ნოამ თავი გააქნია და შეეცადა, ხმაში ბზარი არ შეჰპარვოდა.

– ვერ გეტყვი, რომ მესმის. მით უფრო, თუ ეს შენს დაკარგვას ნიშნავს. ამას ვერაფრით ველარ გადავიტან.

ელიმ თავი დახარა და აღარაფერი უთქვამს. ნოამ კი განაგრძო:

– ნუთუ მართლა შეგიძლია, რომ მიმატოვო და აღარასოდეს გამოიხედო ჩემკენ?

ელიმ ტუჩი მოიკვნიტა, როცა ამ კითხვაზე პასუხობდა; ხმაც კი ჩაუწყდა.

– არ ვიცი... მართლა არ ვიცი... ალბათ, არა.

– ჰოდა მერე? განა ლონი ამას იმსახურებს?

ელიმ მაშინვე ვერ უპასუხა. ადგა, ცრემლები მოიწმინდა, ვერანდის მეორე მხარეს წავიდა და ბოძს მიეყრდნო. მერე ხელები გულზე დაიკრიფა და მდინარეს გახედა. ბოლოს ძალიან მშვიდი ხმით უპასუხა:

– არა, არ იმსახურებს.

– ცოტა არასწორად მსჯელობ, ელი. ჩვენ უკვე გავიზარდეთ და არჩევანის გაკეთების უფლება გვაქვს. ორივემ ვიცით, რომ ჩვენი დაშორება არ იქნება. ჩვენი დაშორება არც მაშინ იყო სწორი.

ნოა წამოდგა, ელის მიუახლოვდა და ხელი მხარზე დაადო.

– იცი, ელი, არ მინდა მთელი დარჩენილი ცხოვრება უშე-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ნოდ გავატარო იმაზე ფიქრში, რა იქნებოდა, ერთად რომ ვყოფილიყავით-მეთქი. ჩემთან უნდა დარჩე, ელი, გესმის? ჩემთან დარჩი!

ელის თვალები ცრემლებით აევსო.

– არ ვიცი, ამის გაკეთება შემიძლია თუ არა, ნოა, – ჩურჩულით თქვა მან.

– შეგიძლია, საყვარელო, როგორ არ შეგიძლია... ნამდვილად მოვკვდები, როცა წარმოვიდგენ, რომ სხვასთან ცხოვრობ. შეიძლება ფიზიკურად ვიარსებო, მაგრამ მკვდარი ვიქნები. ის, რაც ჩვენ შორის ხდება, იშვიათობაა. მეტისმეტად მშვენიერია და ერთი ხელის მოსმით ამის გადაგდება არ შეიძლება!

ელიმ არ უპასუხა. ცოტა ხნის მერე ნოამ ნაზად მოაბრუნა თავისკენ, ხელი მოჰკიდა და მიაჩერდა. უნდოდა, ელისაც შეეხედა მისთვის. ბოლოს ელიმ მართლაც შეხედა ცრემლიანი თვალებით. ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ ნოამ ცრემლები ხელით მოსწმინდა და სიყვარულითა და სინაზით აღსავსე თვალები ისევ მიაპყრო. მაგრამ თვალებში რომ ჩახედა, გადაწყვეტილებას მიუხვდა:

– წასვლას აპირებ, არა? – ჰკითხა ნოამ და ოდნავ გაუღიმა. – არ გინდა, მაგრამ სხვა გზა არა გაქვს...

– საყვარელო, – დაიწყო ელიმ და ისევ წასკდა ცრემლები. – ეცადე, როგორმე გამიგო...

ნოამ თავი გააქნია და ელი გააჩერა.

– არ გინდა. შენს თვალებში ვხედავ, რის თქმასაც აპირებ. მაგრამ შენი არ მესმის, ელი. არ მინდა, ჩვენი ამბავი ასე უაზროდ დამთავრდეს. საერთოდ არ მინდა, რომ დამთავრდეს! ორივემ ვიცით, რომ ახლა თუ წახვალ, ყველაფერი დამთავრდება. ერთმანეთს ველარასოდეს ვნახავთ.

ელი ნოას მიეყრდნო და მწარედ აქვითინდა. ნოაც ძლივს იკავებდა ცრემლებს.

მერე ელი ჩაიხუტა და რაღაც ხანი ასე იდგნენ.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რა ვქნა, ელი, ძალით ხომ ვერ დაგტოვებ ჩემთან? მაგრამ იცოდე, რაც უნდა მოხდეს ჩემს ცხოვრებაში, ამ რამდენიმე დღეს ვერასდროს დავივიწყებ. მე ხომ ამაზე მთელი ეს წლები ვოცნებობდი.

მერე ნაზად აკოცა და ისე მოეხვივენ ერთმანეთს, როგორც ორი დღით ადრე, როცა ელი პირველად გადმოვიდა მანქანიდან. ბოლოს ელიმ ხელი გააშვებინა და ცრემლები მოიწმინდა.

– ჩემი ნივთები უნდა ავიღო.

ნოა ელის ოთახში არ შეჰყოლია. სარწეველაში ჩაჯდა, ღონემიხდილი, სასოწარკვეთილი და დაცარიელებული. უყურებდა, როგორ შევიდა ელი ოთახში და უსმენდა მისი ნაბიჯების ხმას. ცოტა ხანში ელიც გამოჩნდა. საკუთარი ნივთები აეკრიფა და თავჩაქინდრული მოემართებოდა ნოასკენ. მერე ის ნახატი მისცა, წინა დილით სასტუმროში რომ დახატა. ნოამ ნახატი ჩამოართვა და შენიშნა, რომ ელი ისევ ტიროდა.

– გამომართვი, ეს შენთვის დავხატე.

ნოამ გრაგნილი ჩამოართვა და ფრთხილად გაშალა; ეშინოდა, არ გამეხესო.

სურათზე ორი, ერთმანეთზე წაფენილი გამოსახულება იყო. წინა პლანზე, ახლანდელი ნოას მოცულობითი გამოსახულება მოჩანდა. ნოამ შენიშნა, როგორი სიზუსტით აესახა მისი ყოველი ნაკვთი და სახის თითოეული დეტალი ელის, ნიკაპზე ნაიარევის ჩათვლით. ნახატი იმდენად ნატურალისტური და რეალისტური იყო, გეგონებოდათ, ფოტოსურათიაო.

მეორე, უკანა ფონის გამოსახულება ნოას სახლი იყო. აქაც საოცარი სიზუსტით იყო გადმოცემული ყოველი დეტალი, თითქოს ელი მუხის ძირას საათობით იჯდა და ისე ხატავდაო.

– მშვენიერია. დიდი მადლობა, ელი, – უთხრა ნოამ და შეეცადა, როგორმე გაელიმა. – ხომ გეუბნებოდი, ჩამოყალიბებული მხატვარი ხარ-მეთქი.

ელიმ თავი ისე დაუქნია, თვალებში არ შეუხედავს ნოას-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თვის. ტუჩები მჭიდროდ ჰქონდა მოკუმული. მისი წასვლის დრო იყო.

ელის მანქანისაკენ ნელ-ნელა წავიდნენ. მანქანასთან რომ მივიდნენ, ნოამ ისევ ჩაიკრა გულში და იქამდე ეჭირა ასე გულში ჩაკრული, ვიდრე არ იგრძნო, რომ ახლა საშინლად აბღავლდებოდა. მერე ტუჩები და ორივე ლოყა დაუკოცნა და ნაკოცნი ადგილები თითით გაუწმინდა.

– მიყვარხარ.

– მეც მიყვარხარ.

ნოამ მანქანის კარი გამოუღო და ერთხელაც აკოცეს ერთმანეთს. მერე ელი საჭეს მიუჯდა, მაგრამ ნოას თვალს ვერ აშორებდა. წერილების დასტა და ბლოკნოტი გვერდით დაიდო. მერე გასაღებიც მოჩხრიკა და მანქანა დაქოქა. ძრავა მაშინვე ათუხთუხდა, თითქოს წასასვლელად ექაჩებოდა ელის. მართლაც მოსულიყო წასვლის დრო.

ნოამ მანქანის კარი მიუხურა და ელიმ ფანჯარა დაუშვა. ნოას მკლავზე დაჭიმულ კუნთებს უყურებდა, მის ღიმილს, მის გარუჯულ სახეს. მერე ხელი გაუწოდა და ნოამ ხელზე მიუალერსა.

– ჩემთან დარჩი, – უხმოდ, მხოლოდ ტუჩებით უთხრა ნოამ და ამან, რატომღაც, საშინლად იმოქმედა ელიზე. ცრემლები ისევ წასკდა, მაგრამ ხმის ამოღების თავი აღარ ჰქონდა. ბოლოს, როგორღაც მოახერხა ხელის გამორთმევა, მანქანა სიჩქარეში ჩააგდო და ნელ-ნელა დაძრა. ახლა თუ არ წავიდოდა, აღარასოდეს აღარ წავიდოდა აქედან. მანქანა რომ დაიძრა, ნოამ ოდნავ უკან წადგა ნაბიჯი.

რეალობამ რაღაც ტრანსისმაგვარ მდგომარეობაში ჩააგდო ნოა. უყურებდა, როგორ მიდიოდა მანქანა; ესმოდა, როგორ ხრაშუნებდა გრუნტი ბორბლებქვეშ. მერე ნელა როგორ გადაუხვია ქალაქისაკენ მიმავალ გზაზე. ელი მიდიოდა... ისევ მიდიოდა!... ნოამ იგრძნო, რომ საშინლად ეხვეოდა თავბრუ.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მიდიოდა... მალე თვალს მიეფარებოდა...

ელიმ ერთხელაც დაუქნია ხელი, ვიდრე სვლას მოუმატებდა, და ნოამაც დაუქნია, ძლივძლივობით.

მანქანამ სვლას რომ უმატა, უნდოდა დაებღავლა, ნუ წახვალო, მაგრამ ხმა არ ამოუღია. წუთიც და მანქანა თვალს მიეფარა. ელისაგან მხოლოდ მისი მანქანის დანაატოვარი ზოლები დარჩა გრუნტზე.

ნოა იდგა და ადგილიდან ვერ იძვროდა. ელი ისევე მოულოდნელად წავიდა მისი ცხოვრებიდან, როგორც გამოჩნდა. ამჯერად საბოლოოდ წავიდა, სამუდამოდ!

ნოამ თვალები დახუჭა და ახლა გონების თვალით დაინახა, როგორ მიდიოდა ელის მანქანა; როგორ შორდებოდა იქაურობას და როგორ მიჰქონდა თან მისი სული და გული.

მაგრამ, დედამისისა არ იყოს, ელისაც არ მოუხედავს არც ერთხელ უკანო, სევდიანად აღნიშნა თავისთვის ნოამ.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

წერილი წარსულიდან

აცრემლებული თვალებით მანქანის მართვა ძალიან უჭირდა, მაგრამ მაინც მიქროდა. იმედი ჰქონდა, რომ სასტუმრომდე ინტუიციურად მიაღწევდა. ფანჯარა არ აუწევია, ეგებ სუფთა ჰაერმა ცოტა გონს მომიყვანოსო. მაგრამ ჰაერი არ შველოდა. ქვეყნად ვერაფერი ველარ უშველიდა ახლა.

საშინლად იყო დაღლილი და ფიქრობდა, ნეტა ლონთან დალაპარაკების ძალა თუ მეყოფაო. მაგრამ რა ჯანდაბა უნდა ეთქვა ლონისთვის? წარმოდგენა არ ჰქონდა. ფიქრობდა, დრო რომ მოვა, მივხვდებიო.

სხვა გზა არც იყო.

დრობრიჯს რომ მიაღწია, საიდანაც გზა უკვე ფრონტ სტრიტზე უხვევდა, ცოტათი უკვე აიყვანა თავი ხელში. სავსებით ვერა, მაგრამ, ელის აზრით, იმდენად მაინც, რომ ლონს დალაპარაკებოდა. ყოველ შემთხვევაში, ამის იმედი ჰქონდა.

ნიუ-ბერნის ქუჩებში დიდი მოძრაობა არ იყო, ასე რომ, ელი კარგად ხედავდა საქმეებზე მიმავალ ხალხს. საწვავით გასამართ სადგურზე კლიენტის ახალი ავტომობილის კაპოტში ჩამხობილი მექანიკოსი შენიშნა, მის გვერდით მდგომი კაცი კი, ალბათ, მანქანის პატრონი იქნებოდა. ორი ქალი ეტლით ასეირნებდა

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჩვილებს ჰოფმან-ლეინთან; ერთმანეთს ეჭორავებოდნენ და მაღაზიის ვიტრინებს ათვალიერებდნენ. ჰირნსის საიუველირო მაღაზიასთან გამოწკეპილი მამაკაცი მიაბიჯებდა, კეისით ხელში.

ელიმ გაუხვია და ახლა სასურსათო მაღაზიასთან შენიშნა ახალგაზრდა, რომელიც მოტანილ სურსათს ცლიდა სატვირთოდან. სატვირთო უშნოდ იდგა და ნახევარი ქუჩა ჰქონდა ჩახერგილი. ახალგაზრდა კაცის მოძრაობამ თუ ქცევამ რაღაცით ნოა მოაგონა, მდინარიდან კიბორჩხალებს რომ იღებდა.

წითელ შუქზე გაჩერდა და ქუჩის ბოლოში თავის სასტუმროს მოჰკრა თვალი. მწვანე რომ აინთო, ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა და სასტუმროსა და მეზობელი დაწესებულების ზიარი მანქანების სადგომისაკენ ნელა გაემართა. სადგომისკენ რომ გადაუხვია, ლონის მანქანა დაინახა პირველსავე მწკრივში. იქვე, ლონის მანქანის გვერდით, ადგილი იყო, მაგრამ ელიმ შესასვლელიდან მოშორებით, უფრო შორეულ კუთხეში დააყენა მანქანა.

გასაღები გადაატრიალა და მანქანის ძრავა მაშინვე ჩაქრა. მერე ხელთათმანების შესანახი განყოფილება გააღო და სარკე და წამწამების ტუში იპოვა. სარკეში ჩაიხედა და დაინახა, რომ თვალები ტირილისაგან ჯერ კიდევ შეშუპებული და ჩაწითლებული ჰქონდა. გუშინდელივით ახლაც ინანა, რომ კოსმეტიკა თან არ ჰქონდა, მაგრამ იფიქრა, ახლა ბევრს არაფერს მიშველისო. მერე თმის მოწესრიგება სინჯა. ხან ერთ მხარეს აიწია, ხან – მეორე, ბოლოს კი თმის მოწესრიგებაზეც აიღო ხელი. მერე ბლოკნოტს დასწვდა, გადაშალა და კიდევ ერთხელ შეავლო თვალი იმ სტატიას, რომელმაც ამ ქალაქში ჩამოიყვანა. ღმერთო, რამდენი რამ მოხდა მას შემდეგ. ახლა იმის წარმოდგენაც კი უჭირდა, რომ ეს ყველაფერი სულ რაღაც სამი კვირის წინ იყო. ის ხომ მთლად დაუჯერებელი ეჩვენებოდა, რომ მხოლოდ გუშინწინ ჩამოვიდა ამ ქალაქში. ეგონა, მთელმა ცხოვრებამ გაიარა მას მერე, რაც ნოასთან პირველად ვისადილეო.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

უცებ შაშვის გალობა შემოესმა; სადღაც იქვე ახლოს გალობდა. საავდრო ღრუბლები საბოლოოდ გადაყრილიყო ციდან და მსუბუქი ღრუბლების თეთრ ფრთილებს შორის უკვე ცის ლაჟვარდიც მოჩანდა. მზე ჯერ კიდევ არ აცხუნებდა ძლიერად, მაგრამ ელიმ ისიც იცოდა, რომ მალე მზეც გამოანათებდა. მოკლედ, აშკარად გამოდარებისკენ მიდიოდა საქმე.

ამინდს ისეთი პირი უჩანდა, ნოასთან ერთად რომ გაუხარდებოდა ელის დღის გატარება. ნოაზე რომ გაიფიქრა, გაახსენდა, რომ დედამ მისი წერილები ჩამოუტანა და წერილების დასტას დასწვდა.

დასტას ზონარი შემოხსნა და სულ პირველი წერილი ამოიღო. ჯერ კონვერტის გახსნა დაიწყო, მაგრამ მერე შეჩერდა. ისედაც შეეძლო წარმოედგინა, რა ეწერა ამ წერილში. ალბათ ძალიან მარტივი რამეები, მაგალითად, რას აკეთებდა ნოა, ზაფხულის მოგონებები, შესაძლოა, რამე კითხვებიც, ნოა ხომ პასუხს ელოდებოდა. ამიტომ წერილი გადადო და დასტაში სულ ბოლო წერილს დასწვდა, დასამშვიდობებელ წერილს. ეს წერილი სხვებზე მეტად აინტერესებდა. ნეტა როგორ ემშვიდობებოდა ნოა? ან თვითონ როგორ უნდა დამშვიდობებოდა?

კონვერტი თხელი იყო, ალბათ ორგვერდიან წერილს თუ ინახავდა. რაც უნდა მოეწერა ნოას, ცხადი იყო, რომ ბევრი არ დაუწერია. კონვერტი გადააბრუნა და უკანა მხარეს დახედა. სახელი არ ეწერა, მხოლოდ ნიუ-ჯერსის მისამართი იყო მიწერილი. კონვერტი სუნთქვაშეკრულმა გახსნა.

წერილი რომ გაშალა, დაინახა, რომ 1935 წლის მარტით იყო დათარიღებული. ორნახევარი წელი ყოველგვარი პასუხის გარეშე!

ძველ საწერ მაგიდასთან მიმჯდარი ნოა წარმოიდგინა. დაინახა, როგორ წერდა ამ წერილს და როგორ გრძნობდა, რომ ეს მისი უკანასკნელი წერილი იქნებოდა. მერე თაბახზე რაღაც ლაქებსაც მოჰკრა თვალი, რომლებიც, ალბათ, ცრემლების კვალი უნდა ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, ელიმ ასე იფიქრა.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

წერილი ბოლომდე გაშალა და მანქანის ფანჯრიდან შემოსულ მოთეთრო შუქზე კითხვას შეუდგა.

ჩემო უსაყვარლესო ელი,

უკვე აღარც კი ვიცი, რა გითხრა იმის გარდა, რომ წუხელ წამითაც არ მომიხუჭავს თვალი – წუხელ მივხვდი, რომ ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრდა. რაღაც უცნაური შეგრძნება დამეუფლა, ჩემთვის სრულიად მოულოდნელი. მაგრამ ახლა, წარსულში რომ ვიხედები, მეჩვენება, რომ ეს ყველაფერი სულ სხვაგვარად უნდა დასრულებულიყო.

მე და შენ ძალიან განსხვავებულები ვიყავით. სხვადასხვა სამყაროდან მოვდიოდით, მაგრამ შენ მაინც ის ქალი აღმოჩნდი, რომელმაც მასწავლა, რა არის ჭეშმარიტი სიყვარულის ფასი. შენ მასწავლე, რას ნიშნავს სხვა ადამიანზე ზრუნვა და მისთვის თავდადება. ამით ბევრად უკეთესი გამხადე, ვიდრე ვიყავი. მინდა, ეს ყოველთვის გახსოვდეს.

იმის გამო, რაც ჩვენ შორის მოხდა, უკეთ არა ვარ. პირიქით, ძალიან ცუდად ვარ, რადგანაც ვიცი, რომ, რაც ჩვენს შორის ხდებოდა, ის იყო სწორი და უეჭველი, და ძალიან მიხარია, რომ ღმერთმა ის ხანმოკლე ერთად ყოფნის ბედნიერება მაჩუქა. მაგრამ ჩვენი დაშორება საშინელი შეცდომა მგონია. და თუ ოდესმე, ძალიან შორეულ მომავალში, კიდევ გვიწერია შეხვედრა უკვე სრულიად ახალ ცხოვრებაში, აუცილებლად სიხარულით ამევსება გული და გაგიღიმებ, რადგანაც ის ხეების ძირას გატარებული ზაფხული გამახსენდება, ერთმანეთისაგან ბევრ რამეს რომ ვსწავლობდით და ერთმანეთი რომ შეგვიყვარდა. ეგებ, სულ ერთი წამით,

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შენც იგივე გრძნობა დაგეუფლოს, შენც გამიღიმო და ჩვენი საერთო მოგონებების სურნელი შენც იგრძნო მაშინ.

ძალიან მიყვარხარ, ელი.

ნოა

ელიმ წერილი ხელმორედ გადაიკითხა, ამჯერად უფრო ნელა. მერე მესამედაც გადაიკითხა და კონვერტში ჩააბრუნა. კიდევ ერთხელ წარმოიდგინა, როგორ წერდა ნოა ამ წერილს, და წამით ისიც იფიქრა, კიდევ ერთი წერილი ხომ არ წავიკითხოო. მაგრამ იცოდა, რომ ფეხის ასე ხანგრძლივად ათრევა არ ივარგებდა, ლონი ხომ, კარგა ხანია, ელოდებოდა.

მანქანიდან რომ გადმოდიოდა, იგრძნო, რომ მუხლი ეკ-ვეთებოდა. გაჩერდა, ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა და მანქანების სადგომი გადაჭრა. მიხვდა, რომ ჯერ კიდევ არ იცოდა, რა უნდა ეთქვა ლონისთვის.

და პასუხი ამ კითხვაზე მანმადე ვერ მიიღო, სანამ კარი არ გამოაღო და ჰოლში ლონი არ დაინახა.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ორისთვის დამდგარი ზამთარი

ამბავი ამით სრულდება. ასე რომ დღიურს ვხურავ, სათვალეს ვიხსნი და თვალებს ვისრეს. ძალიან დაღლილი და ერთიანად ჩაწითლებული თვალები მაქვს, მაგრამ ჯერჯერობით ისევ მემსახურებიან. თუმცა, მალე ეგ სიამოვნებაც მომაკლდება ალბათ. ვერც მე და ვერც ჩემი თვალები ცას ვერ გამოვეკერებით. ახლა, როცა კითხვას მოვრჩი, ვუყურებ, მაგრამ ის არ მიყურებს. ფანჯრიდან შიდა ეზოში იყურება, სადაც მოხუცები და მათი მნახველები თუ ოჯახის წევრები იკრიბებიან ხოლმე.

თვალს მის მზერას ვაყოლებ და ერთსა და იმავე სურათს ვხედავთ ორივე. მთელი ამ წლების მანძილზე დღის განრიგი არასოდეს შეცვლილა – ყოველ დილას, საუზმის მერე, ერთი საათის განმავლობაში, ახლობლები იკრიბებიან ხოლმე. ახალგაზრდები მარტო ან ოჯახთან ერთად მოდიან თავიანთი მოხუცების მოსანახულებლად. ფოტოსურათები და საჩუქრები მოაქვთ და ან სკამებზე სხედან ან იმ ხეივანში დასეირნობენ, ბუნებაში ყოფნის შეგრძნების გამოსაწვევად რომ არის გაშენებული. ზოგი მთელი დღით რჩება, მაგრამ უმრავლესობა ერთი-ორი საათით შემოივლის ხოლმე. ცოტა ხნით მოსულები როცა მიდიან, საშინლად მებრალებიან ის საცოდავები, რომლებიც აქ უიმათოდ რჩებიან. სულ მაინტერესებს, ნეტა

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჩემი მეგობრები რას გრძნობენ, როდესაც მათი საყვარელი ადამიანები მიდიან... მაგრამ მერე ვფიქრობ, ეგ რა ჩემი საქმეა-მეთქი. ამიტომაც არასოდეს არაფერს ვეკითხები. ცხოვრებამ მასწავლა, რომ ყველას საკუთარი პატარა საიდუმლო აქვს.

მე საკუათარ საიდუმლოს მალე აუცილებლად გაგიმხელთ.

რვეულსა და გამადიდებელ მინას მაგიდაზე, ხელმისაწვდომ ადგილას ვაწყობ და სახსრებში ამ მოძრაობით მოგვრილი ტკივილი მივლის. კიდევ ერთხელ ვგრძნობ, როგორ მეთოშება მთელი სხეული. მზის გულზე როცა ვზივარ და იქ ვკითხულობ დღის განმავლობაში, მაშინაც კი ვერ ვთბები. აღარც ეგ მიკვირს უკვე, რადგანაც მივხვდი, რომ ჩემს დაძაბუნებულ სხეულს ახლა საკუთარი წესები აქვს დადგენილი.

მთლად არ მწყალობს-მეთქი ბედი, ამას ნამდვილად ვერ ვიტყვი. აქაური პერსონალი მეც კარგად მიცნობს და ჩემს გასაჭირებსაც, ჰოდა ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ მდგომარეობა როგორმე შემიმსუბუქონ. აი ახლაც, მაგიდის კიდეზე ჩემთვის ჩაი შემოუდგამთ. ჩაიდანს ორივე ხელით ვეპოტინები. ჩაიდნიდან ფინჯანში ჩაის ჩამოსხმა ადვილი საქმე არ არის ჩემთვის, მაგრამ ჩაი მათბობს და ამიტომაც, რის ვაივაგლახით, მაინც ვისხამ. თანაც ეს გაჭირვების ძალაუნებური მოძრაობა ბოლომდე დაჟანგებისაგან ცოტათი მაინც მიცავს. მაგრამ მაინც ვჟანგდები. უკვე ისე დავჟანგდი, როგორც ოცი წლის გადაგდებული, უკვე ჯართად ქცეული მანქანა მანქანების საასაფლაოზე.

დღესაც ვუკითხე ცოტა ხანი; ისევე, როგორც ყოველ დილას ვუკითხავ ხოლმე. ეს ჩემი ვალია. არა, მოვალეობას კი არ ვიხდი (თუმცა მოვალეობასაც არ გავურბივარ), სხვა, უფრო რომანტიკული მიზეზი მაქვს. ალბათ, უფრო გასაგებად უნდა აგიხსნათ, რას ვგულისხმობ, მაგრამ ჯერ კიდევ ადრეა. თანაც, რომანტიკაზე საუბარი სამხრობის წინ ვის გაუგონია? ყოველ

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შემთხვევაში, მე აღარ ძალმიძს. ესეც რომ არა, ჯერ კიდევ არ ვიცი, ჩემი ჩანაფიქრიდან რა გამოდნება და, მართალი გითხრათ, არც ის მინდა, გული ამაყრევინოთ საკუთარ წამოწყებასა და იმედებზე.

ახლა მთელი დღე ერთადა ვართ, მაგრამ ღამღამობით გაგვყრიან ხოლმე. ექიმები მიკრძალავენ სიბნელეში მასთან დარჩენას. მათი არგუმენტები კარგად მესმის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დროდადრო მაინც ვახერხებ წესების დარღვევას. გვიან ღამით, როცა მისი ნახვის დაუძლეველი სურვილი შემიპყრობს ხოლმე, ოთახიდან ვიპარები, მასთან შევდივარ და მძინარეს დავჩერებივარ საათობით. ცხადია, მან არაფერი იცის ამის შესახებ. ოთახში შევდივარ, მძინარეს დავყურებ, მის სუნთქვას ვაყურადებ და ვიცი, ეს ქალი რომ არა, ცოლს საერთოდ არასოდეს შევირთავდი. როცა სახეზე დავყურებ, იმ სახეზე, რომელსაც საკუთარზე უკეთ ვიცნობ, იმასაც ვხვდები, რომ მისთვისაც ისეთივე ძვირფასი ვიყავი, როგორც ის არის ჩემთვის, თუ უფრო მეტადაც არა. ეს კი ჩემთვის ისეთი მნიშვნელოვანია, რომ ამის გადმოცემაც კი მიჭირს.

ზოგჯერ, თავზე რომ ვადგავარ, იმასაც ვფიქრობ, რა ბედნიერებაა, ორმოცდაცხრა წელი ამ ქალის ქმარი რომ ვარმეთქი. მომავალ თვეს ცოლქმრობის ზუსტად ორმოცდაცხრა წელი შეგვისრულდება. პირველი ორმოცდახუთი წელი, ყოველ ღამე, ჩემს ხვრინვას ისმენდა, მაგრამ ოთხი წელია ცალ-ცალკე ოთახებში გვაძინებენ. უიმისოდ ძალიან ცუდად მძინავს. მთელი ღამე ვბორგავ და ვტრიალებ საწოლში, მისი სხეულის სითბო მაკლია. ჰოდა ვგდივარ ასე, თვალებდაჭყეტილი, და კედლებსა და ჭერზე მოფენილ ჩრდილებს შევყურებ, ქარში აგორებული თივის ბულულებივით რომ დაგორავენ აქეთ-იქით. ბედი თუ გამიღიმებს, ორ საათს მაინც წავიძინებ ხოლმე, მაგრამ გარიჟრაჟზე აუცილებლად მეღვიძება. თუმცა ამას ახლა არავითარი მნიშვნელობა აღარა აქვს.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მალე ალბათ ყველაფერი მოთავდება. ამას ვგრძნობ. მე ვგრძნობ, ის კი – ვერა. დღიურში სულ უფრო და უფრო ნაკლებს ვწერ და ნაკლებ დროსაც ვუთმობ წერას. თავს დიდად არ ვიწუხებ, რადგანაც საწერიც ისეთი აღარაფერია, ერთი დღე მეორეს ტყუპისცალივით წააგავს. მაგრამ ამაღამ ერთი ლექსის გადაწერა მაინც მომიწევს, ალბათ. ეგ ლექსი აქაურმა ექთანმა მომართვა – ვიფიქრე, მოგეწონებათო. აი, როგორ ჟღერს:

და არასოდეს არ მიგრძნია მე იმ წუთამდე
ესოდენ დიდი სიყვარული და აღმაფრენა;
კოკობმა ვარდმა დამატყვევა გულის გულამდე,
თან წარიტანა სული ჩემი და ჩემი გზნება.

ვინაიდან საღამოობით პროცედურებიდან თავისუფლები ვართ, მთხოვენ ხოლმე, სხვებიც მოვინახულო. ჩვეულებრივ ასეც ვიქცევი, რადგანაც მხატვრული კითხვა მეხერხება და აქ ყველას ვჭირდები; ყოველ შემთხვევაში, ასე მეუბნებიან. ჰოლში ჩამოვივლი ხოლმე და თვითონ ვირჩევ, ვისთან შევიდე; მოგეხსენებათ, ძალიან ბებერი ვარ და გეგმით ვერ ვიმუშავებ. ისე, უნდა გითხრათ, რომ გულის სიღრმეში ყოველთვის ვგრძნობ, ვისაც ვჭირდები. აქ ყველა ჩემი მეგობარია და როცა რომელიმეს ოთახის კარს შევაღებ, ჩემი ოთახის მსგავს ინტერიერს ვხედავ – ყოველთვის ნახევრად ჩაბნელებულს, მხოლოდ ე. წ. „ბედის ბორბლებით" განათებულს. ავეჯიც ყველას ერთნაირი გვიდგას, ტელევიზორებიც გაჰკივიან, რადგანაც არც ერთს აღარ გვესმის ყურში წესიერად.

კაცებიცა და ქალებიც მიღიმიან ხოლმე და მაშინვე თიშავენ ტელევიზორებს. მერე მიმქრალი ხმებით მეუბნებიან, როგორ მიხარია თქვენი ნახვაო და ჩემი მეულლის ამბავს მეკითხებიან. ზოგჯერ ვპასუხობ და ვუყვები, როგორი ლამაზი და როგორი მშვენიერია, და ვუხსნი, იმან მასწავლა, ეს სამყარო ასეთი დიდებული რომ არის-მეთქი. ხანაც ჩვენი ახალგაზრდობის

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ამბებს ვუყვები და ვახარბებ, როგორ ადვილად გვეძლეოდა ყველაფერი, როცა ჩახუტებულები ვისხედით სამხრეთის ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ქვეშ. განსაკუთრებულ შემთხვევებში, ჩვენს ერთობლივ თავგადასავლებსაც ვუყვები, ან ნიუ-იორკსა და პარიზში გამართული სურათების გამოფენებზე ვუამბობ, იმ აღფრთოვანებული რეცენზიების შინაარსსაც ვაცნობ, ჩემთვის უცხო სხვადასხვა ენაზე რომ წერდნენ კრიტიკოსები. ძირითადად კი პასუხად უბრალოდ ვუღიმი და ვეუბნები, ისევ ისეა-მეთქი. პირს მიიბრუნებენ ხოლმე, მათი სახის გამომეტყველება რომ არ დავინახო. ასეთი პასუხის შემთხვევაში ახსენდებათ, რომ ყველაფერი წარმავალია, რომ, სამწუხაროდ, თავადაც მოკვდავები არიან. ჰოდა მეც ვზივარ და ვუკითხავ, რომ სიკვდილის შიში როგორმე ოდნავ მაინც გავუნელო.

ნუ გეშინია, ჩემთან მშვიდად იგრძენი თავი –
არ მიგატოვებ, ვიდრე მნათი დაგვნათის ზეცით,
ვიდრე კამკამა წყაროსთვალი მთლად არ დაწყდება,
ვიდრემდის ხეზე იშრიალებს მწვანე ფოთლები
და ვიდრე სიტყვა მიდგას პირში, შენთვის სათქმელი.

და კიდევ იმიტომ ვუკითხავ, რომ ავუხსნა, მე რა დღეში ვარ.

ასე დავძრწივარ ღამღამობით ჩემსავ ხილვებში,
თვალახელილი ვეჯახები მძინართა მზერას;
დავბორიალებ მარტოდმარტო, თავდაკარგული,
გზააბნეული მზაკვარ დროით დახშულ სივრცეში.
ბოლოს ვხევდები და უკუნეთს ვუშტერებ თვალებს.

ჩემს ცოლს რომ შეეძლოს, აუცილებლად წამომყვებოდა ამ საღამოხნის შემოვლებზე, რადგანაც პოეზიაზე ყოველთვის გიჟდებოდა – ტომასის კითხვა უყვარდა, უიტმენის, ელიოტის, შექსპირის და დავით მეფსალმუნის, ამ სიტყვათმოყვარე და ენის მოამაგე მამების. წარსულს რომ ვიხსენებ, მიკვირს, მეც ასე უზომოდ რომ ვიყავი პოეზიით გატაცებული. ზოგჯერ ვნანობ

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კიდევაც. პოეზიას საოცარი სილამაზე შემოაქვს ცხოვრებაში, მაგრამ დიდი სევდაც სდევს ხოლმე თან, ჰოდა არა მგონია, ჩემი ხნის კაცისთვის პოეზიის კითხვა კარგი გამოსავალი იყოს. ადამიანმა სხვა რაღაცეებით უნდა შეიქციოს თავი, თუ რა თქმა უნდა, ამის ძალა შესწევს; სიცოცხლის ბოლო დღეები მზეში უნდა გაატაროს. მე კი მაგიდის ნათურასთან ვატარებ.

მასთან მივჩანჩალებ და ჩემს სკამზე ვჯდები, მის საწოლთან. ჯდომისას ზურგი საშინლად მაწუხებს. ერთი როგორმე ახალი ბალიში უნდა მოვიპოვო ამ სკამისთვის-მეთქი, უკვე ალბათ მეასედ ვპირდები საკუთარ თავს. მის ხელს – გამხდარს, დაძარღვულსა და სიფრიფანას – ხელში ვიღებ. მაინც მშვენიერია ეს ხელი. კრთება, ახლა ასეთია ჩემს შეხებაზე მისი საპასუხო რეაქცია. მერე, ნელ-ნელა, ინსტინქტურად ცერით მეალერსება თითზე. ხმას არ ვიღებ; წლების მანძილზე უკვე ვისწავლე ჭკუა. ძირითადად ასე გასუსული ვზივარ ხოლმე მზის ჩასვლამდე. ასეთ დღეებში მისი არაფერი ვიცი.

რამდენიმე წუთი გადის, ვიდრე ჩემკენ გადმობრუნდება. მერე ტირილს იწყებს. მე ვულიმი, ხელს ვართმევ და ჯიბიდან ცხვირსახოცს ვიღებ. მერე ცრემლებს ვწმენდ. ყურადღებით მიყურებს. ნეტა ვიცოდე, ახლა რაზე ფიქრობს.

– რა მშვენიერი მოთხრობა იყო.

წვიმა წამოვიდა, სულ ოდნავ ცრის. პაწაწინა წვეთები წკაპაწკუპით ეცემა ფანჯარას. ისევ ვკიდებ ხელს. დღეს, მგონი, კარგი დღე გამითენდა. ძალიან კარგი... ეგებ, სასწაულებრივიც! თავს ვერ ვიკავებ და მეღიმება.

– ჰო, ნამდვილად მშვენიერია.

– თქვენ დაწერეთ? – ისევ მეკითხება ძალიან სუსტი, თითქმის მოჩურჩულე ხმით, თითქოს ხმა კი არა, ნაზი სიოა და ფოთლებს ოდნავ აშრიალებსო.

– დიახ, – ვპასუხობ მშვიდად.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

საწოლის გვერდით მდგომი მაგიდისაკენ იწევს. მისი წამალი პატარა ჭიქაში დევს. ჩემიც. ერთი ციცქნა აბებია, ცისარტყელასავით ჭრელ-ჭრელი, რომ ფერმა მიგვიზიდოს და დალევა არ დაგვავიწყდეს. ჩემი წამალიც აქ შემოაქვთ ხოლმე, მის ოთახში, თუმცა ეს სულაც არ ევალებათ.

– მგონი, ადრეც წამიკითხეთ, არა?

– დიახ, – როგორც ყოველთვის ასეთ დღეებში, ისე ვპასუხობ. მოთმენა ვისწავლე.

სახეზე მაკვირდება. თვალები ოკეანის ტალღის ფერისა აქვს.

– მაგ მოთხრობას რომ მიკითხავთ, შიში გადამივლის ხოლმე.

– ვიცი, – ვეუბნები და თავსაც ვუქნევ.

პირს მიიბრუნებს და მეც მოთმინებით ველოდები. ხელს მაშვებინებს და წყლიან ჭიქას ეპოტინება. ისიც მაგიდაზე უდგას, წამლის ჭიქის გვერდით. წყალს ოდნავ მოსვამს.

– ნამდვილი ამბავია? – მეკითხება და ოდნავ წამოწეული ისევ სვამს წყალს. სხეული ჯერ კიდევ არა აქვს დაუძლურებული. – ანუ, ამ ადამიანებს პირადად იცნობდით?

– დიახ, – ვპასუხობ მოკლედ. ვრცლადაც შემიძლია ვუპასუხო, მაგრამ, როგორც წესი, ამას აღარ ვაკეთებ. ჯერ კიდევ ძალიან ლამაზია. მერე იმას მეკითხება, რაც ისედაც ცხადზე უცხადესია:

– ბოლოს რომელს გაჰყვა ცოლად?

– იმას, ვისაც უნდა გაჰყოლოდა.

– ანუ რომელს?

მეღიმება. – მაგას მიხვდებით. დღის ბოლოს თავად მიხვდებით.

აშკარად ვერ ხვდება, რას ვეუბნები, მაგრამ ამ თემაზე აღარაფერს მეკითხება. თუმცა რაღაც აფორიაქებს. თითქოს რაღაცის კითხვა უნდა, მაგრამ არ იცის, როგორ მკითხოს. ბოლოს გადაწყვეტს, რომ ჯერჯერობით კითხვებისაგან თავი შეიკავოს და ქაღალდის მეორე ჭიქას დასწვდება.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ეს ხომ ჩემია?

– არა, თქვენი აი ეს არის, – ვეუბნები და თავის წამალს ვუჩოჩებ. სამწუხაროდ, ჩემი ხელით ვერ ვაწვდი. ჭიქას იღებს და აბებს ათვალიერებს. ვხვდები, რომ წარმოდგენა არა აქვს, რისთვისაა ეს წამლები. მე ჩემს ჭიქას ორივე ხელით ვიღებ და აბებს პირში ვიყრი. ისიც იმავეს იმეორებს. დღეს აგრესიულად არ არის ჩემ მიმართ განწყობილი და ეს საქმეს ძალიან მიადვილებს. მე ჩემს ჩაის ჭიქას სასმისივით აღვმართავ და წამლისგან დატოვებულ უსიამოვნო გემოს ჩაით ვინეიტრალებ. ჩაი აშკარად გამიცივდა. ის პირდაპირ ყლაპავს აბებს და წყალს მერე აყოლებს.

ფანჯარასთან რაღაც ჩიტი მოფრინდა და გალობა წამოიწყო. ორივე ჩიტს შევყურებთ. ცოტა ხანს ასე მშვიდად ვსხედვართ და ორივე ერთი და იმავე მშვენიერებით ვტკბებით. მერე მშვენიერება სადღაც ქრება და ის ოხრავს.

– კიდევ რაღაცის კითხვა მინდა.

– მზად ვარ ნებისმირ შეკითხვაზე გიპასუხოთ.

– ისე, ცოტა კი მერიდება.

თავს ხრის და თვალს მარიდებს, ასე რომ, მისი აზრების წაკითხვა არ შემიძლია. ყოველთვის ასე იქცეოდა. რაღაცეები, როგორც ჩანს, არ იცვლება.

– ნუ გერიდებათ. დამშვიდდით და მერე მკითხეთ.

მშვენივრად ვიცი, რაც უნდა მკითხოს.

ბოლოს ილიმება; ისე მილიმის, როგორც ბავშვი, და არა როგორც საყვარელი ქალი. თვალებში მიყურებს და მეუბნება:

– არ მინდა, გაწყენინოთ, თქვენ ისეთი ყურადღებიანი ბრძანდებით ჩემ მიმართ, რომ...

მორჩილად ვიცდი. ვიცი, მისი შეკითხვა ახლა გულს ძალიან მატკენს და მოუშუშებელ ჭრილობას დამიტოვებს.

– ვინ ბრძანდებით?

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

***

უკვე სამი წელია, კრიკსაიდის მოხუცებულთა თავშესაფარში ვცხოვრობთ. აქ წამოსვლა თვითონ მოინდომა. ნაწილობრივ ალბათ იმიტომ, რომ ჩვენს სახლთან ძალიან ახლოსაა და ფიქრობდა, რომ ამით საქმეს გამიადვილებდა.

სახლი ავჭედეთ, რადგანაც მის გაყიდვას ვერც ერთი ვერ გადავიტანდით, რაღაც ქაღალდებს მოვაწერეთ ხელი და ასე ვიშოვეთ ადგილი თავშესაფარში, სადაც სიკვდილამდე უნდა ვიცხოვოთ. მოკლედ, ამ ქაღალდებზე ხელმოწერით ნაწილობრივ დავკარგეთ ის თავისუფლება, რომლისთვისაც მთელი ჩვენი ცხოვრება ვიბრძოლეთ და ვიწვალეთ.

სხვათა შორის, სწორი გადაწყვეტილება მიიღო. მარტო, მის გარეშე, ვერც გავძლებდი და ვერც თავს მივხედავდი, რადგანაც ავადმყოფობამ ორივეს მაგრად დაგვრია ხელი, მასაც და მეც. ახლა, პრაქტიკულად, ცალი ფეხი სამარეში გვიდგას და ჩვენი დღეები დათვლილია. საათიც არ ჩერდება, წინ-წინ მიიწევს და თანაც ენერგიულად და ხმამაღლა წიკწიკებს. ნეტა მხოლოდ მე მესმის ეს წიკწიკი, თუ მასაც ესმის?

თითის სახსრებში საშინელი ტკივილი მივლის და მახსენდება, რომ, რაც აქა ვართ, თითებგადაჭდობილები აღარ ვმსხდარვართ. ეს ამბავი გულს მიკლავს, მაგრამ ჩემი ბრალია, მისი კი არა. უფრო სწორად, ჩემი შორს წასული რევმატული ართრიტია ყველაფერში დამნაშავე. თითები მთლად დაბრეცილი და სასაცილო გამიხდა, და სულ მიფეთქავს, ძილსა და ღვიძილში. ზოგჯერ ვოცნებობ, ნეტავი მომაჭრიდნენ-მეთქი, მაგრამ მაშინ იმ პატარა რაღაცეების გაკეთებასაც ველარ მოვახერხებ, რისი გაკეთებაც მმართებს. ასე რომ, ჯერჯერობით ვხმარობ ამ საშინელ „კლანჭებს“, როგორც ამ ბოლო დროს ვეძახი, და საშინელი ტკივილის მიუხედავად, მისი ხელი ყოველდღე მიჭირავს ხელში, რადგანაც აშკარად უნდა, რომ მეჭიროს.

ბიბლია კი გვეუბნება, რომ ადამიანს 120 წლამდეც შეუძლია

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

იცოცხლოსო, მაგრამ ღმერთმა დამიფაროს! ნამდვილად არ
მინდა. ისე, რომც მინდოდეს, ჩემს სხეულს არ მოუნდება.
ლამის ნაწილებად დავიშალო. ყოველდღიურად თითო ნაწილი
მიფუჭდება, ეროზია გამიჩნდა შიგნეულსა და ძვლებზე. ხელე-
ბი აღარ მივარგა, თირკმელები მღალატობს, გულიც სულ
უფრო და უფრო მელევა თვიდან თვემდე. უფრო მეტიც –
კიბომ ისევ შემიტია, ამჯერად პროსტატის ჯირკვალზე. ეს
უკვე მესამე რეციდივია. ასე რომ, მესამედ მიწევს ბრძოლა ამ
უხილავ მტერთან და ამჯერად ველარ დავამარცხებ, ნამდვი-
ლად მომიღებს ბოლოს, ოღონდ ჯერჯერობით ვერ მივართვით,
უნდა მაცალოს გარკვეულ დრომდე, სანამ მე თვითონ არ
ჩავბარდები. ექიმები ჩემ გამო ძალიან წუხან, მე კი დიდად
არ განვიცდი. განცდის დრო სადა მაქვს ჩემი ამქვეყნიური სი-
ცოცხლის დასალიერს?

ჩვენი ხუთი შვილიდან ოთხი ცოცხალია. და თუმცა აქ
მოსვლა საკმაოდ უჭირთ, მაინც ხშირად მოდიან და მათი დი-
დი მადლობელი ვარ. მაგრამ მაშინაც კი, როცა ვერ მოდიან,
მათი სახეები ცოცხლად მიდგას თვალწინ, და ყველა იმ
ბედნიერ თუ უბედურ წუთს ვიხსენებ, რომლებიც მათთანაა
დაკავშირებული. კედლებზე უამრავი ფოტო მაქვს გაკრული,
მთელი ჩემი მონაგარის ფოტოები. ეგენია ჩემი ამ ცხოვრებაში
შეტანილი წვლილი. ძალიან მეამაყებიან. ხანდახან ვფიქრობ,
ნეტა ჩემი ცოლი რას ფიქრობს-მეთქი მათზე სიზმრებში, ან
ნეტა საერთოდ თუ ფიქრობს მათზე, ან სიზმრებს თუ ხედავს-
მეთქი საერთოდ. ეჰ, რამდენი რამ ხდება ახლა მის თავში, რაც
მე, სამწუხაროდ, აღარ მესმის. ზოგჯერ ისიც მაინტერესებს,
ნეტა მამაჩემი რას იტყოდა ჩემს განვლილ ცხოვრებაზე, ან ჩემს
ადგილას თვითონ რას იზამდა-მეთქი. მამა უკვე ორმოცდაათი
წელია, რაც აღარ მინახავს და ჩემს წარმოსახვაში მისი სახე
უკვე გაფერმკრთალდა და აჩრდილად იქცა; თვალნათლივ
მისი სახის წარმოდგენა უკვე ძალიან მიჭირს. მის სახეს

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ჩაბნელებული სურათივით ვხედავ, კონტრაჟურში. არ ვიცი, რას დავაბრალო, მეხსიერების ჩავარდნას თუ დიდი ხნის უნახაობას. მამაჩემის ერთადერთი ფოტო შემომრჩა მხოლოდ და ისიც უკვე გაფერმკრთალებულია. მომდევნო ათ წელიწადში, ალბათ, მთლად წაიშლება, ჩემი არ იყოს, როგორც ქვიშაზე დაწერილი რამე. ჰოდა მამაჩემიც სრულ დავიწყებას მიეცემა. ჩემი დღიურები რომ არა, შემიძლია დავიფიცო, საკუთარი ცხოვრების ნახევარიც კი აღარ მემახსოვრებოდა. ცხოვრების ზოგიერთი მონაკვეთი საერთოდ ამომივარდა მეხსიერებიდან. ზოგ ადგილს რომ ვკითხულობ დღიურში, გაოცებას ვარ – არც ის ვიცი, როდის დავწერე და არც ის, მაშინ ვინ ვიყავი, იმიტომ, რომ იქ აღწერილ მოვლენებს საერთოდ ველარ ვიხსენებ. ზოგჯერ ვზივარ და ვფიქრობ, ეგ ყველაფერი ასე უკვალოდ სად გაქრა-მეთქი.

– დიუკი მქვია, ქალბატონო, – ასე ვეცნობი. ჯონ უეინზე ყოველთვის ვგიჟდებოდი.

– დიუკი, – ჩურჩულებს თავისთვის. – დიუკ!

ერთი წამით რაღაცას ფიქრობს, შუბლი ეჭმუხნება და თვალები უსერიოზულდება.

– აქ გახლავართ, ქალბატონო, თქვენს სამსახურში მიგულეთ.

ახლაც და ყოველთვისაც, ვფიქრობ ჩემთვის.

ჩემი პასუხი გულზე ხვდება, თვალები უწითლდება და ტირილს იწყებს. გული ლამის გამისკდეს და უკვე მეათასეჯერ ვნატრობ, ნეტა შემეძლოს და რამით ვუშველო-მეთქი. მერე მეუბნება:

– მაპატიეთ. კარგა ხანია, აღარ მესმის, ჩემს თავს რა ხდება ან რა მჭირს. აი თუნდაც თქვენ. ყურს რომ გიგდებთ, ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს კარგად გიცნობთ, მაგრამ სინამდვილეში არ გიცნობთ. მე თვითონ ვინა ვარ, ესეც კი აღარ ვიცი.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ცრემლებს იწმენდს და მეუბნება:

– მომეხმარეთ, დიუკ! მომეხმარეთ, რომ გავიხსენო, ვინა ვარ, ან ვინ ვიყავი. სულმთლად დავიბენი და სადღაც დავიკარგე.

თანაგრძნობით ვპასუხობ, მაგრამ მის ნამდვილ სახელს არ ვეუბნები, ისევე როგორც ჩემი არ გავუმხილე. და ამას სრულიად შეგნებულად ვაკეთებ.

– ჰანა ბრძანდები, სიცოცხლის მეტრფე, ყველა მოყვასის საყრდენი და იმედი. ახდენილი ოცნება ბრძანდები, ბედნიერების შემოქმედი, დიდი მხატვარი, რომლის ფუნჯიც ათასობით სულს შეეხო. სავსე ცხოვრებით იცხოვრე და არაფერი გაკლდა, რადგანაც მხოლოდ სულიერი მოთხოვნილებები გქონდა და ახლაც მხოლოდ საკუთარ სულში უნდა ჩაიხედო. კეთილი და ერთგული ბრძანდები, და მშვენიერების დანახვა შეგიძლია იქ, სადაც მას სხვები ვერ ამჩნევენ. შენ უჩვეულო გაკვეთილების მასწავლებელი ხარ, ყოველთვის უკეთეს მომავალზე მეოცნებე.

ცოტა ხანს ვჩერდები, რომ ოდნავ მოვითქვა სული. მერე გავნაგრძობ: – ჰანა, დაბნევის მიზეზი არ გაქვს, ვერსადაც ვერ დაიკარგები, რადგანაც:

არ იკარგება ქვეყნად არცა საგანი რამე,
არცა მოვლენა, არცა კაცი, არც კიდევ სხვა რამ,
არც ჩვენი არსი, ვინაობა და არც ხატება
იმის, რაც სადმე არსებობდა, საჩინო ჩვენთვის...
არცა სხეული, მოჩვარული, დაბერებული,
ან მწერი ქარვას ჩაკირული გარდასულ ცეცხლით...
...დრო მოუვათ და იფეთქებენ ახალ ხანძრებად.

გაგონილ სიტყვებს უფიქრდება, გარინდებული. მე კი ფანჯრისკენ ვაპარებ თვალს და ვამჩნევ, რომ უკვე აღარ წვიმს. მის ოთახში უკვე მზის სხივიც კი იპარება და ოთახს უნათებს.

– ეგ ლექსი თქვენ დაწერეთ?

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– არა, უოლტ უიტმენმა.

– ვინა?

– სიტყვების მეტრფემ, აზრთა მეუფემ.

ამაზე პირდაპირ პასუხს არ მაძლევს. უბრალოდ დიდხანს შემომყურებს. იქამდე მიყურებს, ვიდრე ჩვენი სუნთქვის რიტმი ერთმანეთისას არ დაემთხვევა. ჰოდა ვსუნთქავთ ასე, ერთად და რიტმულად – ჩასუნთქვა, ამოსუნთქვა. ჩასუნთქვა, ამოსუნთქვა. ჩასუნთქვა, ამოსუნთქვა. ღრმად ვსუნთქავთ. ნეტა ვიცოდე, თუ ხვდება, როგორ მელამაზება.

– შეგიძლიათ, ცოტა ხანს ჩემთან რომ დარჩეთ? – მეკითხება ბოლოს.

– მეღიმება და თავს ვუქნევ. ისიც მიღიმის. მერე ჩემს ხელს იღებს, მოსწევს და წელზე იდებს. ჩემს დაღვარჭნილ და დაკორძებულ თითებს დაჰყურებს და ნაზად მეფერება ხელით. თვითონ ნამდვილი ანგელოზის ხელები აქვს.

– წამო, წავიდეთ, ცოტა გავიაროთ, – ვეუბნები და დიდი გაჭირვებით ვდგები ფეხზე. – მშვენიერი ჰაერია და პატარა ბატის ჭუკები გველოდებიან. შესანიშნავი ამინდი გამოვიდა.

ამას ვეუბნები და ყურადღებით ვაკვირდები.

უცებ წითლდება და ძალიან მსიამოვნებს. თავს ისევ ახალგაზრდად ვგრძნობ.

ძალიან ცნობილი მხატვარი იყო, მეოცე საუკუნის ერთ-ერთი საუკეთესო მხატვარი სამხრეთში, როგორც კრიტიკოსები აღნიშნავდნენ, ჰოდა ძალიან ვამაყობდი ამით. ახლაც მეამაყება. მე პატარა ლექსის დაწერაზეც კი ვწვალობდი, ის კი, ჩემგან განსხვავებით, მშვენიერებას ისე ადვილად ქმნიდა, როგორც შემოქმედმა შექმნა ეს სამყარო. მისი ტილოები მსოფლიოს ყველა მუზეუმშია გამოფენილი, ჩემთვის მხოლოდ ორი დავიტოვე. პირველი, რომელიც თვითონ მაჩუქა და ბოლო. ორივე ოთახში მიკიდია და გვიან ღამით, როცა ძილი არ მეკარება,

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვდგები და ვუყურებ ხოლმე. ზოგჯერ ვუყურებ და ვტირი, თვითონაც არ ვიცი რატომ.

ასე გავიდა წლები. ასე ვიცხოვრეთ შრომაში, ხატვაში, შვილების აღზრდასა და ერთმანეთის სიყვარულში. მთელი ჩვენი ცხოვრება ფოტოებზეა ასახული – შობის დღესასწაულები, ოჯახური მოგზაურობები, სასწავლებლების გამოსაშვები საღამოები და ბანკეტები, და, რა თქმა უნდა, ქორწილები. სურათებს დავცქერი და შვილიშვილების ბედნიერ სახეებს ვხედავ; ჩვენს ფოტოებს ვხედავ, რომლებზეც თმა თანდათან გვიჭაღარავდება და ნაოჭებიც გვიღრმავდება სახეზე. თითქოს ჩვეულებრივი ცხოვრებაა, მაგრამ, ამავდროულად, სრულიად არაჩვეულებრივი.

მომავალს, ცხადია, ვერ ვიწინასწარმეტყველებდით. ან კი ვის ძალუძს ამის წინასწარმეტყველება? ახლა ისე არ ვცხოვრობ, როგორც დაგეგმილი მქონდა. რას ვგეგმავდი? რას და პენსიაზე გასვლას. შვილიშვილებთან სტუმრად სიარულს და ალბათ მოგზაურობას. მას მოგზაურობა ყოველთვის უყვარდა. იმასაც ვფიქრობდი, ეგებ რამე ჰობის მივყო-მეთქი ხელი. ზუსტად რომელს, არ ვიცოდი, მაგრამ, ვთქვათ, პატარა გემების მაკეტები რომ მეკეთებინა, ბოთლში რომ აკეთებენ ხოლმე, ისეთები – ციცქნები, მაგრამ ყველა დეტალი რომ ადგილზე აქვთ. ჩემი კლანჭებით ეს ახლა სრულიად წარმოუდგენელია. მაგრამ გული ნამდვილად არაფერზე მწყდება.

კაცი გატარებულ ცხოვრებას სიცოცხლის ბოლო წლებით ვერ გაზომავს; ამაში ეჭვი არ მეპარება. თანაც, ალბათ რაღაც ამდაგვარის მოლოდინი მაინც მქონდა. ახლა დეტალებს რომ ვიხსენებ, ვხვდები, რომ იმთავითვე აშკარა იყო, რაც გველოდა. მაგრამ თავიდან მის მეხსიერებაში პატარ-პატარა ჩავარდნებს ჩვეულებრივ გულმავიწყობად აღვიქვამდი. მაგალითად, ავიწყდებოდა, გასაღები სად დადო, მაგრამ ასეთი რამ ვის არ დამართნია? მეზობლის სახელიც დავიწყებია, მაგრამ ძალიან

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ახლო მეზობლების, რომლებთანაც მჭიდრო კონტაქტი გვქონდა, ახსოვდა. ზოგჯერ, ჩეკის გამოწერისას, წელი ეშლებოდა, მაგრამ არც ამას ვაქცევდი ყურადღებას, ბანალურ შეცდომად ვთვლიდი, სხვა რამეზე რომ ვფიქრობთ და უყურადღებობით რომ მოგვდის ხოლმე.

მოკლედ, სანამ უფრო თვალშისაცემი უცნაურობები არ მოხდა – საყინულეში შედებული უთო, ჭურჭლის სარეცხ მანქანაში შეყრილი სარეცხი, ღუმელში შედებული წიგნები და ასე შემდეგ – არანაირი ეჭვი არ გამივლია თავში. მაგრამ, როდესაც ჩვენი სახლიდან სამი კვარტლის დაშორებით ვიპოვე მანქანაში, ატირებული და შეშინებული, რადგანაც სახლის გზა ვერ გაეხსენებინა და დაკარგულიყო, მაშინლა მივხვდი, რომ საქმე მთლად კარგად არ იყო. მანქანის ფანჯარაზე მივუკაკუნე. მომიბრუნდა და მითხრა, ღმერთო, რა მემართება, მე თვითონაც არ ვიცი, რამე მიშველეო. თავზარი დამეცა, მაგრამ ასეთი საშინელება მაინც ვერ წარმოვიდგინე.

ექვსი დღის თავზე, ექიმმა ტესტების ჩატარება დაუწყო. წარმოდგენა არა მქონდა, რა ტესტები იყო და არც ახლა მინდა, რომ ვიცოდე. ალბათ, მეშინია და იმიტომ. მოკლედ, ერთი საათი გაატარა ექიმ ბარნუელთან და მერე მეორე დღესაც დაიბარეს. იმ დღეზე გრძელი დღე ცხოვრებაში მეორე არ მახსოვს. ვიჯექი და ჟურნალებს ვათვალიერებდი; ვკითხულობდი, მაგრამ შინაარსი არ მესმოდა. რაღაცის თამაშიც ვცადე, მაგრამ ამაოდ. ბოლოს ექიმმა ორივე საკუთარ კაბინეტში გვიხმო. დავსხედით თუ არა, ხელი იმედიანად მომიჭირა, მაგრამ მახსოვს, რომ მე ხელები მიკანკალებდა.

– ძალიან ვწუხვარ, ეს რომ უნდა გითხრათ, მაგრამ სხვა გზა არა მაქვს, – დაიწყო ექიმმა ბარნუელმა. – ვშიშობ, თქვენს შემთხვევაში, ალცჰაიმერის დაავადების დაწყებით სტადიასთან გვაქვს საქმე...

თვალთ დამიბნელდა, საერთოდ ვერაფერს ვხედავდი, ჩვენს

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავზე მოკაშკაშე ნათურის გარდა. ექიმის სიტყვები ექოსავით მიმეორდებოდა თავში: *ალცჰაიმერის დაწყებითი სტადია...*

თავბრუ დამესხა, ყველაფერი უკუღმა დამიტრიალდა. უცებ ვიგრძენი, როგორ მომიჭირა ხელი და დაიჩურჩულა, პრაქტიკულად თავისთვის: – ვაიმე, ნოა... ნოა...

და როცა ცრემლები გადმოსცვივდა, ის საშინელი სიტყვა ისევ ჩამესმა: ... *ალცჰაიმერი...*

დაუნდობელი, ფუტურო და ბერწი დაავადება! ისეთივე გამოფიტული და უსიცოცხლო, როგორც უდაბნო! სულთა, გულთა და მოგონებათა მპარავი! არ ვიცოდი, რა მეთქვა მისთვის, როცა ჩამეხუტა და ტიროდა. ჰოდა უბრალოდ გულში ჩავიკარი და აქეთ-იქით ვარწევდი პატარა ბავშვივით.

ექიმი უხერხულობას განიცდიდა. კეთილი კაცი გახლდათ და ამ განაჩენის გამოტანა ძალიან უჭირდა ჩვენთვის. ჩემს უმცროს ვაჟზე ახალგაზრდა იყო და მასთან ყოფნისას კიდევ უფრო ვგრძნობდი საკუთარ ხანდაზმულობას. ტვინი საშინლად ამერია, ლამის რწმენაც კი შემერყა. ერთადერთი, რაც თავში მომდიოდა, ბრძენი პოეტის სიტყვები იყო:

ქვეყნად არც ერთმა დამახრჩვალმა არ იცის დასტურ,
ის ბოლო წვეთი რომელია, მას რომ დაახრჩობს...

ძალიან ჭკვიანური სიტყვებია, მაგრამ ეს სიბრძნე მაშინ დიდი ვერაფერი ნუგეში გამოდგა ჩემთვის. ვერც მათ აზრს ჩავწვდი და არც ის ვიცი, ეს სტრიქონები რამ გამახსენა.

აქეთ-იქით ვირწეოდით და ელიმ, ჩემმა ოცნებამ, ჩემმა უჭკნობმა მშვენიერებამ მითხრა, მაპატიეო. საპატიებელი არაფერი ჰქონდა და ყურში ვუთხარი, ნუ წუხხარ, ყველაფერი კარგად იქნება-მეთქი. ეს კი ვუთხარი, მაგრამ ძალიან მეშინოდა. ცვედანივით ვიჯექი, დამშრალ წყაროსავით უაზრო, და ჩემს სათაყვანებელ ქალს ვერაფერს ვთავაზობდი.

– ამ დაავადების დროს თავის ტვინი დეგენერაციას განიც-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დის, ადამიანი მეხსიერებას კარგავს და მისი დეპერსონალიზაცია ხდება... დაავადება სრულიად უკურნებელია და მისი პროგრესირების შეჩერება შეუძლებელია...

...ვერც იმას ვიტყვით, რა სისწრაფით განვითარდება... სხვადასხვა ავადმყოფთან სხვადასხვანაირად მიმდინარეობს, ძალიან ინდივიდუალურია... ნეტა მეტი რამ ვიცოდე ამ დაავადებაზე, მაგრამ ამის მეტი არაფერი ვიცი...

რემისიის დღეებიც იქნება, მაგრამ დროთა განმავლობაში მდგომარეობა გაუარესდება... ძალიან ვწუხვარ, რომ ამ ყველაფრის თქმა მიწევს თქვენთვის...

ძალიან ვწუხვარ...

ძალიან...

მაპატიეთ...

ყველა წუხდა. შვილები დარდით აღარ იყვნენ, მეგობრებმა საკუთარი თავები წარმოიდგინეს ჩვენს ადგილას და თავზარი დაეცათ. აღარ მახსოვს, ექიმის კაბინეტიდან როგორ გამოვედით და სახლამდე მანქანით როგორ მოვაღწიეთ. იმ დღისა მეტი საერთოდ აღარაფერი მახსოვს და ამაში მე და ჩემი მეუღლე გავთანაბრდით.

მას მერე ოთხი წელი გავიდა. ვცდილობდით, რაც შეიძლება მეტი მოგვესწრო და ყველაფერი მოგვეგვარებინა. საქმეს, როგორც ყოველთვის, ელი უძღვებოდა. სახლიდან აქ გადმოსვლაც მისი იდეა იყო და თავადვე დაადგა ყველაფერს თავი. ანდერძი თავიდან გადაწერა და ყველაფრის ინსტრუქცია ჩამომიწერა. მისი ნაწერები ახლაც საწერი მაგიდის ქვედა უჯრაში მაქვს შენახული, მაგრამ წაკითხვით, არ წამიკითხავს. როდესაც ძირითადი საქმეები მოაგვარა, წერას შეუდგა; სწერდა და სწერდა წერილებს შვილებს, მეგობრებს, და-ძმას და ბიძაშვილებს, დისშვილ-ძმისშვილებსა და მეზობლებს. და, რა თქმა უნდა, მეც მომწერა.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მის წერილს ხშირად ვკითხულობ, როცა ამის განწყობაზე ვარ. და როცა ვკითხულობ, ელი მახსენდება – ცივი ზამთრის საღამოებში, ღვინის ჭიქით ხელში რომ იჯდა ბუხართან და ჩემს ძველ წერილებს კითხულობდა. იმ წერილებს სათუთად ინახავდა. ახლა მე ვინახავ, რადგანაც პირობა ჩამომართვა, არ გადაყაროო. მეუბნებოდა, რომ გადაყარო, მერე გული დაგწყდებაო და სწორიც იყო – დღესაც გადავიკითხავ ხოლმე და ძალიან ვხალისდები; ზუსტად ისე, როგორც ელი ხალისდებოდა. წერილები გულს მიჩქროლებს და ვხვდები, რომ სიყვარული და ვნება მუდმივი ცნებებია, მათ ასაკი არ გააჩნია. ელის ახლა რომ ვუყურებ, მეჩვენება ხოლმე, რომ ასე ძალიან არასდროს მყვარებია. მაგრამ წერილებს რომ გადავიკითხავ, ვხვდები, რომ ყოველთვისაც ასე ძალიან მიყვარდა.

ბოლოს წერილები სამი დღის წინ გადავიკითხე; მაშინ, როცა წესით კარგა ხანია ღრმა ძილით უნდა მძინებოდა. დაახლოებით ღამის ორ საათზე მივადექი საწერ მაგიდას და ძველი, გაცრეცილი და გახუნებული წერილების დიდი დასტა ამოვიღე. ნახევარსაუკუნოვანი ზონარი შემოვხსენი და ელის დედის მიერ გადამალული წერილები და უკვე შემდგომ დაწერილი წერილები გავშალე. ჩემი ცხოვრების აღმწერი წერილები; წერილები, რომლებიც ჩემი სიყვარულის ამბავს ყვებოდნენ, გულიდან ამოხეთქილი წერილები. დავხედე და გამეღიმა. მერე გადარჩევა დავიწყე და არჩევანი ჩვენი ქორწინების ერთი წლის თავზე დაწერილ წერილზე შევაჩერე. გავშალე და ერთი ფრაგმენტი წავიკითხე:

> გიყურებ, გაბერილი რომ დადიხარ, მუცლით ახალ სიცოცხლეს რომ დაატარებ, და იმედი მაქვს, რომ ხვდები, როგორი ძვირფასი ხარ ჩემთვის, და როგორი ბედნიერი იყო ჩემთვის ეს წელი! ჩემზე ბედნიერი კაცი ქვეყნად არ დაიარება და მინდა იცოდე, რომ ძალიან, მთელი გულითა და სულით მიყვარხარ!

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

წერილს გვერდით ვდებ, დასტას ისევ ვქექავ და მეორეს ვპოულობ, ერთ ცივ საღამოს რომ დავწერე ოცდაცხრამეტი წლის წინ.

> შენ გვერდით რომ ვიჯექი და ვხედავდი, როგორი სიამაყით გევსებოდა გული, როდესაც ჩვენმა უმცროსმა ქალიშვილმა პირდაპირ ნოტებიდან იმღერა სკოლის საშობაო ზეიმზე, მივხვდი, რომ ასეთი სიამაყით მხოლოდ ძალიან მოყვარული და მგრძნობიარე გული ივსება ხოლმე და დავრწმუნდი, რომ ჩემზე იღბლიანი კაცი ჯერ არ შობილა.

და როცა ვაჟი მოგვიკვდა, ის, რომელიც ასე ძალიან ჰგავდა დედას... ალბათ ყველაზე მძიმე პერიოდი იყო ჩვენს ცხოვრებაში. მაშინ რასაც ვწერდი, ახლაც აქტუალურია:

> როდესაც დარდი და მწუხარება მოგეძალება, გულში ჩაგიკრავ, პატარა ბავშვივით დაგარწევ და შევეცდები, მთელი შენი დარდი და მწუხარება ჩემს თავზე ავიღო. როცა ტირი, ჩემი ტირილია, იცოდე, და როცა გტკივა, ეგ ტკივილიც ჩემია. ჰოდა ასე ერთად მოვახერხებთ როგორმე ცრემლის შეშრობას და იმ გზის გავლას, რომელიც ცხოვრებაში აუცილებლად უნდა გავიაროთ.

ერთი წუთით ვჩერდები, ჩვენი ვაჟი მიდგება თვალწინ. ოთხი წლის იყო, სულ პატარა. მე ოცჯერ უფრო მეტხანს ვიცოცხლე, ვიდრე მან. ჩემი ნება რომ ყოფილიყო, სიამოვნებით გავუცვლიდი ადგილს. მშობლებმა შვილები არ უნდა დაიტირონ. ამაზე დიდი სასჯელი და უბედურება არ არსებობს. ღმერთმა ყველას აშოროს ასეთი განსაცდელი!

ვცდილობ, ცრემლი შევიშრო და სხვა წერილი მოვნახო, რომ ცოტა ჯავრი გადამეყაროს. ჩვენი ქორწინების ოცი წლის თავზე დაწერილ წერილს ვპოულობ. ეს წერილი, ცხადია, ბევრად უკეთეს მოგონებებს აღმიძრავს.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ახალგაღვიძებულს, ჯერ კიდევ შხაპში შესვლამდე რომ გხედავ, ჩემო საყვარელო, ანდა სტუდიიდან რომ გამოდიხარ, მთლად საღებავებში ამოთხუპნული, აბურდული თმითა და დაღლილი თვალებით, ვხვდები, რომ ქვეყნად ყველაზე ლამაზი ქალი შენა ხარ!

ეს წერილები ჩვენი ცხოვრებისა და სიყვარულის ნამდვილი მატიანეა. კიდევ უამრავი წავიკითხე, ზოგი ტკივილით აღსავსე და ზოგიც – გასახარელი. სამი საათისთვის უკვე ძალიან დაღლილი ვიყავი, მაგრამ დასტა მაინც ბოლომდე გავიარე. ერთი წერილიღა იყო დარჩენილი, ჩემი ბოლო წერილი, და მივხვდი, რომ ის წერილიც უნდა წამეკითხა. კონვერტი გავხსენი, მეორე გვერდი გადავდე და პირველი გვერდის კითხვას შევუდექი, მაგიდის ნათურასთან ახლოს მივიტანე, უკეთ რომ დამენახა.

ჩემო უსაყვარლესო ელი,

ვერანდაზე სრული სიჩუმეა, მხოლოდ ჩრდილები დასეირნობენ აქა-იქ, და ცხოვრებაში პირველად სიტყვებს ვერ ვპოულობ. ძალიან უცნაური შეგრძნებაა, რადგანაც შენზე და ჩვენს ერთად გატარებულ დღეებზე რომ ვფიქრობ, ვხვდები, რომ სათქმელი და გასახსენებელი ძალიან ბევრია. ყველაფერი რომ გავიხსენო, შეიძლება ერთი ცხოვრება არც კი მეყოს. მაგრამ სიტყვებად როგორ ვაქციო, რატომღაც ვერ ვხვდები. ჩემი შენდამი სიყვარულის აღსაწერად, ალბათ უზარმაზარი პოემის დაწერაა საჭირო; მე კი, სამწუხაროდ, პოეტი არა ვარ.

ამიტომაც მეფანტება გონება და მხოლოდ ის მახსოვს, დღეს დილით რომ ვფიქრობდი ჩვენზე ყავის მოდუღების დროს. სამზარეულოში ქეითი და ჯეინი ისხდნენ და მე რომ შევედი, ორივე გაჩუმდა. დავინახე, რომ ტიროდნენ. ამიტომ სიტყვაც არ

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მითქვამს მათთვის, ისე მივუჯექი მაგიდას და ორივეს ხელი დავუჭირე. იცი, რა დავინახე, როცა ვუყურებდი? შენ დაგინახე, აი, იმ დღეს, ერთმანეთს რომ ვემშვიდობებოდით. ორივე შენა გგავს, მაშინდელს, მშვენიერსა და ძალიან მგძნობიარეს, პირდაპირ გულში რომ დაიჭრებოდი ხოლმე, როცა რამე მნიშვნელოვანს კარგავდი. და რატომღაც, ახლა არც კი ვიცი რატომ, მომინდა მათთვის რამე მომეყოლა.

ჯეფსა და დეივიდსაც დავუძახე, ისინიც იქვე ახლოს იყვნენ, და ყველა რომ შევყარე, ჩვენი ამბავი ვუამბე, ძალიან დიდი ხნის მერე ისევ რომ დამიბრუნდი. ჩვენს გასეირნებაზე და სამზარეულოში კიბორჩხალებით სადილზე მოვუყევი. დიდი ინტერესით მისმენდნენ. კანოეთი გასეირნების ეპიზოდზე და მერე ბუხართან რომ ვისხედით და გარეთ ქვეყანა რომ იქცეოდა, ღიმილი მოუვიდათ. ისიც მოვუყევი, მეორე დღეს დედაშენი რომ გვესტუმრა და ლონის შესახებ რომ გაგვაფრთხილა. ისეთივე გაოცებულები და პირდაღებულები იყვნენ, როგორც ჩვენ მაშინ. ჰო, და ისიც ვუამბე, მოგვიანებით რაც მოხდა, ქალაქში როცა დაბრუნდი.

ჩვენი ისტორიის ეგ ნაწილი სულ მახსენებს თავს. მიუხედავად იმისა, რომ მე არ შევსწრებივარ, შენ ისე დეტალურად მომიყევი, რომ წარმოვიდგენ ხოლმე და ყოველთვის აღფრთოვანებას იწვევს შენი საოცარი ძალა და გამბედაობა. იმის წარმოდგენა, თუ რა ხდებოდა შენს გულში, როცა ფოიეში შეაბიჯე და ლონი დაინახე, და მერე სათქმელი რომ უთხარი, მაინც მიჭირს. შენ მეუბნებოდი, სასტუმროდან გამოვედით და ძველ მეთოდისტურ ეკლესიასთან სკამზე ჩამოვსხედითო; ისიც მითხარი, ჩემი ხელი ეჭირაო,

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მაშინაც კი, როცა ვუთხარი, რომ მისგან მივდიოდი და შენთან ვრჩებოდიო.

ვიცი, რომ ლონი ძალიან გეძვირფასებოდა, და მისი რეაქციაც იმას მოწმობდა, რომ იმასაც ძალიან ეძვირფასებოდი. ცხადია, თავიდან არ ესმოდა, რომ საბოლოოდ გკარგავდა. მისი მესმის, ამის წარმოდგენა ძალიან ძნელი იქნებოდა. მაშინაც კი, როცა უხსნიდი, რომ მთელი ცხოვრება მე გიყვარდი, და მას რომ გაჰ-ყოლოდი, დიდ უსამართლობას ჩაიდენდი მის მიმართ, ხელი მაინც არ გაუშვია შენთვის. ალბათ ძალიან ეტკინა გული და ძალიანაც გაბრაზდა. ისიც ვიცი, რომ მთელი საათი გარწმუნებდა, მაგრამ როცა შენ მაინც მტკიცედ უთხარი, მაპატიე, მაგრამ ვერაფრით ვერ წამოგყვებიო, მაშინვე მიხვდა, რომ შენი გადაწყვეტილება საბოლოო იყო. მაშინ მითხარი, უბრალოდ თავი დამიქნია და ასე ჩუმად ვისხედით კარგახანსო. სულ მაინტერესებს, რას ფიქრობდა და რას გრძნობდა, როცა ასე ისხედით. თუმცა ვხვდები, რომ ზუსტად იმავე დღეში იქნებოდა, როგორც მე ვიყავი რამდენიმე საათით ადრე. ბოლოს, მანქანასთან რომ მიგაცილა, ისიც უთქვამს ჩემზე, ძალიან ბედნიერი კაცი ყოფილაო. ძალიან ვაჟკაცურად მოქცეულა და ამიტომ მესმის, რატომ გიჭირდა ასე ძალიან არჩევანის გაკეთება.

ამბის თხრობა რომ დავასრულე, სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ბოლოს ქეითი ადგა და მომეხვია. მიყვარხარ, მამიკო, მითხრა. და თუმცა მზად ვიყავი, მათ კითხვებზე მეპასუხა, კითხვა არც ერთს არ დაუსვამს. სამაგიეროდ, მერე ისეთები მითხრეს, ყველაფერი გადაწონა.

მომდევნო ოთხი საათი, სათითაოდ მიხსნიდნენ, რა ვართ მათთვის მე და შენ. სულ ცალ-ცალკე მიყ-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვებოდნენ ისეთ რამეებს, საერთოდ რომ აღარ მახსოვდა. ბოლოს ცრემლებიც კი წამომივიდა, იმიტომ რომ მივხვდი, რომ ძალიან კარგი შვილები გავზარდეთ და სწორად გავზარდეთ. ისეთი სიამაყე ვიგრძენი მათ გამო და შენ გამო და საერთოდ, ჩვენი ცხოვრების გამო, რომ რა გითხრა! მოკლედ, საოცრად ბედნიერი ვიყავი და ამ ბედნიერებას ვერავინ ვერასოდეს წამართმევს. ერთადერთი იმაზე მწყდება გული, რომ შენ არ იყავი ჩემთან ერთად და შენც არ გაიხარე ამ ყველაფრით.

როცა წავიდნენ, სარწეველაში ჩავჯექი და ვირწეოდი ჩემთვის, ჩუმად, ისევ ჩვენს ცხოვრებაზე ვფიქრობდი. შენზე რომ ვფიქრობ, ყოველთვის მგონია, რომ გვერდით მყავხარ. ისე, რაც თავი მახსოვს, სულ გვერდით მყავხარ და ჩემი სულის განუყოფელი ნაწილი ხარ. არც კი ვიცი, ჩემგან რა გამოვიდოდა, შენ რომ არ დაბრუნებულიყავი იმ დღეს. მაგრამ ის კი ვიცი, რომ დარდით ვიცხოვრებდი და დარდით მოვკვდებოდი. ასე რომ, დიდება უფალს, ეს რომ მაშორა.

ძალიან მიყვარხარ, ელი. ის, რასაც წარმოვადგენ, სულ შენი წყალობითაა. შენ ჩემი მუდმივი სტიმული ხარ, ჩემი ცხოვრების აზრი, ჩემი ყველა ოცნების საფუძველი და ყველაფრის იმედი. იცი, რას გეტყვი? მომავალში რაც უნდა გველოდეს, ჩვენი ერთად გატარებული ყოველი დღე მაინც უბედნიერესი იქნება ჩემთვის. ჩემი გული სამუდამოდ შენია, საყვარელო.

და შენც, ჩემო ლამაზო, შენც ყოველთვის ჩემი იქნები, იცოდე!

ნოა

წერილი გადავდე და გამახსენდა, როგორ ვისხედით მე და ელი ჩვენს ვერანდაზე და როგორ კითხულობდა ამ წერილს

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

პირველად. გვიანი ნაშუადღევი იყო, ცა ცხელი ზაფხულის მოწითალო ფერებით იყო შეფერილი, და დღე უკვე საღამოსკენ იხრებოდა. მერე ცამ თანდათან ფერი იცვალა და მზემაც ჩასვლა დაიწყო. ვუყურებდი ჩამავალ მზეს და იმ ერთადერთ წამზე ვფიქრობდი, როცა დღე უეცრად ღამით იცვლება.

საღამოს ბინდი, ვფიქრობდი, მხოლოდ ილუზიაა, რადგანაც მზე ან მოჩანს ჰორიზონტზე, ან აღარ მოჩანს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დღე და ღამე ისე უცნაურად არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი, როგორც ალბათ ძალიან ცოტა რამ ამ ქვეყნად; ერთი მეორის გარეშე ვერ იარსებებს, მაგრამ ვერც ერთდროულად იარსებებენ. ნეტა რა გრძნობაა-მეთქი, ვფიქრობდი, როცა ორნი თან განუყრელნი არიან და თან ერთად ყოფნა არ უწერიათ.

ახლა რომ ვუფიქრდები, ალბათ, ბედის ირონია თუ იყო, ელიმ ის წერილი სწორედ მაშინ რომ წაიკითხა, როცა მე თავში ეს უცნაური კითხვა დამებადა. ირონია იყო-მეთქი, ვამბობ, რადგანაც ამ კითხვაზე პასუხი და ამგვარად უცნაური ყოფის არსი ახლა მშვენივრად მესმის; თან ერთად, თან ცალ-ცალკე.

ამ საღამოს მე და ელი სადაც ვსხედვართ, იმ ადგილის გარშემო ნამდვილი წალკოტია. სრულ ნეტარებას განვიცდი. ჩემი მეგობრებიც აქვე არიან: ჩიტები და ბატები. მდინარეში დაცურავენ და გრილი წყალი მათი ბუმბულის შეფერილობას ირეკლავს. ამიტომ უფრო დიდი ზომისანი ჩანან, ვიდრე სინამდვილეში ბრძანდებიან. ელიც მოხიბლულია მათი სილამაზით და თანდათან ერთმანეთს თავიდან ვეცნობით.

– ძალიან მსიამოვნებს თქვენთან საუბარი და როცა დიდხანს ვერ გხედავთ ხოლმე, ძალიან მაკლიხართ.

ხვდება, რომ გულწრფელად ვეუბნები, მაგრამ მაინც გაფაციცებულია, იმიტომ, რომ მისთვის უცნობი მამაკაცი ვარ.

– განა ხშირად ვსაუბრობთ ხოლმე? – მეკითხება. – აქ

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ხშირად მოვდივართ ფრინველების საყურებლად? ანუ იმას გეკითხებით, ერთმანეთს მართლა ასე კარგად ვიცნობთ?

– თან კი და თან არა. იმის თქმა მინდა, რომ, ჩვენ-ჩვენი საიდუმლო ყველას გვაქვს, მაგრამ ისე, კარგა ხანია ერთმანეთს ვიცნობთ.

საკუთარ ხელებს აკვირდება, მერე ჩემსას უყურებს. მერე რაღაცას უფიქრდება. ისეთი კუთხით ზის, რომ ძალიან ახალგაზრდულად გამოიყურება. ბეჭდები არც ერთს არ გვიკეთია. ცხადია, ამას გარკვეული მიზეზი აქვს. მერე მეკითხება:

– ოდესმე ცოლი გყოლიათ?

თავს ვუქნევ.

– დიახ.

– როგორი იყო?

სიმართლეს ვეუბნები:

– ჩემი აღსრულებული ოცნება. მე რასაც წარმოვადგენ, სულ მისი დამსახურებაა; მისი შექმნილი ვარ. და მასთან ჩახუტებული ჯდომა ჩემთვის ისეთივე ბუნებრივი იყო, როგორც ის, რომ გული მიცემს. სულ მასზე ვფიქრობ, აი ახლაც, აქ რომ ვზივარ. ვზივარ და ვფიქრობ. მის ადგილს სხვა ვერავინ ვერ დაიკავებდა ვერასდროს.

ყურადღებით მისმენს და ყოველ ჩემს სიტყვას აღიქვამს. არ ვიცი, ამაზე რა აზრისაა, მაგრამ მისმენს. ბოლოს, ნაზად, ნამდვილი ანგელოზის ხმით მეკითხება. ნეტა თუ ხვდება, რას ვგრძნობ მის მიმართ?

– გარდაიცვალა?

ნეტა ეგ გარდაცვალება რაღა არის-მეთქი, ვფიქრობ, მაგრამ ხმამაღლა არ ვამბობ.

– ჩემი ცოლი ჩემს გულში ცოცხლობს და მუდამ იცოცხლებს.

– ჯერ კიდევ გიყვართ, არა?

– რა თქმა უნდა. მაგრამ მე ბევრი რამ მიყვარს. აი,

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მაგალითად, აქ ჯდომა მიყვარს თქვენთან ერთად. მიყვარს, როცა ამ მშვენიერებით ჩემთან ერთად ვინმე ისეთი ტკბება, ვინც ჩემთვის სულერთი არ არის. მიყვარს, როდესაც იხვი მოფრინდება ხოლმე წასახემსებლად მდინარეზე და რა ვიცი, კიდევ ათასი სხვა რამ.

წუთით მშვიდად ზის. გვერდით იხედება და მის სახეს ვერ ვხედავ. ასე უკვე მრავალი წელია მაწვალებს.

– რატომ აკეთებთ ამას? – მეკითხება მშვიდად, შიშის გარეშე, უბრალოდ აინტერესებს.

ეს უკვე კარგია. ვიცი, რასაც გულისხმობს, მაგრამ მაინც ვეკითხები:

– რას?

– ჩემთან ერთად რატომ ატარებთ მთელ დღეს? ამდენ დროს რატომ მითმობთ?

მელიმება.

– იმიტომ რომ მაინც აქა ვარ და აქ უნდა ვიყო. ამაში რთული და უცნაური არაფერია. მეც და თქვენც გვსიამოვნებს ერთად ყოფნა. ასე რომ, ნუ გგონიათ, რომ დროს ვკარგავ. უბრალოდ იმას ვაკეთებ, რაც მინდა. ვზივარ, ვსაუბრობ, ვფიქრობ ჩემთვის. ამაზე უკეთესი რა უნდა ვაკეთო?

თვალებში მიყურებს, მერე ერთი წამით, სულ ერთი წამით, თვალში სხივი გაუკრთება და სახეზე ოდნავი ღიმილი ეფინება.

– მეც მომწონს თქვენთან ერთად ყოფნა. მაგრამ თუ თქვენი მიზანი ჩემი ინტრიგაში ჩათრევაა, ჩავთვალოთ, რომ მიზანს მიაღწიეთ. თქვენთან ყოფნა კი მსიამოვნებს, მაგრამ თქვენ შესახებ არაფერი ვიცი. ის კი არ მინდა, რომ თქვენს ცხოვრებას მომიყვეთ, მაგრამ... უბრალოდ მაინტერესებს, ასეთი იდუმალი რატომ ხართ.

– ერთხელ სადღაც წავიკითხე, რომ ქალებს იდუმალი უცნობი მამაკაცები უყვართო.

– აი, ხედავთ? ისევ ბანზე მიგდებთ სიტყვას. პირდაპირ

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

პასუხს თავს არიდებთ. იმის ღირსიც კი არ გამხადეთ, ამ დილით რომ გეთქვათ, ის ამბავი როგორ დასრულდა.

არაფერს ვეუბნები, უბრალოდ მხრებს ვიჩეჩავ. ცოტა ხანს ჩუმად ვსხედვართ. მერე ვეკითხები:

– მართალია?

– რა?

– რომ ქალებს იდუმალი უცნობები უყვართ.

ჩემს სიტყვებს უფიქრდება და იცინის. მერე ისეთ პასუხს მაძლევს, როგორსაც მე მივცემდი:

– ზოგ ქალს ალბათ უყვარს.

– თქვენ?

– ახლა სიტყვაზე ნუ გამომიჭერთ. მე საკმარისად არ გიცნობთ იმისათვის, რომ ასეთ რამეზე გიპასუხოთ.

მაწვალებს და ეს ამბავი ძალიან მომწონს.

ჩუმად ვსხედვართ და ბუნებით ვტკბებით. ამ უნარის გამომუშავებას მთელი ცხოვრება სჭირდება. ალბათ მარტო მოხუცებს შეუძლიათ გვერდიგვერდ დასხდნენ, ხმა არ ამოიღონ და მაინც კმაყოფილები დარჩნენ ურთიერთობით. ახალგაზრდები ცქმუტავენ, ვერ ისვენებენ და წამდაუწუმ არღვევენ სიჩუმეს. სისულელეა, რადგანაც სიჩუმე წმიდაა, ხალასია. სიჩუმე ადამიანებს აახლოვებს, რადგანაც მხოლოდ ძალიან ახლობლები გრძნობენ თავს სიჩუმეში კომფორტულად. ნამდვილი პარადოქსია, მაგრამ ასეა.

დრო გადის და ნელ-ნელა ერთნაირ რიტმში ვიწყებთ სუნთქვას, ზუსტად ისე, როგორც დილით. ღრმა სუნთქვა, ზედაპირული სუნთქვა და მერე დგება მომენტი, როდესაც წამით ჩათვლემს, რაც მხოლოდ იმ ადამიანთან შეიძლება მოხდეს, რომელთანაც კომფორტულად გრძნობ თავს. ნეტა, ახალგაზრდებსაც თუ ემართებათ ასე? ბოლოს, გამოფხიზლდება და სასწაული ხდება.

– იმ ფრინველს ხედავთ? – მეკითხება უცებ და თითს იშვერს.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თვალებს ვძაბავ. უცნაურია, რომ ვხედავ, მაგრამ ვხედავ, რადგანაც მზე ძალიან კაშკაშაა. მეც ვუთითებ.

– ყანჩაა, ვეუბნები მშვიდი ხმით. და ორივენი ერთსა და იმავე ფრინველს შევყურებთ; ვხედავთ, როგორ დაჰქრის ბრაისის კრიკზე. და ძველი ჩვევით, ხელს დაბლა ვუშვებ და მუხლზე ვადებ. ამჯერად არ ცდილობს, რომ ამაღებინოს.

სწორს ამბობს, როცა მეუბნება, სიტყვაძუნწად მპასუხობო. ასეთ დღეებში, როცა მხოლოდ მეხსიერება აქვს დაკარგული და სხვაფრივ კარგადაა, მართლაც ბუნდოვან და მოკლე პასუხებს ვაძლევ ხოლმე, იმიტომ რომ ბევრჯერ, ამ წლების მანძილზე, უნებლიეთ, ზედმეტების წამოცდენით გული ვატკინე. ჰოდა ახლა მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი, ყოველი სიტყვა ავწონ-დავწონო. ამიტომაც ვიფარგლები მოკლე პასუხებით, ზოგჯერ ალბათ გაუგებარი პასუხებითაც; მხოლოდ იმ კითხვებზე ვპასუხობ, თვითონ რომ მისვამს და თავად ინიციატივას არასოდეს ვიჩენ.

ამ გადაწყვეტილებას ორი მხარე აქვს – კარგიც და ცუდიც – მაგრამ სხვა გზა არა არის, რადგან ზედმეტის გაგონება და გააზრება ტკივილს მოჰგვრის. ტკივილი რომ ავარიდო, ჩემი პასუხები ყოველთვის მოკლე უნდა იყოს. ამიტომ არც ის იცის, რომ ცოლ-ქმარი ვართ, და ვერც შვილების ამბავს იგებს. ძალიან გულდასაწყვეტია, მაგრამ ასე ჯობია.

თაღლითობაა? შესაძლოა. მაგრამ ერთხელ უკვე ვნახე, რა დღეშიც ჩავარდა, საკუთარ ცხოვრებასთან დაკავშირებული ინფორმაცია ერთბაშად რომ დაატყდა თავს. განა მე კი შევძლებდი, ერთხელაც სარკეში რომ ჩამეხედა, მეგრძნო, რომ, რაც ჩემთვის მნიშვნელოვანია, არაფერი მახსოვს და, თვალცრემლიანს, ყბა არ ამკანკალებოდა? ვერ შევძლებდი. ჰოდა ისიც ვერ შეძლებს. ჩვენი ცხოვრების ოდისეა სწორედ ასე დავიწყე და მაშინვე ვიწვნიე მწარე შედეგი. მის ცხოვრებაზე,

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ქორწინებაზე, საქმესა და შვილებზე ვუყვებოდი; შეკითხვებს მისვამდა და გულწრფელ პასუხებს ვაძლევდი, როგორც სატელევიზიო შოუში „ეს თქვენი ცხოვრებაა“.

თავიდან ორივეს გვიჭირდა. მე იმ უგრძნობი ენციკლოპედიის როლში ვიყავი, რომელიც პასუხობდა *ვინ ვინ არის*, *რა* და *როდის* მომხდარა მის ცხოვრებაში. სინამდვილეში კი მთავარი კითხვაა „რატომ“; მხოლოდ ამ კითხვაზე პასუხია ფასეული. მაგრამ ამ კითხვაზე პასუხი არ გამაჩნია. საკუთარი, დავიწყებული ოჯახის სურათებს დასცქეროდა, ფუნჯებს იღებდა ხელში, მაგრამ არანაირი ემოცია არ უჩნდებოდა; ძველ სასიყვარულო წერილებსაც კითხულობდა, რომლებიც უკვე არანაირად არ ზემოქმედებდა მასზე. თანდათან მძიმდებოდა, დეპრესიაში ვარდებოდა და დღის ბოლოს ბევრად უარესად იყო, ვიდრე დილაობით. ჩვენი დღეები უქმად გადიოდა და ელიც უარესად იკარგებოდა დროსა და სივრცეში. ჰოდა, მართალი გითხრათ, ეგოისტურად მეც ძალიან მიჭირდა ამის ატანა.

ამიტომ ტაქტიკა შევცვალე. ახლა ენციკლოპედიის როლიდან მაგელანის და კოლუმბის როლში გადავიჭერი; ადამიანის ტვინის შეუსწავლელი და იდუმალი ადგილების კვლევას მივყავი ხელი და, ჯერჯერობით, მხოლოდ ის აღმოვაჩინე, როგორ უნდა მოვიქცე და როგორ ჯობია. ის გავიაზრე, რაც ბავშვისთვისაც ნათელია – რომ მთელი ჩვენი ცხოვრება პატარ-პატარა, ცალკეული ცხოვრებების კრებულია, და რომ თითოეული, ალბათ, მხოლოდ ერთ დღეს გრძელდება. ვისწავლე, რომ თითოეული დღე ყვავილებისა და პოეზიის სილამაზის აღმოჩენას უნდა მიუძღვნა, და კიდევ ცხოველებს უნდა ესაუბრო; რომ ოცნებობას, მზის ჩასვლის ყურებასა და სასიამოვნო სიოს ქროლვით მიღებულ სიამოვნებაში უნდა გაატარო, რადგან უკეთესს მაინც ვერაფერს გააკეთებ. მაგრამ ყველაზე დიდი აღმოჩენა მაინც ის იყო, რომ ცხოვრება ახლა ძველი მდინარის პირას სკამზე მასთან ერთად ჯდომა, მის

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მუხლზე ხელის ძველებურად დადება და, თუ კარგი დღე გამითენდა, მისი თავიდან შეყვარებაა.

– რაზე ფიქრობთ? – მეკითხება.

მოსალამოვდა. სკამიდან ავდექით და ლამპიონებით განათებულ ხეივანს შენობისაკენ მივუყვებით. ხელს მიყრის და ასე ხელკავით მივსეირნობთ; ახლა მისი, ასე ვთქვათ, კავალერი ვარ. სხვათა შორის, თვითონ მოინდომა ასე, ეტყობა, მოვწონვარ. ან ეგებ ეშინია, რომ წავიქცევი და ასე მიცავს დაცემისაგან... ასეა თუ ისე, მაინც ვუღიმი.

– თქვენზე ვფიქრობ.

ამაზე პასუხს არ მაძლევს, უბრალოდ, ხელს მიჭერს და ვხვდები, რომ პასუხი მომიწონა. ამდენი წლის ერთად ცხოვრებისას, მისი გუნება-განწყობის ისეთი ნიშნების გამოცნობა ვისწავლე, რომლებზეც თვითონაც არა აქვს წარმოდგენა. ჰოდა გავნაგრძობ:

– ვიცი, რომ აღარ გახსოვთ, ვინა ხართ, მაგრამ მე მახსოვს, და ისიც ვიცი, რომ, როცა გიყურებთ, ძალიან მსიამოვნებს.

მკლავზე ოდნავ მწევს და ეღიმება.

– კეთილი ადამიანი ბრძანდებით, გულისხმიერი და მოსიყვარულე. იმედი მაქვს, რომ უწინაც ისევე მესიმპათიურებოდით, როგორც ახლა.

ცოტას კიდევ დავსეირნობთ, ჩუმად. ბოლოს მეუბნება:

– რაღაც უნდა გითხრათ.

– ბრძანეთ.

– მე მგონი, თაყვანისმცემელი შევიძინე.

– თაყვანისმცემელი?

– დიახ.

– რა საინტერესოა.

– არა გჯერათ?

– როგორ არა.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– უნდა დამიჯეროთ.

– რატომ?

– იმიტომ რომ, ჩემი აზრით, ის თაყვანისმცემელი თქვენ ბრძანდებით.

მის ნათქვამზე დიდხანს ვფიქრობ. ჩუმად მივსეირნობთ და სულ ვფიქრობ. ხელკავით შევდივართ შენობაში, მერე შიდა ეზოსაც გადავივლით და ბაღში გავდივართ. ბაღი მინდვრის ყვავილებითაა მოფენილი. ვაჩერებ. ვიხრები და თაიგულს ვუკეთებ – წითელი, ვარდისფერი, ყვითელი და იასამნისფერი ყვავილების თაიგულს – და ვუწვდი. თაიგულს მართმევს და ყნოსავს. დახუჭული თვალებით ყნოსავს და ჩურჩულით ამბობს:

– ღმერთო, რა მშვენიერია!

სეირნობას ვაგრძელებთ. ერთ ხელში თაიგული უჭირავს, მეორე – ჩემს მკლავში აქვს გაყრილი. ხალხი გაოცებული გვიყურებს, რადგანაც მოსიარულე სასწაული ვართ, ყოველ შემთხვევაში, ასე მეუბნებიან. სიმართლესთან მართლაც ახლოს არის ეს ნათქვამი; თუმცა ხანდახან მთლად ბედნიერად ვერა ვგრძნობ თავს.

– ესე იგი, მე ვარ ის თაყვანისმცემელი? – ვეკითხები ბოლოს.

– დიახ.

– რატომ გგონიათ?

– იმიტომ, რომ ის ვიპოვე, რაც დამალეთ.

– რა იპოვეთ?

– ეს, – მეუბნება და ქაღალდის პატარა ფურცელს მიწვდის. – ბალიშის ქვეშ ვიპოვე.

– ხმამაღლა ვკითხულობ:

ბებერი ტანი დაძაბუნდა და აღარ მიხურს,
მაგრამ პირობა სიყვარულის არის მხურვალე;
შენი შეხება, შენი კოცნა ცხოვრების მიმწუხრს
გამაცოცხლებდა მომაკვდავს და შენზედ მჭუნვარეს.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– კიდევ ხომ არაფერი აღმოგიჩენიათ?
– დიახ, ჯიბეშიც აღმოვაჩინე.

მარადჟამ ერთსულ ვყოფილვართ და ერთსულ ვიქნებით,
ვერ გაიყოფა ის, რაც არის განუყოფელი;
რიჟრაჟს კვლავ ერთად შევხვდებით და ზეგარდმო ნებით
ვერ გაგვყრის ვერცა სიკვდილი, ვერც წუთისოფელი.

– გასაგებია. – ამის მეტს არაფერს ვეუბნები.

მზის ჩასვლამდე ასე დავსეირნობთ. მალე ბინდიც ჩამოწვება, მაგრამ ისევ პოეზიაზე ვლაპარაკობთ, ძალიან რომანტიკულ განწყობაზეა.

კარს ვუახლოვდებით. დაღლილი ვარ. მან ეს იცის. ამიტომ მაჩერებს და თავისკენ მაბრუნებს. ვემორჩილები. ვემორჩილები და ვხედავ, რომ ისე მოვხრილვარ, რომ პრაქტიკულად ერთი სიმაღლისანი გავხდით. ზოგჯერ მიხარია, რომ არც იცის, როგორ შევიცვალე. დიდხანს და დაკვირვებით მიყურებს.

– რატომ მიყურებთ?

– არ მინდა, რომ ისევ დამავიწყდეთ, ან ეს დღე დამავიწყდეს. მინდა კარგად დაგიმახსოვროთ.

ნეტა ამჯერად მართლა დამიმახსოვრებს? ეჰ, ვიცი, რომ ეს შეუძლებელია. მაგრამ ჩემს ვარაუდს არ ვუმხელ, უბრალოდ ვულიმი, რადგან ძალიან სასიამოვნო რაღაც მითხრა.

– გმადლობთ, – ვეუბნები.

– მართლა მართლა, არ მინდა, რომ ისევ დამავიწყდეთ. თქვენ ჩემთვის ძალიან ძვირფასი ხართ. თქვენ რომ არა, არც კი ვიცი, დღეს რა მეშველებოდა.

ყელში ბურთი მებჯინება. მის სიტყვებში ემოციას ვგრძნობ, იმ ემოციას, მეც რომ მიპყრობს ხოლმე მასზე ფიქრისას. ვიცი, რომ მხოლოდ ამისთვის ვცოცხლობ, და ამ წუთას განსაკუთრებით მიყვარს. როგორ მინდა, იმის თავი მქონდეს, რომ ხელში ავიყვანო და ჩემი ხელით შევიყვანო სამოთხეში.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ნურაფერს მეტყვით, უბრალოდ ამ მშვენიერი წუთით ვისიამოვნოთ.

ვემორჩილები და ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს მართლაც სამოთხეში მოვხვდი.

მისი მდგომარეობა ახლა საგრძნობლადაა გაუარესებული. მაგრამ ელი ყველასაგან განსხვავდება. აქ კიდევ სამი ადამიანია ალცჰაიმერით დაავადებული. მათი შემყურე, ცოდნას ვიმდიდრებ ამ დაავადებაზე. მათ უკვე შორს წასული სტადია აქვთ, პრაქტიკულად უკვე სხვაგან არიან. ჰალუცინაციები აწუხებთ და აფორიაქებულებს ეღვიძებათ. ერთსა და იმავეს იმეორებენ გაუთავებლად. იმ სამიდან ორი თავისით ვეღარ ჭამს და მალე გაემგზავრება იმ ქვეყნად. მესამე გაუთავებლად გარბის სადღაც და იკარგება. ერთხელ ვიღაცის მანქანაში აღმოაჩინეს თავშესაფრიდან მეოთხედი მილის მოშორებით. ამის შემდეგ სულ საწოლზე ჰყავთ დაბმული. ყველა ძალიან აგრესიულია დროდადრო, მაგრამ ხანდახან პატარა დაკარგული ბავშვებივით დაბნეულები და სევდიანები არიან. ძალიან იშვიათად ცნობენ ახლობლებს ან აქაურ თანამშრომლებს. მოკლედ, ნერვების გამოსაცდელი დაავადებაა. ამიტომაც უჭირთ ახლობლებსა და შვილებს სტუმრად მოსვლა. სხვათა შორის, ჩვენს შვილებსაც.

ელისაც აქვს პრობლემები, და ალბათ ეს პრობლემები თანდათან გაუარესდება. დილაობით საშინლადაა შეშინებული და გაბმით ყვირის. ვიღაც კაცუნებს ხედავს, ალბათ ქონდრისკაცების მსგავსს, და ცდილობს, ყვირილით მოიგერიოს. ბანაობაზე უარს არ ამბობს, მაგრამ ზოგჯერ არ ჭამს. ძალიან გამხდარია. რემისიის დღეებში, ვცდილობ ხოლმე, ცოტა მოვასუქო.

მაგრამ სხვაფრივ იმ დანარჩენ ავადმყოფებს არ ჰგავს. ამიტომაც ამბობენ ექიმები, სასწაულიაო. ზოგჯერ, იშვიათად

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მაგრამ მაინც, როცა ვუკითხავ, ბევრად უკეთ ხდება. ამას ახსნა არა აქვს. შეუძლებელიაო, ამბობენ ექიმები, ეტყობა, ამ ქალბატონს ალცჰაიმერი არა აქვსო. მაგრამ, სამწუხაროდ, აქვს. დილაობით და ხშირად მთელი დღე, ამაში ეჭვის შეტანა ძნელია. და ამაზე არც არავინ კამათობს.

მაგრამ რატომაა მისი მდგომარეობა მაინც ამდენად განსხვავებული? წაკითხვის შემდეგ რატომ იცვლება ზოგჯერ? მე კი ვიცი ამის მიზეზი, მაგრამ ექიმები არ მიჯერებენ. მეცნიერება უფრო სანდო ეჩვენებათ. ჩეპელ-ჰილიდან ოთხჯერ ჩამოვიდნენ სპეციალისტები და ვერც ერთხელ ვერ იპოვეს პასუხი. ვეუბნებოდი, თუ მხოლოდ წიგნებს და სამეცნიერო ინფორმაციას დაეყრდნობით, პასუხს ვერ იპოვით-მეთქი, მაგრამ თავს გადააქნევდნენ ხოლმე და მპასუხობდნენ, ალცჰაიმერი ასე არ ვითარდება. თქვენი მეუღლის მდგომარეობა ისეთია, რომ შეუძლებელია საუბარში აგყვეთო; მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტიაო.

მაგრამ ხომ მელაპარაკება? ცხადია, ყოველდღე არა, და უფრო ხშირად – არა; და ვერც იმდენს ვსაუბრობთ, როგორც უწინ. მაგრამ ის, რაც ახლა ხდება, მხოლოდ მეხსიერების ჩავარდნაზე მეტყველებს; თითქოს ამნეზია აქვს და არა ალცჰაიმერი. ემოციები ნორმაში აქვს, ფიქრები – ლოგიკური. ჰოდა სწორედ ასეთ დღეებში ვხვდები ხოლმე, რომ სწორად ვიქცევი.

როცა ვბრუნდებით, ოთახში სადილი გველოდება. ასეთ დღეებში ხელს გვიწყობენ და სადილს მის ოთახში გვახვედრებენ ხოლმე ორივეს; თხოვნაც კი არ მჭირდება. მოკლედ, აქაური პერსონალი ყველაფერზე ზრუნავს, ძალიან გულისხმიერად მექცევიან და მათი ძალიან მადლიერი ვარ.

ოთახი ოდნავ არის განათებული და მაგიდაზე ორი სანთელი ანთია; თანაც, ფონად, მუსიკაც ჩაურთავთ. ჭიქები და თეფშები

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

პლასტიკატისაა და წვენიც ერთჯერად კონტეინერებშია ჩამოსხმული, მაგრამ ელის ეს არ ანაღვლებს. წესები მაინც წესებია. სუფრის დანახვაზე თვალები უფართოვდება და აღფრთოვანების შეძახილი აღმოხდება.

– ეს ყველაფერი თქვენ მოახერხეთ?

თავს ვუქნევ და ოთახში შედის.

– ღმერთო, რა ლამაზია!

– კავალრის მკლავს ვთავაზობ და ფანჯარასთან მიმყავს. ფანჯარასთან რომ მივდივართ, ხელს მაინც არ მიშვებს. მისი შეხება საოცრად მსიამოვნებს და ერთმანეთის გვერდიგვერდ ვდგავართ გაზაფხულის ამ კამკამა საღამოს. ფანჯარა ოდნავ შეუღიათ და იქიდან სასიამოვნო ნიავი შემოდის. მთვარე უკვე ადგილზეა და დიდხანს შევყურებთ, როგორ ნელ-ნელა იკვეთება ბოლომდე საღამოხანის ცა.

– ასეთი მშვენიერება არასდროს მინახავს, ამაში დარწმუნებული ვარ, – ამბობს ელი.

– არც მე, – ვპასუხობ და მას შევყურებ. ხვდება, რასაც ვგულისხმობ და ოდნავ ეღიმება. წამიც და ჩურჩულით ამბობს:

– მე მგონი მივხვდი, ელი ცოლად ვისაც გაჰყვა.

– მართლა?

– დიახ.

– ვის?

– ნოას.

– დარწმუნებული ხართ?

– სავსებით.

ვუღიმი და თავს ვუქნევ, – სწორი ბრძანდებით, ვეუბნები ნაზად და მიღიმის. სახე მთლად უბრწყინავს.

– რის ვაი-ვაგლახით ვახერხებ სკამის გამოწევას. ელი ჯდება და მეც ვჯდები, მის პირდაპირ. მაგიდაზე ხელს გამოიწვდის და მაწოდებს; მეც მაშინვე ვკიდებ ხელს. ცოტა ხანში ვგრძნობ, ხელზე ცერით რომ მიალერსებს; ზუსტად ისე,

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

როგორც მრავალი წლის წინ. ჩუმად ვზივარ და დიდხანს, დიდ-
ხანს ვუყურებ. ხელახლა განვიცდი ადრე განცდილ ემოციებს.
წარსულის მოგონება თვალწინ მიცოცხლდება და სუნთქვა
მეკვრის. კიდევ ერთხელ ვხვდები, როგორ მიყვარს ეს ქალი.
ბოლოს, როცა მივმართავ, ხმა ოდნავ მიკანკალებს.

– საოცრად ლამაზი ბრძანდებით.

მისი თვალები მეუბნებიან, რომ მშვენივრად იცის, რასაც
ვგრძნობ მის მიმართ, და რომ არ ვპირფერობ.

პასუხს არ მაძლევს. უბრალოდ, თვალებს ხრის. ნეტა
ვიცოდე, რაზე ფიქრობს? არანაირ გასაღებს არ მაძლევს და
ხელს ოდნავ ვუჭერ. მერე მოთმინებით ველოდები. კარგად
ვიცნობ და მთელი ჩემი არსით ვგრძნობ, რომ საცაა, მასაც
გულში ჩავუვარდები.

და მალე ვრწმუნდები, რომ არ მეშლება, რადგანაც სას-
წაული ხდება.

სანთლებისა და გლენ მილერის ნაზი ჰანგების ფონზე,
ვხედავ, როგორ ნელ-ნელა ეძალება გრძნობა; ვხედავ, როგორ
ეღიმება ნაზად; იმ ღიმილით ეღიმება, რომლის გამოც ცხოვრება
მიღირს. მერე მიბნედილი თვალებით მიყურებს და ჩემს ხელს
თავისკენ იზიდავს.

– მართლაც არაჩვეულებრივი ხარ... მეუბნება სინაზით
აღსავსე ხმით და ვხვდები, რომ შევუყვარდი; ამის ნიშნები
კარგად ვიცი, ათასჯერ მაინც გამომიცდია.

არაფერს მეუბნება. არც არის საჭირო. ისევ მიყურებს,
მაგრამ უკვე სხვა ცხოვრებიდან. ვუღიმი, ვცდილობ, მთელი
ის გრძნობა ჩავაქსოვო ამ ღიმილში, რომელსაც მის მიმართ
განვიცდი. ერთმანეთს ვუყურებთ და ორივეს გვეძალება გულ-
ში ოკეანის ტალღასავით მოვარდნილი გრძნობები. ოთახს
ვათვალიერებ, მერე ჭერში ვიყურები, მერე ისევ ელისკენ
ვაპარებ თვალს და მისი გამოხედვა მათბობს. უცებ სრულიად
ახალგაზრდად ვგრძნობ თავს. აღარც მამცივნებს, არც არაფერი

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მტკივა, აღარც ვიხრები და აღარც თითები მებრიცება; რაც მთავარია, მშვენივრად ვხედავ ამ ჩემი კატარაქტიანი თვალებით.

ძლიერი და ამაყი ვარ, და ალბათ ყველაზე ბედნიერი კაცი ამქვეყნად. ეს გრძნობა კარგახანს არ მტოვებს.

ამასობაში სანთლების მესამედი უკვე ჩაიწვა, და უკვე მზად ვარ, მთავარი ვუთხრა.

– ძალიან მიყვარხარ და იმედი მაქვს, რომ ამას გრძნობ.

– რა თქმა უნდა, ვგრძნობ, – მეუბნება სუნთქვაშეკრული. – მეც ყოველთვის ძალიან მიყვარდი, ნოა!

ნოა, ეს სიტყვა ისევ და ისევ მესმის. *ნოა*... ჩემი სახელი ზარივით ჩამესმის ყურში... *ნოა*... *ნოა*... იცის! ვფიქრობ გულში, იცის, ვინცა ვარ.

იცის, იცის...

ეს ცოდნა ერთი პატარა დეტალია, მაგრამ ჩემთვის ნამდვილი ღვთით ბოძებული საჩუქარია, რომელიც მასთან გატარებული ბედნიერი ცხოვრების წლებს მაგონებს; მას რომ ვიხუტებდი, რომ ვესიყვარულებოდი და საუკეთესო წუთებს მასთან ერთად რომ ვატარებდი.

– ნოა, ჩემო საყვარელო ნოა, – მეჩურჩულება...

და მე, რომელიც ექიმებს მუდმივად ვეურჩები, საოცარ გამარჯვებას ვზეიმობ; თუნდაც წამიერ გამარჯვებას. სასწაულზე ფიქრს უკუვაგდებ და ელის ვეხვევი, ხელზე ვკოცნი და ყურში ვეჩურჩულები:

– შენზე მშვენიერი ცხოვრებაში არაფერი, არაფერი შემხვედრია!

– ღმერთო ჩემო, ნოა, როგორ მიყვარხარ, რომ იცოდე!

დასასრული ასეთი რომ იყოს, ჩემზე ბედნიერი კაცი არ იქნებოდა.

მაგრამ ვიცი, რომ ასე არ იქნება. დრო გადის და სახეზე შეშფოთების ნიშნებს ვატყობ.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– რა იყო, საყვარელო? – ვეკითხები შიშით და ისიც მაშინვე მპასუხობს:

– მეშინია... მეშინია, ისევ არ დამავიწყდე... ღმერთო, რა უსამართლობაა!... ამას ველარ გადავიტან.

ხმა ებზარება, მაგრამ ვერ ვხვდები, რა ვუთხრა, როგორ ვანუგეშო. ვიცი, რომ ჩვენი საღამო დასასრულს უახლოვდება და მე ვერაფრით ვერ აღვუდგები ამას წინ. აქ უკვე უძლური ვარ. ბოლოს ვეუბნები:

– არასოდეს არ მიგატოვებ. ის, რაც ჩვენს შორის ხდება, მარადიულია, საყვარელო.

იცის, რომ ამის მეტს ვერაფერს დავპირდები; ტყუილი პირობების მიცემა არც ერთს არ გვინდა. მაგრამ თვალებში რომ ვუყურებ, ვხვდები, რომ უნდა, უფრო მეტი იმედი ჩავუსახო.

სადილს ჭრიჭინების ჭრიჭინის ფონზე შევექცევით. არც ერთს არ გვშია, მაგრამ მე ჭამას ვიწყებ და ელიც მბაძავს. ძალიან პატარა-პატარა ლუკმებს იდებს პირში და ძალიან დიდხანს ღეჭავს. მაგრამ მაინც მიხარია, რომ ჭამს. ბოლო სამი თვის განმავლობაში საგრძნობლად დაიკლო წონაში.

სადილის მერე შიში მიპყრობს და თავს ველარ ვერევი. ვიცი, სწორი არაა, მხიარული განწყობა უნდა შევინარჩუნო, მაგრამ ვგრძნობ, რომ ზარმა უკვე ჩამოჰკრა. მზე კარგა ხანია ჩავიდა და ქურდი – სულთა მპარავი – საცაა მოვა. ვერაფრით ვერ შევაკავებ. ჰოდა ვზივარ, ელის შევცქერი და გულის კანკალით ველოდები მის მოსვლას. ამ ლოდინში, ერთ სიკვდილს ვათავებ.

ჯერ არ მოსულა.

საათი წიკწიკებს.

არ მოსულა.

ვეხვევი და გულში ვიკრავ.

არაფერი არ ხდება.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვგრძნობ, როგორ კანკალებს და ყურში დამამშვიდებელ სიტყვებს ვეჩურჩულები.

ჩამიჩუმი არ ისმის.

მერე ისევ ვეუბნები, რომ ძალიან მიყვარს; ბოლოჯერ ამ საღამოს.

და ისიც მოდის.

ყოველ ჯერზე მიკვირს, როგორ მოულოდნელად მოდის ხოლმე. ამდენი დრო გავიდა, და ვერაფრით ვერ შევეჩვიე. მეხუტება და უცებ თვალების ხამხამს იწყებს, მერე თავს გადააქნევს. მერე ოთახის კუთხეს უშტერებს თვალს, სახე დაძაბული აქვს.

არა!... ყვირის ჩემი გული და სული. *ჯერ არა... ახლა არა.... რაღა ახლა, როცა ასე ახლოს ვართ ერთმანეთთან! ამაღამ არა! სხვა დროს იყოს, ოღონდაც ახლა არა!... გევედრები!* ამ ყველაფერს უხმოდ ვყვირი. *ველარ გადავიტან! ღმერთო, რა უსამართლობაა!...*

მაგრამ კიდევ ერთხელ ვრჩები ხელმოცარული და იმედგაცრუებული.

– ის კაცუნები, – იწყებს ბოლოს და ხელს კუთხისკენ იშვერს, – რატომ მომაშტერდნენ? უთხარი, წავიდნენ!

ქონდრისკაცებს გულისხმობს.

საშინელი სპაზმი მეწყება, წამით სუნთქვაც მეკვრის, მერე ისევ მჭვალავს. პირი მიშრება და გული მიჩქარდება. დამთავრდა. ვიცი, რომ დამთავრდა. მზე ჩავიდა. ეს საღამოხნის ფორიაქი, რომელიც ალცჰაიმერს ახასიათებს, ყველაზე მძიმე გადასატანია. მისი დასაწყისი, ელის წასვლის მომასწავებელია და ზოგჯერ მგონია, რომ აღარასოდეს დამიბრუნდება.

– იქ არავინაა, ელი, – ვეუბნები და ვცდილობ, ავიცილო გარდაუვალი. მაგრამ არ გამომდის, არ მიჯერებს.

– მიყურებენ!

– არა, საყვარელო, – ვეუბნები ჩურჩულით და თავს ვაქნევ.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– ვერა ხედავ?

– ვერა, – ვეუბნები და ცოტა ხანს ჩაფიქრდება.

– როგორ ვერ ხედავ, – მიმტკიცებს და ხელს მაშვებინებს. – აი, იქ დგანან და მიყურებენ.

მერე საკუთარ თავს უწყებს ლაპარაკს და ერთი წუთის შემდეგ, როცა ვცდილობ დავამშვიდო, მიგერიებს, შიშისაგან გაფართოებული თვალებით.

– შენ ვილა ხარ? – ყვირის შეშინებული. – ჩემს ოთახში რა გინდა? – შიში თანდათან უძლიერდება და მე სრულიად უძლური ვხდები. უკან იხევს, გამირბის, ხელები აფარებული აქვს სახეზე და, ბოლოს, ყველაზე მტკივნეულ სიტყვებს მეუბნება კივილით:

– აქედან გაეთრიე! მომწყდი თავიდან! – შეშინებული, ხელით ჯუჯებს იგერიებს და ახლა მეც ზემოდან დავემატე.

ვდგები და მისი საწოლისაკენ მივემართები. ფეხებში სისუსტეს ვგრძნობ, ყველაფერი მტკივა, განსაკუთრებით ცალი ფერდი. არ ვიცი, ეს ტკივილი საიდან მოდის. საშინელი ტანჯვით ვცდილობ ღილაკზე ხელის დაჭერას, ხელები მიკანკალებს და გეგონება, თითებიც ერთმანეთზე შემეზარდა. ბოლოს როგორლაც ვაჭერ ღილაკს და მედდებს ვიძახებ. მალე მოვლენ, ვიცი, და ველოდები. სანამ ველოდები, ჩემს ცოლს ვუყურებ.

ათი...

ოცი...

ოცდაათი წამი გადის და მაინც ვუყურებ, ჩემს თვალებს არაფერი ეპარება, თან იმ სანუკვარ წუთებს ვიხსენებ. მთელი ეს დრო ჩემთან ზურგით დგას, და ლამის ვხედავ, როგორ ებრძვის უხილავ მტერს.

საწოლის კიდეზე ვჯდები, ფერდი მტკივა და საშინლად მეტირება, როცა ჩემს დღიურს ვიღებ. ელი ამას ვერ ამჩნევს, რადგანაც მისი გონება ახლა სხვაგანაა.

დღიურის რამდენიმე ამოვარდნილი გვერდი იატაკზე ცვივა. ვიხრები და ვიღებ. ძალიან დაღლილი ვარ. ჰოდა ვზივარ

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ასე, მარტო, ჩემს ცოლთან დაშორებული. მედდები რომ შემოდიან, ორი დასამშვიდებელი პაციენტი ხვდებათ – ქალი, რომელიც კუთხეში დგას და მისი თანამდევი დემონების შიშით კანკალებს, და ბებერი კაცი, რომელსაც ეს ქალი სიცოცხლეზე მეტად უყვარს, მეორე კუთხეში ზის საცოდავად და, ხელებში თავჩარგული, მწარედ ტირის.

დარჩენილ საღამოს საკუთარ ოთახში ვატარებ. ოთახის კარი შეღებული მაქვს და ჰოლში მოსიარულეებს ვხედავ. ზოგი უცნობია, ზოგი – ნაცნობი და ზოგიც – მეგობარი. რომ დავიძაბო, იმასაც გავიგონებ, როგორ ლაპარაკობენ საკუთარ ოჯახებზე, საქმეებზე და პარკში გასეირნებაზე. ჩვეულებრივი საუბრებია, დიდი არაფერი, მაგრამ მათი მაინც მშურს; მშურს, ასე ადვილად რომ შეუძლიათ ერთმანეთთან კონტაქტში შესვლა. შური დიდი ცოდვაა, ვიცი, მაგრამ ზოგჯერ ძალიან ვცოდავ ხოლმე.

ექიმი ბარნუელიც აქაა, ერთ-ერთ მედდას ესაუბრება, და ვფიქრობ, ალბათ ვინმე ძალიან ცუდად არის-მეთქი, რადგან ექიმი ასე გვიან მოიხმეს. საერთოდ ძალიან ბევრს მუშაობს. სულ იმას ვეუბნები, ოჯახს მეტი დრო დაუთმეთ-მეთქი; ისარგებლეთ მათთან ურთიერთობის შესაძლებლობით, ვიდრე გვერდით გყვანან-მეთქი. მაგრამ ყურს არ მიგდებს. ჩემს პაციენტებზე უნდა ვიზრუნოო, მეუბნება, როცა კი უნდა გამომიძახონ, უნდა მოვიდე, არჩევანი არა მაქვსო. მოკლედ, ორ ცეცხლს შუაა საწყალი: უნდა, რომ პაციენტებისთვის თავგადადებული ექიმიც იყოს და ოჯახისთვის თავდადებული კაციც. ორივე ვერ იქნება, დღე-ღამეში ამდენი საათი არ არის; მაგრამ ამას ჯერ ვერ ხვდება. ნეტა ვიცოდე, ბოლოს რომელს აირჩევს? ან ნეტა განგება თუ მისცემს არჩევანის გაკეთების ბედნიერებას.

ფანჯარასთან, სავარძელში ვზივარ და დღევანდელ დღეზე ვფიქრობ. დღევანდელი დღე ბედნიერიც იყო და სევდიანიც;

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შესანიშნავიც და გულსაკლავიც. წინააღმდეგობრივი გრძნობების გამო, კარგახანს ვერ ვიღებ ხმას. ამ საღამოს არავისთვის ნამიკითხავს; ვერც შევძლებდი, რადგანაც „პოეტური წიაღავლების“ თავი არა მაქვს, მთლად გავტყდები. მალე კორიდორებში სიჩუმე ჩამოწვება, მხოლოდ მორიგეების ფეხის ხმას გავიგონებ, სამხედრო აკურატულობით რომ დაიწყებენ მოვალეობის აღსრულებას. ზუსტად თერთმეტზე იმ ნაცნობ ფეხის ხმასაც გავიგონებ, რომელსაც შინაგანად რატომღაც მოველი კიდეც დღეს. ამ ფეხის ხმას კარგად ვცნობ.

ოთახში ექიმი ბარნუოლი იჭყიტება.

– შუქი დავინახე თქვენს ოთახში და ვიფიქრე... შეიძლება, შემოვიდე?

– შემობრძანდით.

შემოდის და, სანამ დაჯდება, ოთახს ათვალიერებს.

– გავიგე, დღეს ელისთან კარგი დღე გქონიათ, – ამბობს და მიღიმის. ჩვენი ურთიერთობა აოცებს და ყოველთვის ძალიან აინტერესებს. თუმცა, დარწმუნებული არა ვარ, რომ მხოლოდ პროფესიული ინტერესი ამოძრავებს.

– შეიძლება, ასეც ითქვას.

ჩემი პასუხი უკვირს, მიყურებს და მეკითხება:

– ხომ კარგად ბრძანდებით, ნოა? ცოტა უგუნებოდ მეჩვენებით.

– არა მიშავს. უბრალოდ, ცოტა დავიღალე.

– ელი როგორ იყო დღეს?

– კარგად. დაახლოებით ოთხი საათი ვისაუბრეთ.

– ოთხი საათი? რას ბრძანებთ... წარმოუდგენელია!

მე უბრალოდ თავს ვუქნევ და ექიმი განაგრძობს:

– ასეთი არაფერი მინახავს და არც მსმენია. ეტყობა, სიყვარული მართლაც ყოვლისშემძლეა. ეტყობა, ჭეშმარიტად ერთმანეთისათვის ხართ გაჩენილი. ალბათ ელის ძალიან უყვარხართ. ხომ ასეა?

– ასეა, – ვეუბნები, მაგრამ სხვას ვერაფერს ვამბობ.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– არა, რაღაც ნამდვილად გაწუხებთ, ნოა. რამე ისეთი ხომ არ უთქვამს, რამაც გული გატკინათ?

– არა, სრულიად არაჩვეულებრივი იყო. უბრალოდ... ახლა ძალიან მარტო ვარ.

– მარტო?

– დიახ.

– მარტო არავინაა.

– მე ვარ, – ვეუბნები და საათს დავყურებ. მის ოჯახს, სადაც ეს კაცი უნდა იყოს ახლა, ალბათ უკვე ღრმა ძილით სძინავს. – და რომ იცოდეთ, თქვენც მარტო ხართ, ექიმო.

მომდევნო რამდენიმე დღემ უღიმღამოდ ჩაიარა. ელი საერთოდ ველარ მცნობდა და მეც ცოტა მოვადუნე ყურადღება მის მიმართ. სულ ჩვენს ბოლო შეხვედრაზე ვფიქრობდი. ეს შეხვედრა ძალიან ხანმოკლე აღმოჩნდა, მაგრამ ღმერთის დიდად მადლიერი ვარ, ასეთი ბედნიერება კიდევ ერთხელ რომ მარგუნა წილად.

მომდევნო კვირას ჩემი ცხოვრება, ასე თუ ისე ჩვეულ კალაპოტში მოექცა; ყოველ შემთხვევაში იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო. ელის ვუკითხავდი, სხვებსაც ვუკითხავდი და ჰოლებში დავბორიალებდი. ღამით თვალდაჭყეტილი ვიწექი და დილით გამათბობელთან ვიჯექი. ცხოვრება ასეთი ერთგვაროვანი და ყოველგვარი მოულოდნელობებისაგან დაზღვეული რომ მაქვს, ერთგვარად ხელსაყრელიც კი მეჩვენება ახლა.

ერთ ცივ და ნისლიან დილას, ჩვენი ერთად ყოფნიდან რვა დღის თავზე, ჩვეულებისამებრ ალიონზე გამეღვიძა და საწერ მაგიდას მივუჩოჩდი. სურათებს და წერილებს ვათვალიერებდი; ყოველ შემთხვევაში, ვცდილობდი, რომ წერილების კითხვით შემექცია თავი. კონცენტრირება მიჭირდა, რადგანაც თავი მისკდებოდა. ბოლოს კითხვაზე ხელი ავიღე, ფანჯარასთან გადავჯექი და მზის ამოსვლის საყურებლად მოვემზადე. ვიცოდი, რომ ელი რამდენიმე საათში გაიღვიძებდა და მინდოდა,

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მანამდე ცოტა გონს მოვსულიყავი, რადგანაც მთელი დღე კითხვა თავს კიდევ უფრო ამატკიებდა.

თვალები დავხუჭე. თავის ტკივილი ხან მიტევდა და ხანაც ოდნავ გადამივლიდა ხოლმე. მერე თვალები გავახილე და ძველ მეგობარს, მდინარეს გავხედე. ელისგან განსხვავებით, მე ისეთი ოთახი მომცეს, რომლიდანაც მდინარე კარგად მოჩანს და ეს ძალიან მეხმარება. რა საოცრებაა, ეს მდინარე! უთვალავი წლისაა, მაგრამ წვიმის ყოველ მოსვლაზე მუდმივად ახლდება. ჰოდა გავესაუბრე. ჩურჩულით მივმართე, მაგრამ ვიცოდი, რომ ნამდვილად ესმოდა ჩემი:

– მართლაც ღვთის მადლით ხარ მოსილი, მეგობარო; მეც ღვთის მადლით ვარ მოსილი და მე და შენ ამიტომაც ვეგებებით დილას ერთად!

მდინარეზე პატარა ტალღები და წყლის ჭავლები დაბზრიალდნენ, თითქოს ამით მანიშნა, გეთანხმებიო. მოძრავი წყლის ვერცხლისფერმა შეფერილობამ ის სამყარო აირეკლა, რომელიც საზიარო იყო ჩემთვის და მისთვის. მე და მდინარე რაღაცით ძალიან ვგავართ. წინისკენ მივიჩქარით, ხან ავიჩეჩებით, ხანაც – დავმშვიდდებით. მდინარის ყურება ცხოვრებისათვის თვალის გადევნებაა, ადამიანს ბევრ რამეზე უქმნის წარმოდგენას.

მზემ რომ ამოანათა, მაშინ მოხდა. ვიგრძენი, რომ ხელი უცნაურად მეწვოდა. ასეთი რამ ადრე არასოდეს დამმართნია. ხელის აწევა ვცადე, მაგრამ ვერ შევძელი. უცებ თავიც საშინლად ამტკივდა; თითქოს ვილაცამ ურო ჩამცხო. თვალები დავხუჭე და ძალიან მაგრად მოვჭუტე. წვამ გადამიარა, მაგრამ ხელი საოცრად დამიბუჟდა. მერე მაჯა გამიშეშდა და ტყვიით მიყენებული ტკივილის მსგავსი რაღაც ვიგრძენი. ტკივილი კისერზე გადამივიდა და მერე მთელ ტანში დამიარა, როგორც უეცრად მოვარდნილმა ტალღამ, გზად ყველაფერს რომ წალეკავს ხოლმე.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დავბრმავდი და ყურებში რაღაც მატარებლის გუგუნივით ხმა ჩამესმა. მივხვდი, რომ სისხლი ჩამექცა. ტკივილი ელვასავით მივლიდა მთელ სხეულში და, სანამ გონებას დავკარგავდი, ელი წარმოვიდგინე – საწოლში რომ იწვა და მოთხრობის წაკითხვას რომ ელოდებოდა. მივხვდი, რომ ვერასოდეს წავუკითხავდი. ჩემი საწყალი, დაბნეული და დამფრთხალი ელი! სრულიად უსუსური და უძლური, როგორც მე ახლა!

ბოლოს იმის გაფიქრებაც მოვასწარი, ღმერთო, რა დავა-შავე-მეთქი ამის ფასი!

***

ოთხი დღის განმავლობაში ხან მოვდიოდი გონს და ხან ვითიშებოდი. გონს რომ მოვდიოდი, ვხედავდი, რომ აპარატებზე ვიყავი მიერთებული, მილები მქონდა ჩადგმული ცხვირსა და ყელში და ორი წვეთოვანიც მედგა საწოლთან. აპარატების ნაზი ბზუილი მესმოდა, მათი ჩართვა-გამორთვის ხმები, და კიდევ რაღაც ხმაური, რომელსაც ვერ ვცნობდი. ერთი დანადგარი, რომელიც ჩემს გულისცემას აფიქსირებდა, ძალიან მონოტონურ ხმას გამოსცემდა, ჰოდა ეს ხმა მაძინებდა, უფრო სწორად, მთიშავდა დროდადრო.

ექიმები შეშფოთებულები იყვნენ. შეშფოთებას მათ სახეებზე ვკითხულობდი, მათ დაძაბულ მზერაში ვხედავდი, როცა ჩანაწერებს კითხულობდნენ და აპარატურას უტრიალებდნენ. ისინი ჩურჩულით უზიარებდნენ ერთმანეთს საკუთარ მოსაზრებებს და ეგონათ, რომ არ მესმოდა. ჩაქცევამ შეიძლება მძიმე შედეგები გამოიღოს, მით უფრო მისი ასაკის კაცისთვისო, წუხდნენ. მათი მოღუშული სახეები წინდაწინვე მიმხელდნენ მათ აზრებს. „მეტყველებას დაკარგავს, მოძრაობის უნარსაც დაკარგავს, მოკლედ, დამბლა დაეცემა“. მერე რაღაც აპარატურას რთავდნენ და გადიოდნენ, ოღონდ წარმოდგენა არ ჰქონდათ, რომ მე ყველაფერი მესმოდა.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვცდილობდი, ამ ყველაფერზე არ მეფიქრა და მთელი ყურადღება ელიზე გადამქონდა, მისი სახის წარმოდგენას ვცდილობდი. იმასაც ვცდილობდი, მისი არსი, მისი მდგომარეობა შემესისხლხორცებინა და ისევ ერთ სულ და ერთ ხორც გავმხდარიყავით. ვცდილობდი, მისი შეხება შემეგრძნო, მისი ხმა გამეგონა, მისი სახე დამენახა და ცრემლები მადგებოდა თვალებზე. მეტირებოდა, რადგანაც არ ვიცოდი, შევძლებდი თუ არა კიდევ ერთხელ ჩამეკრა გულში, რაიმე მეთქვა მისთვის, მასთან ერთად გამეტარებინა დღე, მისთვის წამეკითხა და მასთან ერთად მესეირნა. ადრე მეგონა, რომ მე ბოლო წავიდოდი; საქმის ასეთ მოტრიალებას ნამდვილად არ ველოდი.

მოკლედ, ასე მიმოვდიოდი სააქაოსა და საიქიოს შორის, ვიდრე ერთ ნისლიან დილას, ჩემმა ელისათვის მიცემულმა პირობამ სხეული სასწაულებრივად არ აღმიდგინა. თვალები გავახილე და დავინახე, რომ მთელი ოთახი ყვავილებით იყო მოფენილი. მათმა სურნელმა გამოკეთების სურვილი კიდევ უფრო გამიძლიერა. ზარის ღილაკს მივწვდი და დავრეკე. მედდა და ექიმი ბარნუოლი ოცდაათ წამში გამომეცხადდნენ. ექიმი იღიმებოდა.

– მწყურია, – ვთქვი ხრინწიანი ხმით და ექიმს სახე მთლად გაებადრა.

– კეთილი იყოს თქვენი დაბრუნება, ნოა! ვიცოდი, რომ ამას აუცილებლად მოახერხებდით.

ორი კვირის თავზე სტაციონარიდან გამომწერეს, თუმცა ახლა უკვე ნახევარი კაცი ვარ. კადილაკი რომ ვიყო, ალბათ წრიულად ვივლიდი. მარჯვნივ მოსახვევი ბორბალი უფრო სუსტი მაქვს, ვიდრე მარცხნივ. როგორც მეუბნებიან, ეს კარგი გამოსავალია, რადგანაც შეიძლებოდა საერთოდ ვერ გამევლო. ზოგჯერ ისეთი გრძნობა მაქვს, რომ საოცარი ოპტიმისტების გარემოცვაში ვიმყოფები.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ცუდი ის არის, რომ, ჩემი ხელების გამო, ვერც ჯოხს ვხმარობ და ვერც ინვალიდის ეტლს ვიყენებ. ამიტომ მთელი ჩემი მოძრაობა ჩემს საკუთარ მარიფათზეა დამოკიდებული. უცნაურად მიწევს გადაადგილება – არა ფეხების *მარცხენა-მარჯვენა-მარცხენა* მონაცვლეობით, როგორც ადამიანები ჩემს ახალგაზრდობაში დადიოდნენ, და არც *ჩოჩიალით*, როგორც სიბერეში დავდიოდი, არამედ *ფეხის-ნელა-გაჩოჩიალება–მარჯვნივ-გადაქანება–ფეხის ნელა-გაჩოჩიალება* ვარიანტით. ლამის ეპიკურ თავგადასავალს ვგავარ, როცა კორიდორებს მივუყვები – ჩემთვისაც კი უკიდურესად ნელი და უსასრულოდ გრძელი მოძრაობაა. მაგრამ იმ კაცის კვალობაზე, რომელიც ორი კვირით ადრე ალბათ კუსაც კი ვერ დაეწეოდა, ნამდვილად არა უშავს.

ჩემს ოთახამდე როგორღაც ვაღწევ და ვიცი, რომ უკვე გვიანია, მაგრამ ვერ დავიძინებ. ღრმად ვსუნთქავ და ვცდილობ, გაზაფხულის ის მშვენიერი სურნელი შევისუნთქო, რომელიც ფანჯრიდან შემოდის. ფანჯარა ღია დაუტოვებიათ და ოთახში ცოტა ცივა. ვატყობ, რომ ტემპერატურის ცვალებადობამ ცოტა გამომაცოცხლა. ეველინი, ერთ-ერთი აქაური მედდა, რომელიც ჩემზე სამჯერ უმცროსია, საკმზე დაჯდომას მშველის და ფანჯრისაკენ იწევს, რომ დახუროს. ვაჩერებ, და მიუხედავად იმისა, რომ წარბს წევს, უარს მაინც არ მეუბნება. უჯრის გამოწევის ხმა მესმის და ვიცი, რამდენიმე წუთში სვიტრს გადამაცმევს. ისე მაცმევს, როგორც პატარა ბავშვს. მერე, როცა სვიტრი უკვე მაცვია, მხარზე მეფერება. თქმით არაფერს მეუბნება და ვგრძნობ, რომ თან ფანჯარაში იყურება. დიდხანს დგას ასე და ძალიან მაინტერესებს, რაზე ფიქრობს. მაგრამ არაფერს ვეკითხები. მერე ოხრავს და წასასვლელად ემზადება. წასვლის წინ ნაზად მკოცნის ლოყაზე; ზუსტად ისე, ჩემმა შვილიშვილმა რომ იცის. მიკვირს, ის კი მეუბნება:

– რა კარგია, რომ დაგვიბრუნდით. ელისაც ძალიან მო-

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ენატრეთ და ჩვენც. ყველა თქვენთვის ლოცულობდა, რადგანაც უთქვენოდ აქ სულ სხვა ატმოსფეროა.

მილიმის და გასვლამდე სახეზეც მეფერება. მე არაფერს ვეუბნები. მოგვიანებით მესმის, როგორ ჩაივლის ისევ ჩემს ოთახთან და როგორ ეჩურჩულება მეორე მედდას, როცა საკაცეს მიაგორებენ.

ცა ვარსკვლავებით არის მოჭედილი და გარემო რაღაც უსიამოვნო, მოლურჯო ფერით კაშკაშებს. ჭრიჭინები ისე ხმამაღლა ჭრიჭინებენ, რომ გარშემო ყველა სხვა ხმა ითრგუნება. ვზივარ და ვფიქრობ, ნეტა გარედან ვინმეს თვალი თუ მხედავს-მეთქი მე, საკუთარი დაუძლურებული სხეულის ტყვეს. ყურადღებით გავყურებ ხეებს, ეზოს, ბატების ახლოს გაწყობილ სკამებს; მინდა, სიცოცხლის ნიშან-წყალი შევნიშნო სადმე. მაგრამ – არა; მდინარეც კი უძრავია თითქოს. სიბნელეში ისე მოჩანს, როგორც დიდი სიცარიელე და ვხვდები, რომ მისი იდუმალება საოცრად მიზიდავს. დიდხანს გავცქერი გაყუჩებულ წყალს. და მერე დამდგარ წყალში მოვარდნილი ღრუბლების ანარეკლს ვხედავ. შტორმი ახლოვდება. მალე ცა ვერცხლისფრად ისე შეიღებება, გეგონება ისევ საღამოს ბინდი უნდა ჩამოწვესო.

ცას ელვა გადაურბენს და მე ფიქრით ისევ წარსულს ვუბრუნდები. ვინ ვართ ჩვენ, მე და ელი? კვიპაროსი და სურო, რომელთა ტოტები და ღეროები ისეა ერთმანეთზე გადახლართული, რომ თუ გაგვაცალკევეს, ორივე დავიღუპებით? ეჰ, რა ვიცი რა ვიცი... კიდევ ერთი გაელვება მაგიდას ისე ანათებს, რომ ელის სურათს ვხედავ – მის ყველაზე კარგ სურათს შემორჩენილ სურათებში. რამდენიმე წლის წინ ჩარჩოში ჩავასმევინე; ვიფიქრე, შუშა დაზიანებისაგან დაიცავს-მეთქი. სურათს ვიღებ და თვალებთან ახლოს მიმაქვს. ძალიან დიდხანს ვუყურებ, თვალს ვერ ვწყვეტ. ორმოცდაერთისამ გადაიღო. ყველაზე ლამაზი სწორედ მაგ ასაკში იყო. იმდენი რამ მინდა ვკითხო, მაგრამ ვიცი, სურათი ვერ მიპასუხებს. ჰოდა ადგილზე ვდებ.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ამ ღამეს, როცა ელი ჩემგან შორს, ჰოლის მეორე მხარეს წევს, განსაკუთრებით ეულად ვგრძნობ თავს. ყოველთვის მარტოობის განცდა მექნება. ამას მაშინ მივხვდი, როცა საავადმყოფოში გადამიყვანეს. ფანჯრიდან რომ ვიხედები და საავდრო ღრუბლებს ვხედავ, ამაში კიდევ უფრო ვრწმუნდები. ჩვენი ორივეს უძლურებაც ძალიან მაწუხებს, რადგანაც ბოლოს რომ ვიყავით ერთად, ელისთვის არ მიკოცნია. შეიძლება ვეღარც ვერასოდეს ვაკოცო. ჩემნაირი ხეიბრისათვის ამაზე ოცნება ასე ადვილი არ არის... რა ჯანდაბა დამემართა? ასეთ ცუდ რამეებზე რატომ ვფიქრობ?

ვდგები, მაგიდისკენ მივემართები და ნათურას ვანთებ. ამას ბევრად მეტი ძალისხმევა სჭირდება, ვიდრე წარმომედგინა. დავიღალე, ასე რომ ფანჯარასთან აღარ ვბრუნდები. მაგიდასთან ვჯდები და რამდენიმე წუთს ზედ ჩამომწკრივებულ სურათებს ვუყურებ – ოჯახურს, დასვენების დროს გადაღებულს და ბავშვებისას. ჩემი და ელის სურათებიც აქ არის. ისევ ძველ დროს ვიხსენებ, ერთად რომ ვიყავით, და კიდევ ერთხელ ვხვდები, რომ წარმოუდგენლად "არქაული" ვარ.

უჯრას ვაღებ და იმ ყვავილებს ვპოულობ, ერთხელ რომ მივართვი ჩემს ცოლს. გამხმარი ყვავილებია, თაიგულად შეკრული ძველი ბაფთით. ჩემი არ იყოს, ეს საცოდავებიც ისეთი გამომშრალები და მყიფეები არიან, რომ თავისუფლად შეიძლება შეხებისას ხელში შემომეფშვნან. ელიმ შეინახა. სულ იმას ვეუბნებოდი, ნუ გადამრევ, რა ჯანდაბად ინახავ-მეთქი, მაგრამ პასუხსაც არ მცემდა. ზოგჯერ, საღამოობით, ისიც კი დამინახავს, როგორ იჭერდა ხელში, ლამის მოწიწებით, გეგონება რამე დიდი ცხოვრებისეული საიდუმლოს შემცველნი იყვნენ. ეჰ, ქალებს რას გაუგებ.

ეს ღამე, ეტყობა, მოგონებებისა უნდა იყოს, ამიტომ ჩემს საქორწინო ბეჭედს ვეძებ და ვპოულობ კიდეც. ზედა უჯრაში ასვენია, ქაღალდში გახვეული. ვეღარ ვატარებ, რადგანაც

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თითის სახსრები დასიებული და გადაგვარებული მაქვს და სისხლიც წესიერად არ მიმოძრავებს. ქაღალდს ვშლი და ბეჭედს დავყურებ. ბეჭედს ჩემი თითის წინანდელი ფორმა აქვს. საოცარი რამეა – პატარა რგოლი, ერთგულების ძლევამოსილი სიმბოლო, რომელსაც, *ვიცი*, დიახ *ვიცი*, რომ არც ერთ სხვა ბეჭედზე არ გავცვლიდი არასდროს. ეს მაშინაც ვიცოდი, როცა გავიკეთე, და მაშინაც, როცა მოვიხსენი. ბეჭედს დავყურებ და ძალაუნებურად ხმამაღლა მცდება:

– ელი, ჩემო დედოფალო, ჩემო უჭკნობო სილამაზევ, ჩემო ქვეყნად ყველაზე ძვირფასო არსებავ!

ნეტა თუ ესმის ახლა ჩემი, ამას რომ ვეუბნები? ამის დამადასტურებელ რაიმე ნიშანს ველოდები. მაგრამ ნიშანი არ მოდის.

უკვე თორმეტის ნახევარია და ელის დაწერილ წერილს ვიღებ; აი იმას, დროდადრო, როცა მომეგუნებება, თვალს რომ გადავავლებ ხოლმე. იქა დევს, სადაც ბოლოს შევინახე. სანამ კითხვას დავიწყებ, ხელში ვატრიალებ და ხელები საშინლად მიკანკალებს.

ჩემო საყვარელო ნოა,

ამ წერილს სანთლის შუქზე გწერ, როცა შენ უკვე გძინავს. იმ საწოლში გძინავს, რომელსაც ჩვენი ქორწინების დღიდან ვიყოფთ მე და შენ. ახლა შენი ფშვინვა არ მესმის, მაგრამ ვიცი, რომ იქ ხარ, იქ მეგულები, და მალე მეც, როგორც ყოველთვის, გვერდით მოგიწვები. მოგიწვები და შენს სითბოს ვიგრძნობ, და მერე შენი მშვიდი სუნთქვა იქით გამაქანებს, სადაც ისევ შენზე ვიფიქრებ, იმ არაჩვეულებრივ კაცზე, რომელიც შენი სახით მარგუნა ბედმა.

ახლა ამ სანთლის მბჟუტავ ალს ვუყურებ და იმ ალს ვიხსენებ, რომელიც ათეული წლების წინ ბრიალებდა ჩვენს ბუხარში, გახსოვს? აი მაშინ, როცა, გაწუწული, და

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

შენს პერანგსა და შარვალში გამოწყობილი ვიჯექი ბუხრის წინ და ვთბებოდი. მაშინვე ვიცოდი, რომ ყოველთვის ერთად ვიქნებოდით, მიუხედავად იმისა, რომ მეორე დღეს გავემგზავრე. ჩემი გული ერთმა სამხრეთელმა პოეტმა სამუდამოდ დაიპყრო, თავისაზე მიიბა, ჰოდა ვიცოდი, რომ სამუდამოდ მისი ვიქნებოდი. აბა მე ვინ ვიყავი, იმ სიყვარულისთვის რომ გამეწია წინააღმდეგობა, რომელიც ცით მოწყვეტილ ვარსკვლავზე იყო ამხედრებული და თანაც აბობოქრებული ოკეანის ტალღებს ჰგავდა? სწორედ ასეთი იყო ჩვენი გრძნობა მაშინ, და ახლაც ასეთია, რომ იცოდე!

მახსოვს, დედაჩემის სტუმრობის მეორე დღეს როგორ დავბრუნდი შენთან. რომ იცოდე, როგორ მეშინოდა. ასე ძალიან არასოდეს არაფრის არ მშინებია. დარწმუნებული ვიყავი, რომ არ მაპატიებდი, წინა დღეს რომ მიგატოვე. მანქანიდან რომ გადმოვედი, მთლად ვკანკალებდი. მაგრამ, როცა გამიღიმე და ხელები გაშალე ჩემს გულში ჩასაკრავად, ყველაფერმა გადამიარა. ყავაზე რას იტყოდიო, ეს მითხარი მხოლოდ, სხვა არაფერი. მერეც არც ერთხელ არ წამოგიძახებია ჩემთვის იმ დღის ამბავი.

არც მაშინ დაგისვამს კითხვები, რამდენიმე დღე თვალცრემლიანი რომ დავიარებოდი მარტო. მერე, როცა თვალებდასიებული ვბრუნდებოდი, ისიც ზუსტად იცოდი, შენი თანაგრძნობა და ალერსი მჭირდებოდა თუ ისევ მარტო უნდა დაგეტოვებინე საკუთარ თავთან. არ ვიცი, როგორ ხვდებოდი, რა უნდა გექნა, მაგრამ ფაქტია, რომ ხვდებოდი და ძალიან მიმსუბუქებდი მდგომარეობას. მერე, პატარა ეკლესიაში რომ წავედით, ბეჭდები რომ გავცვალეთ და ცოლქმრობის ფიცი რომ დავდეთ, თვალებში ჩაგხედე და მივხვდი, რომ ერთადერთი სწორი არჩევანი გავაკეთე. უფრო მეტიც, მივხვდი, რა სულელი

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ვიყავი, საერთოდაც რომ მომიწია არჩევანის გაკეთება. ამის შემდეგ აღარასოდეს შემშინებია.

ერთად შესანიშნავი ცხოვრება გავატარეთ. ამაზე ახლა ძალიან ბევრს ვფიქრობ. თვალებს ვხუჭავ ხოლმე და გხედავ, უკვე ჭაღარაშერეულს, ვერანდაზე რომ ზიხარ და გიტარაზე უკრავ, პატარები კი ხტუნავენ და ცეკვავენ. მუშაობით დალაქავებული ტანსაცმელი გაცვია და აშკარად დაღლილი ხარ, და როცა გეუბნები, დაისვენე-მეთქი, აბა რას ვაკეთებო, მპასუხობ ღიმილით. ბავშვებიც რაღაც უჩვეულო და საოცარი სიყვარულით გიყვარს. როცა იძინებენ, იმასაც გეუბნები, ბევრად უკეთესი მამა ხარ, ვიდრე თვითონ გგონია-მეთქი. მერე ჩვენც ვიხდით და ვწვებით და თავს ვკარგავთ, ვიდრე ბოლოს, ქანცგაწყვეტილებს, მკვდრებივით არ ჩაგვეძინება ერთმანეთის მკლავებში.

ძალიან ბევრი რამის გამო მიყვარხარ ასე ძალიან; განსაკუთრებით კი შენი საოცარი გატაცებების გამო, რომლებიც ცხოვრებას გვილამაზებს – შენი სიყვარულის უნარის, შენი პოეზიის, შენი მამობრივი გრძნობის, შენი მეგობრობის, შენ მიერ დანახული მშვენიერების და შენი ბუნებისადმი სიყვარულის გამო. და კიდევ ძალიან მიხარია, რომ ეს ყველაფერი ბავშვებსაც შეაყვარე, რადგანაც ეს მათაც ულამაზებს ცხოვრებას. ხშირად მეუბნებიან, მამა განსაკუთრებული ადამიანია და ძალიან გვიყვარსო, ჰოდა მეც უზომოდ ამაყი ვარ და ვგრძნობ, რომ ქვეყნად უბედნიერესი ქალი აღმოვჩნდი.

შენ მეც ბევრი რამ მასწავლე და ბევრ რამეზე ამიხილე თვალი. ხატვაც შენ დამაწყებინე. წარმოდგენაც არა გაქვს, რამდენად მნიშვნელოვანი იყო მაშინ შენი აზრი ჩემთვის. ჩემი ნამუშევრები ახლა მუზეუმებსა და კერძო კოლექციებშია მიმობნეული. და თუმცა ზოგჯერ

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

კრიტიკოსები გულს ძალიან მტკენდნენ, შენ მუდამ მამხნევებდი და ჩემთვის ეგ იყო მთავარი. იმასაც ხედავდი, რომ საკუთარი სტუდია მჭირდებოდა, სივრცე, რომელიც პირადად ჩემი იქნებოდა, და არც ის გაწუხებდა, გარშემო ყველაფერი – კედლები, ავეჯი, ჩემი ტანსაცმლი, თმა და სახე – საღებავით რომ იყო მოთხუპნული. ვიცი, ალბათ ამის ატანა ადვილი არ იყო. ამას ბარე ორი ვერ გაუძლებდა, მაგრამ შენ უძლებდი. ორმოცდახუთ წელს გაუძელი; ორმოცდახუთ შესანიშნავ წელს!

შენ ჩემი საყვარელიც იყავი და საუკეთესო მეგობარიც. და ახლა არც კი ვიცი, რომელი უფრო იყავი. ამ ორივე როლში ძალიან მეძვირფასები, ისევე როგორც მთელი ჩვენი ერთად გატარებული ცხოვრება მეძვირფასება. შენში რაღაც დიდი ძალა და მშვენიერებაა, ნოა. შენ რომ გიყურებ, ვხვდები, რა არის სიკეთე; ყველა ხვდება. შენ ალბათ ყველაზე მშვიდობისმოყვარე და ყველაზე მიმტევებელი ადამიანი ხარ ქვეყნად. ღმერთიც იმიტომ გწყალობს, რომ ნამდვილი ანგელოზი ხარ.

ვიცი, ალბათ გიჟი გეგონე, როცა გაიძულე, ჩვენი ამბავი დაგეწერა, ვიდრე სახლიდან წავიდოდით, მაგრამ ეს შეგნებულად გაგაკეთებინე და ძალიან მადლიერი ვარ შენი, უარი რომ არ მითხარი. მეკითხებოდი, რა საჭიროაო და მაშინ არ გეუბნებოდი. ახლა კი დროა, ჩემი ჩანაფიქრი გაგიმხილო.

ჩვენ ისეთი ცხოვრებით ვიცხოვრეთ, ბევრ წყვილს რომ არც კი დაესიზმრება. და მაინც, როცა გიყურებ, ძალიან მეშინია, რადგანაც ვიცი, რომ ეს ყველაფერი მალე დასრულდება. ორივემ ვიცით, ჩემი დაავადების გამო რაც მოგველის, და რა მტკივნეული იქნება ეს ყველაფერი ჩვენთვის. შენს ცრემლებით სავსე თვალებს რომ ვხედავ, შენ უფრო მედარდები, ვიდრე საკუთარი

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

თავი. ვიცი, როგორი მტკივნეული იქნება შენთვის ამის გადატანა. მაგრამ იცოდე, ისე ძალიან მიყვარხარ, რომ აუცილებლად გამოვნახავ შენთან დასაბრუნებელ გზას, ამას გპირდები. აი, ამიტომაც დაგაწერინე ჩვენი ამბავი. როცა დავიკარგები და თავს ძალიან მარტო ვიგრძნობ, წამიკითხე ხოლმე, მომიყევი, როგორც ბავშვებს უყვები ახლა, და იცოდე, რომ რაღაცნაირად მიგიხვდები, რომ ეს ჩვენი ცხოვრების ამბავია. და ეგებ, ვინ იცის, ჩემმა არეულმა გონებამ შენთან დასაბრუნებელი გზაც მაპოვნინოს.

როდესაც ვერ გაგიხსენებ, ნუ გეწყინება და ნუ გამიბრაზდები; ორივემ ვიცით, რომ, სამწუხაროდ, ასეთი დღეებიც იქნება. იცოდე, რომ ძალიან მიყვარხარ და ყოველთვის მეყვარები, და რომ ძალიან ბედნიერი ვიყავი შენთან.

ამ წერილს თუ შეინახავ და მოგვიანებით გადაიკითხავ ხოლმე, იცოდე, რომ რასაც აქ გწერ, მერეც ასე იქნება; ამ წერილს ენდე და დაუჯერე. სადაც იქნება და როცა იქნება, ყოველთვის ძალიან მეყვარები. ახლა, როცა ამ წერილს ვწერ, სიგიჟემდე მიყვარხარ, და როცა შენ წაიკითხავ ხოლმე, იცოდე, რომ მაშინაც ასე მეყვარები. და ძალიან ვწუხვარ, რომ ალბათ ამას მერე ველარ გეტყვი.

მიყვარხარ, ნოა. შენ ყოველთვის ჩემი ოცნების მამაკაცი იყავი და ყოველთვისაც იქნები, იცოდე.

ელი

წერილს ვინახავ, ვდგები და ჩუსტებს ვეძებ. საწოლთან ვპოულობ და ისევ ვჯდები, რომ ჩაცმა მოვახერხო. მერე ისევ ვდგები და კარისკენ მივემართები. კარიდან კორიდორისკენ ვაპარებ თვალს და ვხედავ, რომ დღეს ჯენისი მორიგეობს, ცენტრალურ მაგიდასთან ზის. ელის ოთახში რომ მოვხვდე, ამ

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

მაგიდას უნდა ჩავუარო. ღამის ამ დროს ოთახიდან გამოსვლის უფლება არა მაქვს, ჯენისი კი კანონმორჩილი მედდაა. იურისტის ცოლია.

ცოტას ვიცდი, ეგებ ადგეს და სადმე გავიდეს. მაგრამ ფეხს არ იცვლის, მე კი მეტის მოთმენა აღარ შემიძლია. ბოლოს მაინც გამოვდივარ ოთახიდან და კორიდორში მივჩოჩიალებ – ჩოჩიალი, მარჯვნივ გადაქანება, ჩოჩიალი. დისტანციის დაფარვას ალბათ მთელი საუკუნე მოვუნდები. ჯერჯერობით ვერ მხედავს. ფრთხილი პანტერა ვარ და ჯუნგლებში ფეხაკრეფით მივიპარები... პატარა, ახალგამოჩეკილი გვრიტივით უხილავი ვარ...

ბოლოს მაინც აღმომაჩინეს, მაგრამ არც ეს მიკვირს. მოკლედ, ჯენინის წინაშე ვდგავარ ყურებჩამოყრილი.

– აქ რას აკეთებთ, ნოა? – მეკითხება ჯენინი მკაცრი ხმით.

– ვსეირნობ. ვერ ვიძინებ და...

– ხომ იცით, რომ ამ დროს ოთახიდან არ უნდა გამოხვიდეთ?

– ვიცი.

ფეხს არ ვიცვლი, ჯიუტად ვდგავარ.

– სინამდვილეში ელის სანახავად მიდიხართ, ხომ ასეა?

– დიახ.

– ნოა, ბოლოს რომ ეწვიეთ ღამით, ალბათ გახსოვთ, რაც მოხდა.

– მახსოვს.

– მაშინ რატომ აკეთებთ ამას?

პირდაპირ არ ვპასუხობ:

– მომენატრა.

– ვიცი, რომ მოგენატრათ, მაგრამ მასთან შესვლის უფლებას ვერ მოგცემთ.

– ჩვენი ქორწინების წლისთავია, – ვეუბნები ჯენინს და არც ვატყუებ. – ოქროს ქორწილამდე ერთი წელი დაგვრჩა. დღეს ქორწინების ორმოცდაცხრა წელი შეგვისრულდა.

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

– გასაგებია.

– ესე იგი, მიშვებთ?

ჯენინი პირდაპირ არ მპასუხობს, გვერდით იყურება. მერე შეცვლილი, უფრო ნაზი ხმით მომმართავს და ძალიან მიკვირს; არაფრით არ მეგონა, ასე სენტიმენტალური თუ იყო:

– ნოა, უკვე ხუთი წელია აქ ვმუშაობ და მანამდე სხვა მსგავს დაწესებულებებშიც მიმუშავია. უამრავი წყვილი მინახავს, რომელიც დარდსა და სევდას ებრძოდა, მაგრამ თქვენსავით მარჯვედ არავის გამოსვლია. ამას ყველა აღიარებს – ექიმებიც, მედდებიც და მნახველებიც.

ჯენინი ჩერდება და, ჩემდა გასაკვირად, ცრემლსაც კი იწმენდს.

– სულ მინდა წარმოვიდგინო, რას ფიქრობთ, რას განიცდით და რა იმედით საზრდოობთ, მაგრამ ვერ წარმომიდგენია. მოკლედ, არ ვიცი, რას აკეთებთ, მაგრამ ფაქტია, რომ ზოგჯერ მის დაავადებასაც კი ამარცხებთ. ექიმებს ამისა არ სჯერათ, მაგრამ მედდები ვხედავთ და გვჯერა. მე მგონი, ეს უბრალოდ გასაოცარი სიყვარულის შედეგია, ეს არის და ეს. ამაზე დიდი სასწაული ჩემს დღეში არ მინახავს!

ყელში ბურთი მებჯინება და ხმას ვერ ვიღებ.

– მაგრამ ღამღამობით არ უნდა მიადგეთ ხოლმე, ამის უფლებას ვერ მოგცემთ. ამიტომ ახლა ოთახში უნდა დაბრუნდეთ.

მერე მიღიმის, ქაღალდებს უაზროდ აადგილებს მაგიდაზე და მეუბნება:

– მე ახლა ქვემოთ ჩავალ ყავის დასალევად და ცოტა ხანში უკან ამოვალ. მაგრამ სანამ ამოვალ, იმედი მაქვს, არ იცულლუტებთ და რაიმე სისულელეს არ ჩაიდენთ.

სწრაფად დგება, ხელს მკლავზე მითათუნებს და კიბისკენ მიემართება. უკან არ იხედება, ასე რომ, მეთვალყურეობის გარეშე ვრჩები. არ ვიცი, როგორ მოვიქცე. მერე მის მაგიდას ვუყურებ და ვხედავ, რომ ყავით სავსე ფინჯანი უდგას. ყავა

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

ცხელია, ორთქლი ასდის... კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, რომ ქვეყნად კეთილი ხალხი არ დაილევა.

მოკლედ ელის ოთახისაკენ მივემართები და წლების განმავლობაში პირველად არ მცივა. პატარ-პატარა ნაბიჯებს ვადგამ, მაგრამ ფეხები მაინც საშინლად დამეღალა. კედელ-კედელ მივუყვები გზას, რომ არ წავიქცე. თეთრი ნათურები თავზე დამბზუიან და მათი შუქი თვალებს მტკენს, ამიტომ თვალებიც ნახევრად მოჭუტული მაქვს. ათობით ჩაბნელებულ ოთახს ჩავუვლი; იმ ოთახებს, სადაც შევდიოდი ხოლმე და იქაურ მკვიდრებს ვუკითხავდი. ვგრძნობ, რომ ეს ადამიანებიც მომენატრნენ. ისინი ჩემი მეგობრები არიან, მათ სახეებს კარგად ვიცნობ. ხვალ დილას აუცილებლად მოვინახულებ ყველას. მაგრამ დღეს ვერავის დავხედავ, ახლა გაჩერების დრო არ მაქვს. მოკლედ, ბოლო ძალებს ვიკრებ და წინისაკენ მივიწევ. ასეთი გულმოდგინება სისხლის მიმოქცევას ცოტა მიწესრიგებს და ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე უკეთ და უკეთ გამომდის. მესმის, ჩემს ზურგს უკან კარი რომ იღება, მაგრამ არ ვჩერდები, უკან არ ვიხედები; ახლა მათთვის ყველასთვის ვიღაც უცნობი ვარ. მერე მედდების სამორიგეოში იწყებს ტელეფონი წკარუნს. უნდა ვიჩქარო, არ უნდა ჩამავლონ, არავინ არ უნდა შემაჩეროს. შარაგზის ბანდიტი ვარ, შუაღამისას ნიღაბაფარებული და ცხენზე ამხედრებული მივქრივარ... მძინარე ქალაქიდან სასწრაფოდ უნდა გავქუსლო ტომსიკებში ჩაყრილი მოპარული ოქროს ფხვნილით დატვირთულმა... ახალგაზრდა და ვნებით აღსავსე ვარ... ახლა კარს შევამტვრევ, ჩემს გოგოს ხელში ავიტაცებ და სამოთხისაკენ გავაქანებ...

ნეტა ვის ვატყუებ და ვის ვეთამაშები?

ახლა მარტივი ცხოვრებით ვცხოვრობ. სულელი, ყურებამდე შეყვარებული ბერიკაცი ვარ, გამოუსწორებელი მეოცნებე, რომელიც მარტო იმაზე ფიქრობს, ელის წაუკითხოს, როცა კი შეძლებს. ცოდვილი მოკვდავი ვარ, უამრავი ნაკლით

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

დამძიმებული, და სასწაულებისაც მჯერა. მაგრამ ძალიან ბებერი ვარ იმისათვის, რომ ზნე ვიცვალო, ან ამ ყველაფერზე დიდხანს ვიფიქრო და ვიდარდო.

როგორც იქნა, მივაღწიე მის ოთახს და ძალიან დავიღალე. ფეხები მეკვეთება, თვალში მიბნელდება და გული სასაცილოდ მიხტის მკერდში. სახელურს ვაწვალებ. ბოლოს, ორივე ხელით და რამდენიმე მცდელობით, როგორღაც ვატრიალებ. კარი იღება და ოთახში კორიდორის სინათლე შედის. სხივი ელის საწოლს ეცემა და მძინარე ელის ანათებს. ვუყურებ და ვფიქრობ, ახლა მისთვის დიდ, ხმაურიან ქუჩაში შემხვედრი, ერთი ჩვეულებრივი გამვლელი ვარ, სხვა არაფერი-მეთქი.

ოთახში სიწყნარეა და ელი ნახევრად გადახდილი წევს. ცოტა ხანში მხარს იცვლის და ეს საწოლში გადატრიალების ხმა ბედნიერ დროს მახსენებს. სულ ერთი ციცქნა წევს საწოლში. ვუყურებ და ვხვდები, რომ ჩვენს შორის ყველაფერი დამთავრდა. ოთახში გრილა და კანკალს მაწყებინებს. აქაურობა პატარა სამარხის ასოციაციას იწვევს ჩემში.

ერთი წუთით გახევებული ვდგავარ ამ ჩვენს სამარხში, ჩვენს, ასე ვთქვათ, საიუბილეო დღეს. ერთი სული მაქვს, ვუთხრა, რას ვგრძნობ, მაგრამ ხმას არ ვიღებ; მეშინია, არ გავაღვიძო. თანაც ყველაფერი იმ ქაღალდის ნაკუწზე წერია, რომელსაც ახლა ბალიშის ქვეშ შევუცურებ:

ამ უკანასკნელ წუთებშიც კი ჩემი გრძნობები
კვლავ ხალასი და ანკარაა ვით წყაროს წყალი
და ალიონზე მზის ამოსვლას, სიამოვნებით,
კვლავაც შევხვდები შენი სახის შემაცქირალი.

მე მგონი ვიღაც მოდის. ამიტომ ოთახში შევდივარ და კარს ვხურავ. სიბნელეში გონების თვალით ვიკვლევ გზას ფანჯრისაკენ. ფარდებს ვწევ და ოთახში მთვარის შუქს ვუშვებ. მთვარეც მაშინვე იჭყიტება, ღამის დარაჯი. სავსე მთვარეა,

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

უზარმაზარი. ელისკენ ვბრუნდები და ოცნებას ვეძლევი. ვიცი, ასე არ უნდა მოვიქცე, მაგრამ მაინც ვჯდები მისი საწოლის კიდეზე და ქაღალდს ბალიშის ქვეშ ვუცურებ. მერე ნაზად ვეფერები ლოყაზე. ღმერთო, როგორი ნაზი კანი აქვს... მერე თმაზე ვეფერები და სუნთქვა მეკვრის. სასწაულის შეგრძნება მაქვს, საოცარი აღფრთოვანება მეუფლება; ალბათ ისეთი, როგორიც მუსიკოსს, რომელიც პირველად აღმოაჩენს მოცარტის სიდიადეს. ელი იშმუშნება და თვალებს ახელს. მაშინვე ვნანობ ჩემს თავქარიან საქციელს – ვიცი, რომ, როგორც ყოველთვის, ახლა შეშინდება და აკივლდება. სუსტი, უნებისყოფო და იმპულსური ადამიანი გავხდი, ამას ვაღიარებ. მაგრამ მინდა, შეუძლებელი მოვახდინო, თავს ვერ ვიკავებ და მისკენ ვიხრები, სახე მის სახესთან ახლოს მიმაქვს.

როცა ელის ტუჩები ჩემსას ეხება, გული უცნაურად მიჩქროლდება, ასეთი გრძნობა დიდი ხანია არ განმიცდია. უკან მაინც არ ვიხევ და აი, სასწაული! ელი კოცნაზე მპასუხობს და დავიწყებულ სამოთხეში ვხვდები, მარადჟამიერსა და უბერებელში, ცის ვარსკვლავებივით მუდამ იგივე, უცვლელი და კაშკაშა რომ არის! მისი სხეულის სითბოს ვგრძნობ და ისევე ვკარგავ თავს, როგორც წლების წინ. თვალებს ვხუჭავ და დიდი გემის კაპიტანი ვხდები, უშიშარი და ძლიერი... ჩემი ხომალდი ბობოქარ ტალღებს მიაპობს, ელი კი მისი გაშლილი იალქანია... ხელებს ვუკოცნი, სახეს ვუკოცნი, მის ნაზ ამოსუნთქვას ვუსმენ... და მისი ჩურჩული მესმის:

– ნოა, ჩემო საყვარელო, როგორ მომენატრე!

კიდევ ერთი სასწაული! წინაზე დიდი! ყველაზე დიდი! უდიდესი! და ვერაფრით ველარ ვიკავებ ცრემლებს, როცა ორივე ზეცაში მივექანებით. ვრწმუნდები, რომ ცხოვრება მართლაც სასწაულებით არის სავსე, რადგანაც ვგრძნობ, სიფრიფანა თითებით, როგორ მეხება პერანგზე და ნელა, ძალიან ნელა მიხსნის ღილებს...

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/

„დღიური" ნიკოლას სპარკსის პირველი და ყველაზე საახელგანთქმული რომანია. წიგნი 1996 წელს გამოიცა და დღესაც მსოფლიო ბესტსელერების სიაშია, მისი ავტორი კი – ხმაურიანი დებიუტის წყალობით – სხვადასხვა თაობისა და გემოვნების მკითხველის საყვარელ მწერლად იქცა.
წიგნის არნახულ პოპულარობას ხელი მის მიხედვით 2004 წელს გადაღებულმა ფილმმაც შეუწყო.
მარადიული სიყვარულის ეს ბრწყინვალედ მოთხრობილი ისტორია ქართულად პირველად ითარგმნა.

ISBN 978-9941-11-2836-6
9 789941 112836

Scanned by CamScanner
https://www.facebook.com/groups/El.Biblioteka/